# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 6 (251) ◆ 7-13 თებერვალი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




„ფიცი ღმრთივით გულში ფიცილოთ, წყალობა ჰყავით!..“

**8 თებერვალი — წმიდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღე**

### შევარდნაძემ უკვე ისე „შეტოპა“ დასავლეთში, ქალიანაც რომ უნდოდეს, ვეღარ გამოვა...

— მიუხედავად იმისა, რომ მესმის ჩვენი დელეგაციის მოტივაცია, მაინც მგონია, რომ ევროსაბჭოში რუსეთისთვის მხარდაჭერა საქართველოსთვის ულირსი ჟესტი იყო...

— საქართველოს აბსოლუტურად არა აქვს პოლიტიკური კურსი რუსეთთან ურთიერთობაში.

— კავკასიაში რუსეთის ადგილს, გარდა კარგი მეზობლისა, მე ვერ ვხედავ!

— რუსეთმა ყველგან ყველაფერი დაითმო და ერთადერთი „საეაჭრო ზონად“ კავკასიაღა რჩება.

გვ.3



კახა კაციტაძე

### ყველაზე დიდი ნდობა — მართლმადიდებელ ეკლესიას

მკითხველის პოლიტინგი გვ.27

### ხაზზეა ომალო-შატილი



გაზაფხულზე ახალი პრობლემების წინაშე დავდგებით.

...მთებში შეფარებული ჩეჩნები პარტიზანულ ომს წამოიწყებენ... დღისით შეტევის შემდეგ ღამით თავს სამხრეთით, კვლავ მთებს შეაფარებენ... აღევნებული რუსი სამხედროები ბოლომდე მოსდევენ და ასე აღმოჩნდებიან ჩეჩნები სხვა (ჩვენი) ქვეყნის ტერიტორიაზე... გვ.9

### სად გადაასახლებენ კახელებს?

ეს კითხვა დღეს თუ არა ხვალ, აუცილებლად დადგება დღის წესრიგში — მოსალოდნელია სტიქიური უბედურება, რასაც ხელს ძალიან უწყობენ მავანნი. გვ.8

### სასწრაფოდ უნდა დავნიშნოთ კორუფციის მინისტრი... გვ.7



დავნიშნოთ კორუფციის მინისტრი, შევქმნათ სამინისტრო და ვინც იქ მუშაობის სურვილს გამოთქვამს, ვწვდეთ ყელში...

პარლამენტი მკვდრის გაცოცხლებაზე მუშაობს... ჩვენს პარლამენტარებს ეჩხუბიან ქილეც, ჩვენი არჩეულები რომ არიან...

### პუტინმა რომც იცოდეს იგორის ადგილსამყოფელი, შევარდნაძეს მაინც არაფერს ეტყვის...



...მართალია, პუტინი იგორ გიორგაძის შვილის ნათლიააო?

...გიორგაძე მართლა უნახავთ ქობულეთში, სამტრედიასა და ზუგდიდში?

...აპირებს გიორგაძე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას? გვ.6

ინტერვიუ ერთი ფერეიდნელი ქართველის ოჯახიდან —

### ლამაზი ლეგენდის თანხლებით

„ღმერთმა ნუ ქნას, ისა ვთქვა, რომ საქართველოში ცუდად ვარ...“ გვ.8

### „კვირის პალიტრის“ საიმედო, ერთგულ და გემოვნებიან მკითხველს

დიდი მადლობა იმისათვის, რომ არ დაიზარეთ და გამოეხმაურეთ ანკეტა-კითხვარს.

„კვირის პალიტრა“ თქვენს რჩევებსა და სურვილებს გაითვალისწინებს და კიდევ უფრო საინტერესო გახდება.

### თურქეთს აჭარაზე თვალი უჭირავს...



...ხელისუფლება აბაშიძის ბათუმში დაჭერას ვერასდიდებით ვერ გაბედავს.

— ჩვენს ამომრჩეველს ვეტყვით, რომ ხმის მისაცემად არ წავიდეს, რადგან ჩვენ არ ვაყენებთ ჩვენს კანდიდატურას — ჩვენი ელექტორატის გამორიცხვა არჩევნებს ჩაშლის.

ვალერი გელბახიანი

გვ.7

### რა ცოხი, რის ცოხი, მოგვეცით ნაშალი და გვაკაიფეთ...

— პოლიციასთან ჩემი ანგარიშები მაქვს... „შავებსაც“, „თეთრებსაც“ და „ჭრელებსაც“ თავისი „ზაკონები“ აქვთ... „ფული ჯოჯოხეთს რომ ანათებს“ — ხომ გაგიგონია? ნარკომანს რაც გინდა ის უწოდე, მისთვის რა იცვლება? მიხარია, ტელევიზორში ნარკომანობაზე თანამდებობის პირს და პოლიციელს რომ დაიჭერენ ხოლმე. გვ.6

### მოქალაქე „წითელი ციმციმათი“

ასე უკვე მერამდენედ იყო — ჩესმენი და ციხის უფროსი გაზის საკანთან იდგნენ და კედელზე დაკიდებულ ტელეფონს შეჰყურებდნენ... ტელეფონი ყოველთვის რეკავდა — ასე იყო რვაჯერ და ყურმილის მეორე მხრიდან ყოველთვის ითხოვდა ხმა — გადაედოთ სასჯელი... 10 საათზე განაჩენი უნდა აღსრულდეს... საათის პატარა ისარი ათს მიუახლოვდა, მალე მას დიდიც წამოეწევა... გვ.10

**კრიმინალური საკითხავი** — საიდუმლო პოლიტიკა ახლო სამეზობლოდან — მაინც ვინ არიან ძმები ბასაევები?

— ისინი დღემდე ГРУ-ს დავალებას ასრულებენ(?!)

...მაინც ვინ იყო ახლახან, ბელგრადის ცენტრში ავტომატის ჯერით ჩაცხრილული არკანი — დამნაშავეთა სამყაროს ლიდერი, სახალხო გმირი თუ თავზეხელაღებული მკვლელი. გვ.19

როგორც 1999 წლის საუკეთესო ევროპულ ფილმს, ჟიურიმ ოთარ იოსელიანის „მშვიდობით, ბოსელო“-ს პრემია „ფენიქსი“ მიანიჭა. გვ.20


**ფირმა „ბერმუხა“**



ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


**საკვირაო ტელე-კინოგზამკვლევი 7-13 თებერვალი**



გვ. 14-15


შპს „ევროამერიკან“-ი გთავაზობთ მეორადი მოხმარების კომპიუტერებს



IBM 486 და Pentium.

კომპლექტშია: სისტემური ბლოკი, მონიტორი და კლავიატურა

ფასი 119$ და 191$ ეკვივალენტი ლარებში

მის. ფიროსმანის ქ. №23

☎94-28-33


Неделя
Коммандос
Частная жизнь
Телохранитель
За рубежом
Московские новости
Newsweek
Focus
Общая газета
Der Spiegel
Комсомольская правда
Stern
Сегодня
Изветия
Труд
Совершенно секретно
Аргументы и факты
Иностранец
Le Figaro Magazine
Paris Match
ТВ Парк
Лица
Огонёк
Daily
Le Nouvel Observateur
Итоги

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## ვის დაუჯეროთ?!

ქართულ ენერგეტიკაში წლების მანძილზე არსებული ფინანსური მაქინაციების და გაფლანგვების საქმეთა გამოუძიებლობის გამო, ურთიერთობადაბლებები ერთმანეთს „შეასკდნენ" კონტროლის პალატა და გენერალური პროკურატურა. პროკურატურის განცხადებით, ამ საქმეთა გამოძიების გაჭიანურების მიზეზი კონტროლის პალატის მიერ მიწოდებული არასრულყოფილი, უხარისხო მასალებია... თურმე პროკურატურის შეუმოწმებია რეზო შავიშვილის უწყების მიერ დამუშავებული დოკუმენტაცია და ძალიან ბევრი რამ არ დადასტურებულა(!). ახლა საინტერესო ის არის, რომელია ამ ორ სახელმწიფო უწყებას შორის კორუმპირებული — კონტროლის პალატა თუ გენერალური პროკურატურა? ხომ ფაქტია, რომ მარტო თბილრესის რეაბილიტაციისათვის ათეულმილიონობით დოლარი „დაიხარჯა"?! საქმე იქამდეც მივიდა, რომ კონტროლის პალატის მასალების შემოწმება დაევალა მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაკომპლექტებულ ჯგუფს, რომელიც ადასტურებს გაფლანგვის ფაქტებს თბილრესში. თავად რეზო შავიშვილის სამსახურის განცხადებით, ამ გაფლანგვებზე დროული რეაგირება რომ მოეხდინა პროკურატურას, სახელმწიფო თავიდან აიცილებდა იმ ფინანსურ ზარალსაც, რომელიც მან თბილრესისთვის საწვავის შემომტან შუამავალ ფირმებთან დადებული ხელშეკრულებებით მიიღო. კონტროლის პალატა „საპასუხო დარტყმისათვის" ემზადება და უკვე დაიწყო ერთ-ერთ ასეთ ფირმასთან, „ანგლოოილთან" გაფორმებული ხელშეკრულების მიყენებული ზარალის შესწავლა, რომლის შეფის, მკვლელობაში ეჭვმიტანილ პარლამენტარ ლევან პირველის წინააღმდეგ მიმდინარეობს ძიება. პირველი აცხადებს, რომ მისი კომპანიის მიერ გაფორმებული ყველა შეთანხმება შესწავლილია იუსტიციისა და უშიშროების სამინისტროების მიერ და რომ ეს კონტრაქტები საქართველოსთვის არ არის წამგებიანი...

## ობმოკიდებული საქმიდან ახალ სკანდალამდე

საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად ნელ-ნელა ხდება „აქტუალური" მივიწყებული და ობმოკიდებული საქმეებიც... იმერეთის გუბერნატორის დაჟინებული მოთხოვნით გენერალურმა პროკურატურამ შესაძლოა სისხლის სამართლის საქმე აღძრას... ასლან აბაშიძის წინააღმდეგ... ცილისწამების მუხლით! საინტერესოა, რომ თემურ შაშიაშვილი კარგა ხნის წინ გენერალურ პროკურატურაში შეტანილ სარჩელში აცხადებს: „აჭარის ლიდერმა, ასლან აბაშიძემ მას, ანუ შაშიაშვილს, უსაფუძვლოდ დასწამა ცილი, კერძოდ, ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერით აბაშიძემ ბრალი დასდო შაშიაშვილს იმაში, რომ იმერეთის გუბერნატორი შევარდნაძესთან საიდუმლო სატელეფონო საუბრისას მოითხოვდა პრეზიდენტისგან სამეგრელოს წინააღმდეგ რადიკალური ზომების მიღებას..." მთავრობის სხდომაზე გუბერნატორმა ამ ინფორმაციას აბსურდული უწოდა და ბრძანა, რომ მავანთ ამ გზით სურთ დაუპირისპირონ შაშიაშვილს სამეგრელო... ამავე თემაზე მკაცრი რეაგირება გააკეთა პრეზიდენტმა და განაცხადა, რომ „შაშიაშვილი მართალია და არავითარი საიდუმლო საუბარი არ ყოფილა, რადგან პრეზიდენტსა და გუბერნატორს შორის ურთიერთობაში არავითარი საიდუმლოება არ შეიძლება არსებობდეს!" პრეზიდენტმა უსაყვედურა ბაბილაშვილს, რომელმაც ამ ცილისწამების ფაქტი არ გახსნა და საქმე არ მიიყვანა ბოლომდე! ბაბილაშვილმა შენიშვნა მიიღო და შედეგად, ალბათ უნდა ველოდეთ ახალი სკანდალის დაწყებას „პროკურატურა — ასლან აბაშიძე — თემურ შაშიაშვილის" თემაზე!

პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას კი იმერეთის გუბერნატორ თემურ შაშიაშვილზე სიტყვიერი შტურმი მიიტანა ფრაქცია „აღორძინებამ". შაშიაშვილი, რომელიც მშობლიური იმერეთისთვის აჭარის ანალოგიურ საგადასახადო შეღავათებს ითხოვდა, „ჯვარედინი ცეცხლის" ქვეშ აღმოჩნდა. მას დარბაზიდანაც უტევდნენ და ქანდარიდანაც... ვალერი გელბახიანმა, ელიზბარ ჯაველიძემ და სხვებმა შაშიაშვილისაგან „ქვა-ქვაზე არ დატოვეს". იმერეთის გუბერნატორს კი კბილებით იცავდა ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი, ყოფილი გენპროკურორის მოადგილე რეზო ყიფიანი...

## დაძაბულობამ პიკს მიაღწია!

მადნეულის კომბინატის ირგვლივ ამტყდარმა სკანდალმა პიკს მიაღწია და არ არის გამორიცხული, რომ იქ საქმე შეტაკებამდეც მივიდეს. ყოველ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა მიერ შერისხულმა და ახალდანიშნულმა ხელმძღვანელმა საკუთარ კაბინეტში პოლიციის გაძლიერებული რაზმების მეშვეობით შეაღწია, შემაშფოთებელია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბატონი ლობჟანიძე ყოველდღე ამავე რაზმების მუდმივი თანხლებით იმუშავებს და იმოძრავებს ობიექტებზე, რადგან მუშები მას ჩაქოლვით ემუქრებიან. საკითხავია, ვის სჭირდება სპეცრაზმებით დაცული წარმოების დირექტორი, რომელიც უკვე იმუქრება ურჩი მუშა-მოსამსახურეების (წარმოების აქციათა ნაწილის მფლობელების) სამსახურიდან გარეკვით... ეს უკანასკნელნი კი ტელეეკრანებიდან ლობჟანიძის უკან მდგომ ძალებს ლანძღავენ და აჯანყებით იმუქრებიან! მათი წყევლა-კრულვა ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მისამართითაც გაისმის, რადგან, მუშების მტკიცებით, ლევან მამალაძემ იმიტომ დანიშნა კომბინატის დირექტორად თავისი კაცი, რათა მან რწმუნებულის „ძველი ცოდვები" დამალოს...

## „პრინციპულობას" — საპროტესტო ნოტა!

ლილოს საბაჟოზე ამანათებიანი საბერძნეთის ავტობუსის დაპატიმრებამ ისეთი რეზონანსი მიიღო, რომ საქმეში საბერძნეთის საელჩო ჩაერია.

ქართველ მებაჟეთა და სამართალდამცავთა განცხადებით, ამანათებს არავითარი დოკუმენტაცია არ ახლდა თან და ავტობუსი ამიტომაც დააკავეს. ბერძენი მძღოლები კი ირწმუნებიან, რომ 8 წელიწადია ეზიდებიან მსგავს ამანათებს და არავის არასოდეს კრინტიც არ დაუძრავს. ახლა კი, რა მოხდაო? საწყალმა მძღოლებმა რა იციან, როგორი „მასშტაბური" ბრძოლა მიმდინარეობს საქართველოში კონტრაბანდისა და კორუფციის „აღმოსაფხვრელად". მოკლედ, ამ ღონისძიებამ ის მოიტანა, რომ ამანათების პატრონები აჯანყდნენ და კატეგორიულად მოითხოვეს კუთვნილი ტვირთის მიღება-გასინჯვა. როცა რამდენიმე ამანათი გახსნეს, იქიდან მებაჟეებს „შეანათ-შესციცინა" ნახმარმა და გამონაცვალმა ტანსაცმელმა, საკვებმა კონსერვებმა და ა.შ. მიუხედავად ამისა, სამართალდამცავები „პრინციპულნი" აღმოჩნდნენ და კიდევ დიდხანს აყურყუტეს ამ განუკითხაობით ისტერიკამდე მისული ჩვენი თანამოქალაქე ბერძნები. შედეგად კი ქვეყანამ მეგობარი სახელმწიფოს მხრიდან საპროტესტო ნოტა მიიღო!

## ყველა — ყველაზე!

გალის რაიონში და ენგურის ხიდზე კვლავ დაძაბული ვითარებაა. დაძაბულობა კი მას შემდეგ დაიწყო, რაც ენგურის ხიდთან დაიღუპნენ ქართველთა დაუძინებელი მტერი „მალიშა" და მისი თანამეინახენი. ამას მოჰყვა გალის რაიონში ქართველთა მძევლად აყვანა და „მალიშას" ცხედრის წასაღებად ენგურს 200-მდე აფხაზი ბოევიკიც მოაწყდა. სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა ენგურის ხიდთან ქართველ ლტოლვილთა პიკეტმა, რომლებიც მოითხოვენ აფხაზეთში ციხეში მყოფ და მძევლად აყვანილ ახლობელთა გადმოცემას „მალიშასა" და სხვა მკვდარ თუ ცოცხალ აფხაზთა სანაცვლოდ, რომლებიც ქართველ სამართალდამცავებს ჰყავთ დაკავებულნი...

5 თებერვალს ენგურის ხიდთან შედგა ტყვეთა გაცვლის პირველი რაუნდი. ქართულმა მხარემ კეთილი ნების ნიშნად აფხაზ სეპარატისტებს გადასცა 3 მებაჟის გვამი, რომლებიც 25 იანვარს მომხდარი ინციდენტის დროს მოკლეს. ამის სანაცვლოდ აფხაზებმა ქართველებს გადმოსცეს სამი მძევალი — ჯიქია, შენგელია და ქარდავა. ახლა ქართულ მხარეს რჩება ორი აფხაზი ტყვე, სეპარატისტებს კი 5 ქართველი ჰყავთ დატყვევებული. როგორც დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ავთანდილ იოსელიანმა განაცხადა, დანარჩენი ტყვეების გაცვლა უახლოეს მომავალში მოხდება.

მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა მხარეებმა მოახდინონ ცოცხალთა და მიცვალებულთა გაცვლა პრინციპით: ყველა — ყველაზე!

## ალავიძე თევდორაძეს მოძღვრავს

შეიარაღებულ ბანდიტთა მიერ ვაკის რაიონის პოლიციელის მკვლელობის ფაქტის გამო (ორი ეჭვმიტანილი უკვე დაკავებულია), თბილისის პოლიციის შეფმა სოსო ალავიძემ პირდაპირ დაადანაშაულა ადამიანის უფლებათა დამცველი ზოგიერთი ორგანიზაცია, ცალკეული პარლამენტარები და პიროვნებები იმაში, რომ სწორედ მათი შემწყნარებლური საქმიანობით გულმოცემულმა ბოროტმოქმედებმა დღისით-მზისით ქუჩაში დახვრიტეს პოლიციის თანამშრომელი. ალავიძის რისხვა, უწინარესად, ელენე თევდორაძეს დაატყდა თავს, როცა პოლიციის შეფმა პირდაპირ დაადანაშაულა პარლამენტარი „მკვლელების, ბანდიტების და არაკაცების მფარველობაში" და მოსთხოვა, რომ პოლიციელთა სიცოცხლისა და მათი ადამიანური უფლებების დაცვისთვის დახარჯოს უწინარესად ენერგია და ძალისხმევა. ოფიციალურ განცხადებაში კი, სოსო ალავიძემ კატეგორიულად გააფრთხილა პოლიციის პირადი შემადგენლობა, რომ მათ უნდა გამოიყენონ კანონით მინიჭებული უფლება და შეიარაღებული ბანდიტები მოსპონ...

**(კავკას-პრესი)** საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე კი თბილისის პოლიციის უფროსის სოსო ალავიძისაგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოითხოვს. ამგვარი განცხადების საფუძველი გახდა ალავიძის მიერ თევდორაძისადმი გამოთქმული ბრალდება.

„ვერავინ იტყვის იმას, რომ მე ვინმეს ვიწყალებ, მე ამის არც უფლება მაქვს და არც შესაძლებლობა. შეწყალებას პრეზიდენტი აწერს ხელს და მათ ვინაობას 12 კაციანი კომისია ხმათა უმრავლესობით წყვეტს".

გარდა ამისა, არ დასტურდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს პოლიციელ მიხეილ შანიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილნი პრეზიდენტის მიერ შეწყალებული პატიმრები არიან.

## უშიშროება თავის პოზიციას აფიქსირებს

ჩეჩნეთიდან მოსულ ინფორმაციას, რომ აფხაზეთის ომის „გმირს" შამილ ბასაევს ბრძოლაში მიღებული ჭრილობის შედეგად ფეხი მოაჭრეს, ხოლო შემდგომ მკურნალობას იგი თურმე თბილისში აპირებს, დაუყოვნებლივ გამოეხმაურა საქართველოს უშიშროების სამსახური და კატეგორიულად დააფიქსირა, რომ „თბილისი შამილ ბასაევს არ მიიღებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარი ჩაკეტილია, არამედ უწინარესად იმის გამო, რომ ბასაევს ბრალი ედება აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდში..."

## ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობსო...

როგორც ცნობილი შეიქნა, ჯანდაცვის სამინისტრომ ლიცენზია გასცა ჩეჩნებისთვის განკუთვნილი მედიკამენტების უზარმაზარი პარტიის შემოტანაზე საქართველოში. იქ აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერებებიც, რამაც სკანდალი გამოიწვია — ჯანდაცვის სამინისტროსა და საბაჟოს შორის. გაირკვა, რომ სწორედ ჯანდაცვის სამინისტროს მიუცია ხიზრი ალდამოვისთვის ლიცენზია არაბეთის ქვეყნებიდან წამოსული ამ ძლიერმოქმედი მედიკამენტების შემოტანაზე, რომელსაც თურმე გროზნოსკენ უნდა აეღო გეზი კონკრეტულ მისამართზე(!)... ეს სკანდალი არ ჩამთავრებულიყო, რომ ვალეს საბაჟოზე დააკავეს მედიკამენტებით დატვირთული თურქული ავტობუსი. ცნობილი გახდა, რომ მედიკამენტები თურქეთში მცხოვრებმა ჩეჩნებმა შეაგროვეს და ნაცნობ მძღოლს ხიზრი ალდამოვთან გამოატანეს, რათა ამ უკანასკნელს დაჭრილი ჩეჩენი მებრძოლებისთვის გადაეგზავნა... ტვირთი კონტრაბანდის ბრალდებით ამოიღეს, რადგან იგი ავტობუსში იყო დამალული და არავითარი დოკუმენტაცია არ ახლდა. ექსპერტები არკვევენ, შეიცავს თუ არა ეს ტვირთი ძლიერმოქმედ ნარკოტიკულ საშუალებებს... ამ აურზაურის გამო მოთმინებადაკარგული ალდამოვი აცხადებს, საქართველოში ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობსო... და საბაჟო სამსახურის მაკომპრომეტირებელი მასალების გამოქვეყნებით იმუქრება. ჩეჩნეთის წარმომადგენელმა ნამუსზეც შეაგდო ქართული მხარე, როცა განაცხადა, თუ დაჭრილი ჩეჩნებისათვის განკუთვნილი მედიკამენტების დაკავებით ასიამოვნებთ რუსებს და პუტინს, თქვენი საქმეა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და ჩემი თავიც თქვენ გენაცვალოთო...

## ლეიბორისტები 5 მილიონ დოლარს ითხოვენ

**(გეა)** ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოში ლეიბორისტულმა პარტიამ აპელაცია შეიტანა. პარტიის მთავარი მოთხოვნაა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციასთან შესაბამისობაში იქნეს მიჩნეული საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ".

„ჩვენ მოვითხოვთ, რომ ევროპის სასამართლოსაგან ხელისუფლებას მიეცეს რეკომენდაცია, რათა უახლოეს პერიოდში დანიშნოს ხელახალი საპარლამენტო არჩევნები", — განაცხადა პარლამენტის წევრმა, ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა თამაზ მეჭიაურმა. როგორც მან აღნიშნა, პარტია მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალის საკომპენსაციოდ საქართველოს ხელისუფლებისაგან მოითხოვს 5 მილიონ აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში.

მეჭიაურის განცხადებით, ლეიბორისტული პარტია ევროპის სასამართლოდან პასუხს 10 კვირის ვადაში ელოდება.

## მწვანეები თავს დამნაშავედ არ მიიჩნევენ

**(გეა)** საქართველოს მწვანეთა პარტია არ ეთანხმება თბილისის მერიის მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩელს, რომლითაც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სარეკლამო პლაკატებისაგან ქალაქის ქუჩების გაუსუფთავებლობის გამო მწვანეთა პარტიას ჯარიმის სახით 4 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა. როგორც მწვანეთა პარტიის სპიკერმა გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა, მწვანეთა პარტიის მიერ გაკრული ყველა პლაკატი პარტიის დავალებით ყველგან ჩამოხსნილია.




## ნეონაცისტებს დაუპირისპირდნენ

დიდი სკანდალია ევროპაში. ევროკავშირის წევრმა 14-მა ქვეყანამ ეკონომიკური სანქციები შემოიღო ავსტრიის წინააღმდეგ. საქმე ის არის, რომ ავსტრიის პრეზიდენტმა დაამტკიცა ახალი კოალიციური მთავრობა, რომლის ბირთვსაც წარმოადგენენ ულტრამემარჯვენეები. მათ ნეონაცისტებსაც უწოდებენ. ამით აღშფოთებული ვენის მოსახლეობა მიაწყდა პრეზიდენტის სასახლეს და ქვები დაუშინა. მთავრობის კაბინეტის დამტკიცებიდან რამდენიმე საათში ფინეთმა ოფიციალურად გაწყვიტა დიპლომატიური კავშირი ავსტრიასთან, ისრაელმა კი განაცხადა, რომ გმობს ამ კაბინეტის დამტკიცების ფაქტს და პროტესტის ნიშნად ვენიდან გაიწვია თავისი ელჩი. ამასთან, უარი უთხრა ავსტრიის პრეზიდენტს ისრაელში ვიზიტით ჩასვლაზე, რომელიც დღე-დღეზე უნდა გამართულიყო. შეგახსენებთ, რომ ავსტრიის ულტრამემარჯვენე პარტიის ლიდერი ჰაიდერი ცნობილია ნაცისტური მიდრეკილებებით და იგი კატეგორიულად მოითხოვს ავსტრიიდან ყველა იმიგრანტის გაძევებას...

## გროზნოში რუსეთის დროშა ფრიალებს

**(კავკას-პრესი)** გროზნოში, მასხადოვის რეზიდენციაზე რუსეთის დროშა აღმართეს. ამის შესახებ ჟურნალისტებს ჩეჩნეთის დედაქალაქის ცენტრში, მინუტკას მოედანზე აცნობა ჩრდილო კავკასიაში ფედერალური ძალების გაერთიანებული დაჯგუფების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ვიქტორ კაზანცევმა.

მისი თქმით, ლოკალური საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს მხოლოდ ზავოდსკისა და ჩერნორეჩის რაიონებში.

ბოევიკთა ჯგუფები სამმაგი ალყის გარღვევას ცდილობდნენ, თუმცა მათი ეს მცდელობა ყველა სახის იარაღის გამოყენებით აღკვეთეს. სარდლის განცხადებით, უახლოეს დღეებში პრესკონფერენციაზე იგი გროზნოს ბოევიკებისაგან გათავისუფლების თაობაზე ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს.

## საველე მეთაურები რუსეთს ემუქრებიან

**(კავკას-პრესი)** ორი ჩეჩენი საველე მეთაურის მხრიდან რუსეთის მისამართით ახალი მუქარა გაისმა. ტელევიზია „იჩქერიის" (რომელიც ბოევიკთა მოსაზრებას ასახავს) მიერ გადაცემული ცნობით, ე. წ. „ბრიგადის გენერალმა" ვახა არსანოვმა და „აღმოსავლეთ ფრონტის სარდალმა" შამილ ბასაევმა ოფიციალური განაცხადი გააკეთეს „რუსეთის მთელ ტერიტორიაზე ტოტალური სამხედრო ქმედებების შესახებ". ამასთან, საველე მეთაურებმა დასძინეს, რომ „არ აპირებენ, ზიანი მოუტანონ რუს ხალხს და რუსეთის ხელმძღვანელობის იმ წევრებს, რომლებსაც ხელი არ გაუსვრიათ ჩეჩნური სისხლით".

საველე მეთაურები ამტკიცებენ, რომ „მათ ცოცხალი ძალისა და სამხედრო რესურსების საკმარისი მარაგი აქვთ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ომი 50 წელი გაგრძელდება". ცნობილი არ არის, შეთანხმებულია თუ არა ჩეჩნეთის საველე მეთაურების ნაბიჯი იჩქერიის პრეზიდენტ ასლან მასხადოვთან.

## ჟურნალისტი — პოლიტსპეკულაციის ობიექტი?!

**(რუსული პრესის მიხედვით)** დასავლეთის ელექტრონულმა პრესამ გაავრცელა ვიდეომასალა, სადაც დაფიქსირებულია, რომ რუსმა სამხედროებმა რადიო „სვობოდას" კორესპონდენტი ანდრეი ბაბიცკი ჩეჩენ ბოევიკებს ორ ტყვე რუს ჯარისკაცში გაუცვალეს. ტელევიზიით ნაჩვენები კადრები, რომელშიც თითქოსდა შალისა და არღუნს შორის მდებარე ტერიტორიაა გადაღებული (სადაც ვითომდა გაცვლა მოხდა), სინამდვილეს არ შეეფერება — გაცვლა სხვა რაიონში მოხდა. გაუგებარია შემდეგიც: დათქმულ ადგილამდე მისასვლელად ბოევიკებს რამდენიმე ასეული კილომეტრი უნდა გაევლოთ. ფედერალებს კიდეც რომ მიეცათ მათთვის „კორიდორი", როცა ჩეჩენი ბოევიკები გადაცვლილ ჟურნალისტთან ერთად უკან გაბრუნდებოდნენ, უსაფრთხოების გარანტიას მათ ვინ მისცემდა?

როგორც ჩეჩნეთის მხარე, კერძოდ კი, მასხადოვის მთავრობის ოპერატიული სამმართველოს უფროსი მუმად საიდაევი აცხადებს, საველე მეთაურთაგან არავის მიუმართავს ფედერალების სამხედრო სარდლობისათვის ბაბიცკის გაცვლის თაობაზე. „ვფიქრობ, იგი ფიზიკურად გაანადგურეს რუსეთის სპეცსამსახურებმა. ამით რუსები ორ კურდღელს იჭერენ: თავიდან იშორებენ მათთვის არასასურველ კორესპონდენტს და შემდგომ მის მკვლელობას ჩვენ გვაბრალებენ. ვიდეომასალაც წმინდა წყლის ფალსიფიკაციაა — რატომ იყვნენ ჩეჩნური მხარის წარმომადგენლები ნიღბებში? უბრალოდ, იმიტომ, რომ იქ არც ერთი ჩეჩენი არ ყოფილა. და კიდევ — ბაბიცკი რომ ჩვენთან ყოფილიყო, იგი აუცილებლად დარეკავდა შინ. თანამგზავრული ტელეფონით თავისუფლად შეიძლება სამწუთიანი საუბარი მაინც, მერე კი ფედერალები გვაფიქსირებენ," — თქვა მუმად საიდაევმა.

ჟურნალისტი რუსეთის უშიშროებამ რამდენიმე კვირის წინ აიყვანა და ბრალად დასდო არაობიექტური ინფორმაციის გავრცელება ჩეჩნეთის ომის შესახებ. მეტიც, იგი ჩეჩენ საველე მეთაურებთან კავშირშიც დაადანაშაულეს. არადა, ბაბიცკი ასრულებდა ჩვეულ ჟურნალისტურ მოვალეობას და არა მარტო ცოცხალ კომენტარებსა და რეპორტაჟებს აწვდიდა „სვობოდას" ფრონტის ხაზიდან, არამედ ინტერვიუებსაც იღებდა საველე მეთაურებისა და მებრძოლებისგან.

აღნიშნულმა ვიდეომასალამ აღშფოთება გამოიწვია დასავლეთში. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ბაბიცკის გაცვლა რუს ტყვეებზე შეაფასა, როგორც მიუღებელი ნაბიჯი და განაცხადა, რომ „მოსკოვი ამ ომში გამუდმებით არღვევს სამოქალაქო პირთა უფლებებს..." შემაშფოთებელი კი ის არის, რომ ბაბიცკის ასავალ-დასავალი, ჯერჯერობით, არავინ იცის და იმასაც ვარაუდობენ, ხომ არ იყო ეს გაცვლა რუსების მიერ დადგმული სპექტაკლი...

# შევარდნაძემ ისე „შეტოპა" დასავლეთში, ძალიანაც რომ უნდოდეს, ვეღარ გამოვა!

**„ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები და თურქები „მოხარშულს" ვიცნობთ ერთმანეთს და ვიცით, რომ აქაურ კონფლიქტებში ობიექტურობის შენარჩუნება — შეუძლებელია!"**

*1941 წლის დეკემბერში, როცა იაპონიამ გაანადგურა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზა პირლ-ჰარბორში და ამერიკა ჩაება მეორე მსოფლიო ომში, ვაშინგტონში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია კოდური სახელწოდებით „არკადია". სწორედ მაშინ ჩაუყარეს საფუძველი რუზველტმა და ჩერჩილმა მძლავრი ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნას და მომავალი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაფუძნებას, რა თქმა უნდა, სტალინის წარმომადგენელთან კონსულტაციებით და საბჭოთა კავშირის პოზიციის გათვალისწინებით. რამდენიმე დღის შემდეგ, 1942 წლის 1-2 იანვარს კი 26 სახელმწიფოს წარმომადგენელმა ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების დეკლარაციას (თავად ორგანიზაცია, მოგეხსენებათ, 1945 წელს შეიქმნა)...*

*კონფერენციის დღეებში მოხდა საგულისხმო ამბავი: იმის გარდა, რომ ჩერჩილი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ვაშინგტონში, იგი რუზველტის პირადი სტუმარიც გახლდათ და თეთრ სახლში ცხოვრობდა. თავისუფალ დროს ისინი ხშირად „სტუმრობდნენ" ერთმანეთს. ერთ საღამოს, როდესაც რუზველტი თავისი ეტლით შეაგორეს ჩერჩილის ოთახში, ზუსტად იმ დროს ბრიტანეთის პრემიერი დედიშობილა გამობრძანდა აბაზანიდან... შიშველი ჩერჩილის ხილვით უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა რუზველტმა ბოდიშის მოხდაღა მოახერხა და თანაშემწეს უბრძანა, სასწრაფოდ გაეყვანათ ოთახიდან... მაგრამ ჩერჩილმა ხელის აწევით შეაჩერა რუზველტი და პათეტიკურად განუცხადა, — დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს არაფერი აქვს დასაფარი და დასამალი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისგანო!!!*

*ამ ერთი შეხედვით თავშესაქცევ ამბავში, მაგრამ იმავდროულად ჩერჩილის მრავლისმთქმელ განცხადებაში, ნათლად ჩანს, რომ ისტორიაში არის პერიოდები, როცა სახელმწიფოთა მეთაურებს საერთო მიზნის მისაღწევად მართლაც არაფერი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთისგან დასამალი (რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ანატომიას არ ვგულისხმობ)...*

*რუზველტის თანაშემწისა და რეფერენტის რობერტ შერვუდის ეს მოგონება შემთხვევით არ მოვიყვანე: დღევანდელი გლობალიზაციის პროცესში, რომელიც ჯერ კიდევ მოუგვარებელი კონფლიქტებისა და დაპირისპირებების ფონზე მიმდინარეობს, სახელმწიფოები ცდილობენ საკუთარი პოზიციების განმტკიცებას რეგიონებსა და გეოპოლიტიკურ სივრცეებში „მოკავშირე" და „სტრატეგიული" პარტნიორი ქვეყნების ხელმძღვანელებსაც თითქმის აღარაფერი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთისგან „დასაფარ-დასამალი"... ამიტომ თუ 60 წლის წინანდელს დავუკავშირებთ დღევანდელ რეალობას, ვფიქრობ, ერთმანეთისგან არავითარი საიდუმლო არ უნდა ჰქონდეთ, ვთქვათ: კლინტონ-შევარდნაძეს; შევარდნაძე-ალიევს; ალიევ-დემირელს; პუტინ-ლუკაშენკოს; ლუკაშენკო-მილოშევიჩს; ფიდელ კასტრო-სადამ ჰუსეინს; მუამარ კადაფი-ბენ ლადენს; „ბილ კლინტონ-მონაკოს პრინცესას" და ა.შ. მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, რა მდგომარეობა შეიძლება იყოს ამ მხრივ შევარდნაძე-პუტინს შორის; მით უმეტეს, რომ ერთი მხრივ, საიდუმლო არ არის რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნები კავკასიასა და ევრაზიულ სივრცეში, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ძალისხმევა საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვა-რეალიზებისთვის რეგიონსა და იმავე ევრაზიულ სივრცეში... მოკლედ, დღის წესრიგში კვლავ მთელი სიმძაფრით დგას პატარა სახელმწიფოების ბედ-იღბლის პრობლემა და ახლა საქმე ის არის, თუ ვინ როგორ გამოიყენებს ინტერესთა თანხვედრას თუ დაბალანსებას მიზნის მისაღწევად... ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრები პოლიტოლოგ კახა კაციტაძეს:*

— ისტორიიდანაც ცნობილია და ჩვენს ეპოქაშიც ხშირად ყოფილა, როცა სახელმწიფოთაშორისი და მათ ლიდერთა ურთიერთობების პროცესში მომხდარი ამა თუ იმ შემთხვევისთვის, გარიგებისთვის და ა.შ. პოლიტიკური სტრიპტიზის კვალიფიკაცია მიუციათ, რასაც მართლაც ვერ ვიტყვით ჩერჩილ-რუზველტთან დაკავშირებულ თქვენს მიერ ნახსენებ ფაქტზე... მეც გავიხსენებ ერთ ამბავს ჩერჩილის ბიოგრაფიიდან: პირველ ისლამურ-ფუნდამენტალისტურ მოძრაობას, რომელსაც დასავლეთი შეეჯახა, მაჰდიზმი ერქვა. მან განსაკუთრებით იჩინა თავი სუდანში, მე-20 საუკუნის დასაწყისში. ინგლისელები იძულებულნი გახდნენ, მის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები განეხორციელებინათ. ჩერჩილი ოფიცრის ჩინით მონაწილეობდა სუდანში მიმდინარე ბრძოლებში... ერთხელ ჩამომდგარა ჯავშნიანი მატარებელი და უდაბნოს ქვიშაში ამოგანგლულ ჩერჩილს ორთქმავლის საქვაბიდან ცხელი წყალი ამოუღია, გაშიშვლებულა და იქვე უბანავია. მის შემყურე არაბებს გაოცება ვერ დაუმალავთ, რადგან პირველად ხედავდნენ შუა უდაბნოში მობანავე ადამიანს(!). ჩერჩილს კი უთქვამს, — რა გაგიკვირდათ, ის რომ, კაცი ტანს იბანს, თუ წინადაცვეთილი რომ არა ვარო?!

როცა „არკადიის" კონფერენციას ატარებდნენ ჩერჩილი და რუზველტი, ის ცივილიზაცია, რასაც დასავლური ჰქვია, ორად იყო გახლეჩილი და ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული. უცნაური ის გახლდათ, რომ ორივე მხარეს ჰყავდა მოკავშირეები, გერმანიას — იაპონია, ამერიკა-ინგლისს — საბჭოთა კავშირი, რომლებიც დასავლური ცივილიზაციის წევრები არ იყვნენ. დასავლურმა დემოკრატიებმა ბევრი რამ შეარჩინეს ჰიტლერს, რასაც შეიძლება მიუნხენის პოლიტიკა ვუწოდოთ და რის გამოც ბევრმა ქვეყანამ სასტიკად ზღო... მაგრამ იყვნენ ერები, მაგალითად ჩეხები, რომლებიც დიდი სახელმწიფოების გარიგებას ემსხვერპლნენ. მას შემდეგ თითქმის გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ პატარა სახელმწიფოების ხარჯზე გარიგებით გრძელვადიანი მშვიდობა და უსაფრთხოება არ მიიღწევა, მაგრამ დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი და კვლავ პატარა ქვეყნების — პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხეთის და ა.შ. ხარჯზე გარიგდნენ დიდი სახელმწიფოები... თუ თანამედროვე რეალობაში გადმოვალთ, ვნახავთ: დღესაც ისეთი ვითარებაა, რომ გამუდმებით გვეშინია, ვაითუ კვლავაც პატარა ქვეყნების ხარჯზე მოხდეს გარიგება დიდ სახელმწიფოებს შორის?! პირადად მე ვფიქრობ, რომ ასეთი საფრთხე არსებობს. თუმცა უნდა დავინახოთ განსხვავებაც: მიუხედავად არსებული ლიბერალური პოზიციისა, დღეს ნებისმიერი აგრესია დაუსჯელი არ დარჩება. შორსმიმავალ პროგნოზს ვერ გავაკეთებ და ვერ ვიტყვი, რომ ისეთი წესრიგი დამყარდება, სადაც „თხა და მგელი ერთად მოძოვს"... 60 წლის წინ ბალანსი აგრესორებსა და დასავლეთის დიდ სახელმწიფოებს შორის განსხვავებული იყო. ფაქტია, რომ 1940 წელს გერმანიამ სასტიკად დაამარცხა საფრანგეთი და ინგლისიც გვარიანად „დანაყა". დღეს კი მოწმენი ვართ, რომ რუსეთი ვერ ახერხებს პაწაწინა ჩეჩნეთის დამარცხებას და ამ ომს იმაზე მეტ დროს ანდომებს, ვიდრე სტალინგრადის ბრძოლას ან ბერლინის აღებას მოანდომა! დარწმუნებული ვარ, ვერც დაამარცხებს... მაგრამ ეს კი არ არის არსებითი, არამედ ის, რომ უცნაურ სახეს იღებს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა. დავაკვირდეთ ევროსაბჭოში გამართული კენჭისყრის შედეგებს რუსეთის გაგდებასთან დაკავშირებით. რუსეთის ყველაზე თავგამოდებულ მოწინააღმდეგეებად გამოვიდნენ ევროპის პატარა სახელმწიფოები: ბალტიისპირეთი, სკანდინავიის ქვეყნები, ყოფილი საბჭოელები... საქართველოს პოზიცია გაორებული იყო და მიუხედავად იმისა, რომ მესმის ჩვენი დელეგაციის მოტივაცია, მაინც მგონია, რომ რუსეთისთვის მხარდაჭერა საქართველოსთვის უღირსი ჟესტი იყო. უღირსი ჟესტით კი ღირსეულ სისტემას ვერ დაამკვიდრებ...



**— მაგრამ რამდენჯერმე ისიც ითქვა, რომ ამ პოზიციის დაფიქსირებით საქართველომ შანსი მისცა რუსეთს და თითქოს ევროსაბჭოში მოსკოვზე გარკვეული ზემოქმედების ბერკეტებიც შეინარჩუნა...**

— საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ძალიან მაგონებს ერთი იტალიური ფილმის სათაურს: „მე ვიცი, რომ შენ იცი ის, რომ მე ვიცი!" ეს რეალობაა და აღარ არის საჭირო კუკუდამალობანას თამაში. ამიტომ საქართველო ვეღარ მოახერხებს და საშუალებასაც აღარავინ მისცემს, შეცვალოს პროდასავლური კურსი. მეცინება ხოლმე, როცა პრორუსულად განწყობილი ადამიანები უკიჟინებენ პრეზიდენტს, — გაიხსენე, შენ არ ამბობდი, მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო?! პოლიტიკურ თამაშს აქვს თავისი წესები და შევარდნაძემ უკვე ისე „შეტოპა" დასავლეთში, ძალიანაც რომ უნდოდეს, ვეღარც გამოვა! რაც შეეხება ჩვენი დელეგაციის პოზიციას ევროსაბჭოში, ძალიან მაგონებს ამერიკელ ლიბერალთა არგუმენტაციას რეიგანის ანტისაბჭოური პოლიტიკისადმი, როცა ამტკიცებდნენ, — საბჭოთა კავშირის იზოლაციაში მოქცევით დავკარგავთ მოსკოვზე ზეწოლის ბერკეტებსო. ანუ მათი აზრით, ვაჭრობის, კეთილგანწყობილი ურთიერთობების განვითარებით უფრო ლიბერალურს გახდიდნენ საბჭოთა რეჟიმს... საბოლოოდ, ყველამ დაინახა, რა შედეგი გამოიღო რეიგანის მკაცრმა ანტისაბჭოურმა პოლიტიკამ.

ზემოთქმულს დავიყვან ერთ კონდიციამდე და მოგახსენებთ: მე ფილოსოფოსი ვარ და არ მიყვარს პრობლემებისა და ტენდენციების პერსონიფიცირება. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ყველაზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ის, რომ ჩვენი ხელისუფლების კურსი, თუ საერთოდ შეიძლება კურსზე საუბარი, არის პერსონიფიცირებული. ძალიან მაინტერესებს, ელცინს თავის მემკვიდრედ პუტინი კი არა, სტეპაშინი ან ვიღაც სევასტიანოვი რომ დაეტოვებინა, ასეთ შემთხვევაშიც მივიდოდა შევარდნაძე კრემლში, თუ რა იქნებოდა? პრობლემა ის არის, რომ საქართველოს აბსოლუტურად არა აქვს პოლიტიკური კურსი რუსეთთან ურთიერთობაში და ცდილობს შეიმუშაოს მხოლოდ მოქმედების ტაქტიკა რუსეთის კონკრეტული ხელისუფალის მიმართ. მართალია, პოლიტიკაში პიროვნული მომენტები დიდ როლს თამაშობს, მაგრამ არა ყველაფერს... აგერ, ჩვენს პრესაში გაისმის — პუტინი იგორ გიორგაძის ძმაკაცია, კვირაიას ახლობელია, მიხოსი თუ შალიკოს ნათესავიაო და ა.შ., და არავის ფიქრადაც არ მოსდის, რომ გაარკვიოს — რა სტრატეგია აქვს ამ კაცს. არავინ სერიოზულად არ სწავლობს და არ აანალიზებს, რა პროცესები მიდის რუსეთში. არადა უკვე ფაქტია, რომ ელცინის რუსეთთან შედარებით სულ სხვა იქნება პუტინის რუსეთი. ამიტომ ჯერ კონცეპტუალურად უნდა შევისწავლოთ რუსეთის ვითარება და მისი პოლიტიკა, შემდეგ ამ პოლიტიკაზე მოვახდინოთ რეაგირება. ასეთ სერიოზულ მუშაობას ვერ ვხედავ, მხოლოდ მესმის — „ნუ გავაღიზიანებთ რუსეთს!" კი, ბატონო, მაგრამ რუსეთმა რომ ვერა და ვერ გაგვაგებინა, რა უნდა ჩვენგან და თვითონაც არ იცის, რა გააკეთოს?!

**— და მაინც, არ უშვებთ იმის პრეცედენტს, რომ ვთქვათ, რუსეთ-საქართველოს ე.წ. დიდი ხელშეკრულების რატიფიცირების და იქ ჩამოყალიბებული პუნქტების შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ურთიერთობათა ნორმალიზება?**

— თეორიულად ეს კარგად ჟღერს, მაგრამ პრაქტიკულად ვერ ვხედავ ამგვარი სტრატეგიული ურთიერთობების განვითარების პერსპექტივას. რუსეთმა ევროპაშიც და ყველგან, ყველაფერი დათმო გეოსტრატეგიულად და ერთადერთ „სავაჭრო ზონად" რჩება კავკასია. მაგრამ რაც უფრო ღრმად ჩაეფლობა ჩეჩნეთის ომში, მით უფრო მოუწევს დასავლეთის გავლენის აღიარება ჯერ სამხრეთ კავკასიაში, შემდეგ ალბათ მთელ კავკასიაზე. მე აქ ბალანსის შენარჩუნების შანსს ვეღარ ვხედავ!



კახა კაციტაძე

რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ჩვენც შეგვიძლია სისხლი გავუშროთ აფხაზებს გამუდმებული მცირე მასშტაბის თავდასხმებით, ისევე როგორც აფხაზებსაც შეუძლიათ იგივე გაგვიკეთონ; მაგრამ აქ მთავარია არა ის, ვის რა შეუძლია, არამედ ის, როგორ უნდა აშენდეს ქართული სახელმწიფო: აშენდეს ძალაზე დაყრდნობით, თუ კონსენსუსის საფუძველზე?! ბოლოს და ბოლოს, X-XI საუკუნეებში ბევრად უფრო კონსენსუსზე დამყარებული სახელმწიფო გვქონდა და აფხაზთა და ქართველთა მეფე ბაგრატ III დინასტიური ქორწინებისნაყოფი გახლდათ, რის შედეგადაც გაერთიანდა საქართველო! კონსენსუსი გამორიცხავს გარიგებას რუსეთთან და მარტივად მოჩანს ჩვენთვის მისაღები გზა პროდასავლურ და პრორუსულ ორიენტაციებს შორის. პროდასავლური ნიშნავს იმას, რომ ყველა შენს პრობლემას აგვარებ კონსენსუსით. ამ გზაზე რა გარიგება შეიძლება მოხდეს რუსეთთან, ვთქვათ, აფხაზეთის თუ ჩეჩნეთის ხარჯზე? მე ასეთი გარიგების შანსსაც ვერ ვხედავ. თუ რუსეთს რაიმეზე „გავურიგდებით", მხოლოდ კეთილმეზობლობაზე!

**— და თუ ეს კეთილმეზობლობაც ვერ მოხერხდა, მაშინ? აქ მივადექით ერთ მნიშვნელოვან მომენტს, რაზეც ზემოთაც მივანიშნეთ. მარტივად დავსვათ კითხვა: ვის რა უნდა საქართველოსგან და ვისგან რა საფრთხეს უნდა ველოდეთ, უწინარესად, სამხედრო ხასიათისას?**

— ეს მარტო ჩვენი პრობლემა არ არის. ამ თემაზე მილაპარაკია ამერიკელ და გერმანელ სამხედრო ექსპერტებთანაც, რომლებიც აცხადებენ, რომ დღეს გაცილებით რთული ვითარებაა, ვიდრე „ცივი ომისას". მაშინ ყველაფერი იცოდნენ, თუ საიდან რამდენი დივიზია შეუტევდა, რამდენი ბირთვული ქობინი გაფრინდებოდა და ა.შ. დღეს კი ძნელია იმის პროგნოზირება, სად და რა დროს რა ამოხეთქავს ვულკანივით. ჩვენც არ ვიცით, საიდან დაგვემუქრება საფრთხე. მართალია, დღეს ყველა ჩრდილოეთიდან ელის მას, მაგრამ გავიხსენოთ 1921 წლის ამბები, როცა ჩრდილოეთით შეაჩერეს რუსის ჯარი, მაგრამ „სიკვდილის ცელი" სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოვიდა. შეიძლება ამოხეთქოს ისეთმა საფრთხეებმა, რომლებიც არ არის პროგნოზირებადი.

ერთ-ერთი თავისებურება არის ის, რომ თბილისი ძალიან ახლოსაა საზღვართან და უნდა გავიაზროთ — საქართველოს უსაფრთხოება გულისხმობს დედაქალაქის უსაფრთხოებას. ამ უსაფრთხოებაში კი მოიაზრება ის, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ უნდა იდგეს ის ჯარი, რომელიც მტრულად იქნება განწყობილი საქართველოსადმი და ერთი მარშით მოაღწევს თბილისამდე, როგორც ეს 1921 წელს მოხდა. საბედნიეროდ, დღეს ჯერჯერობით, ეს ვითარება არ არის და თვით სომხეთში მდგარი რუსული ბრიგადაც ვერ მოვა თბილისამდე მარშით. ყოველ შემთხვევაში, მოკლე გზით, აღსტაფა-მარნეულის მხრიდან ისე ვერ მოვა, რომ არ დაარღვიოს აზერბაიჯანის საზღვრის ხელშეუხებლობა აქედან გამომდინარე შედეგებით... ამასთან, შეიძლება გაჩნდეს ისეთი საფრთხე, როგორიცაა მასობრივი ლეკიანობა. მოკლედ, საფრთხე „მრავალფეროვანი" შეიძლება წამოვიდეს, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ განახლდება აზერბაიჯან-სომხეთის ომი. აი, სად ამოხეთქავს მისი შედეგები, სად გავრცელდება, ძნელი სავარაუდოა და ა.შ.

**— სომხეთი ვახსენეთ და დემირელის მიერ ქოჩარიანისადმი ახლახან მიწერილ ბარათსაც შევეხოთ, რომელიც გრიფით „საიდუმლო" იყო გაგზავნილი. მისმა შინაარსმა მოსკოვი გააცოფა (კონფიდენციალური ინფორმაციით, ბარათის შინაარსი რუსეთის დაზვერვისთვის გახდა ცნობილი). კერძოდ, თურქეთი უკვე პირდაპირ სთავაზობს სომხეთს არა მარტო შერიგებას, არამედ რეგიონალურ პროექტებში აქტიურად ჩართვას, ერევანი-ყარსის რკინიგზის ამოქმედებას და არაორაზროვნად მოუწოდებს, რომ სომხეთი დაადგეს პროდასავლურ კურსს...**

— ეს უაღრესად საინტერესო მოვლენაა და ეხება პრინციპულ საკითხს: რა სჯობს, ტაქტიკური წარმატებები სტრატეგიული წარუმატებლობის ხარჯზე თუ პირიქით? ფაქტია, რომ სომხეთის ტაქტიკური წარმატება ყარაბაღში, მისი სტრატეგიული წარუმატებლობის ხარჯზე მოხდა. რა მოუტანა სომხეთს ყარაბაღში წარმატებამ? არაფერი. დარჩა „საუკუნის პროექტებს" მიღმა. საერთოდ, სომხეთის პოლიტიკა ყოველთვის უცნაურად იყო ორიენტირებული, რის შედეგადაც მუდამ იდგა რისკის პირას — ტაქტიკური წარმატების ხარჯზე მიეღო სტრატეგიული კატასტროფა... ქოჩარიანიც და მისი წინამორბედნიც უაღრესად ტრაგიკული ბედის პიროვნებები არიან. თავად სომხეთის, როგორც სახელმწიფოს უბედურებაც ის გახლავთ, რომ ხელისუფლებაში მოდიან ნაციონალიზმით გამსჭვალულნი, შემდეგ კი ობიექტური რეალობა აიძულებთ, შეიცვალონ პოზიცია. ვინც არ შეიცვლის, გადაჰყვება კიდეც. სომეხი ლიდერები ხელისუფლებაში მოსვლაზე „კრედიტს" მოსკოვიდან იღებენ და თუ „ვალს" არ გადაიხდიან, პასუხად იღებენ სიკვდილს, საუკეთესო შემთხვევაში, პოლიტიკიდან წასვლას! ამიტომ სომხეთთან დაკავშირებით არა ვარ ოპტიმისტურად განწყობილი. ეს კი საქართველოსთვის ერთ-ერთი სერიოზული დილემა იქნება... საერთოდ, თუ სამხრეთ კავკასიას ბედი უწერია, მას ერთად გავიზიარებთ ქართველებიც, სომხებიც და აზერბაიჯანელებიც. ბალტიისპირელების მაგალითი ავიღოთ. მათ ერთმანეთთან სულაც არა აქვთ „იავარდით მოფენილი" ურთიერთობები, მაგრამ საერთო მიზანი ამ ქვეყნებს ერთიანი ფრონტით მოქმედებას აიძულებს. სამხრეთკავკასიელებმაც უნდა გავიაზროთ ეს ჭეშმარიტება და საერთო ინტერესები პარტიკულარულ განსხვავებებზე მაღლა დავაყენოთ. რომ არ ყოფილიყო კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში და არ მომხდარიყო აქ მცხოვრები ხალხის გახლეჩა, შეგვეძლო „მონროს დოქტრინის" მსგავსად გამოგვეცხადებინა — კავკასია, ან სამხრეთ კავკასია — სამხრეთკავკასიელებისთვის! ეს არ მოხდა და რადგან დღეს სამხრეთ კავკასიაში არბიტრის როლზეა ლაპარაკი, მე პირადად ასეთ არბიტრად ევროპელს ან ამერიკელს ჩავთვლი, რადგან შეუძლებელია იგივე რუსეთი, თუნდაც თურქეთი ობიექტურნი იყვნენ... ნუ მოვიტყუებთ თავს და როგორც უკვე ბრძანეთ, — ყველამ ყველაფერი იცისო, ახლაც ვთქვათ: ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, თურქები და რუსები „მოხარშულს" ვიცნობთ ერთმანეთს და ვიცით, რომ ბოლომდე ობიექტურობის შენარჩუნება აქაურ კონფლიქტებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამიტომ ბირთვი უნდა იყოს სამი სამხრეთკავკასიური სახელმწიფო, რომელიც თვითონ მოაგვარებს კონფლიქტებს არა წარსული ურთიერთწყენისა და ცოდვების გათვალისწინებით, არამედ მომავალ თანაარსებობაზე ყურადღების კონცენტრირებით. თუ ეს მოხდა, თავისთავად მოვა კონსენსუსი და დაისმება საკითხი: თუ მომავალზე ვფიქრობთ, მაშინ დავსხდეთ და ვითანამშრომლოთ გარკვეულ თემებზე... აი, ეს უკვე იქნება დასაწყისი მშვიდობიანი თანაარსებობის გზაზე და ამ კომბინაციაში რუსეთის ადგილს, გარდა კარგი მეზობლისა, მე ვერ ვხედავ!

**— დაბოლოს, კომენტარს გთხოვთ ევროპაში, ევროკავშირში მომხდარი სკანდალის შესახებ. ფაქტია, რომ ავსტრიაში ულტრამემარჯვენე თავისუფლების პარტიის გამარჯვებამ ფეხზე დააყენა მთელი ევროპა და ეს უწყინარი, მშვიდი და ბედნიერი ავსტრია ლამისაა მოისროლონ ევროპის დიდი ოჯახიდან. დავიჯეროთ, მართლაც რაიმე „საფრთხეს" უქმნის ჰაიდერი და მისი პარტია დასავლურ დემოკრატიას?**

— ამ ფაქტმა დაადასტურა, რომ 21-ე საუკუნეში არ მოხდება ნაციონალური სახელმწიფოების გაქრობა. ჰაიდერი ამ პროცესში მხოლოდ ისტორიის პაიკია და მეტი არაფერი... ავსტრიაში, საერთოდ, ევროპაში უნდა ცხოვრობდე, რომ გაიგო, რა ხდება სინამდვილეში. როცა ზანგი გეტყვის, რომ იგი ეროვნებით ავსტრიელი გერმანელია, მიხვდებით, რატომ იღებს ჰაიდერი ამომრჩეველთა ხმებს. ევროპას ისეთი უზარმაზარი იმიგრანტული ტალღა მიაწყდა, რომ ეტყობა, ადგილობრივმა ერებმა ვეღარ შეძლეს მათი „გადახარშვა"... სწორედ ამას მოჰყვა ულტრამემარჯვენეთა გააქტიურებაც.

რაც შეეხება ევროკავშირის რეაქციას და ავსტრიის წინააღმდეგ შემოღებულ სანქციებს: იქ ყველას თავისი მოტივი აქვს. ავსტრიაში ულტრამემარჯვენეთა მოსვლაზე ყველაზე მძაფრი რეაქცია საფრანგეთის მემარჯვენე მთავრობას ჰქონდა, რადგან ჰაიდერის გამარჯვებამ ლე-პენის წისქვილზე დაასხა წყალი, რომელიც ისევ და ისევ გოლისტებს წაართმევს ხმებს. ლე-პენის მსგავსად, ესპანეთში ნეოფრანკისტები წაიღებენ ხმებს. ამასთან, ზოგს ფაშიზმის ეპოქა ახსოვს და ამიტომაა მისთვის ჰაიდერი მიუღებელი.

ჩემი აზრით, ჰაიდერი უფრო პოპულისტია, ვიდრე ნაცისტი, მიუხედავად იმისა, რომ წაკითხული მაქვს მისი „ხოტბანი" განსვენებული ადოლფისადმი... ვფიქრობ, ეს აჟიოტაჟი მალე ჩაცხრება...

**— გმადლობთ.**

**ზურაბ მჭედლიშვილი**

## წმიდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღე



8 თებერვალი

„მე ვარ ვითარცა უფსკრული შეუკრებელი ბილწებისა ღვართაი"...

„ფეხი დამადგით გულზე ყოველთა, წყალობა ჰყავით"...

ბრძანებდა საქართველოს დიდი მეფე, წმიდანად შერაცხული, აღმაშენებლად წოდებული დავით IV.

„ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო, მიუტევები, ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს, რაი გადარდებს? გასწიე იგი „ნიკოფსიით დარუბანდამდე" (ანა კალანდაძე)...

16 წლისა ავიდა ტახტზე დავით აღმაშენებელი და იმ დღიდან ხმალი არ ჩაუგია, სანთელი არ ჩაუქრია. გააერთიანა და შეკრა ერთ ძლიერ სახელმწიფოდ საქართველო, განამტკიცა ქრისტიანობა, მოახდინა XI ს-სთვის უჩვეულო რეფორმები როგორც საერო, ისე სასულიერო ცხოვრებაში, ააშენა, განავრცო საქართველო, „სხვა ათინად" და „ახალ რომად" აქცია ქვეყანა... მოიგო დიდგორის ომი, რომელმაც გასაოცარი პოპულარობა მოუპოვა.

დავითის მეცადინეობით საქართველო მაშინდელ მსოფლიოში ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ ითვლებოდა.

დიდი წინაპრის ხსენების დღეს ქართველ მამულიშვილთა ძალისხმევით გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი.

## წყლის ძალა მოგცეთ ღმერთმა!

**გაზეთ „კვირის პალიტრის" მთავარ რედაქტორს ქ. რუსთავის მცხოვრებთა განცხადება**

*გთხოვთ ჩვენი სტატია გამოაქვეყნოთ თქვენს გაზეთში. მოუთმენლად ველით თქვენს გადაწყვეტილებას.*

არჩევნების წინ დაპირებები ერთმანეთში აირევა ხოლმე და ძნელი გასარჩევი ხდება, თუ რომელს უწერია რეალურად განხორციელება და რომელი დაპირებად დარჩება.

ჩვენ, რუსთაველებს, ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნებამდე დაგვპირდნენ, რომ წყლის პრობლემას გადაგვიწყვეტდნენ. გვაცნობეს კონკრეტულად ისიც, რომ დაიდო ხელშეკრულება ჩვენი ქალაქის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „უდაბნოს" შორის, რომლის მიხედვით, ამ უკანასკნელმა ქ. რუსთავს სართიჭალიდან წყალი უნდა მიაწოდოს.

დრო გადის. წყალი არ ჩანს არც ჩვენს ონკანებში და არც ჰორიზონტზე. ბუნებრივად იბადება კითხვა — რატომ? რა იყო ის დაპირება — ნუთუ მორიგი საარჩევნო ტრიუკი?

ჩვენმა ქალაქმა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში თავის წარმომადგენლად გაგზავნა მერაბ ტყეშელაშვილი. ჩვენ მას ძირითადად იმიტომ მივეცით ხმა, რომ დაგვპირდა, წყლის პრობლემას გადაგიწყვეტთო. ბუნებრივია, ჩვენი ქალაქისთვის ეს ერთ-ერთი უმძიმესი პრობლემათაგანია. ჰოდა, რა გამოდის?! პარლამენტი მუშაობას შეუდგა, ბატონი მერაბი დეპუტატია, ჩვენ კი წყალი ისევ ისე არ გვაქვს, როგორც არ გვქონდა ადრე.

**ახლა გვინდა მივმართოთ ჩვენს დეპუტატს: ბატონო მერაბ!** გვექნება რუსთაველებს წყალი? თუ გვექნება, როდის? რა უშლის ხელს პრობლემის გადაწყვეტას? თქვენ ხომ ახლა უკვე დეპუტატი ხართ და უფრო აქტიურად შეგიძლიათ პროცესებზე ზემოქმედება. აქამდე რასაც კი დაგვპირებიხართ, ყველაფერი შეგისრულებიათ, — ვერ დაგიკარგავთ. ახლა რა ხდება?! ეს იმის გამო ხომ არ არის, რომ ამბობენ, მდინარე ხრამიდან რუსთავში წყალს გადმოტუმბავენ, რაზეც წელიწადში სამი თუ ოთხი მილიონი ლარი იხარჯებაო. ან ამდენი ელექტროენერგია სად არის, ან გადმოტუმბული წყალი? წყალი არსებობს, არსებობს მილებიც, რომლითაც ეს წყალი სართიჭალიდან რუსთავამდე უნდა ჩამოვიდეს (ოდესლაც, წლების წინათ ჩაუყრიათ და, როგორც ამბობენ, მშვენივრად შემონახულა), არსებობს დაპირებაც, რომ გვეღირსება, ბოლოს და ბოლოს, წყალი. მაშ, რაღა დარჩა? ნება? მაგრამ ვისი?

უკვე საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება. **ახლა თქვენ მოგმართავთ, ბატონო პრეზიდენტო!** თქვენ მაინც მოგვაქციეთ ყურადღება. ესეც ხომ იმ პრობლემათა რიგს არ განეკუთვნება, რომლის გადაჭრა საკუთარი ძალებით შეუძლებელია. სართიჭალიდან რუსთავამდე წყლის მოყვანა რეალურად შესაძლებელია. უსუსური არგუმენტები მოჰყავთ — მილები შესამოწმებელია — ვარგა თუ არაო. იმ მილების შემოწმება რაღა გახდა! სცადა კი ვინმემ შეემოწმებინა, რა მდგომარეობაშია მილები? საცდელად გაუშვეს განა წყალი? ვინ და რას ელოდება?!

ბატონო პრეზიდენტო! პრაქტიკა ასეთნაირად არის დამკვიდრებული: ხალხი ენდობა ხელისუფალთ, უჭერს მხარს და მერე სხვადასხვანაირად იმკის გამოცხადებული ნდობისათვის. მოდით, ამჯერად, პირიქით ვქნათ: ჯერ თქვენ გვენდეთ, მოგვეცით წყალი სწორედ არჩევნებამდე და მერე ჩვენ, ხალხი გიჩვენებთ, ზოგიერთი პოლიტიკოსისაგან განსხვავებით, როგორ ვიცით ნდობაზე პასუხის გაცემა. მერე კონკრეტულად დაგანახვებთ, როგორ დაგიჭერთ მხარს 9 აპრილს. თქვენი მხრიდან ჩვენზე გამოცხადებულ ნდობაში ბევრი რამ გამოჩნდება; გამოჩნდება უპირველესად თქვენი ჩვენდამი დამოკიდებულება. ძალიან გთხოვთ, უპასუხოდ ნუ დატოვებთ ჩვენს თხოვნას, თორემ უხელფასოდ, უპენსიოდ, უშუქოდ... ახლა უწყლოდაც... ძალიან ძნელია. მოუთმენლად ველით თქვენს გადაწყვეტილებას.

*პატივისცემით ქ. რუსთავის მცხოვრებთა სახელით: ნ. ჩაჩანიძე, ლ. მენთეშაშვილი, ნ. ფიროსმანიშვილი, რ. დვალი, ც. მჭედლიშვილი, მ. კუბლაშვილი, ვ. ბარძიმაშვილი, ე. მაისურაძე და სხვები.*

## შემოსავლიანი სახლები და... ციე ჩახოხბილი



მე-19 ს-ის თბილისში საბინაო საკითხი ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემას წარმოადგენდა. მისი მოგვარება არ შეეძლო ქალაქის თვითმმართველობას. თბილისში მაშინ სულ 8,2 ათასი საცხოვრებელი სახლი იყო, მათგან 24 — ოთხსართულიანი, 431 — სამსართულიანი, დანარჩენი — 1-2 სართულიანი. ცენტრალურ რაიონებში, კეთილმოწყობილ ბინებში საზოგადოების მაღალი ფენა ცხოვრობდა. ღარიბთა უბნებში მოსახლეობა თავადვე ცდილობდა მოეგვარებინა ეს პრობლემა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალმოსულნი, რომლებმაც თვითმმართველობის ნებართვის გარეშე ქალაქის კუთვნილ ცარიელ მიწებზე, რკინიგზის მიდამოებში დაიწყეს დასახლება. მოკლე ხანში (1904-1908 წწ) ქოხმახებით უნებართვოდ გაშენებულ ამ ტერიტორიას „ნაძალადევი" („ნახალოვკა") ეწოდა.

XIX ს-ის დამლევს მდიდარმა სადაზღვევო საზოგადოებებმა და ქალაქის ბურჟუაზიამ კაპიტალის უძრავ ქონებაში დაბანდების მიზნით დაიწყეს მიწების შესყიდვა და ე.წ. შემოსავლიანი სახლების მშენებლობა. ასეთი სახლები გავრცელებული იყო ევროპასა და ამერიკაში. ის მათ მფლობელებს შემოსავალსაც აძლევდა და საბინაო პრობლემასაც ერთგვარად აგვარებდა. 1912 წ. თბილისი შემოსავლიანი სახლების მშენებლობის ინტენსიურობით ჩამორჩებოდა მხოლოდ ლონდონს, ნიუ-იორკსა და მოსკოვს. არქიტექტორმა კ. ტატიშჩევმა ალექსანდრე ჭავჭავაძის ნასახლარზე ააგო დღევანდელი იუსტიციის სამინისტროს შენობა, ოზეროვის პროექტით აშენდა სახლი გოლოვინზე (ახლანდელი რუსთაველის №19), ნ. ობოლენსკის პროექტით — ე.წ. მელიქ-აზარიანცის სახლი. ყველა მათგანი შემოსავლიანი სახლი იყო.

მიხეილის (აღმაშენებლის) პროსპექტის დასაწყისში მთლიანად ამგვარი სახლები იდგა, რომელთაგან ბევრი დღესაც არის შემორჩენილი.

სოლოლაკში უმთავრესად მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები და ჩინოვნიკები სახლდებოდნენ. აქაური რესპექტაბელური სახლების სადარბაზოების კედლებს ამშვენებდა სალონური მოხატულობა, ხოლო მარმარილოს იატაკს ლათინური წარწერა „სალვე" (მოგესალმებით). ხშირად მოზაიკურ იატაკზე ამოქარგული იყო მარმარილოს სახელოსნოების მფლობელის ანდრეოლეტის გვარი. შემოსავლიან სახლებში ქირავდებოდა ავეჯით განყობილი ოთახები. ნომრები მუდმივ დამქირავებლებს ეკავათ, მათ შორის იყვნენ მამულებგაყიდული თავადებიც. გაზ. „კავკაზი" აღწერს, როგორ გამოიყურებოდა შემოსავლიანი სახლის ნომერი: „სამოთახიანი ნომრის ფართო ფანჯრები გოლოვინის პროსპექტს გადაჰყურებს. იატაკზე აფენია ძვირფასი სპარსული ხალიჩა. როკოკოს სტილის ავეჯი წითელი ხისაა. კედელზე ჰკიდია ინგლისური საათი. ალექსანდრე როინაშვილის ფოტოპორტრეტები. საძინებელი ოთახიც წითელი ხის საწოლებითაა განყობილი. კედელზე გაკრულია ხანჯლებით, ხმლებით და ირმის რქებით დამშვენებული ნოხი".

იაფფასიან ოთახებში იდგა საწოლი, მაგიდა, სკამები და ხის ყუთები. ჩვეულებრივ, პირველ სართულზე გამართული იყო სასადილო, სადაც, სხვათა შორის, დღეში ერთხელ ჩაით და პურით უფასოდ მასპინძლობდნენ. წვნიანი და ფაფა ღირდა 15 კაპიკი. შემოსავლიანი სახლების ღარიბ მობინადრეთ რატომღაც „ობლებს" ეძახდნენ. მათ სასადილოსაც „ობლების" სასადილო ერქვა. მელიქ-აზარიანცის სახლის პირველ სართულზე 70-80-იან წლებამდე იყო შემორჩენილი სასადილო, რომელსაც „ობლების სასადილოს" ეძახდნენ. ამ სასადილოში ღარიბ მობინადრეთ კვირაში ერთხელ უმასპინძლდებოდნენ ჩახოხბილით, ეს კერძი ყველას ძალიან მოსწონდა, მაგრამ ხოხობი მაშინაც იშვიათობა გახლდათ და შემოსავლიანი სახლის მფლობელმა იეშმაკა — ხოხბის ნაცვლად ქათმის ხორცის „ჩახოხბვა" დაიწყო. შესაძლოა, ეს პირველი კერძი იყო, რომელიც 100 წლის წინ გააყალბეს ტფილისში.

კომუნისტური წყობის პერიოდში ყველა შემოსავლიანი სახლი ან კომუნალურ ბინებად გადაკეთდა, ან სხვადასხვა ორგანიზაციებმა და სამინისტროებმა დაიკავეს.

*გალაქტიონ ტაგანაშვილი*



# „პუტინმა რომც იცოდეს იგორის ადგილსამყოფელი, შევარდნაძეს მაინც არაფერს ეტყვის...“

საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად ქართველი სამართალდამცავები ქვეყანაში მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე საუბრობენ. მათი თქმით, ბნელი ძალები, რომლებიც ქვეყნის გარედან იმართებიან, სახელმწიფო გადატრიალებას და ქვეყნის პირველი პირების განადგურებას გეგმავენ. ტერაქტის ორგანიზატორთა სახელის ხსენება ნებისმიერ მსმენელში იგორ გიორგაძის ასოციაციას იწვევს.

ძალოვნების განცხადებების პარალელურად, საეჭვოდ გაუჩინარდა იგორ გიორგაძის მამა, ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელის მიმართაც გარკვეული ბრალდებები და სამხილი არსებობს უშიშროების სამინისტროში. ქვეყნის პირველი კომუნისტი დედაქალაქში ორიოდ დღის წინ დაბრუნდა. „ვოიაჟების“ შესახებ თავად **პანტელეიმონ გიორგაძეს** ვესაუბრებით.

**— ბატონო პანტელეიმონ, სად ბრძანდებოდით თითქმის ორი თვის განმავლობაში?**

— დეკემბრის ბოლოდან 25 იანვრამდე სამტრედიაში ვიყავი, ჩემს მშობლიურ სახლში, საიდანაც სხვადასხვა რაიონში დავდიოდი და მოსახლეობას ვხვდებოდი. 26 იანვრიდან 3 თებერვლამდე კი მოსკოვში ვიმყოფებოდი, სადაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების კომუნისტურ პარტიათა პლენუმი გაიმართა. ასევე შევხვდი დუმის დეპუტატებს. ვუზიარებდით ერთმანეთს აზრს.

**— კონკრეტულად რაზე საუბრობდით დეპუტატებთან შეხვედრის დროს?**

— საუბარი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ეხებოდა, ხალხთა განწყობას. ვეუბნებოდი მათ, რომ საქართველოს ცალკეულ, ერთეულ პოლიტიკოსთა განცხადებები, რომელიც რუსეთის მიმართ აგრესიას გამოხატავს, არ ნიშნავს, რომ იგი მოსახლეობის აზრია. თუმცა ამას თვითონაც კარგად ხვდებიან. მოგეხსენებათ, საქართველო იმ ავადმყოფივით გამოიყურება, რომელსაც რეანიმაციაში გადაყვანა ესაჭიროება. შევარდნაძე კი ექიმის როლში ამერიკას მოიაზრებს, რამაც შესაძლოა არცთუ დადებითი ნაყოფი გამოიღოს. შეხვედრისას საუბარი გვქონდა სამიტის შესახებ. უნდა გითხრათ, რომ მისი კმაყოფილი თითქმის არავინაა. შეხვედრას, მოგეხსენებათ, არანაირი რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

**— თავად პუტინზე რას იტყვით?**

— იგი საკმაოდ ნიჭიერი პოლიტიკოსია, პატრიოტი.

**— პუტინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნისთანავე საქართველოში გაჩნდა ჭორი — იგი იგორ გიორგაძის შვილის ნათლიააო. რამდენად რეალურია ეს?**

— არ ვიცი, ვის მოანათვლინა იგორმა შვილები, მაგრამ არაფერს გამოვრიცხავ.

**— საერთოდ იცნობენ ერთმანეთს პუტინი და იგორი?**

— ეს სულაც არ არის გასაკვირი. მოგეხსენებათ, ორივე ერთ ორგანოში მსახურობდა, თანამშრომლები იყვნენ. მართალია, პუტინი გერმანისტია, ხოლო იგორი თურქული ენის სპე-



გიორგაძეების ოჯახი (1999წ.)

ციალისტი, მაგრამ ვფიქრობ, ეს არ შეუშლიდათ ხელს, ერთმანეთი გაეცნოთ.

**— იმასაც ამბობენ, მოსკოვში გამართული სამიტის დროს შესაძლოა შევარდნაძემ და პუტინმა იგორ გიორგაძის გადმოცემის შესახებაც მოილაპარაკესო...**

— ეს გამორიცხულია. გარწმუნებთ, პუტინმა რომც იცოდეს იგორის ადგილსამყოფელი, შევარდნაძეს მაინც არაფერს ეტყოდა და ვფიქრობ, არც ჩვენი პრეზიდენტი წამოჭრიდა შეხვედრის დროს იგორის საქართველოსთვის გადმოცემის საკითხს.

**— მოსკოვში ყოფნისას თუ შეხვდით თქვენს ვაჟს?**

— იგორთან შეხვედრას სულაც არ სჭირდება მოსკოვში წასვლა. მე მას საკმაოდ ხშირად ვხვდები, ოღონდ არა მოსკოვში. არც დაიჯერებთ, მაგრამ იგორს სულ ცოტა ხნის წინაც შევხვდი სამტრედიაში, 9 იანვარს დედამისს დაბადების დღე მიულოცა; როდესაც ჩემი მეუღლე ავად იყო და ქობულეთში მკურნალობდა, იქაც მოინახულა. იგორი ესწრება თითქმის ყველა იმ პიროვნების დაბადების დღეს, ვინც უყვარს და პატივს სცემს. ის რომ, ჩემი ვაჟი მართლა საქართველოშია, ამის დამადასტურებელი ფოტოებიც გვაქვს და მოწმეებიც არსებობენ, თუმცა მათი უსაფრთხოების მიზნით, ვინაობას ვერ დაგისახელებთ.

**— ბოლო ინფორმაციით, კვლავ აპირებს იგორ გიორგაძე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას?**

— ალბათ რამდენიმე დღეში მისი მხარდამჭერი საინიციატივო ჯგუფი განაცხადს წარადგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

**— ვინ წარმოადგენს თქვენს მიერ ნახსენებ საინიციატივო ჯგუფს?**

— დაახლოებით 60-კაციანი ჯგუფია. მასში 17-18 პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები არიან.

**— როგორ ფიქრობთ, მისცემს ცენტრალური საარჩევნო კომისია თქვენს ვაჟს კენჭისყრის უფლებას?**

— თუ იგი მართლა დამოუკიდებლად მოქმედებს, მაშინ პრობლემა არ შეიქმნება. თუმცა მოგეხსენებათ, ცსკ-ც შევარდნაძის მიერ არის დაკომპლექტებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მითითებებით მოქმედებენ. არ მეეჭვება, რომ ცსკ-ს უკვე საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგები აქვს მზად.

**— დავუშვათ, ცსკ-მ დართო ნება თქვენს ვაჟს, იყაროს კენჭი საპრეზიდენტო არჩევნებში, 50 ათასი ხელმოწერის შეგროვებას შეძლებთ?**

— ჩვენ რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობდეთ, ამის პრობლემა არ გვექნებოდა. ფაქტობრივად, არც ახლა გაგვიჭირდება, მაგრამ საქმე იმ შიშის ფაქტორს ეხება, რომელსაც ჩვენი მოსახლეობა განიცდის დღევანდელი რეჟიმის მიმართ. ჩვენგან დამოუკიდებლად კიდევ 5 წელი მოგვიწევს შევარდნაძის გაძლება. ჩვენ, ოპოზიციამ, ჯერ კიდევ შარშან გამოვთქვით აზრი, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დასახარჯი თანხა პენსიებისა და ხელფასების დარიგებას მოხმარებოდა, შევარდნაძეს კი, საფარმურად ნიაზოვივით გაეგრძელებინა უფლებამოსილება. თუმცა არც ის არის გამორიცხული, ცოტა ხანში ე.წ. ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც შევარდნაძის მხარდამჭერად მოიაზრებიან, გამოვიდნენ ინიციატივით, რომ სახელმწიფოში მონარქია გამოცხადდეს და მეფედ ედუარდ-გიორგი ეკურთხოს.

***როგორც „კვირის პალიტრის“ მკითხველებისთვის გახდა ცნობილი, ქალაქში უკვე გამოჩნდა გიორგაძის წინასაარჩევნო პლაკატები, რაღა თქმა უნდა, ჩვეული ოპტიმისტური განაცხადით — „მომავალი ჩვენია!“ ამასთან იგი შევარდნაძის რეჟიმის დანგრევას წინასწარმეტყველებს: „თუ შევარდნაძე ძალით დაგვხვდება, ჩვენ მას დამანგრეველ ძალას დავუპირისპირებთ...“ თუმცა რომელ ძალებზეა ლაპარაკი, №1 ტერორისტად ცნობილი ექს-უშიშროების შეფი არ აკონკრეტებს.***

***თუმცა წინასაარჩევნოდ მსგავსი დაპირებები და მუქარა ჩვენ მისგან მრავლად მოგვისმენია.***

P.S. შესაძლოა, გიორგაძის მხარდამჭერთა წინასაარჩევნო განცხადება მფრინავი ხალიჩისა და უჩინმაჩინის ქუდის ზღაპრულ მითსაც მიამსგავსო, მაგრამ ირკვევა, რომ გიორგაძე, რომელსაც ორი წელიწადია ინტერპოლი ეძებს, შედარებით მკაცრი კონტროლის ქვეშ მყოფ სასაზღვრო ქალაქ ზუგდიდშიც ყოფილა, რაც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა რუსუდან მიქენაიამ ერთიანი კომპარტიის ცკ-ის მდივნის სამეგრელოს ზონაში, რევაზ ბულიას განცხადებაზე დაყრდნობით შეგვატყობინა.

***ზურა ქაჩლიშვილი***

# „მინისტრობისას არც ინჯია ყოფილა ფრთიანი ანგელოზი“

## 9 აპრილის არჩევნები ოსტაპბენდერობა იქნება

ქართულ პოლიტიკაში ახალი გადაჯგუფებ-გადმოჯგუფების პერიოდი დადგა. საპრეზიდენტო არჩევნების წინ პარტიები (პარლამენტს შიგნით თუ გარეთ) ერთიანდებიან. ეს ფაციფუცი პარლამენტში ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნით, ხოლო პარლამენტს გარეთ მემარჯვენე ძალთა კოალიციის ჩამოყალიბებით დასრულდა. ოპოზიცია მმართველ პარტიას „ტანზე კარგად მორგებული“ საარჩევნო კანონის გახდით ემუქრება და არა მარტო ემუქრება...

პარლამენტში ინციდენტი უკვე მოხდა. „მრეწველებმა“ და ცსკ-ში უმრავლესობის წარმომადგენელმა ლამის „სიფათი“ გაულამაზეს ერთმანეთს, რომ არაფერი ვთქვათ იმ მრავალსართულიან „დითირამბებზე“, რომელიც მათ მასმედიის თანდასწრებით უძღვნეს ურთიერთს.

ოპოზიცია ღელავს... 9 აპრილს საპრეზიდენტო არჩევნებია. წინასაარჩევნო ვნებათაღელვისა და ბაქანალიის თანამდევი კომპრომატების ომი სტარტს იღებს. პრეზიდენტის ნათესავებს უკვე გაჰკრეს კბილი... ჯერი თავად პრეზიდენტზეა და ბათუმიც ალაპარაკდა. ასლან აბაშიძე შევარდნაძის მაკომპრომეტირებელი ჩანაწერის გამოქვეყნებით იმუქრება (თუ არ გამოაქვეყნებს, გენპროკურატურას მაინც უნდა წარუდგინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის აჭარის ლიდერის მიმართ საქმე აღიძვრება). ასლან აბაშიძეს საპრეზიდენტო ამბიცია ნამდვილად აქვს, მაგრამ არც ისე მოიქცევა, რომ „წაგებულ თამაშში“ ჩაებას და თავი შეირცხვინოს.

შევარდნაძეს და მოქალაქეებს ლეიბორისტთა ლიდერი სტრასბურგიდან ცივილიზებული მეთოდებით უტევს და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ორპუნქტიანი აპელაცია შეაქვს (არადემოკრატიული საარჩევნო კანონისა და გაყალბებული არჩევნების გამო). როგორც ჩანს, ევროპაში საქართველოს ბედი აღელვებთ... ევროსაბჭოს პრეზიდენტმა **შალვა ნათელაშვილი** სტრასბურგში მიიწვია. „კვირის პალიტრა“ სტრასბურგმოვლილ „მშრომელთა“ ლიდერს ესაუბრა.

— 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთავრობებს ვაცნობეთ, რაც საქართველოში მოხდა. ბუნებრივია, ამას მოჰყვა რეაქცია. ერთ-ერთი პირველთაგანი გამოგვეხმაურა ევროსაბჭოს პრეზიდენტი, მისი აღმატებულება ლორდი რასელ ჯონსტონი. რადგან სტრასბურგში მივდიოდით, არჩევნების გაყალბების საქმეც თან წავიღეთ. ჩვენი პირველადი განცხადება სტრასბურგის სასამართლომ 3 იანვარს მიიღო და სააპელაციო მდგომარეობაში გადაიყვანა. ეს საკმაოდ ძნელი მისაღწევია, 1.000 საქმიდან 2-3 თუ გადადის სააპელაციო მდგომარეობაში.

არ შეიძლება ევროპასთან ურთიერთობის მონოპოლია ერთმა — მმართველმა ძალამ აიღოს და თანაც ეს მონოპოლია ისევ ევროპის წინააღმდეგ გამოიყენოს. რაც აქ ხდება — კრედიტების ფლანგვა და ჭამა-ყლაპვა, კორუფცია, არჩევნების გაყალბება — ევროპული ფასადით კეთდება. ასეთ რამეს ევროპელები თავად არ ჰპატიობენ ერთმანეთს და ამათ აპატიებენ?! აგერ, ვერ ხედავთ, კოლს დასაჭერად აქვს საქმე. როგორც ჩანს, ამ კრიზისიდან დასავლეთის დაუხმარებლად ვერ გამოვალთ, მაგრამ თუ დასავლეთთან იმ დამნაშავე ძალას მივუშვებთ, რომელიც ხელისუფლებაშია, ის თავისი დანაშაულებრივი ქმედებების განსახორციელებლად გამოიყენებს მათ ევროპულ ღირებულებებს. ამიტომ ესენი უნდა გამოვდევნოთ იქიდან.

***— ლორდ რასელ ჯონსტონთან, როგორც ამბობთ, კონფიდენციალური საუბარი გქონდათ, მაგრამ... მაინც რაზე ისაუბრეთ?***

— ჩვენ შევთანხმდით, რომ ეს სხდომა დახურული იქნებოდა. ამიტომ ვერ დავარღვევ დიპლომატიურ ეტიკეტს, მაგრამ ზოგიერთი ნიუანსი შემიძლია გაგიმხილოთ. ჩვენ ბ-ნ პრეზიდენტს ვთხოვეთ, მონაწილეობა მიეღო ევროსაბჭოს სასამართლო პროცესში როგორც მესამე მხარეს. ვთხოვეთ, რომ გადაეხედა ჩვენი საარჩევნო კანონისთვის და გასცნობოდა იმ ფაქტებს, რომელიც სასამართლოს წარვუდგინეთ. თუ ვტყუით, მათი წარმომადგენელი იტყვის, რომ ჩვენ ავანტიურისტები ვყოფილვართ, თუ არა და, მხარს დაგვიჭერს.

***— ევროსაბჭოს პრეზიდენტმა თუ მიიღო თქვენი თხოვნა?***

— ყოველ შემთხვევაში, დაგვპირდა, რომ ყურადღებით განიხილავს ამ საქმეს და ეს თანხმობას ნიშნავს.

***— სტრასბურგში ყოფნისას ალბათ ფრიდონ ინჯიასაც შეხვდით. როგორი პოზიცია აქვს კავშირგაბმულობის ექს-შეფს. შეიტყო, რომ ინტერპოლი ეძებს?***

— ინჯია ევროპაშია (მაგრამ არ მიკითხავს რომელ ქვეყანაში) და არავითარი ინტერპოლი მას არ ეძებს! ბ-ნ ფრიდონს ვენაში შევხვდი. იგი თავს პოლიტიკურ დევნილად მიიჩნევს. ის პოლიტიკური შეხედულებების გამო გახდა დევნილი და არა იმიტომ, რომ მინისტრობის დროს რაღაც დააშავა. თუ ის მინისტრობისას ჩადენილი ცოდვების გამო დაისჯებოდა, ხელისუფლებას 8-10 წელი ჰქონდა ამისთვის, მაგრამ დაისაჯა იმიტომ, რომ ოპოზიციურ პარტიაში შევიდა. ეს არის უბედურება, თორემ პასუხი ყველამ უნდა ვაგოთ. არც ინჯია ყოფილა ფრთიანი ანგელოზი მინისტრობისას. ხალხი აშავებს და ფუჭდება შევარდნაძის გუნდში. ის კაცი როცა შევარდნაძის გუნდში იყო და კანცელარიიდან აწერდნენ ფულს — დღეს 15 ათასი მომიტანე, ხვალ 20 ათასიო, მაშინ უნდა ეფიქრათ ამაზე. ჩემთან ინჯია ენთუზიაზმით მოვიდა. მან შესანიშნავად ჩაატარა არჩევნები მარტვილის რაიონში, ისე რომ, პარტია არ შეუწუხებია, მაგრამ რად გინდა... გააჩინეს ხანძარი, დაიწვა ოქმები, სინდისიც და ზნეობაც.

***— ჩვენთან საუბრისას აღნიშნავდით, რომ ინჯიასთვის პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვდით ევროპის სახელმწიფოებს.***

— პირველადი თხოვნა უკვე გავაკეთეთ. ახლა საფუძვლიან არგუმენტაციას ვაწვდით ჰოლანდიის, ავტრიის, საფრანგეთის, გერმანიისა და ფინეთის მთავრობებს. ჩვენმა კანონდამცავებმა ისეთი სისულელე ჩაიდინეს, რომ კაცს გაეცინება. როცა დაინახეს, ევროპაში მივდიოდით და იქ საქმე მთლად კარგად ვერ წაუვიდოდათ, აფორიაქდნენ. 18 იანვარს სტრასბურგის სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა ის უკანონობანი, რომელიც ჩაიდინეს ინჯიას მიმართ არჩევნების დროს და მეორე დღეს მის დასაპატიმრებლად სანქცია გაიცა. ამით კიდევ უფრო გააძლიერეს ის არგუმენტი, რომ იგი პოლიტიკური დევნილია.

***— კულუარული ინფორმაციით, ინჯია ევროპაში კარგად მოწყობილა. ამბობენ, ვილა და მაღაზია შეიძინაო.***

— (იცინის) ოჰ! ოჰ!.. ინჯია ნიჭიერი ბიზნესმენია. თავისი ნიჭით მას უდაბნოში ბაღნარის გაშენება შეუძლია, მაგრამ ისე დააწყვიტეს ნერვები, დამერწმუნეთ, ამ წუთში ბიზნესის წამოწყების თავი ნამდვილად არა აქვს. ის თავისი საქმეებით არის დაკავებული, რომ იქნებ ვინმემ პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს. ამხელა კაცი სად დაიმალება და რამდენ ხანს? კაცზე სანქციაა გაცემული, არ აქვს პოლიტიკური თავშესაფარი და... რომელი ჭკუათმყოფელი შეიძენს საკუთრებას ასეთ პირობებში? იმიტომ იყიდის, რომ მერე ყადაღა დაადებინოს?! როგორ შეიძენს საკუთრებას კაცი, რომელსაც არ აქვს პასპორტი. ინჯიას რაც აქვს, ის ვერ შეუნარჩუნებია. აგერ, „ჯეოსელი“ წაართვეს და სხვა კომპანიებსაცართმევენ.



— ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში შევარდნაძეს ხელშეუხებლობას ვპირდებით...

მე ინჯიას ადვოკატი არ ვარ. სამწუხაროდ, შევარდნაძესთან ნამუშევარი თითქმის ყველა ადამიანია გასვრილი, მაგრამ ამ სიტუაციაში ინჯია მართალია. სხვა მინისტრებს შერჩათ იმიტომ, რომ ისინი ლეიბორისტულ პარტიაში არ შესულან. აბა შემოსულიყო სილაგაძე ჩვენთან, სულ ძმრად ადენდნენ პრივატიზაციის საქმეებს, აბა ზუბიტაშვილი შემოსულიყო, იმ ენერგეტიკის საქმეებს რომ ამოიღებდნენ, იქნებ ნიურნბერგის პროცესიც გაემართათ, აბა იაკობიძე შემოსულიყო, მთელ კრედიტებს თავზე დაათხლეშდნენ! იმის მიხედვით არჩევენ, ჩემიანია თუ არაო. თუ ოპოზიციაშია ვინმე, არარსებული უნდა დააბრალონ, თუ მათია, თუნდაც შეჭამოს ქვეყანა... ეს არის შევარდნაძის და ქვეყნის უბედურება უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში.

***— ევროპაში ერთ დროს თქვენს ფინანსურ „კრიშად“ შერაცხული ტარიელ ონიანი ხომ არ მოგინახულებიათ?***

— ტარიელ ონიანი ლამის ჩვენი პატრონი გახადეს. არადა, მას ერთხელ შევხვდი პარიზში. სასტუმროში მოვიდა და გაგვეცნო. ერთი შეხედვით პროფესორი გეგონებოდათ. ჩემზე შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. ჩემი შვილის მოსახელე ბიჭი ჰყოლია — ბექა და მასთან საჩუქრად ილია ჭავჭავაძის ოთხტომეული გავატანე. ამჟამად არ მინახავს, რადგან ისევ პარიზში იმყოფება. სხვათა შორის, ჩვენი მთავრობის მინისტრები რომ ჩადიან პარიზში, სწორედ ტარიელ ონიანი მასპინძლობს მათ. ის არის დამხვდური, გამცილებელი, რესტორანში წამყვანი და სასტუმროში დამბინავებელიც.

***— 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებში თუ აპირებთ მონაწილეობას?***

— ეს პარტიის პოლიტალმასკომის გადასაწყვეტია. ჩემი მოსაზრებით, საპრეზიდენტო არჩევნები შემოდგომისთვის უნდა გადაიდოს, როდესაც პრეზიდენტს ამოეწურება კონსტიტუციით გათვალისწინებული საპრეზიდენტო ვადა (5 წელი). შემოდგომამდე სტრასბურგიც მიიღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო კანონზე. ამასთანავე, უნდა ჩატარდეს მოსახლეობის აღწერა და პასპორტიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში 9 აპრილის არჩევნები იქნება ბლეფი, ოსტაპბენდერობა. რა აზრი ექნება უაზროდ და უმიზნოდ არჩევნებში მონაწილეობას?

***— ამას წინათ, ირაკლი წერეთელმა აღნიშნა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში თქვენი მონაწილეობით გარკვეულწილად, არჩევნების დემოკრატიულობის ფონი შეიქმნებოდა და ეს შევარდნაძის წისქვილზე დაასხამდა წყალს. იქნებ იმიტომ იკავებთ თავს?***

— საპრეზიდენტო არჩევნებში ყოველთვის იქნებიან სხვადასხვა დონის ადამიანები, მაგრამ 20 ბისმარკიც რომ მოუყვანო, მათაც არაფერი ეშველებათ, მაინც შევარდნაძე გაიმარჯვებს, იმიტომ, რომ ხელისუფლებას ფაშისტური საარჩევნო კანონი აქვს. ყველაფერი გასწორდეს კანონში ცივილიზებულად და მერე მივიღებ მონაწილეობას არჩევნებში. თუ ასეთ პირობებში ჩატარდება არჩევნები, შევარდნაძეს 100%-ით წაგებული აქვს. ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში მას დავპირდებით ხელშეუხებლობას (მაგრამ მის მაფიას ამის გარანტიას ვერ მივცემთ).

**P.S.** არავინ იცის, კიდევ რამდენი კონკურენტი გამოუჩნდება შევარდნაძეს საპრეზიდენტო არჩევნებში, გარდა ზოგიერთი უკვე ცნობილი არაორდინარული პოლიტიკოსისა.

ნათელაშვილი, როგორც ხედავთ, კანონის შეცვლას ელის, ირაკლი წერეთელს თურმე ფინანსური სიდუხჭირე არ აძლევს გასაქანს (აცხადებს, — არჩევნების მოგებას 0,5 მლნ დოლარი სჭირდება, რომელიც მე არ მაქვსო)... აბაშიძის სვლების პროგნოზირება ძნელია. ბოლო დროს კულუარებში კიდევ ერთი სავარაუდო პრეზიდენტობის კანდიდატის ვინაობა წამოტივტივდა. ამბობენ, მრეწველებიდან წამოსულ და ჟვანიასთან დამეგობრებულ ბესო ჯუღელსაც საპრეზიდენტო ამბიციები აწუხებსო.

ჭორი ჭორად დარჩეს და, ამჟამად ცსკ-ში, შევარდნაძის გარდა, კიდევ 4 კანდიდატია რეგისტრირებული: ვაჟა ჟღენტი, როინ ლიპარტელიანი, ზურაბ გაგნიძე და ავთანდილ ჯოგლიძე. 19 თებერვალს პრეზიდენტობის კანდიდატების წარდგენის ვადა იწურება და არ არის გამორიცხული, რომ გაუთვალისწინებელი მოვლენები სწორედ საიმდღეოდ მოხდეს.

***იზო რიკაძე***

# „ნარკომანებს რომ შევეკითხოთ, გვეტყვიან, რა ციხე, რის ციხე, მოგვეცით წამალი და გვაკაიფეთო“

ნარკომანია რომ დამღუპველი სენი და მსოფლიო გლობალური პრობლემაა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. არც იმის თაობაზე კამათობს ვინმე, რომ ნარკომანი ავადმყოფია და მას სათანადო სტაციონარული მკურნალობა ესაჭიროება. ამ რამდენიმე ხნის წინ კი დავის და ფართო მსჯელობის საგნად იქცად ნარკომანთა პასუხისგებაში მიცემა-არმიცემის მიზანშეწონილობის საკითხი. გამოითქვა მოსაზრება, რომ მათ მიმართ გატარდეს არა სისხლის სამართლის კანონონით განსაზღვრული სანქციები, არამედ მხოლოდ ადმინისტრაციული და სამედიცინო ხასიათის ღონისძიებები. ამას ცხადია შესაბამისი გამოხმაურება მოჰყვა როგორც სამართალდამცავთა, ისე ჯანდაცვის მესვეურთა მხრიდან. ძალოვანთა სტრუქტურები ნარკომანთა ლეგალიზაციას მოიაზრებენ, როგორც ქვეყნისთვის უკიდურესად საშიშ და სარისკო ექსპერიმენტს. ჯანდაცვის სისტემა კი საკითხს ერთგვარი ლიბერალური თვალთახედვით განიხილავს და მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ნარკომანის გამოსასწორებელ ფაქტორად ვერ გამოდგება.

**ლადო ჭიპაშვილი** — პარლამენტის ჯანდაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე:

— ნარკომანთა ლეგალიზაციის შესახებ იდეა დიდი ხანია მუსირებს საზოგადოების სხვადასხვა ფენაში. მათ თავისი არგუმენტაცია აქვთ ამასთან დაკავშირებით და მიიჩნევენ, რომ ამ მიმართებით რეპრესიული მეთოდების გამოყენებას არანაირი აზრი არა აქვს, ვინაიდან მრავალ ქვეყანაში კანონის გამკაცრებას ნარკომანთა რიცხვის შემცირება და საერთოდ ნარკოსიტუაციის გაუმჯობესება არ მოჰყოლია. აქ იმდენად ნარკომანის ციხეში ჩასმა-არჩასმაზე კი არა, არამედ საუბარია იმაზე, ხომ არ დავუკანონოთ ნარკომანს ნარკოტიკების გარკვეული დოზით მიღების შესაძლებლობა ანუ კაცი, რომელიც დაიჭირეს, დააჯარიმეს, მრავალგზის უმკურნალეს კიდეც, მაგრამ არადა არ განიკურნა, ციხეში დალპობის მაგივრად ავიდეს აღრიცხვაზე შესაბამის სტაციონარში, სადაც დღეში ერთხელ მივა და მიიღებს წამლის ასე ვთქვათ კუთვნილ დოზას. თუმცა აქაც დიდი სიფრთხილეა საჭირო ფილტრაციის და შერჩევის თვალსაზრისით, რათა სტაციონარში აღრიცხვიანობა არ მოხდეს ქაოსურად და გაუკონტროლებლად.

**— ძალოვანები ცხადია ამის სასტიკი წინააღმდეგები იქნებიან.**

— რა თქმა უნდა, მათ ხელთ არ აძლევთ ასეთი რამ, რადგან ფაქტობრივად ნარკომანს ვეღარ დაიჭერენ და ამით ლუკმაპურს დაკარგავენ. თუმცა ჯერ ჩვენც არა ვართ დარწმუნებულნი, ამგვარი ვარიანტის მართებულობაში. ჯერჯერობით, საკითხის შესწავლის პროცესში ვიმყოფებით და ბევრს ვმუშაობთ.

**— თავად ნარკომანებს არ ჰკითხეთ, რა აზრისანი არიან?**

— რას ამბობთ, ნარკომანების კითხვა შეიძლება? მათ რომ შევეკითხოთ, გვეტყვიან, რა ციხე, რის ციხე, მოგვეცით წამალი და გვაკაიფეთო.

**— როგორ გგონიათ, თქვენ და ძალოვანები ამ საკითხთან დაკავშირებით მიაღწევთ კონსენსუსს?**

— ვფიქრობ, ეს ძალიან ძნელი იქნება, იმაზე მეტად ძნელი, ვიდრე წარმომედგინა, ვინაიდან ამ საკითხზე რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები არსებობს და მათი შეჯერება ცხადია გაჭირდება.

**მთავრობა თავისთვის ჭრის და კერავს. ხანდახან ტელევიზორის ვუყურებ და გამიხარდება თანამდებობის პირს და პოლიციელს ნარკომანობაზე რომ დაიჭერენ ხოლმე. მაგათაც გაიგონ ერთი, როგორია, თუ რა თქმა უნდა ეს ყველაფერი ლამაზად დადგმული სპექტაკლი არ არის.**

ძალოვანი სტრუქტურების დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით წმინდა სამართლბრივი ხასიათისაა. მათი აზრით, ნარკოტიკების თავისუფალი მოხმარების დაკანონება კიდევ უფრო დაძაბავს ნარკოსიტუაციას საქართველოში. მძიმე კატეგორიის დანაშაულთა სოლიდური ნაწილი ისედაც სწორედ ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთა მიერაა ჩადენილი. აქედან გამომდინარე, კანონდამცველნი ვარაუდობენ, რომ შესაბამისი სისხლისსამართლებრივი სანქციების გაუქმება (სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ) ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების გაუარესებას გამოიწვევს

**კახა ფხაკაძე** — შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ინსპექტორი:

— ნარკომანი ნებისმიერ დანაშაულზე მიდის, ოღონდაც ნარკოტიკი მოიპოვოს. გარდა ამისა, ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პიროვნება საშიში ხდება გარშემომყოფთათვის.

**— არადა, ჯანდაცვის მესვეურნი ნარკომანს როგორც ავადმყოფს ისე განიხილავენ.**

— დიახ, ნარკომანი სწორედაც ავადმყოფია, მაგრამ მან ეს ავადმყოფობა ნარკოტიკების უკანონო გზით მიღების შედეგად შეიძინა. ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში მითითებულია, რომ ნებისმიერ დამნაშავეს (რა სახის დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი), თუკი ის ავადმყოფია, უნდა ვუმკურნალოთ.

**— თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, რამდენად მართებულად მიგაჩნიათ, რომ ავადმყოფის მიმართ გატარდეს სისხლის სამართლის ღონისძიებები?**

— მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მიღება დასჯადია და ამ კუთხით საქართველო გამონაკლისს რატომ უნდა წარმოადგენდეს?

**დათო კარიაული** — შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს განყოფილების უფროსი:

— სახეზე გვაქვს რუსეთისა და ჰოლანდიის მაგალითები. სადაც ექსპერიმენტის სახით გააუქმეს სამართლებრივი ბარიერები ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით მოხმარებისთვის. ამან უმძიმესი ნეგატიური შედეგები გამოიწვია. ექსპერიმენტმა ფაქტობრივად არ გაამართლა. ამდენად, უკვე რუსეთშიც აღდგენილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ჰოლანდიაშიც კანონმდებლობა ამ მხრივ მნიშვნელოვნადაა გამკაცრებული.



„ნარკომანიის ლეგალიზებით ძალოვნები ფაქტობრივად ლუკმაპურს კარგავენ“

**— თავად სამართალდამცავთა მიერ ნარკოტიკების მოხმარების ფაქტებზე რას იტყვით?**

— ამის აღიარების ჩვენ არ გვრცხვენია. ამ ბოლო დროს ბევრიც ვამხილეთ. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევებისგან დაზღვეულნი არ ვართ, მაგრამ მათ მიმართ არავითარი შეცოდების და თავზე ხელისგადასმის ფაქტებს ადგილი არა აქვს. პირიქით, თუ გამოვლინდა, რომ რომელიმე თანამშრომელი რაღაცაშია ეჭვმიტანილი, იგი კანონის მთელი სიმკაცრით ისჯება.

**— ამბობენ, რომ ე.წ. „ამოღებული“ ნარკოტიკები, რომლებიც შემდგომ ვითომ ნადგურდება, სინამდვილეში იმავე სამართალდამცავთა მიერ კვლავ სარეალიზაციო ქსელში ხვდება.**

— ეს არის პრაქტიკულად გამორიცხული. ამოღებული და დალუქული ნარკოტიკების კვლავ ბრუნვაში მოქცევის არც ერთი პროცენტი შანსი არ არსებობს. ყველაფრის ეჭვქვეშ დაყენება არ შეიძლება. ასე რომ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ასეთი მოსაზრებები და ვარაუდები ყველამ თავისთვის შეინახოს. ვერავის ეჭვებზე ჩვენს მუშაობას ვერ ავაწყობთ.

**კახა ფხაკაძე:** ნარკოტიკები ილუქება მოწმეების, დაკავებულის და ოპერატიული თანამშრომლების თანდასწრებით. ეს დალუქული ნარკოტიკები ინახება ნივთმტკიცებათა სპეციალურ საცავში. აქედან ასევე დალუქული სახით გადადის სასამართლოში. სასამართლოს დადგენილების შემდეგ კი ხდება მისი განადგურება, დაწვა, რომელსაც ესწრება საგანგებო კომისია შსს-ს, ჯანდაცვის და სასამართლოს წარმომადგენელთა შემადგენლობით. თავად განსაჯეთ, რომელ ეტაპზე შეიძლება გაიჟონოს ნარკოტიკები, ეს ძალიან ელემენტარული საკითხია და მაპატიეთ, მაგრამ ასეთი მოსაზრება კანონის არცოდნაზე მიუთითებს.

**— ბატონო კახა, ჩვენს ქვეყანაში იმდენი უკანონობა ხდება, რომ ჩემი აზრით ეს კანონის არცოდნაზე კი არა, არამედ საყოველთაო უნდობლობის ფაქტორზე მიუთითებს.**

— იცით რა, გასაგებია, მაგრამ ამ პროცესში რომ მონაწილეობდეს მხოლოდ ერთი უწყება, კიდევ შეიძლება რაღაც ეჭვი გაჩნდეს, მაგრამ როდესაც აქ ფაქტობრივად მთელი რგოლია ჩართული, ორი აზრი აღარ არსებობს. თუმცა თეორიულად, ცხადია შესაძლებელია, მაგრამ... ადამიანი, რომელიც ამას ჩაიდენს, შეურაცხადი უნდა იყოს. უბრალოდ, რეალიზაციასაც ვერ მოასწრებს იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს თვითონ ის იყვირებს, ვისგანაც ნარკოტიკი იქნა ამოღებული.

***დიახ, ალბათ იყვირებს, თუკი გაიგებს. ღმერთმა ქნას, რომ საქართველოში კანონის უზენაესობის პრინციპები იმდენად დაცული იყოს, რომ ეჭვის საფუძველი არაფრის მიმართ აღარ არსებობდეს, მაგრამ...***

**რა თქმა უნდა, ძალოვნებს ხელთ არ აძლევთ ასეთი რამ, რადგან ფაქტობრივად ნარკომანს ველარ დაიჭერენ და ამით ლუკმაპურს დაკარგავენ.**

***ამ საკითხებზე „კვირის პალიტრა“ გაესაუბრა სუბიექტთა შორის სუბიექტს — ნარკომანს, რომელიც ინტერვიუზე თხოვნისთანავე დაგვთანხმდა. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ანონიმურობა ვამჯობინეთ.***

***თბილისელი, №... უბნელი, პროფესიით მხატვარი. საუბარი — ნერვიული, ცინიკური.***

— შენ გინდა, პესიმისტი მიწოდე, გინდა რეალისტი. არ მჯერა მაგ რაღაც სისულელეების: „ნათელი ცხოვრების“, „საიქიო ნეტარების“, და ა.შ. ჩემი სააქაოც და საიქიოც ის არის, რასაც საკუთარი თვალით ვხედავ. მე დღევანდელი დღე მწამს, იმიტომ, რომ ხვალე ჩემთვის არარეალურია.

**— ნარკოტიკებით „სიამოვნება“ საკმაოდ ძვირი ჯდება. ამის გამო დანაშაული არ ჩაგიდენია?**

— თითქმის არა!

**— ე.ი. მაინც ჩაგიდენია.**

— ვცდილობ ჩემი „კაიფისთვის“ სხვებს ზიანი არ მივაყენო. ნარკოტიკების მოპოვების ჩემებური გზები გამაჩნია და არც თუ იმაზე უპატიოსნო, ვიდრე ჩვენს ხელისუფალთ. მოკლედ, ყველას თავისი ბიზნესი აქვს.

**— პოლიციასთან პრობლემებზე რას იტყვი?**

— პოლიციასთან ჩემი ანგარიშები მაქვს.

**— რას გულისხმობ?**

— როგორ გითხრა, „შავებსაც“, „თეთრებსაც“ და „ჭრელებსაც“ თავისი „ზაკონები“ აქვთ. შენ ამას ვერ გაიგებ.

**— იქნებ ამიხსნა?**

— რა ახსნა უნდა, არ გაგიგია, „ფული ჯოჯოხეთს ანათებსო“.

**— ე.ი. „თავისუფალი ცხოვრებისთვის“ ფულს იხდი?**

— ასე გამოდის.

**— როგორ გგონია, ნარკომანია ავადმყოფობაა თუ დანაშაული?**

— ნარკომანს გინდა ავადმყოფი უწოდე, გინდა დამნაშავე და გინდა ქვეყნის მტერი. ამით ვისთვის რა იცვლება?

**— იცვლება ისევ ნარკომანისთვის. დამნაშავეს ციხეში ჩასვამენ, ავადმყოფს კი უმკურნალებენ, განსხვავება არ არის?**

— განსხვავებას რაში ხედავ? ჩემს ძაღლს ახლა „ბიმის“ მაგივრად ლეონარდო რომ დავარქვა, როგორ ფიქრობ, „მონა ლიზას“ დახატავს? ასეა, სახელების შეცვლით საგნებს და მოვლენებს მნიშვნელობები და ფუნქციები არ ეცვლებათ. ნარკომანიც უბრალოდ ნარკომანია და მეტი არაფერი.

**— რას იტყვი, ნარკომანებს ასე ვთქვათ, ნარკომანობა რომ დაუკანონონ ანუ სამართალდამცავებმა პასუხი აღარ მოსთხოვონ?**

— მე პასუხს არც ახლა მთხოვენ!

**— სხვებს?**

— რა ვიცი, მთავრობა თავისთვის ჭრის და კერავს. ხანდახან ტელევიზორს ვუყურებ და გამიხარდება თანამდებობის პირს და პოლიციელს ნარკომანობაზე რომ დაიჭერენ ხოლმე. მაგათაც გაიგონ ერთი, როგორია, თუ რა თქმა უნდა ეს ყველაფერი ლამაზად დადგმული სპექტაკლი არ არის.

***დიახ, ნარკომანისთვის სულ ერთია რა იქნება, ან როგორ იქნება. ჯანდაცვა ლიბერალური კანონების მომხრეა, სამართალდამცავები პირიქით — რეპრესიულ მეთოდებს ანიჭებენ უპირატესობას. არადა საკითხს ორი აუცილებელი ასპექტი აქვს — იურიდიული და სამედიცინო და მხოლოდ ერთობლიობაში განიხილება. ამდენად, ტიტანური შრომა დასჭირდებათ ჩვენს კანონმდებლებს, რათა ისეთი ვარიანტი შეიმუშაონ, რითაც არც მწვადი დაიწვება და არც შამფური.***

***ხათუნა ყვირალაშვილი***

## რას გვეტყვი, მამაო?

*ვაგრძელებთ წინა ნომერში შემოთავაზებულ რუბრიკას და ვპასუხობთ კითხვებს, რომელზე პასუხებიც განურჩევლად ყველას დააინტერესებს.*

**— არის თუ არა ნარკომანია მიუტევებელი ცოდვა?**

— ნარკომანობა მიუტევებელი ცოდვა არ არის... ნარკომანს ყოველთვის შეუძლია მოინანიოს და ჩადგეს ღვთის სამსახურში (შეგახსენებთ, მიუტევებელ ცოდვად ითვლება თვითმკვლელობა. სხვა ცოდვილს უფალი აძლევს თავისუფალ ნებას, მოინანიოს ცოდვა).

**— შეუძლია თუ არა ქალს იყოს მეჯვარე ქორწინების საიდუმლოს შესრულების დროს? ამბობენ, ქალს არა აქვს გვირგვინის ჭერის უფლება.**

— შეუძლია იყოს მეჯვარე ქორწინების საიდუმლოს შესრულების დროს, იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც მას დედათა წესი აქვს.

**— ცოდვას ხომ არ ჩავდივართ მღვდლის თვითნებური „ამორჩევით“?**

— მღვდელმსახურთ — ყველას პატივი მიაგე, ხოლო მათგან კეთილმსახურთ ესწრაფე. მღვდელმსახურს მშობელზე მეტად უნდა მივაგებდეთ პატივს. „იცით თუ არა თქვენ — კითხულობს წმ. იოანე ოქროპირი — ვინ არის მღვდელმსახური?“ და პასუხობს: „უფლის ანგელოზი. ამდენად მოძღვარს მეტ პატივს მიაგებდეთ, ვიდრე მშობლებს, რადგან ისინი — ქრისტეს მსახურნი არიან დედამიწაზე და ვინც პატივს სცემს მათ, პატივს სცემს ქრისტეს“. დააფასე ბრძენი, კეთილი და გამოცდილი მოძღვრები და ახლო იყავ მათთან. ცოდვების მიტევება ყველა მოძღვარს შეუძლია, ხოლო სულიერ ცხოვრებაში დამოძღვრა — ერთს მრავალთაგან.

**— რა ასაკიდან უნდა დავიწყოთ ბავშვის სულიერი განვითარება?**

— კარგი იქნება, თუ მთლად ძუძუთა ასაკის ყრმას მივიყვანთ ხოლმე ხატებთან. სულიერი თვალსაზრისით სულ პატარა ასაკს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის შემდგომი განვითარებისათვის. შემდგომში უკვე დიდ მნიშვნელობას იძენს ხშირი ზიარება, ბავშვის ტაძარში ტარება, მღვდელმსახურთაგან კურთხევა, წმიდა წყლის პკურება, ლოცვა ბავშვისათვის, სასულიერო ხასიათის საუბრები მასთან და მისი თანდასწრებით.

**— რამდენჯერ უნდა იკურთხოს ხატები და როდის?**

— ხატები მღვდლისაგან იკურთხება ერთხელ: მათი შექმნისა თუ ეკლესიის გარეთ შეძენის შემდეგ. რესტავრაციის მერე (თუ ხატის იერსახე დაკარგული იყო) მღვდელმსახური კვლავ აკურთხებს ხატს.

**— თუ ზრდასრული ადამიანი ასაკოვნების მიუხედავად, მოუნათლავია, უნდა მოინათლოს თუ არა? თუ არ მოინათლა, რა მოხდება?**

— წმიდა წერილში ნათქვამია: „... უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოანე. 3, 3-5), ნათლისღება — ეს არის საიდუმლო, როდესაც ადამიანი კვდება ცოდვიანი ხორციელი ცხოვრებისათვის და იბადება მარადიული სულიერი ცხოვრებისათვის. ასე რომ, თუ ადამიანს სწამს ღმერთი და სიკვდილის შემდგომი მარადიული სიცოცხლე, მისთვის ნათლობა აუცილებელია; ხოლო მოუნათლავთ ელის მარადიული სატანჯველი.

**— როგორ სჯობს: ჩვენთვის მნიშვნელოვანი შეკითხვით მივმართოთ ერთ საეკლესიო პირს თუ მრავალს?**

— არასოდეს არ მისცეთ ერთი და იგივე კითხვა სხვადასხვა მოძღვარს და არ განუმეოროთ კითხვა ერთსა და იმავე მოძღვარს, რადგან სულ პირველი პასუხი უფლისგან არის, ხოლო მეორე — ადამიანის განსჯის შედეგია... ყოველი შემკითხველი საკუთარ თავში სიმდაბლით მორჩილების ნიშანს ატარებს და ამით მიედარება ქრისტეს.

**— შეიძლება თუ არა ზიარებისწინა ლოცვების ბოლომდე ჩაკითხვა წირვის პროცესში, თუ სჯობს ზიარების შემდეგ წავიკითხოთ ის, რისი წაკითხვაც ვერ მოვასწარით მღვდელმსახურების განმავლობაში?**

— ზიარებისწინა ლოცვების წაკითხვა წირვის დროს — მავნე ჩვევაა. ეს ლოცვები წაკითხული უნდა იყოს ლიტურგიის დაწყებამდე (წინა ღამით ან დილით).

**— როგორ ვილოცოთ მასზე, ვინც არ ვიცით, ცოცხალია თუ არა?**

— „თქვენ არ შეცდებით, თუ ილოცებთ მასზე როგორც ცოცხალზე, რადგან უფალს ყველანი ცოცხლები ჰყავანან“. (ოპტელი ბერი ნექტარიუსი).

**— შეიძლება თუ არა პატარ-პატარა ცოდვების ჩაწერა, რათა მოძღვართან აღსარება გაგვიადვილდეს?**

— უსათუოდ უნდა ჩაიწეროთ თითოეული, თუნდაც სულ უმცირესი ცოდვაც, რომელიც კი გაგახსენდებათ; შემდგომ მოინანიებთ აღსარებაზე.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 28*

# თურქეთი აჭარაზე პრეტენზიას აცხადებს?..

## ხელისუფლება აბაშიძის ბათუმში დაჭერას ვერასდიდებით ვერ გაბედავს...

არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით აჭარამ გაააქტიურა თავისი პრეტენზიები ცენტრის მიმართ. „აღორძინებამ“ პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილებების 48-მუხლიანი პროექტი წარუდგინა — დაწყებული აჭარის სტატუსიდან (რომელიც რატომღაც ექვსი წლის დაგვიანებით გაახსენდათ) დამთავრებული საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებით. ინტერფრაქციულმა ჯგუფმა სამუშაო შეხვედრები კრახით დაამთავრა. მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის „ჩინური კედელი“ აღიმართა და მათი ურთიერთობა ჩიხში მოექცა.

ბოლოს და ბოლოს, რა უნდა აჭარას? „კვირის პალიტრა“ ფრაქცია „აღორძინების“ ერთ-ერთ ლიდერს **ვალერი გელბახიანს** ესაუბრა. რესპონდენტმა სკანდალური განცხადება გააკეთა — პრაქტიკულად, „აღორძინება“ პოლიტიკური თამაშის წესებს ცვლის.

— *ბატონო ვალერი, რატომ გაახსენდა აჭარის ხელმძღვანელობას ავტონომიურობის სტატუსი ახლა, არჩევნების წინ?*

— ეს მარტივია. პოლიტიკური ავტონომიების არმოხსენიება კონსტიტუციაში ეჭვის ქვეშ აყენებს თავად ამ ავტონომიების სტატუსს; მიუხედავად იმისა, რომ ავტონომია სინამდვილეში მაინც არსებობს თავისი კონსტიტუციით, არჩევნებით, ისე რომ, სულ არ ეკითხება ცენტრს არაფერს. რაც შეეხება ამ თემის ახლა გააქტიურებას, მოგახსენებთ: იწყება საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას იღებს დღევანდელი პრეზიდენტიც. ამ ხელისუფლების მმართველობის პერიოდში დაიკარგა ორი ავტონომია — ოსეთი და აფხაზეთი. ჩვენ გვიჩნდება ეჭვი, რომ ხელისუფლება აჭარის ავტონომიას ჯერ





გააუქმებს, მერე კი იქ აფხაზეთს გაიმეორებს.

— *დაგვისახელეთ რამდენიმე ფაქტი, რომელიც თქვენს ეჭვს დაადასტურებს.*

— პარლამენტმა (ძველმა) შვიდასამდე კანონი მიიღო და შვიდასივე გადასასინჯია აჭარასთან მიმართებაში. როცა ქმნიდა ამ კანონმდებლობას, რატომ არ გაითვალისწინეს ჩვენი ინტერესები?! იმიტომ, რომ არ არსებობს კონსტიტუციურად გამაგრებული მექანიზმები, თუ როგორ მონაწილეობს ავტონომია საქართველოს კანონშემოქმედებით პროცესში. ეს ყველაზე კარგი დასტურია იმისა, რაც მკითხეთ.

— *თქვენ გაავლეთ პარალელი აფხაზეთთან, ანუ იგულისხმეთ ის, რომ თითქოს ხელისუფლებას აჭარის ვიღაცისთვის გადალოცვა სურს. როგორია ამ სკანდალური განაცხადის გაგრძელება: ვინ არის ის ქვეყანა, ვისთვისაც გიმეტებენ?*

— მოქკავშირმა განაცხადა, რომ დასჯის აბაშიძეს. როგორ უნდა დასაჯოს? იმით, რომ აჭარაში ჯარს ჩააყენებს. ამას რა მოჰყვება, აღარ ვიწინასწარმეტყველებ. ერთი თოფის გასროლაღა აკლია თურქებს, რომ პრეტენზიები წამოაყენონ. არ იცის ჟვანიამ, თურქეთს როგორი პრეტენზიები აქვს აჭარის ტერიტორიაზე?! ეს რეალობა აჭარასთან მიმართებაში არსებობს. ამ რამდენიმე კვირის წინ თურქეთის მეჯლისზე რამდენიმე განაცხადიც გაკეთდა. ყველაფერი იქით მიდის, რომ ერთადერთი ავტონომიაც, რომელიც დარჩა საქართველოში, ჩამოცილებული იქნეს.

— *რატომ გადაგაქვთ აქცენტი მაინცდამაინც თურქეთზე და არა, ვთქვათ, რუსეთზე? მით უმეტეს, რომ „აღორძინება“ პრორუსულობაში არის „შემჩნეული“. აქედან გამომდინარე კი, რუსეთის პრეტენზია არცთუ ირეალური და უიმედო შეიძლება იყოს.*

— ეს რუსეთის ინტერესში არ შედის, რადგან რუსეთი ჩვენი მეზობელი არ არის. ის აფხაზეთის მეზობელია და აფხაზეთზე გასაგებია მისი პრეტენზია.

— *ამას რა მნიშვნელობა აქვს, ხომ ჰქონდა საფრანგეთს კოლონიები აფრიკაში?*

— რუსეთის მხრიდან ეს მოსალოდნელი არ არის, რადგან ის მონაწილეა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებისა, რომელიც აჭარის ავტონომიურობას ეხება. რუსეთის მიერ მისი დარღვევა მსოფლიო სკანდალი იქნება. თურქეთიდან კი საშიშროება არსებობს, მაგრამ ცენტრს ეს არ ადარდებს, რადგან ასე ფიქრობს — თუ ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება, დაე, დაიკარგოს.

— *ე.ი. თქვენ ამბობთ (პირველად, აღორძინების მხრიდან), რომ აჭარის რეგიონი ცენტრს არ ემორჩილება?*

— კი ბატონო, ასეა გარკვეულწილად, იმდენად, რამდენადაც არც ერთი ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს აჭარისა და ცენტრის გადაწყვეტილებების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას. დღეს ფაქტობრივად ხიდია ჩამტყდარი. მოწესრიგდეს საკანონმდებლო ურთიერთობები და თუ გამოსცემს აჭარა რაიმე საწინააღმდეგო განკარგულებას, ან არ დაემორჩილება ცენტრს, ვნახოთ...

— *რაც შეეხება საარჩევნო კანონში ცვლილებებს, „აღორძინებამ“ ცვლილებების პროექტი „მრეწველებთან“ ერთად შეიმუშავა. რა არის თქვენი მოთხოვნის ძირითადი ღერძი?*

— ღერძი — ეს არის საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება. ჩვენ მოვითხოვთ, რომ არჩევნების პროცესში მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ პარტიამ, რომლებმაც გადალახეს 1 პროცენტიანი ბარიერი. ამას დაემატება თითო წევრი ავტონომიებიდან. ეს არის ფუნდამენტალური მუხლი, რომელზეც შეთანხმება ვერაფრით მოხერხდა. თუ სმკ უარს იტყვის ჩვენს მოთხოვნაზე, მაშინ გამოვაცხადებთ ბოიკოტს და არ მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას.

— *ასეთი ნაბიჯი პარტიის უძლურების დემონსტრირება უფრო არ იქნება, ვიდრე ბოიკოტი?*

— დაგიკონკრეტებთ, რომ ჩვენ აქტიურ ბოიკოტს ვაპირებთ. რას ნიშნავს ეს: საერთო ამომრჩეველთა რაოდენობა საქართველოში არის 3 მლნ 200 ათასი. თუ არჩევნებზე მივიდა 1 მლნ 600 ათასზე ნაკლები, არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდება. ჩვენ ამომრჩეველს ვეტყვით, რომ ხმის მისაცემად არ წავიდეს, რადგან ჩვენ არ ვაყენებთ ჩვენს კანდიდატურას. ამის პარალელურად განვახორციელებთ უბნებზე კონტროლს, რათა არ მოხდეს გაყალბება. ჩვენი ელექტორატის გამორიცხვა კი არჩევნებს რეალურად ჩაშლის — საჭირო რაოდენობა ვერ მოგროვდება.

— *რას ნიშნავს თქვენი დაახლოება „მრეწველებთან“? იყო ეჭვი, რომ ისინი სმკ-ის თანამოაზრენი იყვნენ, ახლა კი ორივენი მმართველი პარტიის წინააღმდეგ გამოდიხართ. სკეპტიკოსები ამბობენ, რომ ფორმალურად სამსუბიექტიანი პარლამენტი სინამდვილეში ერთსუბიექტიანია, თქვენი დაპირისპირება კი — თამაში.*

— ასეთ ვერსიას პრესა ამუშავებს, მაგრამ იგი უსაფუძვლოა. რაც შეეხება „მრეწველებს“, მე მათ ვერ განვიხილავ მოქკავშირის სატელიტ პარტიად. არის გარკვეული ინტერესები, როცა მმართველი პარტია და „მრეწველები“ ერთად ვერ „მოძოვენ“. ზემოხსენებული ცვლილებების გარეშე მათ პარლამენტში ყოფნას აზრი არა აქვს — ჩვენი დაახლოების მიზეზიც ესაა. სხვათა შორის, როცა ჩვენ ერთად მუშაობა დავიწყეთ, სმკ-ს ეგონა, რომ ერთმანეთს დავეჯახებოდით, მაგრამ პირიქით მოხდა — ჩვენ ერთმანეთს გავუგეთ. მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობ, აზრთა თანხვედრა მუდმივი არ იქნება.

— *ვთქვათ, თქვენი მოთხოვნები დაამტკიცა პარლამენტმა. არ გეშინიათ, რომ ედპ-ის მსგავსად დაგემართებათ, როცა 7 პროცენტიანი ბარიერი მოითხოვა?*

— ედპ-მ მაშინ ვერ გაითვალისწინა, რომ საარჩევნო კომისიაში ხმების დათვლისას მოატყუებდნენ. ედპ-ს თავისი დასაკლავი დანა გამოაჩხრეკინეს, გარიგებაში მოატყუეს. ჩვენს შემთხვევაში ეს გამორიცხულია, რადგან არავითარ გარიგებაზე არ მივდივართ.

— *წინა პარლამენტში პროტესტის ნიშნად თქვენი ფრაქცია არ ცხადდებოდა სესიებზე. განმეორდება იგივე ახლაც?*

— მაშინ ჩვენთან ერთად სხდომები დატოვეს ლეიბორისტებმა და სოციალისტებმაც, მაგრამ შემდეგ დაბრუნდნენ. რომ არ დაბრუნებულიყვნენ, პარლამენტი ვერ იმუშავებდა, ელემენტარულად კვორუმი არ იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ჩვენი მაშინდელი პროტესტი არ აისახა რეალურად. ვფიქრობ, ეს ცოტა ნაუცბათევი ნაბიჯი იყო. ჩვენ ტრიბუნა დავკარგეთ, დავზარალდით და ეს აღარ განმეორდება. ჩვენ ვცვლით თამაშის წესებს და აუცილებლად გამოვიყენებთ ყველა ტრიბუნას.

— *თამაშის წესების შეცვლაში შედის თუ არა აბაშიძის თბილისში ჩამოსვლა?*

— ჯერჯერობით არა. ყველა დაჭერით ემუქრება და როგორ ჩამოვა.

— *დაჭერა რომ უნდოდეთ, ბათუმში ვერ მოახერხებენ?*

— ვერა. ბათუმში ცარიელი ხელებით ამას ვერასდიდებით ვერ განახორციელებენ, ძალის გამოყენებას კი ვერ გაბედავენ — ეს უკვე შეიარაღებული კონფლიქტი იქნება.

— *ამბობენ, აბაშიძეს აჭარის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადება სურსო.*

— ჩვენზე იმასაც ამბობენ, დამოუკიდებლობა სურთო. ასე რომ იყოს, მაშინ საარჩევნო კანონზე პრეტენზიები არ გვექნებოდა. რაც შეეხება თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, ვის სასარგებლოდ იყო ამაზე საუბარი?! მისი მიზანი ხომ ცენტრალური ბიუჯეტის შევსება იყო: ერთი პროცენტი აჭარის ბიუჯეტში დარჩებოდა, 99% — ცენტრალურში წავიდოდა.

— *და დღეს თქვენთან შემოსავლების 40 პროცენტი რომ რჩება, არ მოგწონთ?*

— რატომ გგონიათ, რომ აბაშიძე მხოლოდ აჭარაზე ფიქრობს და მთლიანად საქართველოზე — არა?!

*P.S. მიუხედავად მწვავე დაპირისპირებისა, ყველა პოლიტიკოსს ერთი საერთო მაინც აქვს — თავისი ლიდერის ქება. ეს კი მოსასმენადაც და წასაკითხადაც ფრიად უსიამოვნო და ხშირად მოსაბეზრებელიც გახლავთ, რადგან ჩვენ მათგან განსხვავებით ასე გვწამს — საქმემან შენმან...*

***ქეთი ბერეკაშვილი***

# სასწრაფოდ უნდა დავნიშნოთ კორუფციის მინისტრი!

## მკვდრის გაცოცხლების ნიჭი, დაუოკებელი ურჩხული ანუ ყველა დამნაშავეა?

აგერ უკვე მესამე წელი დაიწყო, რაც დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადეთ იმ ურჩხულს (პრეზიდენტმა ასე უწოდა), რასაც კორუფცია ჰქვია. ვებრძვით, მაგრამ ამ ურჩხულს იმდენი თავი აქვს, რომ ვერ ვერევით. მეტიც, ერთიც ვერ წავაცალეთ. პირიქით, ყოველდღიურად ემატება და ფიზიკურადაც იზრდება, იცით რატომ? ახლავე ყველაფერს აგიხსნით. დავიწყოთ. გისვამთ კითხვას და გთხოვთ გულწრფელ პასუხს. გაქვთ არჩევანი: კარგი სამსახური, სადაც ფული იშოვება, მაგრამ პერიოდულად მცირე კანონდარღვევაა საჭირო და მეორე, სამსახური, სადაც მხოლოდ ხელფასია (ისიც თვეობით არ არის), მაგრამ კანონდარღვევა უშედეგოა, ანუ ამით ფულს ვერ იშოვით, სანაცვლოდ პატიოსანი კაცის სახელი გქვიათ, მაგრამ შინ მისვლა არ გინდათ, რადგან მეუღლე (ან ოჯახის რომელიმე წევრი) ხელებში გიყურებთ და ფულს გთხოვთ. თქვენ კი არა გაქვთ საშუალება. თუ საკუთარ თავში ჩავიხედავთ, ჩვენგან უმრავლესობა ფულიან სამსახურს ამჯობინებს და ეს სავსებით ბუნებრივია. თუ ვინმე არ მეთანხმება, ვეცდები დავარწმუნო.

ახლა გადავიდეთ ხელისუფლების განხილვაზე. ვთქვათ, მინისტრის ადგილზე ან რომელიმე დიდ თანამდებობაზე დაინიშნეთ. დამერწმუნეთ, დანიშვნისთანავე შეგიჩნდებათ ეჭვი, რომ შეიძლება ძალიან მალე მოგხსნან. ეს ეჭვი მაცდურია და ხშირად ადამიანებზე ძლიერიც, რაც ხელის წაცდენაზე პირველ ბიძგს გაძლევთ, ანუ თქვენ ხდებით ურჩხულის ერთ-ერთი პატარა, მზარდი თავი, რომელსაც ჭამაში მოსდის მადა. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ჩათვალეთ, რომ თქვენი საქმე წასულია და ჭამას გააგრძელებთ იქამდე, სანამ კარგად არ გაიზრდებით, ანუ სანამ პოსტიდან არ მოგხსნიან. ამ დროისათვის იმდენი ფული გექნებათ ნაშოვნი, რომ კერძო ბიზნესის მოწყობაც შეგეძლებათ, თუ რა თქმა უნდა, არ დაგიჭირეს. მაგრამ მაპატიეთ, ვცდები, ჩვენს ქვეყანაში თუ პრეზიდენტის განხორციელებულ ან განუხორციელებელ ტერაქტში ეჭვმიტანილი არ ხართ, ხელს არავინ გახლებთ, ყველაფერი გეპატიებათ. უმორჩილესად გთხოვთ, ნუ იტყვით იმას, რომ თქვენი მინისტრობის პერიოდში არ იზრუნებთ პირად კეთილდღეობაზე და მხოლოდ დარგის გაუმჯობესებაზე იფიქრებთ. შეიძლება მიმტკიცოთ, რომ ეს გინდათ, მაგრამ უბრალოდ ეს არარეალური გამოვა, რადგან მინისტრს კაპიკები აქვს ხელფასი. მშიერი ჩინოსანი კი ვერაფერს შეძლებს. ეს აქსიომაა. თუ ოდნავ მაინც შევცვალე თქვენი (ოპონენტის) აზრი, მაშინ ახლა გადავიდეთ პარლამენტარზე. იცით თუ არა თქვენ, რომ პარლამენტარი განსაკუთრებით საშიშია მაშინ, როცა ის პირველად ხვდება საკანონმდებლო ორგანოში. თანაც თუ ახალგაზრდაა და ცხოვრების ასპარეზზე თვითდამკვიდრებას ცდილობს, მაშინ ეს საშიშროება ორმაგდება, რადგან პოპულარობის წყურვილითა და განდიდების მანიით შეპყრობილ ასეთ პიროვნებას ხშირად აწუხებენ ნათესავები და ახლობლები თხოვნით: იქნებ სამსახური გვიშოვო ან კიდევ ხელი გაგვიმართოო. რა თქმა უნდა, სამსახურსა და ხელის გამართვაში ისეთი თანამდებობა იგულისხმება, სადაც საკმაოდ იშოვება ფული. ამბიციური პარლამენტარი ნათესაობაში თავის მოსაწონებლად მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ცდილობს. თხოვნით აწუხებს კოლეგებს, თუ სხვა ჩინოსნებს. თუ მოხერხდა და თხოვნა შეუსრულა, მაშინ დეპუტატის პატივისცემა ახლობლებში გაიზრდება, მაგრამ ამავე დროს მთხოვნელთა რიცხვიც იზრდება, რაც დროდადრო შემაწუხებელი ხდება კანონმდებლისათვის. ამიტომ მას უჩნდება კმაყოფილი და მის მიმართ ანტიპათიურად განწყობილი წრეები. თუმცა მისი ოპონენტები, მას გამორჩენის მიზნით, მაინც კარგად ხვდებიან, მაგრამ „დიდი კაცი“ გრძნობს, რომ ეს მზაკვრობაა, რაც შესამჩნევია.

პარლამენტარმა კარგად უწყის, რომ თუ ის თანამდებობას დაკარგავს, მასთან ერთად დაიკარგება პოპულარობა და პატივისცემა. ამიტომ კარგ ცხოვრებას მიჩვეული ყველანაირად ებღაუჭება სავარძელს. აქვე ვიტყვი, ნათესაობაში, ჭირი იქნება თუ ლხინი, მისგან ყველა განსაკუთრებულ ყურადღებას და პატივისცემას ელის, რაც მას აიძულებს, იზრუნოს ფულის შოვნაზე, ანუ ჩნდება ამბიცია. შეიძლება ითქვას, რომ ამით იწყება ბინძური კარიერა. გამორიცხული არ არის, გარკვეული დროის შემდეგ, პირიქით, რომელიმე ჩინოსანმა თხოვოს რაიმე საქმის შესრულება, ის უარს ვერ ამბობს და ცდილობს ასიამოვნოს. ასე იქმნება ჯადოსნური წრე.

დავსვამ კიდევ ერთ კითხვას, როგორ მოიქცეოდით თქვენ, პარლამენტარის შემთხვევაში, ეცდებოდით თუ არა ნათესავებისა და ახლობლების თხოვნის შესრულებას? თუ არა, მაშინ ნათესაობას აწყენინებდით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთ არასტაბილურ ქვეყანაში შეიძლება მალე დაკარგოთ პოსტი და მაშინ გვერდში მდგომიც არავინ გეყოლებათ, თუკი...

აქედან გამომდინარე, თავს უფლებას მივცემ ვთქვა, რომ ურჩხული-კორუფცია ქართულ ხასიათშია. ყველას სიმდიდრე და კარგი ცხოვრება უნდა, თანაც იოლად. ასე იჭმება ქვეყანა, თუმცა ინდივიდუალურად ყველა ჩინოსანი ფიქრობს, რომ ის ისეთს ვერაფერს გააკეთებს, რითაც ქვეყანას ავნებს. ამის შემდეგ იქმნება ასეთი სურათი. დავიწყებ ანდერსენის ერთი ზღაპრიდან, სადაც ცხვრები მგლების ხროვაში ირჩევენ ყველაზე სიმ-



პათიურ და სანდომიან მგელს, რომელმაც ისინი ნელ-ნელა უნდა შეჭამოს. ცხვრები ამას იმიტომ აკეთებენ, რომ დარწმუნებულნი არიან, სხვა გზა არა აქვთ. ეს სიცოცხლის გახანგრძლივების კარგი საშუალება ჰგონიათ. არჩეული მგელი ცხვრებში ირჩევს პრივილეგირებულს და ავალებს შეატყობინოს, რომელი გასუქდა, რომ კარგად შეჭამოს. ერთხელაც არჩეულ მგელთან მიდის გამხდარი ცხვარი და თხოვს: ძმა შემიჭამე, დაც და მამაც, დედას ნუ შეჭამო. მგლის პასუხი ასეთია: შენ ხომ ცოცხალი ხარ, სხვაზე რატომ დარდობ. ამ პასუხით კმაყოფილდება ცხვარი და გახარებული მიდის, მაგრამ ველარ ფიქრობს, რომ დედის შემდეგ მისი ჯერი დადგება.

ეს ზღაპარი საოცრად მაგონებს ჩვენს ყოფას: ვირჩევთ მგელს, რომელმაც ჩვენი საჭმელი უნდა ჭამოს და თუ ვინმე ჩვენგანი შეჭამა, ეს იქამდე არ გვაღელვებს, სანამ ჩვენამდე არ მოვა. ამიტომაც ვართ ასეთ ყოფაში, არა გვაქვს დენი, ხელფასი, პენსია, ხალხი მშიერია, ქვეყნის ტერიტორია დარღვეულია და ამ დროს, ტელევიზორში თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებით რომელიმე ჩინოსნისაგან ვისმენთ: მართალია, ქვეყანაში უამრავი პრობლემაა, მაგრამ ჩვენ რომ დემოკრატიის აღმავლობის გზას, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, უფრო მალე დავადექით? ჩვენ ხომ ევროსაბჭოში მიგვიღეს (ამბობს ომახიანად)? მერე დასძენს, — ყველაფერი მოგვარდება 2000 წლის შემდეგ (იმტვრიე თავი, როდის იქნება ეს). ჩვენ გვჯერა და ველოდებით. ერთგვარი დამამშვიდებელი მექანიზმია პარლამენტიც, დაიწყებს მუშაობას და გონიერი ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით იწყება საუბარი პრობლემის მოგვარებაზე. ეს სალაპარაკო თემა ხდება და ხალხიც გულს იფხანს, ნერვებს აყოლებს. მაინც სჯერა, რომ პარლამენტარები ჭკვიანი ხალხია და ისინი გზა ხსნისას გამონახავენ, ბოლოს და ბოლოს, ხომ ჩვენი არჩეულები არიან. და თუ თეთრი ბაირაღებიდან ნოდარ დუმბაძეს დავესესხებით, ემჩნევათ კიდევაც, ჩვენი არჩეულები რომ არიან.

ცხვრები მგლების ხროვაში ირჩევენ ყველაზე სიმპათიური და სანდომიან მგელს, რომელმაც ისინი ნელ-ნელა უნდა შეჭამოს. ცხვრები ამას იმიტომ აკეთებენ, რომ დარწმუნებულნი არიან, სხვა გზა არა აქვთ. ეს სიცოცხლის გახანგრძლივების კარგი საშუალება ჰგონიათ. არჩეული მგელი ცხვრებში ირჩევს პრივილეგირებულს და ავალებს შეატყობინოს, რომელი გასუქდა, რომ კარგად შეჭამოს. ერთხელაც არჩეულ მგელთან მიდის გამხდარი ცხვარი და თხოვს: ძმა შემიჭამე, დაც და მამაც, დედას ნუ შეჭამო. მგლის პასუხი ასეთია: შენ ხომ ცოცხალი ხარ, სხვაზე რატომ დარდობ.

არადა პარლამენტარები (232 კაცი) პერიოდულად ისეთ სისულელეს სჩადიან და კანონში შეაქვთ, გულითაც რომ გინდოდეს, ასეთ ანეკდოტს ვერ მოიფიქრებ. მაგალითად, დეპუტატის გარდაცვალების შემთხვევაში პარლამენტში ხმათა უმრავლესობით ან კენჭისყრით უნდა გადაწყდეს გარდაცვლილზე უფლებამოსილების შეწყვეტა. დავუშვათ სხდომათა დარბაზში გადაწყვეტილებისათვის საჭირო ხმები არ მოგროვდა, ხალხის სიმცირეა, რაც ხშირად ხდება ხოლმე, ე. ი. მიცვალებულს უფლებამოსილება არ უწყდება, ის გრძელდება. ალბათ ასეთ შემთხვევაში, კანონის წესით, პარლამენტი ქმნის ჯგუფს, რომელიც მკვდრის გაცოცხლებაზე მუშაობს. ჩვენ არ ვიცით, თორემ ქართულ პარლამენტს ასეთი კი არა, უფრო ძნელი საქმის გაკეთება შეუძლია, მაგალითად 24 საათიანი ელექტროენერგია, ხელფასებისა და პენსიების გაცემა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება და ა. შ. არ გჯერათ? დაიჯერეთ, ყველაფერი ეს 2000 წლის შემდეგ იქნება, ხომ დაგვპირდნენ?!

პატივცემულო მკითხველო! არ ვიცი შევძელი თუ არა თქვენი დარწმუნება იმაში, რომ კორუფცია და ის ურჩხული საძებარი არ გვყავს. ის თითოეულ ჩვენგანში ცხოვრობს და არსებობას გააგრძელებს იქამდე, სანამ საკუთარ თავში არ ჩავკლავთ, ანუ დამნაშავე ყველანი ვართ. თუ ესეც არ გვინდა, მაშინ ურჩხულთან ბრძოლის სხვა გზაც არსებობს. კერძოდ, სასწრაფოდ უნდა დავნიშნოთ კორუფციის მინისტრი, შევქმნათ სამინისტრო და ვინც იქ მუშაობის სურვილს გამოთქვამს, ვწვდეთ ყელში და მივგვაროთ პარლამენტს, რადგან მათ თურმე მკვდრის გაცოცხლების ნიჭი ჰქონიათ და მექრთამის სულში ჩაძვრენილ ურჩხულს ვერ მოსპობენ?

***თამაზ ხაბეიშვილი***

## სად გადაასახლებენ კახელებს?

არცთუ დიდი ხნის წინ დასავლეთ საქართველოს წყალდიდობისა თუ მეწყერისგან უსახლკაროდ დარჩენილ მოსახლეობას კახეთში ასახლებდნენ.

სად გადაასახლებენ კახელებს მსგავსი სტიქიური უბედურების შემთხვევაში?

ამ კითხვის აქტუალობა დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად დადგება დღის წესრიგში, რადგან ყოველდღიურად ათობით ჰექტარზე ტყის უმოწყალოდ კაფვა კარგს არაფერს უქადის ამ რეგიონის მცხოვრებლებს. აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის არ მოიძებნება ადამიანი, მორით დატვირთული ტრაილერებისა თუ სარკინიგზო ეშელონების შემხედვარე, ოხვრით არ სვამდეს ჯერჯერობით უმისამართო კითხვას — „რა გვეშველება?“

საქმე კი გაცილებით საგანგაშოა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ბოლო წლებში ჩვენში ფეხმოკიდებული არამოქალაქეობრივი აზროვნების გამო ტყესაც, მიწასაც და წყალსაც ისე ვეპყრობოდით, მტერიც რომ არ მოექცევა. რაკი სახელმწიფოს შესაბამისმა სამსახურებმა დაუშვეს ლიმიტირებული, სანიტარული და მთავარი მოხმარების ჭრა ჩვენს ტყეებში, მავანთათვის ეს საკმარისი გახდა ხელაღებით, ბარბაროსულად გაენადგურებინათ უნიკალური ჯიშის ხეები თუ წყლის სათავეები. რაკი ოფიციალური პირები უშვებენ ასეთ „ლაფსუსებს“, მოსახლეობასაც ხელფეხი გაეხსნა — სადაც ხელი მიუწვდა, იქ დაიწყო შეშის ჭრა და სულაც არ დაგიდევენ, ასწლოვანი მუხაა ეს „შეშა“, იშვიათი ჯიშის წიფელი თუ ძვირფასი წაბლის ხე. რაიონებში ხმამაღლა ასახელებენ იმ პირებს, ვინც თურმე ამ „ბიზნესში“ მონაწილეობს. თავს უფლებას ვერ მივცემთ, დაუზუსტებელი ინფორმაცია მკითხველს მივაწოდოთ, მაგრამ ერთი კი შემიძლია გითხრათ, დაბალჩინოსანი ქართველი არავის დაუსახელებია. ორიოდე წლის წინ ხე-ტყის ექსპორტის ინიციატორები, მხოლოდ ფარულად, მოსახლეობის თვალისთვის მორიდებით, ღამღამობით ეზიდებოდნენ მორს კახეთიდან. რკინიგზის სადგურიდან სადგურში დაჰყვებოდნენ ვაგონებს და მობილურებით სადღაც „ზევით“ ათანხმებდნენ საქმის ყველა დეტალს.

ზუსტად ორი წლის წინ, მართალია (და, გასაკვირიც!), მაშინდელმა პარლამენტმა არ მიიღო ხე-ტყის საქართველოდან გატანასთან დაკავშირებული კანონი, მაგრამ პრეზიდენტმა პარლამენტის გადაწყვეტილებას — უნდა ვიფიქროთ, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე — ვეტო დაადო. ამან, მგონი, იმაზე მეტი ხე-ტყის დამამზადებელი ფირმა წარმოშვა, რამდენი ხეც ხარობს, უკაცრავად — ხარობდა ჩვენს ტყეებში. ჩამოდიოდნენ, წარმოადგენდნენ სატყეო დეპარტამენტის მიერ გაცემულ ლიცენზიას და იწყებდნენ ტყის პირაღებით კაფვასა და გაზიდვას. რაიონების გამგებლებს, როგორც თავად ამბობენ, არავინ არაფერს ეკითხება. ყველა უფლება, მათ ტერიტორიაზე არსებულ ტყეებზე, სატყეო დეპარტამენტს აქვს აღებული.

სატყეო დეპარტამენტსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის წინააღმდეგობა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ წარმოიშვა, როდესაც ტყის მქონე რაიონების მესვეურებმა ხე-ტყის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის წილი მოითხოვეს. სატყეო დეპარტამენტმა, შარშან, როგორც იტყვიან, „ძვალი გადაუგდო“ რაიონებს. სამაგიეროდ, მათ ტყეზე ყველა უფლება ჩამოართვა და სწორედ ასე გაუხსნა ხელ-ფეხი განუკითხაობას. მარტო შარშან, მხოლოდ რკინიგზით, ათი ათასი კუბური მეტრი ხის მასალა გაიგზავნა ფოთსა და ბათუმში კახეთიდან, იქიდან კი...

რაც შეეხება თურქული ტრაილერებით გაზიდულ ხე-ტყეს, იგი თითქმის არსად არ არის აღრიცხული. ეგ კი არა, აქაური ავტოინსპექტორები, ცოტა არ იყოს, სინანულით აცხადებენ, მათი გაჩერებაც კი აკრძალული გვაქვსო.



ადგილობრივი მოსახლეობისთვის ერთი კუბური მეტრი შეშა, სატყეო მეურნეობების ნიხრით გათვალისწინებული 3,6 ლარის ნაცვლად, 25-დან 35 ლარამდე ღირს. იმავე მოცულობის ძვირფას მასალაში კი საშუალოდ 24 ლარს ახდევინებენ ექსპორტიორებს... ბევრ სოფელში უკვე კონკრეტულად ჩანს ტყის კაფვით მიღებული სავალალო შედეგი: შემცირდა ბუნებრივი წყლების დებეტი, დაშრა წყლის სათავეები, დაზიანდა წყალსადენები, მოიჭრა უნიკალური ჯიშის ხეები... ანუ მოხდა ის, რასაც მეოთხე კლასის მოსწავლეებს ასწავლიან ტყის გაქრობასთან დაკავშირებით. ხე-ტყის გაზიდვის წინააღმდეგ პირველად ადგილობრივმა მოსახლეობამ თელავის რაიონში ატეხა განგაში და მოითხოვა, შეეწყვიტათ მასობრივი ჭრა. „მოუთვინიერებელი“ მცხოვრებლების ხმას აყოლილი სოფლის ხელმძღვანელი რაიონის გამგებელმა ბიუჯეტის შეუსრულებლობისთვის გაათავისუფლა და ამით ყველას დაანახვა, რა შეიძლება მოჰყვეს ენაზე კბილდაუდგმელობას. „თელავური სუსხი“ მეზობელ რაიონებშიც გავრცელდა და ბევრს დაეკარგა „სატრანსპორტო გეოგრაფიის“ შესწავლის სურვილი. ერთადერთი რაიონი, სადაც არ გაჭრა ზემოდან წამოსულმა დირექტივებმა, გურჯაანი იყო. ადგილობრივმა ხელისუფლებამ დასაბუთებული მოტივით აუხსნა სატყეო დეპარტამენტს (და — სხვებსაც), რომ რაიონში ტყის კაფვა სამრეწველო დანიშნულებით არ შეიძლებოდა, რადგან აქ ტყის მასივები ძირითადად არამდგრად ქანებზეა გაშლილი.

...და მაინც, შარშან აქაც „გატეხეს ყამირი“. რაიონის სატყეო მეურნეობამ გულდასმით მოამზადა ტყე-კაფვის გეგმა (არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს ზემდგომის მითითებით მოხდა) და დასამტკიცებლად წარუდგინა სატყეო დეპარტამენტის სალიცენზიო კომისიას. სალიცენზიო საბჭომ ტყის ჭრის უფლებას სატყეო დეპარტამენტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დასკვნაც მოაყოლა, სადაც უგულებელყოფილია რაიონის ხელისუფალთა შიში ეკოლოგიური წონასწორობის მოსალოდნელი დარღვევის გამო. ამას ეთანხმება გურჯაანის სატყეო მეურნეობის დირექტორი შოთა მამათელაშვილიც, რომელიც ამტკიცებს, რომ „მათი“ კვლევითი ინსტიტუტი არ შეიძლება ცდებოდეს.

ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის პირველ მოადგილეს კახეთში **გოგი მაჩხაშვილს** (გურჯაანის რაიონის ყოფილ გამგებელს):

*— ჯერ კიდევ 15-16 წლის წინ რაიონში ჩამოვიდნენ გეოგრაფიული საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთაც გაგვაცნეს მეცნიერული დასკვნა იმის შესახებ, რომ ცივგომბორის კალთები, რომელზეც ჩვენი ტყეებია, მცოცავი ქანებისგან შედგება. ამიტომაც იქ ტყის კაფვა დააჩქარებს ნიადაგის ეროზიას და მეწყერს გამოიწვევს, არსებობს ადგილები, სადაც ზემოაღნიშნული საშიშროება თვალსაჩინოდაა გამოხატული. ამაში შეგიძლიათ ადვილად დარწმუნდეთ, თუ „ჭერმის ხევზე“ გაივლით ან ვაჩნაძიანის ტყის პირებს დაათვალიერებთ.*

ამ რამდენიმე დღის წინ, სოფელ ვაჩნაძიანის მოსახლეობამ ოფიციალური წერილით მიმართა რაიონის გამგეობას. ვაჩნაძიანელები დაჟინებით მოითხოვენ სოფლის ტერიტორიაზე არსებული ტყის მათთვის გადაცემას, რადგან დარწმუნებულნი არიან, მხოლოდ ასე იხსნიან მას და თავიანთ თავსაც მოსალოდნელი კატასტროფისგან. ათიოდე წლის წინ რაიონის მოსახლეობამ ეკოლოგიური საშიშროების მოტივით ბოიკოტი გამოუცხადა ლაკბის წყალსაცავის მშენებლობას. ახლა კი სწორედ იმ წყალსაცავის შემგუბებელ მთის ფერდობებს აჩანაგებენ, რომელიც თავზე წამოსდგომია ქალაქს.

როგორც ჩანს, გურჯაანის რაიონის გამგეობას კიდევ ერთხელ მოუწევს წინ აღუდგეს ცენტრის მიერ პროვოცირებულ განუკითხაობას და თვითნებობას. რაიონის გამგებელმა **გიორგი სიგაშვილმა**, რომელიც სხვათა შორის, პროფესიით მეტყევეა და სხვაზე უკეთ ერკვევა შექმნილ სიტუაციაში, კატეგორიულად განაცხადა:

*— უნდა შევაჩეროთ ტყის ჭრა. ჩვენი ტყეების გეოფიზიკური მახასიათებლებით თუ ვიმსჯელებთ, მოსაჭრელი ტყე ნამდვილად აღარ დაგვრჩა.*

*სასმელი წყლის დეფიციტის აღმოსაფხვრელად საინვესტიციო ფონდს ვთხოვთ დახმარებას და მეორე მხრიდან ჩვენვე ვქმნით პრობლემას — ასე არ შეიძლება გაგრძელება.*

**— არ ფიქრობთ, რომ გადაწყვეტილების შესრულებაში წინააღმდეგობას შეხვდებით „ზევიდან“?**

*— ჩვენ ერთხელ უკვე გვქონდა ამის პრეცედენტი, როდესაც კვლევითი ინსტიტუტის დასკვნას და სალიცენზიო საბჭოს ნებართვას წინ აღვუდექით და არ დავუშვით მორის გატანა. მართალია, ჩვენ ამის უფლება კანონით ჩამორთმეული გვაქვს, მაგრამ ხალხის ინტერესებისა და მოსახლეობის ნების აღსრულება ყველასთვის უმთავრესი უნდა იყოს.*

ღმერთმა ქნას, გურჯაანის რაიონის ახალგაზრდა გამგებლის პრინციპულობა სამაგალითო გახდეს თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის გამგებლებისთვისაც, მაშინ იქნებ უფრო იოლად დაიძლიოს საერთო გასაჭირი და წინ აღუდგნენ უცხოთა მაამებელთა და შინაურთა მომმადლიერებელთა ბარბაროსობას, თორემ... **„ორი რამ დაგვრჩა დღეს უფასო და დაუყვედრებელი — ჰაერი და კუბოს ფიცარი. ამას მაინც ნუღარ წაგვართმევენ, შვილო!“** (გურჯაანელი პენსიონერის გიორგი ცანკაშვილის „ვედრებიდან“).

***ფირუზ ფურცელაძე,***
***გურჯაანი***

## „ღმერთმა ნუ ქნას, ისა ვთქვა, რომ საქართველოში ცუდად ვარ...“

*როგორ ცხოვრობენ ფერეიდნელი ქართველები საქართველოში...*

ქართველი ერისათვის მტრისაგან რბევა და შევიწროება უცხო არ იყო. ჩვენს წინაპრებს ხმლის ქარქაშში ჩაგება ენატრებოდათ, ყოველი გოჯი მიწისათვის შეუპოვრად იბრძოდნენ. ყველაზე საშინელი განსაცდელი მაინც მათ ერგოთ, ვინც სამშობლოს მოსწყვიტეს და ტყვედ წაიყვანეს... ასეთები კი ცოტანი არ ყოფილან. მარტო 1614-17 წლებში ლაშქრობების შემდეგ შაჰაბასმა 200 ათასი ქართველი გაიყოლა სპარსეთში და ფერეიდანში დაასახლა...



რეზო მიქელაძის ოჯახი

მას შემდეგ სამ საუკუნეზე მეტი გავიდა. ბედისაგან ზურგნაჩვენებმა ქართველებმა მთელი თავისი ენერგია და სიყვარული მოიკრიბეს და შეინარჩუნეს მშობლიური ენა, ქართველობა, სამშობლოს სიყვარული; 1972 წელს, მართალია, სულ რამდენიმე ოჯახი, მაგრამ მაინც... მშობელს მოწყვეტილი შვილები საქართველოს დაუბრუნდნენ... მათ შორის იყო რეზო მიქელაძე თავისი ოჯახით... უკვე 6 წელია, რაც ბატონი რეზო ცოცხალი აღარ არის, იგი თავის საფიცარ ქართულ მიწაში განისვენებს... მისი ოჯახი კი თბილისში ცხოვრობს და თითოეული წევრი, ქალბატონი მზია და მისი 4 შვილი: ზაზა, კახა, ნათელა და გურამი საქართველოს სიყვარულს წარსულით ნაიარევი გულით დაატარებენ... როცა ისინი ფერეიდანს იხსენებენ, გგონია, ძალიან ტკბილ და ლამაზ ზღაპარს ყვებიანო.

**— მზია, როგორ უფრთხილდებოდნენ ანდა იცავდნენ ქართულ ენას ფერეიდანში?**

— ჩემს ბავშვობაში ქართული წიგნი არ არსებობდა იქ. მახსოვს, პატარა ვიყავი, მოსაბალად მივდიოდით ბაღში... ასე ვეძახდით რთველს... რომ დავბრუნდით, დასვენების დროს მამამ რადიო ჩართო და შემთხვევით ქართული ტალღა დაიჭირა. გაისმა ქართული სიტყვები... მამაჩემმა დაიძახა: მოდით, მოდითო! მისცვივდნენ კაცები! აღფრთოვანებულები უსმენდნენ: ვაიმე, რას ამბობსო! ქართულ სიტყვებს იმეორებდნენ... ისე უხაროდათ! დღესაც არიან იქ ქართველები ძალიან რომ უყვართ მშობლიური ენა და სამშობლო.

**ზაზა** — სისხლს და გენს რომ უფრთხილდებოდნენ, ეს ხომ ცხადია! ფერეიდნელი არც სპარსს ითხოვდა და არც მისთხოვდებოდა... თუმცა ახლა ასეთი ოჯახებიც იქმნება... მაგრამ „ჩვენიანებიო“, რომ იტყვიან, იქ მათ არ გულისხმობენ. რაც საზღვრები გაიხსნა, ბევრი ინფორმაცია შევიდა საქართველოზე... ვისაც ქართულის სწავლა უნდა, თავისუფლად შეუძლია...

**— ახლა როგორი სულისკვეთებით არის ხალხი?**

**ზაზა** — ბევრი ძალიან გულგატეხილი და იმედგაცრუებულია... ბევრნი გაიფანტნენ, ფერეიდნიდან ქალაქებში გადავიდნენ. სპარსელებიც ხელს უწყობენ ამ ასიმილაციას... თუ გვარი სპარსულად არ გადაიკეთე, ვერაფერს მიაღწევ. საქართველოში რომ არის, ასეთი დამოკიდებულება კი არ აქვთ უცხო ტომის ხალხისადმი!

**— დაბრუნება თუ უნდათ?**

**მზია** — ერთმა კაცმა მითხრა ფერეიდანში, — შენ რომ ჩამოდიხარ და ლაპარაკობ, ყველას წამოსვლა გვინდა საქართველოშიო და სხვები რომ ყვებიან იქაურ ამბებს, იქით გამოხედვაც არ გვინდა, რომელს დაგიჯეროთო?

**ზაზა** — ერთხელ ხუმრობით ვუთხარი ბებიას, იქ, ჩვენს სოფელში, ზემო მარტყოფში: ფერეიდნელი ქართველი გოგო მინდა ვითხოვომეთქი. ახლავე, ოღონდ მითხარი, ვინო... თან გამაფრთხილა, — ხომ იცი, საქართველოში ქალს არავინ გაგატანს, აქ უნდა დარჩეო.

**— როგორ ცხოვრობდით ფერეიდანში?**

**მზია** — ზამთარში თეირანში ვიყავით. იქ ჩემი მეუღლე ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლის კანცელარიის გამგე იყო. ზაფხულში ფერეიდანში მივდიოდით, იქაც კარგი მამულები გვქონდა. ცხოვრებას ნამდვილად არ ვუჩიოდით. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც საქართველოში დავბრუნდი, სამშობლოს სიყვარული იყო.

**ზაზა** — დიდი იდეოლოგიური მუშაობა მიმდინარეობდა, რომ აქ არ ჩამოვსულიყავით. ჩემი მშობლები დაიბარეს, — იცით, სად მიდიხართო? ოღონდ ნუ წახვალთ, ყველა პრობლემას მოგიხსნით, თუკი რაიმე გაწუხებთო... ამაოდ... ვერაფერმა შეაჩერა ჩემი მშობლები.

**— აქ როგორ დაგხვდნენ?**

**მზია** — მანქანაში რომ ჩავსხედით და მოვდიოდით, ისეთ სულელურ კითხვებს მისვამდნენ: იქ შუქი თუ გქონდათო, ან „რაკოვინა“ თუ იყოო? მე ეს ახალი ქართული სიტყვები არ ვიცოდი, რას ნიშნავდა... როცა მიმახვედრეს, რას მეკითხებოდნენ, გავოგნდი. მაშინ თეირანი 3 მილიონიანი ქალაქი იყო და როგორ შეიძლებოდა, ან შუქი არ გვქონოდა ან „რაკოვინა“? მათ ფილმი ჰქონდათ ნანახი „შორია გურჯისტანამდე“ და იქ ზოგიერთი გაჭირვებული ოჯახის მაგალითზე ფიქრობდნენ, რომ ყველა უკიდურესად ცუდად ვცხოვრობდით. ძროხის მოწველა თუ იციო? არამეთქი, ვუპასუხე. გასწავლითო, — დამაიმედეს. ჩამოგვიყვანეს და დაგვასახლეს საგარეჯოსთან ახლოს ტრიალ მინდორზე. 2 კვირა მოდიოდა ხალხი ჩვენს სანახავად, როცა ეს ნაკადი შეწყდა, დავრჩით მარტო, არც მეზობელი გვყავდა, არც მაღაზია იყო ახლოს. მხოლოდ ქათმების ფერმა. 3 თვის განმავლობაში ვტიროდი. აქ ვერ გავჩერდები, უკან დამაბრუნე-მეთქი, ვეხვეწებოდი რეზოს. მერე მაშინდელი ცეკას ხალხი ჩამოვიდა, ერთ-ერთმა მკითხა — რატომ გინდა დაბრუნებაო? ავუხსენი: ამ ტრიალ მინდორში ვერ ვიცხოვრებ, ან ბავშვი ავად გამიხდეს, ან რაიმე დამჭირდეს, აქ რა უნდა ვქნა-მეთქი. შემპირდნენ, თბილისში გადაგიყვანთო. მართლაც, ერთ კვირაში გადმოგვიყვანეს. ხალხის ხმა რომ მესმოდა, თავი სიზმარში მეგონა. ნელ-ნელა შევეგუე. შევეგუე კი არა და შემიყვარდა აქაურობა. არაფერი მომენატრება, არც ისპაჰანი, არც თეირანი, მხოლოდ ჩემი ფერეიდანი მიყვარს და ჩემი საქართველო.

**— ეკონომიურად არ გიჭირდათ? იქ მაინც გაცილებით დიდი ხელფასი გქონიათ, ვიდრე საბჭოთა საქართველოში იყო შესაძლებელი, რომ მოეცათ.**

**მზია** — მახსოვს, პირველი ხელფასი რომ მოიტანა რეზომ, რამდენია-მეთქი ვკითხე. გაიცინა — დევის თუმანიო — 200 მანეთი იყო სულ. შემეშინდა, ეს ხომ არ გვეყოფა-მეთქი. დამამშვიდა, აქ ყველაფერი იაფია და ვიმყოფინებთო. გვიჭირდა, 4 შვილი გვყავდა და...

ზოგი ფერეიდნიდან ჩამოსული წერილებს წერდა ირანში. აქ ძალიან გვიჭირსო, არავინ ჩამოხვიდეთო. ჩემს მეუღლეს მაგას დააწერინებდი?! ერთხელ მამაჩემმა წერილი მოგვწერა: თუ გინდათ ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, მომწერეთ, გამოგიგზავნითო. რეზომ აიღო ჩვენი სურათი, ჩადო კონვერტში და დაუწერა: აბა, დააკვირდით, თქვენზე უკეთესი ფეხსაცმელი თუ არ აცვია ჩემს მეუღლეს, ჩვენ არც გვიჭირს და არც არაფერი გვჭირდებაო. ვიდრე რეზო ცოცხალი იყო, უნივერსიტეტში სპარსულს ასწავლიდა. 1993 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ ძალიან გაგვიჭირდა. უფროსი ბიჭი I საავადმყოფოში მუშაობდა, რაღაც მიზერული ხელფასი ჰქონდა. კახა უმუშევარი იყო, ნათელა და გურამი სტუდენტები... 28 წელია, აქ ვართ, ერთი ნათესავი არ გვყავს, ყველა ირანშია, ვინც მეგონა, რომ მეუღლის სიკვდილის შემდეგ დამეხმარებოდა, კაბინეტის კარი მომიჯახუნა. ერთმა მდივანმა კი მითხრა: ქალბატონო, თქვენ მაინც გაქვთ წასასვლელი, აქ რა გაჩერებთო? მთელი ჩემი ახალგაზრდობა საქართველოს სიყვარულს შევწირე, მეუღლე აქ დავმარხე, სად უნდა წავიდე? ფერეიდანში არ მეტყვიან — რისთვის მიდიოდით, რა გაკლდათ, ან რისთვის დაბრუნდითო... განა სამშობლო იქ არის, სადაც კარგად იქნები? ჩვენ ყველაფერი შევწირეთ საქართველოს სიყვარულს. მამაჩემი ისე გარდაიცვალა, არ მინახავს, ვერც რეზოს ძმის დასაფლავებას დავესწარით. ფერეიდანში რომ ჩავდივარ, ძმისშვილებისთვის თითქმის უცხო ვარ, ჩემი შვილები ბიძაშვილებისაგან შორს გაიზარდნენ და ცხოვრობენ. კიდევ კარგი, საქართველოში ბევრი უანგარო, კეთილი ადამიანი დაგვხვდა, რომლებიც ჩემს ოჯახს დაეხმარნენ, მხარში დაუდგნენ, ბევრი რამ გადაატანინეს... ახლა ღმერთის მადლით, ლუკმაპური მაინც გვაქვს, ღმერთმა ნუ ქნას, ის მათქმევინოს, რომ საქართველოში ცუდად ვარ...

**— ბევრი რამ აიტანეთ საქართველოს სიყვარულით...**

**ზაზა** — ერთხელ მე და მამა ვსაუბრობდით. მითხრა: შეუძლებელია, საქართველო უკანუკან წავიდეს. რაღაც დრო, ალბათ დასჭირდება, მერე ჩვენც დავდგებით ფეხზეო... ისეთი რეჟიმი იყო საქართველოში, როცა დავბრუნდით, რომ 18 წლის განმავლობაში, მშობლების სანახავადაც კი ვერ წავიდნენ ირანში. ამ სიშორეს, ახლობლების უნახაობას, უსაყვედუროდ, უსინანულოდ იტანდა...

**მზია** — საოცრად უყვარდა საქართველოს ისტორია. რუდუნებით ინახავდა ქართველი მეფეების, მოღვაწეების სურათებს. ერთხელ, თბილისში ფერეიდნელი ქართველი გვესტუმრა. გამოიტანა რეზომ დავით აღმაშენებლის სურათი და უდიდესი სიყვარულით დაუდო წინ, თან მოუყვა, — ვინ იყო, როდის მეფობდა... შემთხვევით, წასვლისას ჩვენს სტუმარს ეს სურათი მაგიდაზე არ დარჩა? ძალიან ეწყინა ჩემს მეუღლეს: თუ ამაზე მეტად არ უყვარდა საქართველო, რას მოდიოდაო!

*ქ-ნმა მზიამ ერთი ლეგენდა მიამბო: ავღანელები რომ შესულან ირანში, აუღიათ ისპაჰანი, ფერეიდანს მისდგომიან... მთის ფერდობზე იქ ერთი დიდი ქვა ყოფილა. გახსნილა ის ქვა, გამოსულა თეთრ ცხენზე ამხედრებული, თეთრით მოსილი, ხმალშემართული კაცი. ის დახმარებია ქართველებს. ვერ შესულან ავღანელები ფერეიდანში და უკან გაბრუნებულან... ის მეომარი კი ისევ იმ ქვაში გაუჩინარებულა. ამ ქვას თამზის ცხენი ჰქვია. იქ ჩვენი ხალხი ახლა სანთლებს ანთებსო.*

*დედის კალთას მოწყვეტილ შვილებს წმ. გიორგის მფარველობა თან გააყოლა განგებამ, რომ იქ, შორეულ ფერეიდანში სანთლებივით ენთოს ქართული სული...*

***ლელა ჯიყაშვილი***

# გაზაფხულზე საქართველო ახალი პრობლემების წინაშე დადგება

რამდენიმე დღის წინ „კვირის პალიტრა“ ეწვია საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთს, სადაც შესაძლებელი გახდა რეალურად შეფასებულიყო ქართული საზღვრის უსაფრთხოების საკითხი.

მთებში ამ ზამთარს საკმაოდ დიდი ყინვები დაიჭირა და უხვადაც მოთოვა. ამან ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას კიდევ უფრო დაუმძიმა ცხოვრების პირობები, მაგრამ მეორე მხრივ შესაძლოა დადებითი როლიც ითამაშა.

უხვმა თოვლმა ჩაკეტა ყველა ის საცალფეხო ბილიკი, რომელიც საქართველოს 82 კმ-იან საზღვარს ჩეჩნეთთან აკავშირებდა. ღია დარჩა ერთადერთი გასასვლელი არღუნის ხეობაში, შატილიდან ითუმ-ყალის მიმართულებით, მაგრამ მას ქართველი მესაზღვრეები მეტნაკლებად აკონტროლებენ, ხოლო ჩეჩნეთის მხრიდან ჯარეგაში რუსეთის ფედერალურმა სასაზღვრო სამსახურმა თავისი მესაზღვრეების დესანტი გადასვა.



შატილს თოვლი გაზაფხულამდე „დაიცავს“, შემდეგ?..

თამაში საზღვართან დაკავშირებით გამორიცხულია. ჩვენ კიდევ არ ვიცით, რამხელა პრობლემები შეიძლება შეექმნას მთლიანად საქართველოს, თუკი არ მივხედავთ ჩვენი ჩრდილოეთი საზღვრის ამ 82 კმ-იან მონაკვეთს. საბედნიეროდ, ზამთარში ხელისუფლების გასაკეთებელი საქმე თოვლმა გააკეთა, მაგრამ ადრე თუ გვიან ხომ გამოზაფხულდება? მოსალოდნელია აპრილის ბოლოდან და მაისის დასაწყისიდან ბევრი ბილიკი, რომლებიც ჩეჩნეთიდან თუშეთსა და ხევსურეთში გადმოდის, გაიხსნას. არადა ბილიკები არცთუ ცოტაა, მარტო თუშეთის მიმართულებით არსებობს ჩილოს, ქაჩუს, ქერიგოს, თებლოსა და კიდევ რამდენიმე გადმოსასვლელი. როგორც ახლა ირკვევა, 1999 წლის 9 აგვისტოს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების Су-25 მოიერიშეებს ზემო ომალოს საჰაერო დისტანციური დანაღმვა შემთხვევით სულაც არ განუხორციელებიათ. ანალოგიურ დავალებას ისინი რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩეჩნეთის ხეობებშიც ასრულებდნენ. მაშინ რუსებს საზღვრის გასწვრივ, უფრო სწორად კი, ზემოხსენებული გადმოსასვლელების მიმართულებით თავისი მესაზღვრეები არ ეყენათ. ამიტომაც საქართველოში ჩეჩნეთიდან გადმომავალი საცალფეხო გზების გადასაკეტად სწორედ საჰაერო დისტანციური დანაღმვა არჩიეს.

სხვათა შორის, რუსი მესაზღვრეები არღუნის ხეობიდან შატილისკენ მიმავალი გზის გარდა, სხვა გადმოსასვლელებს დღესაც ვერ აკონტროლებენ, თუმცა ძალ-ღონეს არ იშურებენ ამ სტრატეგიული მნიშვნელობის ბილიკების გაზაფხულამდე ხელში ჩასაგდებად, რადგან ხვდებიან — დრო მათ წინააღმდეგ მუშაობს.

გაზაფხულის დადგომამდე მთებში შეფარებული ჩეჩნები და ის მებრძოლები, რომლებიც დღეს განადგურებულ გროზნოს ტოვებენ, პარტიზანულ ომს წამოიწყებენ. ამის „მძიმე“ გამოცდილება რუს ფედერალებს ჯერ კიდევ ჩეჩნეთის პირველი ომიდან აქვთ. მაგრამ თუკი მაშინ რუსეთის არმიამ მთებში ბოლომდე არ სდია ჩეჩნებს, გაზაფხულზე შეიძლება სიტუაცია კარდინალურად შეიცვალოს.

წარმოიდგინეთ: სადღაც, ითუმ-ყალასთან ან სხვა დასახლებულ პუნქტთან ჩეჩენი პარტიზანები ღამით აწიოკებენ რუსი ფედერალების ბლოკპოსტს და შემდეგ თავს სამხრეთით, მთებს აფარებენ. რადიკალურად განწყობილი პუტინისგან დამოძღვრილი რუსი სამხედროები ბოლომდე მისდევენ ჩეჩნებს და თავს არ ანებებენ. რა რჩებათ ამ უკანასკნელთ იმის გარდა, რომ უკვე გახსნილი გადმოსასვლელებიდან თავი სხვა ქვეყნის ტერიტორიას, კერძოდ კი საქართველოს შეაფარონ? შედის კი მოვლენების ასეთი განვითარება ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებში? ვფიქრობთ, არა (თუმცა, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, დღეისათვის ჯარეგაში გადმოსროლილი რუსი მესაზღვრეები შატილში მყოფ ქართველ კოლეგებს შეაპარებენ — რამე რომ იყოს და ჩეჩნებმა არღუნის ხეობიდან დაგვცხონ, შატილში ხომ შეგვიფარებთო?).

თუკი ჩეჩენი მეომრები ბრძოლებით უკან დაიხევენ და საქართველოს ტერიტორიაზე გადმოვლენ, რუსეთის ავიაცია უკან არ გაბრუნდება და საბრძოლო დარტყმებს ჩეჩნებს ჩვენს ტერიტორიაზეც მიაყენებს. სხვათა შორის, 3 თებერვალს „კვირის პალიტრის“ შატილში ყოფნისას რუსეთის საარმიო ავიაციის შვეულმფრენებმა კიდევ ერთხელ დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე და სადაზვერვო გაფრენები შატილის თავზე განახორციელეს; ომალოდან კი კარგად მოჩანდა, როგორ აყენებდნენ რუსული შვეულმფრენები საჰაერო დარტყმებს ჩეჩნებს მთებში. აფეთქების ექო რამდენიმე წამის დაგვიანებით ომალომდეც მიდიოდა. დღეს მოსკოვი უკვე აღარ მალავს, რომ რუსული Ми-24 საბრძოლო შვეულმფრენები ითუმ-ყალა-შატილის გზის მონაკვეთს სპეციალურად ბომბავენ ზვავების გამოსაწვევად.

ჯერჯერობით, ზემოთ ნახსენები საშიშროებიდან საქართველოს მისი ბუნებრივი „დარაჯი“ — მთები და თოვლი იცავს, მაგრამ 3-4 თვეში ხომ გადნება თოვლი და გაიხსნება გადმოსასვლელები? რა არის საჭირო იმისათვის, რომ საქართველო არ იქნას ჩათრეული ჩეჩნეთის სისხლისმღვრელ ომში? პირველ რიგში, უნდა გაძლიერდეს კონტროლი საზღვრის გაყოლებით, რაზეც სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რადგან გაზაფხულის დადგომისთანავე გაიზრდება არა მარტო სხვა ქვეყნის შეიარაღებული პირების გადმოსვლის ალბათობა, არამედ ნარკოტიკებისა და ყალბი ფულის გადმოტანის შემთხვევები (რისი მომსწრეც ბოლო ხანებში საკმაოდ ხშირად გავხდით). არც ის არის გამორიცხული, გახშირდეს საქართველოდან ადამიანების გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით.

საქართველომ, ბოლოს და ბოლოს, თავისი სასიცოცხლო და სტრატეგიული ინტერესები უნდა დაიცვას.

***ომალო-შატილი-თბილისი***

# მკითხველის სვეტი

**„გთხოვთ დაახასიათოთ რუსული ტანკი ИС-3М. ჰყავს თუ არა იგი ქართულ არმიას და რამდენი?“**



ცოტა უცნაური იყო ასეთი შეკითხვა. სიმართლე რომ ითქვას, ამ ტანკის არსებობა ბევრს აღარც ახსოვს, რადგან მისი წინამორბედი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს ააწყვეს და უმაღლესი მთავარსარდლის პატივსაცემად „Иосиф Сталин“-ი დაარქვეს. 1943 წელს გამოშვებული პირველი ИС-1, მძიმე საბჭოთა ტანკის КВ-ს მორიგ გაუმჯობესებად იქცა. მოგვიანებით, ერთი წლის შემდეგ, საბჭოთა არმიის შეიარაღებაში იღებენ ИС-2-ს, რომელიც იმ დროისთვის საკმაოდ ძლიერი 122 მმ კალიბრის ქვემეხით იყო აღჭურვილი. 1945 წელს დღის სინათლეზე უკვე ИС-3 გამოდის, რომელსაც გაძლიერებული ჯავშანი ჰქონდა. თუმცა ამ მრისხანე მძიმე ტანკმა ვეღარ მოასწრო გერმანული „პანტერების“ აფეთქება — ომი დამთავრდა. მაგრამ 1947 წელს საბჭოთა კონსტრუქტორებმა ჩვეულებას ვეღარ უღალატეს და შექმნეს მძიმე ტანკი ИС-4, რომელსაც დიზელის ძრავა წინა ნაწილში ჰქონდა გადმოტანილი. სტალინის ეპოქის დამთავრების შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინის სახელი თითქმის ყველაფერს შეუცვალა, მაგრამ 1960 წელს მაინც განხორციელდა ИС-3-ის მოდერნიზაცია და ახალ მძიმე ტანკს სახელად ИС-3М ეწოდა. ИС-3-ს 520 ც.ძ. სიმძლავრის დიზელის ძრავა აქვს, რომელიც მას მაქსიმალური 40კმ/სთ სიჩქარის განვითარების საშუალებას აძლევს და ისიც მხოლოდ გზატკეცილზე. ტანკი 122 მმ-იანი ქვემეხით და ორი ტყვიამფრქვევითაა აღჭურვილი. მისი კორპუსის შუბლა ნაწილის ჯავშნის სისქე 220 მმ-ს აღწევს.

ქართულ არმიას, მართალია, 20-30 წლის წინანდელი ტანკები აქვს შეიარაღებაში, მაგრამ საბედნიეროდ, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ИС-3 არ გააჩნია.

ერთი უვნებელი Иосиф Сталин-3 საქართველოდან ყველაზე ახლოს, სტავროპოლის მხარის ქ. ლაბინსკში, გენერალ შერვაშიძის სახელობის ქუჩაზე დგას, ხოლო თავდაცვის სამინისტროს იაღლუჯის პოლიგონზე, როგორც სამიზნე, გამოიყენება ძველი აფეთქებული ИС-3.

**„ცნობილია, რომ Як-58-ით, რომელსაც ჩვენი საავიაციო გაერთიანება უშვებს, დაინტერესებული იყო ყაზახეთი. ახლა რა მდგომარეობაშია თვითმფრინავების გაყიდვის საქმე?“**

1997 წლის აგვისტოში, ჟუკოვსკიში გაიმართა საერთაშორისო აეროკოსმოსური გამოფენა



— МАКС-97. „კვირის პალიტრა“ თავად იყო ამ გამოფენის უშუალო თანამონაწილე, სადაც ფირმა „იაკ-ალაკონ აეროკოსმოსმა“ ყაზახეთის მთავრობის სახელით 12 ცალი Як-58-ის შეძენის სურვილი გამოთქვა. თითოეული თვითმფრინავის ფასი 250 ათას ამერიკულ დოლარამდე ადიოდა. ამასთან ყაზახები თითქოსდა მზად იყვნენ, სამგზავრო Як-58-ის სერტიფიცირება თავისი ხარჯებით მოეხდინათ დსთ-ის ფარგლებში. მას შემდეგ უკვე მესამე წელია, Як-58-ს არაფერი ეშველა. ის რუსულ-ყაზახური ფირმაც, როგორც ამბობენ, მთლად სერიოზული დაწესებულება არ ყოფილა, მაგრამ, რაც მთავარია, თბილისის საავიაციო ქარხანამ ბოლომდე „ჭკუაზე“ ვერ მოიყვანა Як-58. ამაში გარკვეული როლი, რა თქმა უნდა, თავად საავიაციო ქარხანაში მიმდინარე საკადრო ცვლილებებმაც ითამაშა, მაგრამ მთავარი „დამნაშავე“ მაინც Як-ის ძრავაა. М-14 ПТ შიდაწვის ძრავის სიმძლავრე არასაკმარისი გამოდგა ექვსკაციანი Як-58-ისთვის. ამასთან თითქმის გადაუჭრელ პრობლემად იქცა ძრავის (განსაკუთრებით ძრავის ზეთის) გაცივების სისტემის დარეგულირება. ერთადერთი გამოსავალი შიდაწვის ძრავის ტურბოხრახნიანი ძრავით შეცვლაა. თბილისის საავიაციო ქარხნის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ მსოფლიოში ცნობილი ფირმები — „ლაიკომინგი“ და „ტელედაინი“ თითო ტურბოხრახნიან ძრავს აჩუქებენ, რომელთა საშუალებით გამოიცდება Як-58. მხოლოდ დადებითი შედეგების მიღების შემთხვევაში შეიძლება საუბარი ამ თვითმფრინავის სერიული წარმოების დაწყებაზე, თუმცა ეს ახლო მომავლის საქმე ნამდვილად არ არის.

**P.S. კითხვების ავტორებს ვთხოვთ მიგვაწერონ სახელი და გვარი.**

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

## არსენალი

***„თუ შეიძლება გაგვაცანით თვითმავალი საარტილერიო დანადგარი Нона-С, რომელიც რუსებს გუდაუთის ბაზაზე ჰყავთ და მოსალოდნელია, მან ადგილი აფხაზთა შეიარაღებულ ძალებში ჰპოვოს“.***

ჩვენი ინკოგნიტო მკითხველი არ ცდება — რუს სამხედროებს მართლაც მხოლოდ გუდაუთის 50-ე სამხედრო ბაზაზე დარჩათ 11 ერთეული თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С9 „Нона-С“.

იგი, თავისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით, მართლაც რომ უნიკალურია. 1981 წელს პერმის „მოტოვილიხინსკის ქარხნების“ გაერთიანებამ საბჭოთა არმიას, უფრო სწორად კი, მის საჰაერო-სადესანტო ჯარებს მიაწოდა უახლესი სახეობის საბრძოლო ტექნიკა, რომლის მსგავსი მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის შეიარაღებაში არ ყოფილა.

თითქოსდა უცნაურად ჟღერს — ისეთი რა იარაღი შეიძლება ჰქონოდა მოსკოვს, რომლის მსგავსის ან უკეთესის შექმნას ვერ შეძლებდა ვაშინგტონი?

## „ნონა“ „ნატოს“ წინააღმდეგ შეიქმნა, მაგრამ ამჟამად შეიძლება თბილისს დაუპირისპირდეს



2С9„Нона-С“

2С9 „Нона-С“ უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია ისროლოს 120 მმ კალიბრის როგორც ნაღმსატყორცნის ნაღმები, ისე ამავე კალიბრის ქვემეხის ჭურვები. ძაღლის თავიც სწორედ აქ არის დამარხული — 120 მმ-იანი კალიბრის ჭურვები NATO-ს ქვეყნების შეიარაღებაში არის, ხოლო თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „Нона-С“ საბჭოთა საჰაერო-სადესანტო ჯარების შეიარაღებაში იქნა მიღებული და მისი დესანტირება სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებიდან (Ил-76, Ан-124 „რუსლანი“) სპეციალური საპარაშუტო სისტემით ხდება, მივდივართ მთავარ დასკვნამდე — ევროპაში ფართომასშტაბიანი ომის დაწყების შემთხვევაში, საბჭოთა საჰაერო-სადესანტო ჯარების დანაყოფებს სატრანსპორტო თვითმფრინავები შუა ევროპაში გადაისროდნენ თავის ჯავშანტექნიკასთან ერთად. ამ ჯავშანტექნიკაში მედესანტეთა საბრძოლო მანქანების БМД-1-ის და БМП-2-ის გარდა, თვითმავალი საარტილერიო დანადგარებიც 2С9 „Нона-С“-ებიც იქნებოდა. ამ უკანასკნელებს კი საბრძოლო მარაგის შევსება უკვე დაპყრობილი NATO-ს სამხედრო ნაწილებისგანაც შეეძლებოდათ, რადგან მისი ქვემეხიდან როგორც საბჭოთა, ისე ამერიკული, ინგლისური, გერმანული თუ იტალიური ჭურვებისა და ნაღმების სროლაცაა შესაძლებელი.

ფაქტობრივად, „ნონას“ „ნატოს“ საბრძოლო მარაგი ისევ ამ უკანასკნელის წინააღმდეგ შეეძლო გამოეყენებინა. ამას კი ომის დროს (აღარ არის საჭირო ჩამორჩენილი ზურგიდან საბრძოლო მასალით უზრუნველყოფა) განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. ხოლო თუკი იმ ნიუანსსაც გავითვალისწინებთ, რომ მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებს „რუსლანებს“ „ნონების“ „ჩამოყრა“ ჩრდილო ამერიკის კონტინენტზეც კი შეეძლოთ (თითოეულ „რუსლანს“ ფრენის სიშორის გათვალისწინებით შეუძლია წაიღოს არანაკლებ 8-12 „ნონა“). ამ შემთხვევაში „ნონები“ უკვე სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენენ.

საქართველოში „ნონების“ გამოჩენა საბჭოთა პერიოდში არ არის დაფიქსირებული, თუმცა არც ის გამოირიცხება, რამდენიმე ასეთი საბრძოლო მანქანა ლაგოდეხში განთავსებულ ცალკეულ საჰაერო-სადესანტო ბრიგადას ჰქონოდა. „ნონების“ არარსებობა კი ძირითადად იმით იყო ნაკარნახევი, რომ ჩვენს ტერიტორიაზე არ იდგა არც ერთი სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის ნაწილი, რომლის Ил-76-ები შეძლებდნენ „ნონების“ გადასროლას თურქეთის ან საბერძნეთის ტერიტორიაზე. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქუთაისსა და ლაგოდეხში მდგარი საჰაერო-სადესანტო ნაწილები, მართალია, ხონსა და თელავში განთავსებული სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენების (Ми-8, Ми-6 და Ми-26) იმედზე იყვნენ (ეტყობა, ძირითადად თურქეთის წინააღმდეგ), მაგრამ შესაძლოა, საჭიროების შემთხვევაში, კოპიტნარისა და დიდი შირაქის აეროდრომებზე დაშვებულიყვნენ რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან გამოფრენილი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები, რომლებიც მედესანტეებს 1.000-3.000 კმ-ის სიშორეზეც გადაისროდნენ.

თუმცა დავუბრუნდეთ ჩვენს „ნონებს“. არ არის გამორიცხული, რომ პირველი „ნონები“ ჯერ კიდევ 1989 წლის 9 აპრილს გამოჩნდა თბილისის ქუჩებში, მაგრამ ამ სტატიის ავტორმა ეს საბრძოლო მანქანები პირველად 1992 წლის ივნისში დააფიქსირა — როდესაც ცხინვალის რეგიონში ოთხმხრივი სამშვიდობო ძალები შევიდნენ. მაშინ რუსმა მედესანტეებმა ბლოკპოსტებზე რამდენიმე „ნონა“ განათავსეს. ზემო ნიქოზის მცხოვრებლებს დღესაც ემახსოვრებათ, თუ როგორ ისროდნენ რუსები საშვეულმფრენო პოლკის ტერიტორიიდან მანათობელ ნაღმებს, რომლებიც მცირე ზომის პარაშუტებით ეშვებოდნენ. მათ სწორედ „ნონები“ ისროდნენ.

მოგვიანებით, აფხაზეთის ომის დაწყების შემდეგ, მოსკოვმა აზერბაიჯანიდან გუდაუთაში გადაისროლა 345-ე საჰაერო-სადესანტო პოლკი. სწორედ ამ პოლკს ჰქონდა შეიარაღებაში „ნონები“ და ის 11 „ნონაც“ მას შემდეგაა აფხაზეთში. გამორიცხული არ არის, რომ „ნონები“ გამოყენებულ იქნა სოხუმის აღების ოპერაციაშიც, რადგან ქალაქის სტრატეგიულ ადგილებში (ამის მოწმე თავად გახლავართ), საკმაო სიზუსტით ფეთქდებოდა სწორედ 120 მმ-იანი ნაღმები. ამასთან, მოწინააღმდეგის საცეცხლე ბატარეები ძალზე სწრაფად იცვლიდნენ პოზიციებს. ჩვეულებრივი ჩასაბმელი ნაღმსატყორცნების 2С12 „Сани“-ს გამოყენების შემთხვევაში ასეთი მობილურობის მიღწევა ძალიან ძნელია.

თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С9 „Нона-С“ მედესანტეთა საბრძოლო მანქანაზე БТР-Д-ზე დამონტაჟებულ 120 მმ-იან ნაღმსატყორცნს წარმოადგენს. მთლიანად საბრძოლო მანქანა 8,5ტ-ს იწონის. ეკიპაჟი 4 კაცისაგან შედგება. მისი 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნის ლულა ხრახნიანია და არა გლუვი, იგი მსხვრევად-ფუგასურ ნაღმებსა და ჭურვებს 7-8 კმ-ის სიშორეზე ისვრის. „ნონა“ წუთში 10 გასროლას ასწრებს, მაგრამ, რაც მთავარია, „ნონას“ ლულის აწევა თითქმის ვერტიკალურად — 80 გრადუსამდე შეუძლია, რაც მას შეუცვლელს ხდის მთებში საბრძოლველად. სწორედ ამიტომაც, იმ მედესანტეების შეიარაღებაში, რომლებიც რუსეთის ფედერალურმა ძალებმა საქართველოს საზღვრის სიახლოვეს, არღუნის ხეობაში და ვედენოს მიმართულებით გადაისროლეს (ბოლო მონაცემებით მათი რიცხვი 5.000 კაცს უტოლდება), საკმარისადაა „ნონები“.

„ნონებმა“ ისე გაამართლა, რომ მოგვიანებით გამოშვებულ იქნა ბუქსირებადი, მცირეწონიანი (სულ 1,2ტ) ჰაუბიცა-ნაღმსატყორცნი 2Б16 „Нона-К“. ხოლო სულ რამდენიმე წლის წინ „ნონას“ ჰაუბიცა-ნაღმსატყორცნებმა უკვე ჯავშანტრანსპორტიორ БТР-80-ზე გადაინაცვლა, მას 2С23 „Нона-СВК“ ეწოდა. ორიოდე წლის წინ კი შეიქმნა „ნონას“ უახლესი „შვილობილი“ 2С31 „ВЕНА“. ეს უკანასკნელი ქვეითთა საბრძოლო მანქანის БМП-3-ის ბაზაზეა დამზადებული და, რაც მთავარია, ლულა დაგრძელებული აქვს, რამაც სროლის სიშორე 7 კმ-დან 13 კმ-მდე გაზარდა.

„ნონა“, რა თქმა უნდა, ძალზე ეფექტური იარაღია ჩვენი მთაგორიანი რელიეფისთვის, მაგრამ საეჭვოა, რომ გუდაუთაში განლაგებული 11 ერთეული „ნონა“ ოფიციალურ თბილისს დარჩეს. სამაგიეროდ გამორიცხული არ არის რომ ეს „ნონები“ აფხაზებმა ჩაიგდონ ხელში მას შემდეგ, რაც რუსები გუდაუთას დატოვებენ.

# „მოძალადე წითელი ციმციმათი“

Სიკვდილით დასჯა, წესისამებრ, ათი საათისთვის იყო დანიშნული. ქერილ ჩესმენმა ეს მშვენივრად იცოდა — იმ 12 წლის მანძილზე, რაც მან სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარა, 94-ჯერ მაინც სმენია, როგორ გაჰყავდათ მორიგი მსჯავრდებული: ჭრიალით იღებოდა დერეფანში შემოსასვლელი რკინის კარი, ისმოდა ნაბიჯების ხმა, რამდენიმე წუთში კი თავისი საკნის ღრიჭოდან ჩესმენი ხედავდა ორ ოფიცერს შორის მიმავალ პატიმარს, რომელსაც ერთ საათში სიკვდილი ელოდა...

და აი, ახლა კალიფორნიის ცნობილ ციხეში, სენ-ქვენთინში გამომწყვდეულ ჩესმენს ხელში ეჭირა ბარათი, სადაც ეწერა, რომ ადვოკატთა მორიგი თხოვნა, სასჯელის გადადებისა და საქმის ხელახლა გამოძიების შესახებ არ დაკმაყოფილდა. ამიტომ 1960 წლის 2 მაისს, ანუ მეორე დღეს, ზუსტად 10 საათზე ქერილ ჩესმენს გაზის საკანში შეიყვანდნენ და განაჩენს აღასრულებდნენ...

დილის 9 საათზე კვლავ გაისმა ნაცნობი ხმები... ოფიცრებმა რკინის კარი გააღეს. პატიმარი ფეხზე წამოდგა. მან ზუსტად იცოდა, თუ რა მოხდებოდა შემდეგ. ყველაფერი ეს ჩესმენმა უკვე არაერთხელ განიცადა! რვა შემთხვევაში, როდესაც ის უკვე გაზის საკანში ჰყავდათ ჩაკეტილი და სიკვდილამდე წამებიღა რჩებოდა, გაისმოდა ტელეფონის ზარი. რეკავდა შტატის გუბერნატორი და ციხის ხელმძღვანელობას დასჯის გადადებას სთხოვდა... პატიმარი გამოჰყავდათ და ისევ თავის საკანში აბრუნებდნენ... ასე გრძელდებოდა 12 წელიწადი! ამჯერადაც არავინ უწყოდა, რით დასრულდებოდა ყოველივე...

გაზის საკნის წინ ციხის ექიმი იდგა. მან გულისყურით გასინჯა პატიმარი. კანონი ითხოვდა, რომ სიკვდილით დასჯის წინ პატიმარი აბსოლუტურად ჯანმრთელი უნდა ყოფილიყო. თუ ექიმი შეამჩნევდა, რომ სიკვდილმისჯილი ავად იყო, განაჩენის სისრულეში მოყვანა უეჭველად გადაიდებოდა... მაგრამ 38 წლის ქერილ ჩესმენი ხარივით ჯანმრთელი იყო და ექიმმაც ჯალათებს უფლება მისცა, მოეკლათ პატიმარი...

შემდეგ მოვიდა მღვდელი. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილმისჯილი ურწმუნო იყო და აღსარების თქმა არ ისურვა, სულიერმა მამამ მაინც დალოცა ის და წასვლისას უთხრა, გამხნევდიო...

ყველაფერი კი 1948 წლის ზამთარში დაიწყო — ჰოლივუდის პოლიციას მიმართა რამდენიმე მოქალაქემ, რომლებიც ერთი და იმავე მოძალადის მსხვერპლნი გამხდარიყვნენ. რევოლვერით შეიარაღებული ბანდიტი ძირითადად შეყვარებულ წყვილებს ესხმოდა თავს, რომლებიც მანქანით ქალაქგარეთ გადიოდნენ ხოლმე სასეირნოდ. იარაღის თავში ჩარტყმით ის არეტიანებდა მამაკაცებს, ქალებს კი თავის მანქანაში შეათრევდა და აუპატიურებდა.

ერთ-ერთი პირველი დაზარალებული პოლიომიელიტით დაავადებული ახალგაზრდა მანდილოსანი გახდა. საღამო ხანს ქმარმა ის, ჩვეულებისამებრ, მანქანაში ჩასვა და სასეირნოდ წაიყვანა. როდესაც შინ ბრუნდებოდნენ, უკან მომავალი ავტომობილი შენიშნეს, მისი მძღოლი დაჟინებით მიჰყვებოდა ცოლ-ქმარს. უკვე გვიანი იყო, ტყის ვიწრო გზაზე სხვა არავინ ჩანდა და ახალგაზრდებს შეეშინდათ, მაგრამ ამ დროს მათ უკან მომავალ მანქანაში წითელი ციმციმა ჩაირთო და წყვილიც დამშვიდდა — ასეთი ციმციმები მხოლოდ პოლიციელთა მანქანებს ჰქონდა.

ქმარმა ავტომობილი გააჩერა, გადმოვიდა და საბუთებით ხელში ასევე გაჩერებული პოლიციის მანქანისკენ დაიძრა, მაგრამ პოლიციელის ნაცვლად იქიდან რევოლვერით შეიარაღებული მამაკაცი გადმოხტა, სახე შარფით ნაწილობრივ ჰქონდა შენიღბული და დაბნეული ახალგაზრდა ერთი დარტყმით ძირს დასცა. ქალი ამაოდ ემუდარებოდა თავდამსხმელს, მძიმე ავადმყოფი ვარ, ვერ დავდივარ და ხელს ნუ მახლებო. ბოროტმოქმედმა ის მაინც შეათრია თავის მანქანაში...

ბანდიტის დასაკავებლად პოლიცია ძალღონეს არ იშურებდა. ახალგაზრდა დეტექტივებს ფორმებიც კი გახადეს, ჩვეულებრივი ტანსაცმელი ჩააცვეს და წყვილ-წყვილად ქალაქგარეთ გაგზავნეს — იმ ადგილებში, სადაც ჯერჯერობით მოუხელთებელი მოძალადე დანაშაულს სჩადიოდა ხოლმე, დეტექტივებს შეყვარებულები უნდა განესახიერებინათ... მაგრამ ბოროტმოქმედი არც ერთხელ არ წამოგებია ამ ანკესს. თუმცა ძალადობას განაგრძობდა და ერთი თვის მანძილზე მის მიერ გაუპატიურებულთა რიცხვმა რვას მიაღწია.

ამასობაში შტატის ყველა საპოლიციო უბანს დაეგზავნა დამნაშავის აღწერილობა: „დაახლოებით 25-30 წლის; საშუალო სიმაღლის; გამოირჩევა კავკასიური ან იტალიური იერით; თვალებისა და თმის ფერი — შავი; დაზიანებული აქვს წინა კბილები; მარცხენა წარბს ზემოთ გააჩნია იარა; ჰყავს 1944 წელს გამოშვებული „ფორდი“; შეიარაღებულია უცნობი სისტემის რევოლვერით; ყოველთვის მოქმედებს მარტო.“

დრო გადიოდა, „მოძალადეს წითელი ციმციმათი“ (როგორც მას პოლიცია და პრესა უწოდებდა) ვერაფრით პოულობდნენ, ის კი კვლავაც სჩადიოდა დანაშაულს და მეტად ანერვიულებდა კალიფორნიის შტატის ხელმძღვანელობას. სულ მალე გუბერნატორის არჩევნები უნდა გამართულიყო და შტატის იმდროინდელი მმართველები — რესპუბლიკელები შიშობდნენ, რომ პოლიციის (რომლის შეფიც ასევე რესპუბლიკელი ბრძანდებოდა) უძლურების ფაქტს საუცხოოდ გამოიყენებდნენ მათი მოწინააღმდეგენი — დემოკრატები. ამიტომაც იყო, რომ ადგილობრივი ხელისუფალნი პოლიციის უფროსს კატეგორიულად სთხოვდნენ მოძალადის დაპატიმრებას.

1948 წლის 23 თებერვალს ორმა ახალგაზრდა პოლიციელმა, რომელთაც 44 წელს გამოშვებული „ფორდების“ შემოწმება ჰქონდათ დავალებული, ჰოლივუდის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე ასეთი მანქანა შენიშნა და მისი დათვალიერება გადაწყვიტა. „ფორდის“ მძღოლმა ისინი შეამჩნია და თავის დაღწევა სცადა. სიჩქარეს მოუმატა და ვიწრო ქუჩებში გიჟური სიჩქარით გაქანდა. პოლიციელები „ფორდს“ ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ, თუმცა მალე ჩამორჩნენ და ერთ-ერთმა მდევარმა გაქცეულებს ცეცხლი გაუხსნა. ორი ტყვია „ფორდის“ საბურავს მოხვდა, გახეთქა და ცოტა ხანში მძღოლი იძულებული გახდა გაეჩერებინა მანქანა. იქიდან ორი მამაკაცი გადმოხტა. საჭესთან მჯდომი სახლის სადარბაზოში შევარდა, კიბეზე აირბინა, სახურავზე აძვრა, იქიდან სხვა სახლის სახურავზე გადახტა და ამგვარად დაუსხლტა კანონის დამცველებს.


ქერილ ჩესმენის უკანასკნელი წამები

მეორეს კი გაქცევა არც უცდია, ხელები აწია და პოლიციას დანებდა. როდესაც განყოფილებაში მიიყვანეს აღმოჩნდა, რომ დაკავებული, ქერილ ჩესმენი მანამდე სამჯერ ყოფილა ნამყოფი პასუხისგებაში. პირველად 15 წლის ასაკში — მანქანის გატაცებისთვის, შემდეგ ყალბი საკრედიტო ბარათების დამზადებისთვის და ბოლოს, შეიარაღებული ძარცვისთვის.

— ჰოლივუდში ორი დღის წინ ჩამოვედი, — განაცხადა ჩესმენმა. — მაშინვე ერთი ძველი მეგობარი შემხვდა და სარფიანი საქმე შემომთავაზა: დღეს ტანსაცმლის მაღაზიას დავეცით და ათობით კოსტიუმი გავიტაცეთ...

— თქვენ სიმართლეს ბოლომდე არ ამბობთ, — უთხრეს მას პოლიციაში. — მინიმუმ თვენახევარია, რაც ჰოლივუდში იმყოფებით და ტანსაცმლის მაღაზიის გარდა თქვენს ანგარიშზე რამდენიმე ქალის გაუპატიურებაა!

დაკავებულმა გულიანად გადაიხარხარა. ეს სისულელეაო, თქვა, ფეხზე წამოდგა და განიერი მხრები შეათამაშა:

— კარგად შემომხედეთ, ბატონებო. განა ვგავარ თქვენ მიერ აღწერილ იმ საზიზღარ კაცუნას, იარაღის ძალით რომ იპყრობს ქალებს? მე ნებისმიერ დროს ისედაც შემიძლია უამრავი გოგონა მოვხიბლო.

ინსპექტორები გრძნობდნენ, რომ დაკავებულის სიტყვები ლოგიკას მოკლებული არ იყო. ჩესმენი გარეგნობით მართლაც არ ჰგავდა დაზარალებულთა მიერ აღწერილ მოძალადეს. ეს გაცილებით მაღალი იყო, იარაც არ ეტყობოდა. კბილები საღი ჰქონდა და „ფორდშიც“ ვერანაირი ციმციმა ვერ იპოვეს... მაგრამ თამაში დაწყებული იყო, პოლიციას ყოველ მიზეზს გარეშე უნდა აღმოეჩინა „მოძალადე წითელი ციმციმათი“ და თუ ნამდვილი მოძალადე დანაშაულს აღარ ჩაიდენდა (ბოლო ერთი კვირის მანძილზე ბანდიტი არავის დასხმია თავს და ვარაუდობდნენ, რომ მას შტატის ტერიტორია დატოვებული ჰქონდა), სამართალდამცავები გამონახავდნენ საბაბს, რათა გაუპატიურებები ჩესმენისთვის დაებრალებინათ...

უპირველეს ყოვლისა, დაკავებული დაზარალებულებს წარუდგინეს და თან განუცხადეს, რომ ეს სწორედ ის კაცი იყო, ვინც მათ თავს ესხმოდა. ვერც ერთმა მანდილოსანმა ვერ ამოიცნო ჩესმენში მოძალადე, მაგრამ პოლიციამ მათზე ზეწოლის ხერხები გამოიყენა და ბოლოს და ბოლოს, ათი დაზარალებულიდან ორმა განაცხადა, დარწმუნებული ვართ, სწორედ ეს კაცია მოძალადეო...

პოლიციელები ჩესმენის მიმართ შუა საუკუნეების წამების მეთოდებს იყენებდნენ. ნაცემი, ნაწვალები, უძილო და მშიერი ეჭვმიტანილი იძულებული გახდა ეღიარებინა დანაშაული... მალე სასამართლო პროცესიც დაიწყო. პირველივე სხდომისას მოსამართლის კითხვაზე, ცნობდა თუ არა თავს დამნაშავედ, განსასჯელმა ხმამაღლა დაიყვირა: „არა! არა! არა!“ მაშინ, მოსამართლემ ადვოკატს დაუწყო ძებნა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეჭვმიტანილს დამცველი საერთოდ არ ჰყავდა. მსგავსი საქმეების განხილვისას XX საუკუნის ამერიკაში ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ადამიანი თავად იცავდა საკუთარ თავს — დაინახა რა შტატის ადმინისტრაციის აშკარად უარყოფითი დამოკიდებულება ჩესმენისადმი, ათობით ადვოკატმა უარი განაცხადა პატიმრის დაცვაზე... და მაშინ ეჭვმიტანილმა თქვა, რომ თვითონვე იქნებოდა თავისი თავის ადვოკატი. ეს უდიდესი შეცდომა იყო. საკუთარ უდანაშაულობაში დარწმუნებული ჩესმენი ფიქრობდა, რომ ნაფიც მსაჯულებსაც იოლად დაარწმუნებდა ამაში. მაგრამ მან ვერ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სასამართლო მანქანა, პოლიციის მსგავსად, ხელისუფალთა მხარეს იყო და ეცდებოდა, რაც შეიძლება სწრაფად დაესრულებინა „წითელციმციმიანი მოძალადის“ საქმე. პროკურორად დაინიშნა შტატის საუკეთესო იურისტი, მსაჯულებად კი შეარჩიეს ის ქალბატონები, რომელთა ქალიშვილებიც იმ ასაკისანი იყვნენ, მოძალადე რომ ეტანებოდა ხოლმე... ერთი სიტყვით, თავიდანვე ცხადი იყო, რომ განსასჯელს უმკაცრესად დასჯიდნენ.

პროცესის პირველივე დღეს პროკურორმა ასე მიმართა ნაფიც მსაჯულებს: „წარმოიდგინეთ, რა შეიძლება მოუვიდეთ თქვენს ქალიშვილებს, ეს ადამიანი რომ ოდესმე გაათავისუფლონ...“ თავად განსასჯელს კი არავინ უსმენდა. ამაოდ ცდილობდა იგი, დაემტკიცებინა, რომ არ ჰყავდა „ფორდი“, სრულიად არ ჰგავდა გაზეთებში აღწერილ მოძალადეს, და რომ დანაშაულთა ჩადენის დროს ის სხვა ქალაქში იმყოფებოდა. ალიბიც გააჩნდა...

— მისტერ ქერილ ჩესმენ, ვინ იყო ის პირი, დაკავებამდე თქვენს გვერდით რომ იჯდა „ფორდში“ და შემდეგ გაუჩინარდა? — ჰკითხა მოსამართლემ განსასჯელს.

ჩესმენი კარგა ხანს იჯდა ჩუმად, შემდეგ თავი გაიქნია და ჩაილაპარაკა:

— არ შემიძლია მისი სახელი გითხრათ. როგორც მან მაუწყა, ციხიდან პირობით ყოფილა გამოშვებული და კიდევ რომ ჩავარდეს, დიდი ხნით გაამწესებენ კატორღაში. ამიტომაც ვერ გეტყვით მის ვინაობას.

— იქნებ, სწორედ ისაა „მოძალადე წითელი ციმციმათი“? — არ ეშვებოდა მოსამართლე.

— არ ვიცი. მე მხოლოდ ჩემს თავზე ვაგებ პასუხს. არაერთხელ მიქურდია, მაგრამ ქალებზე ძალადობა არ შემიძლია...

— თქვენ არ ასახელებთ მის სახელს, ამით კი თავადვე ექცევით ეჭვქვეშ და შესაძლოა გაზის საკანშიც ამოყოთ თავი!

— მე მაინც ვერ გეტყვით მის ვინაობას.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და გაისმა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტიც: დამნაშავეა! შტატის კანონის მიხედვით მოსამართლემ ქერილ ჩესმენს სიკვდილი მიუსაჯა. ის ციხეში გადაიყვანეს და მოათავსეს სპეციალურ ბლოკში, სადაც მხოლოდ სიკვდილმისჯილები ისხდნენ. ასე დასრულდა „წითელციმციმიანი მოძალადის“ საქმე, რომელსაც აშშ-ში პრაქტიკულად არანაირი აჟიოტაჟი არ გამოუწვევია, მაგრამ მალე, სრულიად მოულოდნელად, დაიწყო ახალი — „ჩესმენის საქმე“. მან რეკორდები მოხსნა და მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო.

***ჩესმენი და ციხის უფროსი გაზის საკანთან დგანან და კედელზე დაკიდებულ ტელეფონს შეჰყურებენ. რვაჯერ იყო უკვე ასე და ტელეფონიც ყოველთვის რეკავდა. კვლავ გადადეთო სასჯელი, ეუბნებოდნენ ციხის ხელმძღვანელს.***

თავდაპირველად, გარდაიცვალა სასამართლოს სტენოგრაფისტი, რომელსაც გაუშიფრავი დარჩა „მოძალადის“ პროცესზე გაკეთებული ჩანაწერების დიდი ნაწილი. კანონის მიხედვით კი ამ ჩანაწერების გარეშე არ შეიძლებოდა განაჩენის აღსრულება. სასწრაფოდ მოიწვიეს სხვა სტენოგრაფისტები, მაგრამ ურთულესი ნიშნების გამოცნობა მათ ვერ მოახერხეს და ჩესმენის სიკვდილით დასჯა თითქმის ორი წლით გადაიდო.

ჩანაწერები რომ აღადგინეს, ჩესმენმა მათში ათასამდე უხეში შეცდომა იპოვა და სასამართლოს პროტესტით მიმართა. სანამ ამ შეცდომებს ასწორებდნენ, თითქმის ერთმა წელმა კიდევ განვლო. ამასობაში სიკვდილმისჯილმა ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა, რომელიც იმთავითვე ბესტსელერად იქცა და ავტორს უზარმაზარი ჰონორარიც მოუტანა. ქერილ ჩესმენს უკვე შეეძლო ძლიერი ადვოკატების დაქირავება. ასეც მოიქცა. მათ კი კლიენტს კვლავ გაუხანგრძლივეს სიცოცხლე.

ამ დროისათვის სიკვდილმისჯილთა საკანში ჩესმენს უკვე ექვსი წელი ჰქონდა გატარებული და ამ მხრივ მან ცნობილი პატიმრების, საკოსა და ვანცეტის მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა. „ჩესმენის საქმე“ თანდათანობით სენსაციად იქცა. მასში მონაწილეობის სურვილს უკვე მსოფლიოში სახელგანთქმული ადვოკატებიც გამოთქვამდნენ. სიკვდილმისჯილის გათავისუფლების მოთხოვნით ამერიკისა და ევროპის ქალაქებში მიტინგები და მანიფესტაციები ეწყობოდა. მათი მონაწილენი ამტკიცებდნენ, რომ ამდენწლიანი პატიმრობის შემდეგ ქერილ ჩესმენი სრულიად სხვა ადამიანად იქცა და ახალი ჩესმენი — ბრწყინვალე მწერალი და ინტელექტუალი, არ შეიძლება გასამართლდეს, როგორც მოძალადე (თუკი ის ოდესღაც მართლაც იყო მოძალადე). კვლავ და კვლავ იმართებოდა სასამართლო პროცესები, პატიმარს ისევ უხანგრძლივებდნენ სიცოცხლეს, თუმცა განაჩენი მაინც მუდამ ერთი იყო: გაზის საკანი! პატიმარს ათავსებდნენ ამ საკანში, მაგრამ ბოლო წუთებში კვლავ გადაიტანდნენ ხოლმე სასჯელის აღსრულების ვადას...

1958 წელს, სიკვდილმისჯილის დასაცავად გამოვიდა მსოფლიოში აღიარებული ფსიქიატრი უილიამ გრაივსი. თითქმის სამი თვის მანძილზე მუშაობდა ის სან-ქვენთინის ციხეში, განუწყვეტლივ აკვირდებოდა ჩესმენს, სწავლობდა მის ქცევებს და ბოლოს კატეგორიული დასკვნა გააკეთა: ასეთი ადამიანი ვერასოდეს იქნებოდა მოძალადე, რომელიც ქალებს აუპატიურებდა! გრაივსმა ამერიკის მთავრობას თავისი გამოკვლევების შედეგები გააცნო და ჩესმენისთვის სასჯელის შეცვლა მოითხოვა. როცა სახელგანთქმული ფსიქიატრის ამ დემარშს ხელისუფლება სრული იგნორირებით შეხვდა, პროტესტის ნიშნად გრაივსმა საექიმო მოღვაწეობას თავი დაანება. ამან იმოქმედა, თუმცა დროებით.

1960 წლის 2 მაისია, დილის 9 საათი და 45 წუთი. ჩესმენი და ციხის უფროსი გაზის საკანთან დგანან და კედელზე დაკიდებულ ტელეფონს შეჰყურებენ. რვაჯერ იყო უკვე ასე და ტელეფონიც ყოველთვის რეკავდა. კვლავ გადადეთო სასჯელი, ეუბნებოდნენ ციხის ხელმძღვანელს და ისიც, გაბრწყინებული სახით, გადასცემდა ხოლმე ბრძანებას იქვე მდგომ ოფიცრებს...

მაგრამ ამჯერად ტელეფონი დუმს. გარშემო საზარელი სიჩუმეა ჩამოწოლილი. მახლობლად, ათიოდ ნაბიჯში განლაგებული ჟურნალისტები და შტატის ადმინისტრაციის წარმომადგენლები თითქოს არც კი სუნთქავენ. ყველა უზარმაზარ საათს მისჩერებია, ტელეფონის თავზე რომ ჰკიდია. ათს უკვე 8 წუთი აკლია. ოდნავ გასაგონი ხმაური გაისმა. ჩესმენს ციხის თანამშრომლები მიუახლოვდნენ და ფეხსაცმელი გახადეს. ასეთია წესი. სიკვდილმისჯილმა უკანასკნელი ნაბიჯები ფეხშიშველმა უნდა გაიაროს...

საათის პატარა ისარი ათს მიუახლოვდა. მალე მას დიდიც წამოეწევა... დაძაბულობა კულმინაციას აღწევს...

ჩესმენმა იცის, რომ მისმა ადვოკატებმა კიდევ ერთი გამოსავალი იპოვეს, რათა სასჯელის მორიგ გადავადებას მიაღწიონ და ამ წუთებში ისინი კალიფორნიის გუბერნატორთან, გუდმენთან შეღწევას ლამობენ... ადვოკატები მაშინ შეცვივდნენ გუბერნატორთან, როცა ათს 2 წუთი აკლდა. გუდმენი ამბობს, რომ სიკვდილით დასჯის თარიღის გადადება მას უკვე არ შეუძლია... თუმცა თანახმაა მაინც გადადოს, სულ რაღაც 40 წუთით, რათა ადვოკატებს მშვიდად მოუსმინოს. გუბერნატორი თავის მდივანს უხმობს და სთხოვს, რომ სენ-ქვენთინის ციხესთან დააკავშირონ...

ათს ერთი წუთი უკლია. ორ ოფიცერს ჩესმენი გაზის საკანში შეჰყავს. სავარძელზე თასმებით აბამენ და გულზე სტეტოსკოპს უმაგრებენ, რომლის მეორე ბოლოც საკნის გარეთაა — ექიმმა თვალყური უნდა ადევნოს სიკვდილმისჯილის გულისცემას. საკნის ფოლადის კარი იხურება.

ფარდის მიღმა დამალული ადამიანი, რომელიც ჯალათის როლს ასრულებს და ამაში ას დოლარს იღებს, მზადაა თითი ღილაკს დააჭიროს. მაშინ კი სავარძლის ქვეშ დამაგრებულ გოგირდმჟავიან ჭურჭელში ციანიდის კალიუმის ხუთი ბურთულა ჩავარდება...

...გუბერნატორის მდივანს ზეპირად არ ახსოვს ციხის ტელეფონის ნომერი. თავის მაგიდასთან მირბის და წიგნაკში იქექება. როგორც იქნა, პოულობს ნომერს, კრებს, ერთი ზუმერი, მეორე და პასუხობენ... გუდმენი უყვირის ციხის უფროსს, რომ შეაჩერონ წამება, მაგრამ უკვე თერთმეტის ერთი წუთია...

ციანიდის კალიუმი გოგირდმჟავაში ჩაეშვა. რეაქცია დაიწყო. საკანი ვარდისფერი გაზით ივსება... მაყურებლები მშვენივრად ხედავენ, რომ საკანში მყოფს ცახცახი აუტყდა, ცდილობს ჟანგბადი ჩაისუნთქოს, ხარბად აღებს პირს, შუბლზე ოფლი ასხამს... მკვეთრ მოძრაობას აკეთებს, რათა ფეხზე წამოდგეს, მაგრამ თასმები ამის საშუალებას არ აძლევს... მომაკვდავს ლამის ბუდიდან გადმოუცვივდეს თვალები... უკიდურესად დაძაბული სხეული მოულოდნელად დუნდება, სახეს თეთრი ფერი ეკვრის. უსიცოცხლო თავი გვერდზე ეცემა.

ექიმს ესმის, როგორ სწრაფად და სწრაფად ფეთქავს ჩესმენის გული. შემდეგ, თითქოს ფეხი დაუცდაო, გული წამიერად ჩერდება და ფეთქვის რიტმს ანელებს... ექიმი ხმამაღლა აცხადებს: „ქერილ ჩესმენი გარდაიცვალა!“

ნახევარი საათის შემდეგ ციხის უფროსის კაბინეტში აღელვებული ადვოკატი შეიჭრა და მაგიდაზე წერილი დააგდო. რამდენიმე საათის წინ ეს წერილი ადვოკატს თავად ჩესმენმა ჩააბარა და პირობაც ჩამოართვა, რომ კონვერტს მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გახსნიდნენ. პატარა ზომის ბარათზე სულ შვიდი სიტყვა ეწერა: „მაშინ „ფორდში“ ჩემთან ერთად იჯდა ჯო ტერანო“.

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ იმავე დღეს დაიწყო ამ ჯო ტერანოს ძებნა და ორი კვირის შემდეგ მიაგნო მას. აღმოჩნდა, რომ ტეხასის შტატში მას უკვე რამდენიმე თვეა ეძებენ, როგორც სამ მკვლელობაში ეჭვმიტანილს.

ტერანო გაასამართლეს, ძალიან მალე სიკვდილი მიუსაჯეს და განაჩენიც უმალ აღასრულეს.

სასამართლოს მსვლელობის დროს ყურადღება რამდენიმე გარემოებამ მიიქცია. ჯო ტერანო გარეგნულად ძალიან ჰგავდა 13 წლის წინ ჰოლივუდში დაზარალებულ ქალიშვილთა მიერ აღწერილ „მოძალადეს წითელი ციმციმათი“. ტერანოს ჰქონდა იარა წარბს ზემოთ. აღმოაჩინეს ისიც, რომ უწინ 1944 წელს გამოშვებული „ფორდი“ ჰყოლია. გარდა ამისა, ათობით მოწმის დაკითხვის საფუძველზე დადგინდა, რომ ამ 13 წლის მანძილზე ჯო ტერანო არაერთხელ შეუმჩნევიათ მანქანის საჭესთან მჯდომი — ის თურმე წითელ ციმციმას ანათებდა ხოლმე და თავს პოლიციელად ასაღებდა...

**მიხეილ ჩერქეზია**

# ცხოვრებისეული კურიოზები

## გულახდილობა



აჭარის ერთ სოფელში ქორწილია. ოჯახი გახარებულია, როგორც იქნა, დაადგა საშველი — 40 წლის ვაჟკაცმა ცოლი შეირთო.

შუა ლხინის დროს ჩამოვიდა თბილისიდან ნეფის უმცროსი სტუდენტი ძმა. ცოტა ხანს უყურა სიძე-პატარძალს, მერე ძმას გაბრაზებულმა მიახალა:

— 40 წელი ქალი ვეძიო და ამფერი მევიყვანო, ჯო?!..

***მაკო, ბათუმი***

## პატარა გაუგებრობა

ყველას კარგად გვახსოვს ის ავადსახსენებელი დრო, როდესაც ბენზინის რიგში აყალმაყალი და ხშირად ხელჩართული ბრძოლა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამ მხრივ მცხეთაში შედარებით კარგად იყო საქმე, ყოველ მესამე დღეს „თეატრონის“ (ტყე-პარკი) ტერიტორიაზე ავტოცისტერნებით მოჰქონდათ „ძვირფასი სითხე“ და მანქანიანი მცხეთელები ფულსა და ძილს არ იშურებდნენ „კანისტრა“ ბენზინისთვის. რიგში ღამის გათენებაც გასაკვირი აღარ იყო.

ერთ „მშვენიერ“ ღამეს, უბენზინობით შეწუხებულმა ერთმა მცხეთელმა კაცმა ტყე-პარკს მიაშურა. ადგილზე მისულს მხოლოდ ერთი მანქანა დახვდა — კარგია, გაიფიქრა ჩვენმა გმირმა, — პირველი თუ არა, მეორე მაინც ვიქნებიო. გადმოვიდა, დამხვდური მანქანის კარი გამოაღო და შესძახა:

— ძმაკაც„ შენს მერე მე ვარ და აბა, შენ იცი.



მხოლოდ ავღანეთმა და თალიბებმა აღიარეს ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა. მაგრამ თალიბები მსოფლიო პოლიტიკური პროცესის მიღმა დგანან, ამიტომ საეჭვოა მათმა მხარდაჭერამ უშველოს ჩეჩნეთს. სწორედ რომ პირიქით იქნება. ცენტრალური აზიის ქვეყნების მთავრობები ავღანეთს საკუთარი ისლამისტების საყრდენ ბაზად განიხილავენ. ამ ქვეყნების მთავრობები უფრო საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნავენ, ვიდრე სატრანსპორტო კორიდორის შექმნაზე. თალიბებსა და ჩეჩნებს ჰყოფთ მთები, ზღვები და არამეგობარი ქვეყნები. როგორ არ უნდა გაგვახსენდეს ამ დროს მაოს გამოთქმა: „სხვისი წყალი ცეცხლს ვერ ჩააქრობსო".

***ზა რუბეჟომ №3.***



## გროზნოში მხოლოდ სნაიპერები დარჩნენ

ჩეჩნეთში დასავლეთის დაჯგუფების მხედართმთავარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. შამანოვი თვლის, რომ ჩეჩენი ბოევიკების საბრძოლო სული დაეცა, „ბევრი უარს ამბობს ბრძოლაზე, მეთაურთა ავტორიტეტი აღარაფერს ნიშნავს," იგი დარწმუნებულია, რომ ფედერალური ჯარი გროზნოში გაიმარჯვებს. საამისოდ მას საფუძველი აქვს. ცხადი გახდა, რომ მართალია ლ. დუდაევის, ხ. ისრაფილოვის და ა. ისმაილოვის დაღუპვის ამბავი, შამილ ბასაევთან დაკავშირებით სიტუაცია ნათელი არ არის. ჩეჩნური წყაროები აცხადებენ, რომ ბასაევი მსუბუქადაა დაჭრილი და განაგრძობს ბრძოლის ხელმძღვანელობას. გენერალ-მაიორის, შამანოვის მტკიცებით, არღუნის ხეობის შესასვლელის აღებისას განადგურდა 300-500 ბანდიტი, ფედერალურმა ჯარმა 30-მდე ადამიანი დაკარგა.

რუს სამხედროებს მიაჩნიათ, რომ ჩეჩნეთის დედაქალაქს რამდენიმე დღეში სრულიად გააკონტროლებენ. მათი თქმით, ფედერალური ჯარები უკვე აკონტროლებენ გროზნოს 50 პროცენტს, ამასთან „ორგანიზებულ წინააღმდეგობას" თითქმის არ ხვდებიან. ფედერალებს წინააღმდეგობას ძირითადად უწევენ სნაიპერები, სამხედრო წყაროების ცნობით, მათ შორის ბევრია დაქირავებული, სწორედ სნაიპერები აყენებენ ყველაზე მეტ ზიანს ფედერალურ ჯარებს.

ჩეჩნეთის სახელმწიფო საბჭოს მეთაურის მ. საიდულაევის მტკიცება, თითქოს გროზნოს ალყა გაარღვია ბოევიკთა ორიათასკაციანმა რაზმმა, სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. და თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლოა ბოევიკებმა ფაქტობრივად ქალაქი ჩააბარეს, მთებს შეეხიზნენ და უნდა ველოდოთ ომის პარტიზანულ ეტაპს. გენერალ-მაიორი ვ. კაზანცევი შესაძლო გარღვევებს დაუშვებლად მიიჩნევს, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ფედერალურმა ჯარებმა არაერთხელ აღკვეთეს ბოევიკთა მთებში გახიზვნის მცდელობაო.

***იზვესტია №15***

## მადლენ ოლბრაითი მოსკოვს პუტინის გასაცნობად ეწვია...

პროტოკოლით დაგეგმილი 40 წუთის ნაცვლად ვლ. პუტინისა და ამერიკის სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაითის შეხვედრა თითქმის სამი საათი გაგრძელდა. ვაშინგტონელმა სტუმარმა ამის გამო გაფრენაც კი შეაყოვნა, თუმცა ამას სულაც არ ნანობს. ამგვარი ხასიათის საუბრისათვის სამი საათი საკმაოდ სოლიდური დროა, მაგრამ თუ ახლა დასავლეთში ცდილობენ იმის გარკვევას, „ვინ არის პუტინი და რას უნდა ველოდეთ მისგან", მადლენ ოლბრაითმა ამ კითხვაზე პასუხი უკვე მიიღო. პირველ ყოვლისა, თანამოსაუბრეები შეთანხმდნენ, რომ რუსულ-ამერიკულ ურთიერთობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს XX საუკუნეში, თუმცა უკანასკნელ ხანს მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის სიცივემ დაისადგურა, მაგრამ ამერიკას არ ჩაუქნევია ხელი რუსეთზე და არც რუსეთი აპირებს ოკეანის მიღმა მტრის ძებნას.



პრინციპული იყო ჩეჩნეთის საკითხი. ვაშინგტონი მოსკოვს სანქციებით აშკარად არ დამუქრებია, მაგრამ გამუდმებით აფრთხილებს მოსკოვს, რომ მას „ჩეჩნეთთან ომი ძვირი" დაუჯდება. პუტინმა ქალბატონ ოლბრაითს განუცხადა, რუსეთის პოზიცია ჩეჩნეთის მიმართ გარედან ზეწოლის მიუხედავად, უცვლელიაო. ისე რომ, თანამოსაუბრეები საკუთარ პოზიციაზე დარჩნენ. მათ სხვა საკითხებზეც ისაუბრეს — ბირთვული იარაღის კონტროლზე, სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებზე, კონტაქტების გაფართოებაზე. მადლენ ოლბრაითის თქმით, შეერთებული შტატები ყველა შემთხვევაში აპირებს ალასკაზე რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგებას, იმის მიუხედავად, მოეწონება თუ არა ეს რუსეთს და შესაძლოა, ეს ამ ზაფხულსვე მოხდეს.

***კომსომოლსკაია პრავდა №20.***

## მუშარაკი ბჰუტოს დაბრუნებას ითხოვს

გენერალი მუშარაკი, რომელიც შარშან გადატრიალების შემდეგ ჩაუდგა სათავეში პაკისტანის ხელისუფლებას, დაჟინებით მოითხოვს, რომ ბრიტანეთის პოლიციამ დააპატიმროს ბენაზირ ბჰუტო, რომელიც ინგლისში ცხოვრობს და გადასცეს პაკისტანის მართლმსაჯულებას. მაგრამ ჩანს, რომ ბრიტანელები არ ჩქარობენ გენერლის თხოვნის შესრულებას, ვინაიდან უზარმაზარი თანხა, რომელიც ბჰუტოს ოჯახმა საზღვარგარეთ გაიტანა, საიდუმლო საბანკო ანგარიშზეა და მოსაძებნია; სახარჯო ფულს ქალბატონმა ბენაზირმა ინგლისში ჩასვლისთანავე გაუკეთა დეკლარირება და ადგილობრივი კანონები არ დაურღვევია. მიუხედავად ყველაფრისა, პაკისტანელ მიმომხილველებს მაინც მიაჩნიათ, რომ ხელისუფლების სათავეში ენერგიული მუშარაკის მისვლით დასრულდა დემოკრატი ქალის მშვიდი ცხოვრება — პაკისტანის დაზვერვის აგენტებს ნებისმიერ წუთს შეუძლიათ მისი მოტაცება და სამშობლოში გასამართლება.

***ნიუზუიქი, 3 თებერვალი***

## ბლერსა და ტეტჩერს პინოჩეტის ბედი ელით

ჩილელი ტირანის — აუგუსტო პინოჩეტის ინგლისში დაპატიმრებამ მსოფლიო პრეცედენტი შექმნა: ამიერიდან არც ერთი (ჰუსეინისა და მილოშევიჩის მსგავსი) დიქტატორი, როგორი იმუნიტეტითაც არ უნდა სარგებლობდეს, ხანდაზმულ, მშვიდ ცხოვრებას ვერ ეღირსება. ინგლისის ხელისუფლება ხშირად ახსენებდა მსოფლიოს ამ პრეცედენტის მნიშვნელობის შესახებ. როგორც ირკვევა, „პინოჩეტის პრეცედენტი" მხოლოდ დიქტატორებზე კი არ ვრცელდება, არამედ დემოკრატიულად არჩეულ ლიდერებზეც. მარგარეტ ტეტჩერის ფონდის პრესსამსახური იუწყება, რომ ბარონესა რამდენიმე თვეს თავს შეიკავებს საზღვარგარეთ ვიზიტებისაგან. „არაჯანსაღი იურიდიული პრეცედენტის გამო, რომელიც სენატორ პინოჩეტის სამარცხვინო დაპატიმრების შემდეგ შეიქმნა". შეგახსენებთ, 1982 წელს, ანგლო-არგენტინის კონფლიქტის დროს (ფოლკლენდის კუნძულებისთვის) ქალბატონმა ტეტჩერმა, რომელიც იმ დროს დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას მეთაურობდა, პირადად გასცა ბრძანება არგენტინის კრეისერის „გენერალ ბულგრანოს" განადგურების შესახებ, რომელიც ნეიტრალურ ზონაში იმყოფებოდა. არგენტინის სამართალდამცავი ორგანოები იუწყებიან, რომ არგენტინის ხელისუფლება ამზადებს მოთხოვნას ტეტჩერის დაპატიმრებისა და ექსტრადიციის შესახებ, თუკი იგი საზღვარგარეთ იქნება გასული.





არც ბრიტანეთის ამჟამინდელ პრემიერს სძინავს მშვიდად. სანამ ტონი ბლერი ხელისუფლების მეთაურია, პატიმრობა, რასაკვირველია, არ ემუქრება. მაგრამ გადადგომის შემდეგ ექსტრადიციის ორდერი პრაქტიკულად გარანტირებული აქვს მას, 1999 წლის მარტ-ივნისის იუგოსლავიის დაბომბვაში აქტიური მონაწილეობისათვის. ისიც ცნობილია, რომ რუსეთი და ჩეჩნეთი ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალისაგან მოითხოვენ გასული წლის გაზაფხულზე იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს მოქმედებების განხილვას. ასე რომ, გადამდგარმა ბლერმა უცხოეთში ვოიაჟი კარგად უნდა გაიაზროს, რადგან იგივე იუგოსლავია და რუსეთიც კი, ნებისმიერ მომენტში მის დაპატიმრებას მოითხოვენ. „პინოჩეტის პრეცედენტი", როგორც ჩანს, თავზე მას ატყდება, ვინც ბევრი რამ გააკეთა „პრეცედენტის" შესაქმნელად.

***იზვესტია №15***

## ჰანს ბლიქსი ერაყს განაიარაღებს

გაეროს უშიშროების საბჭომ, ბოლოს და ბოლოს, არჩევანი შვედ ექსპერტზე ჰანს ბლიქსზე შეაჩერა. მან უნდა უხელმძღვანელოს განიარაღების სფეროში ერაყის საერთაშორისო ვალდებულებათა შემმოწმებელ ახალ ორგანოს. ჰანს ბლიქსი მანამდე ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელობდა, იგი რბილი ხასიათის პიროვნებაა: ვაშინგტონს ამ პოსტზე უფრო მკაცრი კონტროლიორის იმიჯის მქონე ადამიანის ხილვა სურდა.

ბლიქსის არაკეთილმოსურნენი აცხადებენ, რომ თავის დროზე მან ვერ გახსნა სადამ ჰუსეინის ატომური ბომბის შექმნის ამბიციური პროგრამა. კრემლისთვის მთავარი ამოცანაა, მშვიდობიანობა დაამყაროს საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებში. თეთრ სახლს სურს დააკონსერვოს კონფლიქტური სიტუაცია საპრეზიდენტო არჩევნებამდე.

ბაღდადი კი ჯერჯერობით იმით არის კმაყოფილი, რომ ნავთობის ფასი არ იკლებს და ჩქარი ტემპით ივსებს რეჟიმის ფინანსურ ჯიბეს. საინტერესოა, რას იზამს 71 წლის ბლიქსი, დიდი თამაშის რბილ სათამაშოდ იქცევა, თუ განტევების ვაცის როლს შეასრულებს? სავსებით ნათელია, რომ მას თავისი წინამორბედის, რიჩარდ ბატლერის დაფნის გვირგვინზე არავითარი პრეტენზია არ აქვს.

***ნოვიე იზვესტია №14.***

## მოკლედ

ბოლო 50 წელია, ამგვარი უხვთოვლიანობა არ ახსოვს **ისრაელსა და პალესტინის** ავტონომიას. თოვლის 40 სმ-იანმა ფენამ დაფარა იერუსალიმი და ქვეყნის სხვა ქალაქები.

**წყნარი ოკეანის სანაპიროსთან**, სანტა-ბარბარადან 30 კმ-ის დაშორებით წყალში ჩავარდა ლაინერი MD-80. დაიღუპა 88 ადამიანი, რომლებიც მექსიკის ქალაქ პუერტო-ვალიარტადან სან-ფრანცისკოში მიფრინავდნენ.

ცნობილი **ამერიკელი** მწერალი კურტ ვონენგუტი ნიუ-იორკის ერთ-ერთ საავადმყოფოში იმყოფება. იგი საკუთარი უყურადღებობით გაჩენილი ხანძრის მსხვერპლია. მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. 77 წლის მწერალს სხეულის დიდი ნაწილი დამწვარი აქვს.

**ინდოეთის** ქალაქ კალკუტის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა ხუთ რუს მფრინავს ლატვიიდან და ერთ ინგლისელ მოქალაქეს. მათ ბრალი დაედოთ ინდოეთის მთავრობის მიმართ შეთქმულებაში, რაც 1995წ. ბენგალიელი სეპარატისტებისთვის იარაღის არალეგალურ მიწოდებაში გამოიხატა.

საიდუმლო პოლიტიკა ახლო სამეზობლოდან — ძმები ბასაევები...

# ვინ ააფეთქა რუსეთი...

## ტერორისტებს სახელმწიფო სადაზვერვო სამმართველოში წვრთნიდნენ

მოსკოვში საცხოვრებელი სახლები ააფეთქეს შირვან ბასაევის ბოევიკებმა, რომლებიც გარკვეულ დრომდე რუსეთის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში იყვნენ დაკონსერვებულნი.

ბოევიკი ძმები შამილ და შირვან ბასაევები რუსეთის სპეცსამსახურებმა გამოწვრთნეს. უფროსი, შამილი ГРУ-ს სამხედრო დაზვერვის აგენტია 1991 წლის შემოდგომიდან, უმცროსი — შირვანი კი 1992 წლის აგვისტოდან.



შამილის გადაბირებას ГРУ სამი წლის განმავლობაში ცდილობდა. მაშინ, 80-იანი წლების ბოლოს იგი წვრილ კომერციას ეწეოდა, ამასთანავე იცნობდა ჯოჰარ დუდაევს. ჩეჩნეთის მომავალმა პრეზიდენტმა და შამილმა ერთმანეთი 1986-87 წლებში გაიცნეს მოსკოვში, შეიარაღებული ძალების შტაბში, სადაც შამილი სამხედრო ვალდებულებას იხდიდა, ხოლო ჯოჰარი ავღანეთში მძიმე ბომბდამშენთა პოლკს მეთაურობდა.

**...ბასაევები ГРУ-ს დავალებას ასრულებდნენ, მაგრამ საკუთარი თავიც არ დავიწყებიათ.**
**...შამილი აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ხდება.**
**...აფხაზეთის ომში გამდიდრებული ძმები ხატაბთან ერთად აწყობენ გეგმებს, როგორ გააკეთონ ფული ომში.**

ГРУ-ს თანამშრომლები, რომლებიც იმხანად შამილთან მუშაობდნენ, ამტკიცებენ, რომ 90-იანი წლების დასაწყისში იგი ბოევიკის კარიერაზე ნამდვილად არ ფიქრობდა, მაგრამ უკვე ამჟღავნებდა ექსტრემიზმისკენ მიდრეკილებას.

1991 წლის 19 აგვისტოს ГКЧП-ს შექმნისთანავე კომერსანტი ბასაევი მივიდა თეთრ სახლში და ყუმბარებით სავსე ჩანთა მიიტანა. ელცინის დავალებით, სხვებთან ერთად თეთრ სახლს შამილ ბასაევიც იცავდა. პუტჩი ჩახშობილ იქნა. ბასაევს ГРУ-ში მუშაობა შესთავაზეს. 1992 წლის აგვისტო. საქართველო-აფხაზეთის ომი. რუსეთი ფარულად მხარს უჭერს აფხაზეთს. ბასაევს ავალებენ კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული რაზმის ჩამოყალიბებას. ოფიციალურად რუსეთი ომში არ ერევა, მაგრამ ГРУ-ს ოფიცერი ანტონ სურიკოვი, გვარს იცვლის და აფხაზეთში მიემგზავრება. იგი ხდება აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მრჩეველი, ხელმძღვანელობს სადაზვერვო-დივერსიულ მიმართულებას. სამხედრო მოქმედებებს რუსეთის მხრიდან კურირებს თავად თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი.

შამილი თავისი მეომრებითურთ „იკარუსით" ჩადის მინვოდში, იტაცებს ორ სამოქალაქო შვეულმფრენს, დაუბრკოლებლად გადაუფრენს ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის ტერიტორიას, გადაიფრენს კავკასიის მთავარ ქედს და აფხაზეთის მიწაზე ეშვება.

ბასაევის ბოევიკები მამაცურად იბრძვიან. შამილი აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ხდება. ახლა ბასაევი და სურიკოვი გვერდიგვერდ მუშაობენ.

ანტონ სურიკოვმა გადაიბირა უმცროსი ძმა — შირვან ბასაევი. ГРУ-ს თანამშრომელი პირადად ასწავლის მას დივერსანტულ საქმიანობას. უმცროსი ბასაევის პირველი დივერსანტული ცდა იყო ორი აფეთქება სოხუმში — ერთი გაზაფხულზე და მეორე 1993 წლის ივლისში. აფხაზეთის სომხებისგან შემდგარი რაზმის დახმარებით შირვანი ფეთქებადი ნივთიერებებით ავსებს ორ მანქანას. ერთს აყენებენ ქართული არმიის შენობის უკან, მეორეს — მეთაურთა პუნქტის გვერდით. ოპერაცია წარმატებით დამთავრდა. აფეთქება შეტევის დაწყების მაუწყებელია. აფხაზ-ჩეჩენ-კაზაკთა ფორმირებები იპყრობენ გაგრას, განთიადსა და ლესელიძეს.

შამილ ბასაევი ჩეჩენთა ბატალიონს მეთაურობს, ანტონ სურიკოვი ჩრდილოეთის ფრონტს.

რუსეთის სპეცსამსახურების ამოცანაა — არ შეუშვან აფხაზეთში კრიმინალური ავტორიტეტის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის თენგიზ კიტოვანის არმია, არ დაუშვან საქართველოსთან საზღვარზე აფხაზეთის პრორუსულ ბუფერულ ზონად ქცევა.

პარალელურად, სპეცსამსახურები შამილს სხვა ოპერაციებში, სხვა „ცხელ" წერტილებშიც იყენებენ. 1992 წლის დასაწყისში, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დროს, იგი 3 თვე „მუშაობს" ყარაბაღში, რის შემდეგაც მას ისევ აფხაზეთში გზავნიან.

მაგრამ აფხაზეთის ომი დამთავრდა. უფრო სწორად, დროებით ჩაწყნარდა. ბასაევები თავიანთი ბატალიონით ჩეჩნეთში ბრუნდებიან — ადლერში სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტის გავლით. მესაზღვრეები უპრობლემოდ უშვებენ ბოევიკებს, შვეულმფრენების გამტაცებლებს, რუსეთის ტერიტორიაზე.

1995 წლის ზაფხული. პირველი ჩეჩნეთის ომი. ბუდიონოვსკი. ჟურნალისტებმა არაერთხელ დასვეს შეკითხვა, როგორ მოახერხა ორმოცამა შეიარაღებულმა ბოევიკმა, ორი „კამაზით" ფედერალური ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, ჩრდილო ოსეთის ყველა ბლოკპოსტის და მერე სევასტოპოლის მხარის გავლა?

ასე იყო საჭირო. ტყვეების ხმაურიანი აყვანა სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების მიზეზი უნდა ყოფილიყო.

ბასაევები ГРУ-ს დავალებას ასრულებდნენ, მაგრამ საკუთარი თავიც არ დავიწყებიათ. ჯერ კიდევ 1991 წელს ისინი დაუკავშირდნენ ჩეჩნეთში ჩამოსული ვაჰაბიზმის იდეოლოგს, საუდის არაბეთის დაზვერვის აგენტს, საერთაშორისო ტერორისტ ხატაბს. ნაცნობობა საქმიან თანამშრომლობად იქცა. აფხაზეთის ომში გამდიდრებული ძმები ბასაევები ხატაბთან ერთად აწყობენ გეგმებს, როგორ გააკეთონ ფული ომში.

სქემა ასეთია: ხატაბი წმინდა ომისთვის შოულობს ფულს საუდის არაბეთში, მუსლიმანთა ექსტრემისტული ორგანიზაციებისგან. ფულს ანაწილებს შამილ ბასაევი. რაც უფრო ხმაურიანია ომი, მით უფრო მეტს იძლევიან, მაგრამ აუცილებელია ჩეჩნებს ვინმე ეომებოდეს. ვინ? რაღა თქმა უნდა, რუსეთი. ამიტომ ფულის ნაწილი უნდა გადაეცეს რუსეთის პოლიტიკოსებს და სამხედროებს, რომ იომონ.

შეიძლება ამ სქემით წარიმართა პირველი ჩეჩნეთის კომპანია. ორმხრივი დაინტერესება დღესაც არსებობს. ამიტომ არიან ჩეჩნების მეთაურები ცოცხლები.

მაგრამ ფული თავდება და სალაროს შესავსებად ბასაევი თავს ესხმის დაღესტანს. დაგეგმილი ოპერაციის შესახებ ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა პირადად შეატყობინა კრემლს.

1999 წელი, შემოდგომა. დაღესტანში შეჭრამდე წინა დღეს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ალექსანდრე ვოლოშინი შეხვდა შამილ ბასაევს ნიცასთან ახლოს, ბულიეში, არაბი იარაღით მოვაჭრის ადან ჰაშოვის ვილაში, საიდუმლო მოლაპარაკების მიზნით?

კრემლს სერიოზულად ეშინოდა, რომ დაღესტანში გამართული ბრძოლა მთელ კავკასიას ააფეთქებდა და რუსეთისათვის საშინელ შედეგს გამოიღებდა. ვოლოშინი შეეცადა, ბასაევი დაეთანხმებინა, რომ საბრძოლო მოქმედება არ გაეშალა დაღესტანში, მაგრამ სამაგიეროდ ვერაფერი შესთავაზა. მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყოლია.

რუსეთი გადაარჩინა დაღესტნელმა ხალხმა, რომელიც არ გაჰყვა ვაჰაბიტებს, მხარი არ დაუჭირა ბოევიკებს.

შამილ ბასაევი დაღესტანში დამარცხდა, მაგრამ ომისათვის ფული უკვე მიღებული ჰქონდა, ომი უნდა გაგრძელებულიყო, ამიტომაც უმცროსი ძმა შირვანი აგრძელებს რუსეთში „დაკონსერვებული" ბოევიკების მომზადებას, რომლებმაც მოაწყვეს აფეთქებები ბუინაკსკში, ვოლგოდონსკში, ამას მოჰყვა მორიგი ანტიჩეჩნური ისტერია, ახალი ომი, მოწოდება — შური ვიძიოთ ჩეჩნებზე.

რა გამოდის? ბასაევები აღარ მუშაობენ სამხედრო დაზვერვაზე? პუტინის მუქარა — ტერორისტებს „ჩავხოცავთო", რატომ დარჩა ლიტონ სიტყვად? ბორის ბერეზოვსკიმ რატომ განაცხადა თავის სატელევიზიო გამოსვლაში, ტერორისტთა თავკაცები საზღვარგარეთ გავუშვათო? იქნებ ასეა ჩაფიქრებული.

*პეტრე პრიანიშნიკოვი*
*ვერსია №3*




# მოკლეს არკანი!

**15 იანვარს, საღამოს 5 საათზე, ბელგრადის ცენტრში ავტომატის ჯერით ჩაცხრილეს ზელიიკო რაზნიატოვიჩი, იგივე არკანი, სერბეთის დამნაშავეთა სამყაროს ლიდერი, საფეხბურთო კლუბ „ობილიჩის" პატრონი, „ვეფხვების" დაუნდობელი მეთაური, აღიარებული სახალხო გმირი.**

### ქურდი

ზელიიკო რაზნიატოვიჩი დაიბადა 1953 წელს, სლოვენიაში, გენერლის ოჯახში. 17 წლის იყო, როცა ქურდობისთვის დააპატიმრეს და 2 წელი მიუსაჯეს. სწორედ ციხეში შეარქვეს მას არკანი დაუნდობლობისათვის. განთავისუფლების შემდეგ სამსახური დაიწყო იუგოსლავიის უშიშროებაში. იქ იგი სპეცდავალებებს ასრულებდა. 70-იან წლებში იუგოსლაველ დისიდენტთა მკვლელობებს მას მიაწერენ.

დაზვერვაში სამსახურის პერიოდში მან მრავალმხრივ „გამოიჩინა" თავი. ევროპაში მოგზაურობის დროს არკანმა გაძარცვა რამდენიმე ბანკი და საიუველირო მაღაზია იტალიაში, შვედეთში, ბელგიაში, ჰოლანდიასა და გფრ-ში. ინტერპოლმა მის დაჭერაზე შვიდი ორდერი გასცა. ოთხჯერ დააპატიმრეს, მაგრამ ციხიდან გაქცევა ოთხჯერვე მოახერხა.

შვედეთში არკანს საკანში ვილაცამ იარაღი გადასცა. მან პირდაპირ სასამართლო დარბაზში ატეხა სროლა და გაიქცა. ბელგიაში დაიჭირეს და 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს,



მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ გაიქცა და ნიდერლანდებში იმალებოდა. 1981 წელს იგი გერმანიაში დააპატიმრეს, მაგრამ ჰოსპიტლიდან გაიპარა, სადაც დაკავების დროს მიღებული ჭრილობის გამო დააწვინეს.

რაზნიატოვიჩ-არკანს ევროპაში აღარ ჩაესვლებოდა. ამიტომ ბელგრადში დარჩა. იქ პატარა რესტორანი გახსნა და 1990 წლამდე შედარებით მშვიდობიანად ცხოვრობდა.

### ბანდიტი

90-იან წლებში მისი სახელი კვლავ ამოტივტივდა. იუგოსლავია იშლებოდა, ბოსნიაში ომი დაიწყო. ახლა უკვე ცნობილია, რომ 1989 წლიდან არკანი, სლობოდან მილოშევიჩის დავალებით ჰყიდდა იუგოსლავიის არმიის იარაღსა და ტყვია-წამალს — ბოსნიელ სერბებს აძლევდა. გარდა ამისა, 1990 წელს გახდა ცნობილი, რომ ფეხბურთის გუნდის „ცრვენა ზვეზდა"-ს თაყვანისმცემლები, რომლებიც არკანის რესტორანში იკრიბებოდნენ, სინამდვილეში გახლდათ კარგად შეიარაღებული კერძო არმია, რომელმაც წვრთნა ბელგრადთან მდებარე სპეციალურ ბანაკებში გაიარა.

1991 წელს არკანმა თავის პირად არმიას „ვეფხვები" უწოდა და ხორვატიასა და ბოსნიაში „სერბთა თავისუფლებისთვის" საბრძოლველად გაემგზავრა. სერბები აღმერთებდნენ არკანს. ყველა გასაწვევი ასაკის ბოსნიელი თუ ხორვატიელი სერბი მისგან იღებდა ავტომატს, ყუმბარებს, ჯავშანჟილეტებსა და ჩაფხუტებს.

### მკვლელი

„ვეფხვებმა" დაუნდობლობით და სისასტიკით გაითქვეს სახელი. მათი ბრძოლის მეთოდი უბრალო იყო: არკანის ბოევიკები შეცვივდებოდნენ თუ არა მუსლიმანთა თუ ხორვატთა სოფლებში, პირველ რიგში ყველა ბანკსა და საიუველირო მაღაზიებს ძარცვავდნენ. შემდეგ მოსახლეობისგან ხარკს — ფულს, ძვირფასეულობას, ავტომობილებს, ელექტროაპარატურას კრეფდნენ (მერე ყველაფერი ეს არკანის მაღაზიებში ლეგალურად იყიდებოდა). როცა წასაღები არაფერი იყო, „ვეფხვები" სოფლებს თავიანთი მოსახლეობითურთ მიწასთან ასწორებდნენ. ორი წლის განმავლობაში „ვეფხვებმა" მუსლიმანებისა და ხორვატებისაგან უზარმაზარი ტერიტორიები გაწმინდეს.

არკანი ხორვატებს და მუსლიმანებს ხოცავდა, ძმა-სერბებზე კი მდიდრდებოდა. მან ომის პერიოდში ბენზინის გაყიდვის მონოპოლია ჩაიგდო ხელში და სერბებს ერთ ავზში 1.000 მარკას ართმევდა. მისთვის გამდიდრების კიდევ ერთი გზა, წვევამდელთა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება იყო, რაშიც 2,5-5 ათას მარკას იღებდა.

1997 წელს ბოსნიაში სამხედრო დანაშაულთა საერთაშორისო ტრიბუნალმა არკანისა და მისი ქვეშევრდომების დაჭერის ორდერი გასცა. საბრალდებულო დასკვნა 3,5 ათას გვერდს ითვლიდა, მაგრამ არკანი ამან ვერ შეაშინა.

ხორვატიასა და ბოსნიაში ჩადენილმა „გმირობებმა" დიდება და სახელი მოუტანა და მანაც პოლიტიკურ თამაშებში ჩაბმა გადაწყვიტა. 1992 წელს არკანმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა დეპუტატობაზე სერბსკაია სკუპშჩინაში, კოსოვოს ავტონომიური მხარიდან. „ალბანელებო, წაეთრიეთ შინ", — ასეთი იყო მისი წინასაარჩევნო კამპანიის ლოზუნგი. და ის, რომ მან ხმების უმრავლესობა მიიღო, სულ არ არის გასაკვირი: ალბანელები არჩევნებზე საერთოდ არ მისულან.

შემდეგ არკანმა მილოშევიჩის მხარდაჭერით შექმნა სერბეთის ერთიანობის პარტია. თუ არკანს დიდება უნდოდა, მილოშევიჩს ეს პარტია სერბეთის რადიკალური პარტიის ვოისლავა შეშელისთვის ხმების წასართმევად სჭირდებოდა. მალე ყველაფერი შეიცვალა — მილოშევიჩი და შეშელი დამეგობრდნენ, არკანი კი, თავისი პარტიით, ხელცარიელი დარჩა. შემდგომ საპარლამენტო არჩევნებში მან ერთი ადგილიც ვერ მიიღო. მაშინ არკანმა პოლიტიკაზე ხელი ჩაიქნია.

### საქმოსანი

არკანი იმდენად გამდიდრდა, რომ საფეხბურთო კლუბი „ობილიჩიც" იყიდა, რომელიც სულ მალე იუგოსლავიის ჩემპიონი გახდა. მაგრამ საერთაშორისო ჩემპიონატებზე გუნდს მაინც არ უშვებდნენ, რადგანაც გუნდის პატრონზე მუდმივად ძებნა იყო გამოცხადებული. მაშინ არკანმა კლუბის უფროსად გამოაცხადა თავისი მესამე ცოლი ცეცა (სერბეთის პოპ-ვარსკვლავის სვეტლანა რაზოატოვიჩის სცენური ფსევდონიმი).

ისინი 1995 წელს ბოსნიაში დაქორწინდნენ, სადაც ცეცა „ვეფხვებისთვის" კონცერტის გასამართად ჩავიდა. არკანს ცეცასთან ორი



შვილი შეეძინა. სულ სამივე ცოლთან კი 9 შვილი ჰყავდა.

1995 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა დეიტონის შეთანხმებას. არკანი იძულებული გახდა თავის „ვეფხვებთან" ერთად ბოსნიიდან წასულიყო. „ვეფხვები" ნამდვილ განგსტერებად იქცნენ, არკანმა კი ბელგრადში იყიდა კაზინო, რამდენიმე მაღაზია, რესტორანი და აიშენა სასახლე.

არკანი სერბეთში ყველაზე მდიდარ კაცად და მილოშევიჩების ოჯახის უახლოეს მეგობრად ითვლებოდა. ინტერპოლის 7 ორდერისა და ჰააგის ტრიბუნალის ბრალდების მიუხედავად, სერბეთში იგი თავს ლაღად გრძნობდა. ბოლო დღემდე არკანი სახელმწიფო უშიშროების სამსახურისნომრიანი მანქანით დაქროდა. მის გადაცემაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო...

ყველაფერი კარგად იყო, ვიდრე კოსოვოში კონფლიქტი დაიწყებოდა. არკანის საქმიანი კავშირები ალბანეთის მაფიასთან, რომელიც მისგან იარაღს ყიდულობდა და რომელსაც ნარკოტიკების გატანაში ეხმარებოდა, მას ხელს უშლიდა აქტიურად ჩარეულიყო მოვლენების განვითარებაში. არავის სჯეროდა, რომ როცა კოსოვოში ამერიკელები შევიდოდნენ, არკანი საომრად წავიდოდა. მას მეტისმეტად შეელახა რეპუტაცია. ნატოს ავიაციამაც დიდი უსიამოვნება მიაყენა, ბელგრადში კაზინო დაუბომბა.

შარშან, ზაფხულში, ჰააგის ტრიბუნალში დარეკა ადვოკატმა, რომელიც იუწყებოდა, არკანი მზად არის „ჩაგაბაროთ" მილოშევიჩი, თუ სანაცვლოდ თვითონ მას ყველა ბრალდებას მოუხსნით და არ დააპატიმრებთო. არკანი, რაღა თქმა უნდა, ყველაფერ ამას უარყოფდა. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ 1999 წელს იგი ლეგალურად ჩავიდა რამდენჯერმე ბელგიის ქალაქ გენტში, სადაც მისი ერთ-ერთი ქალიშვილი სწავლობს.

### მიცვალებული

მაინც ვინ მოკლა არკანი? პირველი ვერსიის თანახმად — პრეზიდენტმა. ადვილი შესაძლებელია, რომ მილოშევიჩმა მანამდე მოკლა არკანი, ვიდრე ეს უკანასკნელი ჰააგის ტრიბუნალს მისი ბოსნიის ომში, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის შესახებ უამბობდა.

მეორე ვერსია — ალბანელებმა. ალბანელებს ამჟამად იარაღით ამერიკელები ამარაგებენ, ნარკოტიკების გადატანისას გზის უსაფრთხოებას ისევ ამერიკელები იცავენ. ისე რომ, ალბანელებს შუამავალი არკანის სახით აღარ სჭირდებოდათ და ის მოიშორეს. არკანის სიკვდილი გაუხარდებოდა მილოშევიჩის ვაჟს — მარკოსაც — ბოროტმოქმედთა გაერთიანება „ვოზდოვაცკის კლანის" წინამძღოლს. არკანის ბოევიკებსა და „ვოზდოვაცკელებს" შორის ომი გავლენის სფეროებისთვის ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაიწყო...

გარდა ამისა, შარშან ზაფხულს ბელგრადში გავრცელდა ჭორები, რომ ცეცა არკანს მის 25 წლის ვაჟთან ღალატობსო. ასე რომ, შეიძლება არკანის სიკვდილში ცეცას ხელიც ერიოს.

*ვლასტი №3*

**პარიზში გამოვიდა ცნობილი ქართველი რეჟისორის ოთარ იოსელიანის ახალი ფილმი „მშვიდობით, ბოსელო!“ კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაცია ფიპრესის ჟიურიმ ფილმს პრემია „ფელიქსი“ მიანიჭა, როგორც 1999 წლის საუკეთესო ევროპულ ფილმს. ფილმი რუსულ და ქართულ ენებზე გახმოვანდება. რუსულ ვარიანტს რეჟისორმა „IN VINO VERITAS!“ — „ღვინოშია ჭეშმარიტება“ უწოდა. ქართული ვერსიის სახელწოდება ჯერ კიდევ არ მოუფიქრებია.**

**გთავაზობთ ამ ფილმისადმი მიძღვნილი სტატიებიდან ამონარიდს.**

# ბატონი ოთარის ძველ ციხესიმაგრეში

ოთარ იოსელიანი — ერთდროულად რთული და უბრალო რეჟისორია. მას შეუძლია წარმოგვიდგინოს ჩვენნაირი, უბრალო მოკვდავთა ცხოვრებიდან მოვლენათა ჯაჭვი და იმავდროულად შექმნას შთაბეჭდილება, რომ ნამდვილ არსს შეგნებულად ფარავს, ჩუმ-ჩუმად იცინის, ზოგჯერ დაგვცინის კიდეც. მაგრამ ეს შთაბეჭდილება როდი გვაღიზიანებს, როდი გვაბრაზებს. თავის ბოლო ნამუშევარს ქართველმა რეჟისორმა, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს საფრანგეთში, „მშვიდობით, ბოსელო!“ დაარქვა — ასე ამბობენ მეკობრეები ზღვაში გასვლისას.

მოქმედება ძველ, ნახევრად დანგრეულ ციხესიმაგრეში ვითარდება. ციხესიმაგრის მკვიდრნი — ნახევრად არისტოკრატები, ნახევრად ბოჰემური ცხოვრების მოყვარულნი — უზრუნველად ცხოვრობენ. თითოეული იმას აკეთებს, რაც მოსწონს. თანამედროვე რეჟისორთაგან ცოტას თუ შეუძლია ასე დამაჯერებლად აჩვენოს, რომ თავისუფლად და დამოუკიდებლად ცხოვრება ნამდვილი ბედნიერებაა.

და თუმცა ფილმში უფრო მეტი აბსტრაქტული იდეაა, ვიდრე რეალობად აღსაქმელი მოვლენები, მთლიანობაში ეს ნამდვილი ფუეტეა (ცეკვის ნაწილი), დახვეწილი და მომხიბვლელი, რასაც იოსელიანი მას შემდეგ არ ღალატობს, რაც „იყო შაშვი მგალობელი“ გადაიღო. ბოსლიდან დროდადრო ბუზღუნიც გაისმის, მაგრამ ეს ფილმის საერთო რიტმს არ არღვევს.

***ლიბერასიონი***

ქართველი კინორეჟისორი ოთარ იოსელიანი ცივილიზაციის მდიდრული ნამსხვრევია, მისი ყოველი ფილმი დღესასწაულია. მის ნამუშევრებში ბევრი სიბრძნე, ფანტაზია, პოეზია და მაღალი ზნეობრიობაა.

იოსელიანის ბოლო ფილმის მთავარი გმირი, ძველებური ციხესიმაგრის პატრონი, გულგრილია იმ ყველაფრისადმი, რაც სხვებს აღელვებთ: ფული, წარმატება, კომფორტი, მაღალი მდგომარეობა საზოგადოებაში. მხიარულად დააქროლებს ხალიჩაზე სათამაშო ჩქარ მატარებელს, ღვინოს სვამს და მეგობარ კლოშარებთან (მოხეტიალე მუსიკოსები) ერთად ციხესიმაგრის პარკში მღერის. ამასობაში მისი მეუღლე, „გამოუსწორებელი ბურჟუა“, მდიდარი ქალის ცხოვრებით ცხოვრობს, კონცერტებს მართავს და საქმიან გარიგებებს აწარმოებს. მათი ვაჟი ნიკოლა პარიზის საეჭვო კვარტალებში ათენ-ღამებს, თუმცა თავისი არისტოკრატიული წარმომავლობის წყალობით მაღალ საზოგადოებაში ტრიალიც შეუძლია. დადგება დღე, როცა იგი მამის მემკვიდრეობიდან საუკეთესოს — ცხოვრებისადმი მსუბუქ დამოკიდებულებას აირჩევს.

„მე კეთილშობილი ლოთების გარემოში გავიზარდე. ვიცი ჭიქა ღვინოსთან ერთად ადამიანთა შორის ურთიერთობის ფასი და ბედნიერი ვარ, მატერიალური სურვილები რომ არ მაწუხებს“, — ამბობს ოთარ იოსელიანი, რომელმაც მშობლიური საქართველოდან მცირედით კმაყოფილების, ბედნიერად ცხოვრების ხელოვნება ჩამოიტანა. ხშირად უყვარს დიოგენის ფრაზის გამეორება, რომლითაც მან ალექსანდრე მაკედონელის კითხვას: რა შემიძლია გავაკეთო შენთვისო? უპასუხა: „გაიწი, მზეს ნუ მიჩრდილავო“.

„რად ეღირებოდა ცხოვრება ამქვეყნად, ყველაფერ იმის გაკეთება რომ გიწევდეს, რასაც მოგთხოვენ. პირიქით რომ მოვიქცეთ? ესეც ხომ ცხოვრებაა? რა თქმა უნდა, ცხოვრებაა“.

ყველა ფილმში, როგორც თავად ამბობს, „რწყილის და არა ჭიანჭველას, მხარეზეა“. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ოთარ იოსელიანი ღრუბლებში დაფრინავს, აბსოლუტურად არააგრესიული და გულმხიარულია. მისი ფილმების დახვეწილი ბურლესკი — ეს პოლიტესეა, რომლის მიღმა ძლიერი და ღრმა აზრი იმალება.

ისე, როგორც მას, არავის ძალუძს გვიჩვენოს პერსონაჟთა კოლექციის მეშვეობით სოციალური კიბის ყველა საფეხურის ადამიანთათვის დამახასიათებელი თვისებები: სიხარბე და გუნდურობისკენ სწრაფვა.

თავად იოსელიანის პიროვნება როგორ განვსაზღვროთ? მას უფრო „მოგზაური რაინდის“ სახე შეეფერება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — არისტოკრატისა. მას სძულს ეს სიტყვა. მისი წარმოდგენით, არისტოკრატები „პარაზიტები“, „ფანფარონები“ არიან. საკუთარ თავს კი მარტოხელა ხელოსნად მიიჩნევს, რომელიც არ ისწრაფვის რომელიმე გუნდს მიეკედლოს. „ვცდილობ, შემოვინახო ყოველივე საუკეთესო, გონივრული, რაც კი მინახავს ცხოვრებაში და ეს ღირებულებები ადამიანებს გადავცე“.

***ლე ფიგარო***

ფილმის ნახვის შემდეგ ხვდები, რამდენად ზუსტია მისი ფრანგული დასახელება. „ბოსელი“ — „საფრანგეთი“ რომ ჰქვია, იოსელიანს საკმაოდ მიმზიდველი გამოუვიდა. იგი, ისევე როგორც მთელი ქვეყნიერება, ტრივიალური, ვიწრო და მრავალფეროვანია. სიუჟეტური კონსტრუქცია,



კადრი ფილმიდან

თავისთავად, არცთუ მნიშვნელოვანია. ახალგაზრდა კარგი ოჯახიდან შესტრფის იაფფასიან ბარში მომუშავე გოგონას, რომელსაც უსაქმური ბიჭი უფრო მოსწონს. ამ ბიჭისთვის კი ყველა გოგონა სულერთი და განურჩეველია. დედა ძლივს იტანს მამას, რომელიც ჭეშმარიტებას ღვინოში ეძებს. მრავალრიცხოვანი ბავშვები სწავლობენ მუსიკას და ცხენზე ჯირითს, მათ მეთვალყურეობენ მსახურები.

მსახურებიც ადამიანები არიან. მათაც აქვთ ნაკლი, ისევე როგორც სხვებს. უსახლკაროები უსაქმურობაში ვარჯიშობენ, გზააბნეულები — ფულის წართმევის შედარებით ჰუმანურ მეთოდებში... ვეტერინარი პაპა თხებს მკურნალობს, მისი შვილიშვილები ვიოლინოზე დაკვრას სწავლობენ. უფლისწული მაღაზიის ვიტრინებს რეცხავს, მათხოვარი სასახლეში ბურგუნდიულს წრუპავს...

უცნაურია, პერსონაჟების ასე ქაოსური დახვავება. მათი ქცევა, გარემოებები, ბოლოს და ბოლოს, გარდაიქმნება ჰარმონიად და სიმეტრიად და რაღაც უსაზღვროდ პოეტურად იქცევა. ეს არის ოთარ იოსელიანის ექსკლუზიური ატრაქციონი. თუმცა მისი დემონსტრირება ერთხელ უკვე მოახდინა ჩვენთვის ფილმებით „იყო შაშვი მგალობელი“, „პასტორალი“, „ნადირობა პეპლებზე“. ყოველთვის გაოცებს, როგორ არის ყოველივე ერთმანეთთან დაკავშირებული ამ აბსურდულ სამყაროში. ადამიანმა დაუფიქრებლად გაიწვდინა ხელი და საჭირო ნივთი ხელში მოყვა. გადადგა ნაბიჯი უფსკრულის პირას და ფეხქვეშ კიბე აღმოჩნდა; მოტრიალდა და ის დაინახა, ვისაც ამდენი ხანი ეძებდა; კარის მიღმა — გამოსასვლელი კოსტიუმი კიდია... თითქოს ცხოვრებაც თავისთავად მიედინება, მაგრამ მკაცრი განრიგით. იგი ერთდროულადაა თავისთავადიც და განპირობებულიც.

იოსელიანის ბოლო ფილმს რომ უყურებ, ხვდები, ფანჯრიდან სხვა რეალობა მოჩანს — არა საბჭოური, არამედ ბურჟუაზიული. ახლა ყოფიერების მომაბეზრებელ სახედ სათამაშო რკინიგზა იქცა. ლიანდაგის წრეზე მიქრის მატარებელი ლოკომოტივით. უაზროდ მისჩერებია მას იოსელიანის გმირი, რომელიც საკმაოდ დაბერებულა (რეჟისორი თავად ასახიერებს მას). იგი უკვე აღარაა ფრთამსუბუქი შაშვი (გივი), უფრო ველურ ჩიტს — მარაბუს მიაგავს, მდიდრულ სახლში გამომწყვდეულს. მარაბუ — მგალობელი ჩიტი არ არის. იგი მდუმარედ დაიარება სახლში, მოხრილი, მოუხერხებელი, როგორც სახლის მეპატრონე. და მხოლოდ ხანდახან ისწორებს ხოლმე ფრთებს — ამ დროს საოცრად ლამაზი და ამაყია. ფინალში სახლის მეპატრონე ფრთებს ისწორებს — იგი ტოვებს ბოსელს და გაშლილ ზღვაში იალქნიანი ნავით შეცურავს. ბოსელი ამ დროს საოცრად ლამაზია: მთების თეთრი კალთები ლამაზად ეშვება წყალში. სამყარო, ასე ვიწრო რომ ჩანდა, ასე ვრცელი აღმოჩნდა...

ეს ფილმი ოთარ იოსელიანის ფილმებს შორის ყველაზე მეტადაა ფრანგული. ამავე დროს ეს მისი ყველაზე მეტად ქართული ფილმიცაა. ეს არის მიწიერი და ამავე დროს ფილოსოფიური ფილმი. იოსელიანს თავისებური დამოკიდებულება აქვს მარადისობასთან. მისი გმირი დროსთან მიმართებაში ტყვე კი არა, სტუმარია. მაგრამ იგი სტუმრად ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში.

თავად იოსელიანმა ამის შესახებ ამგვარი განმარტება მოგვცა: „ადამიანი ამქვეყნად დიდი იმედებით მოდის, მაგრამ ძალიან მალე ხვდება, რომ ყველაფერი ცუდად დასრულდება“. სწორედ ეს განაპირობებს ბოსლის მიმართ სინაზესაც და სიძულვილსაც.

***იზვესტია №7***

# უნდა მოიძებნოს აბურდულ გორგალში ის უწვრილესი ძაფი, რომელიც პერსონაჟამდე მიგიყვანს

არც ერთი მსახიობი არ მოიხსენიებს თავის დასს (თეატრალურ კოლექტივს) ისე თბილად, როგორც მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის წარმომადგენლები. უფრო მეტიც, ისინი ერთმანეთს და-ძმას ეძახიან, დასს — ოჯახს, ბატონ მიხეილს კი დღემდე მამად იხსენიებენ. თუმანიშვილის „შვილებს“ შესაშური და სანატრელი ურთიერთდამოკიდებულება აქვთ, ამიტომაც ყოველთვის სასიამოვნოა მათთან შეხვედრა.

რუსუდან ბოლქვაძე კინომსახიობთა თეატრში 20 წელზე მეტია მოღვაწეობს, თუმცა ისე გამოიყურება, თითქოს ეს-ესაა, გამოიხურა ინსტიტუტის კარიო.



რუსუდანს თეატრში შევხვდი. ჩვეული ღიმილით მითხრა, — ბოლო ხანს იმდენი ჟურნალისტი მოდის ჩემთან, რომ მეშინია, მკითხველს თავი არ მოვაბეზროო. დავამშვიდე, — ეცადეთ ერთხელ თქმული ბევრჯერ არ გაიმეოროთ და დანარჩენი ჩვენზეა-მეთქი.

**— როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?**

— დილით რეკავს ჟურნალისტი და... რეპეტიციის შემდეგ ინტერვიუ შედგება ხოლმე. შემდეგ ვბრუნდები შინ, თავს ვიქცევ ჩემი გატაცებებით (მუსიკითა და ჭადრაკით), შინ მხვდებიან: დედა, ძმა, რძალი და ძმისშვილები, რომლებთანაც მშვენივრად ვატარებ საღამოებს. ზოგჯერ ვხვდები მეგობრებს... ერთი სიტყვით, ვცხოვრობ ჩვეულებრივად, მცივა, როგორც სხვას, ჩემთანაც ბნელა, როგორც სხვასთან.

**— ორიოდე სიტყვა გვითხარით თქვენს ოჯახზე.**

— გათხოვილი არ ვარ... ძალიან გთხოვთ, შემდეგ კითხვას — რა არის ამის მიზეზი, — ნუ დამისვამთ. ოჯახის თითოეულ წევრთან არაჩვეულებრივად კარგი ურთიერთობა მაქვს.

ბებიაჩემი, დედის დედა, შარშან გარდაიცვალა 102 წლისა. ბევრ ჟურნალისტს სურდა მასთან შეხვედრა და გაბაასება. ასე რომ, შარშანდლამდე ჩემზე პოპულარული — ბებია იყო. დედაჩემი — გურანდა გრიგორაშვილი საოცარი ქალია. დღემდე მიკვირს, როგორ შეინარჩუნა მან სიხარულის გამოხატვისა და აღტაცების დიდი უნარი. რაც შეეხება ძმას, ისიც, როგორც ყველა ქართველი, ცდილობს, არ დააჯაბნინოს თავი ცხოვრებას. მას ჰყავს ძალიან კარგი მეუღლე (პროფესიით მხატვარი) და ორი შვილი. ამ წელს კიდევ ელიან შემატებას. ბოლქვაძეები დიდად ვუმადლით რძალს, ჩვენს გვარზე რომ ზრუნავს და ფიქრობს.

**— წარსულიდან რას იხსენებთ დიდი სიამოვნებით?**

— სკოლის წლებს ტკბილად ვიგონებ ხოლმე. დავამთავრე თბილისის 55-ე საშუალო სკოლა. მყავდა ძალიან კარგი კლასელები და მათთან დღემდე გაუნელებელი სიყვარული მაკავშირებს. ყოველ დღესასწაულზე სათითაოდ ვეხმიანებით ერთმანეთს და ვაწყობთ შეხვედრებს. სხვათა შორის, მათგან ერთ-ერთი „დიდი კაცია“ და მიუხედავად დიდკაცობისა, ვატო აბაშიძე ახლაც საუკეთესო მეგობრად რჩება.

საერთოდ, ბუნებით ძალიან მორცხვი და მორიდებული ვარ. ახლაც მიკვირს, როგორ მივედი თეატრალურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდაზე და მიხეილ თუმანიშვილისა და ლილი იოსელიანის წინ როგორ წავიკითხე ლექსი, მაგრამ იმდენად დიდი სურვილი მქონდა, რომ სიმორცხვე უკან დარჩა. ახლა რომ მითხრან, კომპეტენტური გამომცდელების წინაშე კიდევ გადი გამოცდაზეო, ველარ გავბედავ. მაშინ კი გავბედე! გავხდი ლილი იოსელიანის სტუდენტი. მიხეილ თუმანიშვილმა მეორე კურსზე შემამჩნია, როცა ჩემმა ამხანაგმა ნოდარ ბეგიაშვილმა გორკის პიესა „ბიკოვები“ დადგა. სპექტაკლის შემდეგ ბატონი მიშა



მოვიდა ჩემთან და ხელი ჩამომართვა. ჩემთვის ეს ყველა ჯილდოზე მეტი იყო. მე-4 კურსზე ვიყავი, როცა ერთმა ცნობილმა ქალბატონმა მითხრა, — რას იტყვი, მიშა თუმანიშვილმა თავის დასში რომ წაგიყვანოსო. რა უნდა მეთქვა? განა ამაზე დიდი სიხარული სხვა რა უნდა ყოფილიყო. თითქოს ცა გამეხსნა... კინომსახიობთა თეატრში მოსვლის დღიდან დაიწყო საოცარი ცხოვრება, სადაც შეზავებული იყო დიდი სიხარულიც და პატარა წყენაც, სევდაც და სიყვარულიც, სიხარულიც და წარმატებაც... ერთი სიტყვით, ყველაფერი იყო (და არის), როგორც ჩვეულებრივ ოჯახშია ხოლმე. ბატონმა მიშამ თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით საოცრად კარგად მოახერხა თეატრალური ოჯახის შექმნა-ჩამოყალიბება. მან დააარსა არა დასი, არამედ სახლი, რომლის ჭერქვეშ ერთმანეთს შეაკავშირა ნიჭიერი, თეატრზე უზომოდ შეყვარებული მსახიობები.

**— მარჯანიშვილი ხშირად იმეორებდა: „არ არსებობს დიდი და პატარა როლი, არსებობენ დიდი და პატარა მსახიობები“. ცხადია, ეთანხმებით ამ გამონათქვამს, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ მსახიობს ყველა როლი (თეატრალური თუ კინო) ერთნაირად უყვარდეს...**

— სასიამოვნო იყო ლეილა გორდელაძესთან მუშაობა ფილმზე „აქედანა და შენამდე“, ასევე ნანა ჯორჯაძის ფილმში მონაწილეობა („ჩემი ინგლისელი პაპა“), მაგრამ სცენური როლებიდან ვერც ერთს ვერ გამოვარჩევ. ყველა საოცრად მიყვარს.

**— ამბობენ, მსახიობი თავისი პერსონაჟის ხასიათს ატარებსო, მართალია?**

— ალბათ ჩემი და პერსონაჟის შინაგანი სამყარო რაღაცით ჰგავს ერთმანეთს. მსახიობმა თავისი პერსონაჟი თვითონ კი არ უნდა დაიმსგავსოს, პირიქით, თვითონ უნდა დაუახლოვდეს მას. უნდა მოძებნოს მსხვილ, აბურდულ გორგალში ის უწვრილესი ძაფი, რომელიც პერსონაჟამდე მიიყვანს. მსახიობმა ბოლომდე ისე უნდა ითამაშოს, რომ ძაფი არ გაწყდეს.

**— მაყურებელი დღემდე სიყვარულით იხსენებს თქვენი და თაზო თოლორაიას დუეტს.**

— მე და თაზოს მართლაც საუკეთესო ურთიერთობა გვაქვს სცენაზეც და ცხოვრებაშიც. ოცი წელია ამ „დუეტს“ ვთამაშობთ „ბნელ ოთახში“. ერთხელ, ამ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, მომიახლოვდა სოლიდური ასაკის მელოტი კაცი და ქათინაურებით ამავსო: ვგიჟდები, ისე მიყვარს ეს სპექტაკლი და თქვენს მიერ განსახიერებული როლი. შეიძლება ითქვას, რომ ამ სპექტაკლზე ვარ გაზრდილიო. ცერად შევხედე კაცს და ჩემი თავი შემეცოდა. თუკი ის იყო ჩვენს სპექტაკლზე გაზრდილი, მე რა ასაკის გამოვდიოდი, ღმერთმა იცის... იმ კაცისა არ ვიცი და, მე ნამდვილად ამ სპექტაკლთან ერთად გავიზარდე, რადგან კინომსახიობთა თეატრის ჩამოყალიბების დღიდან ისე არ ჩაივლის სეზონი, რომ „ბნელ ოთახში“ 2-3-ჯერ მაინც არ ვაჩვენოთ მაყურებელს.

**— დიდი პედაგოგისგან რა „სახსოვარი“ დაგრჩათ?**

— ბატონ მიშასთან იმდენი ძვირფასი მოგონება მაკავშირებს, რომ ერთ დიდ წიგნად შეიკვრება. მაინც ერთ-ერთი განსაკუთრებულია: 1989 წელს პარიზში ვართ გასტროლებზე. წაღებული გვაქვს „დონ ჟუანი“, რომელიც თითქმის „დალექილია“, რადგან რვა წლის წინ დავდგით. ვერ გეტყვით, „დონ ჟუანი“ მობეზრებული გვქონდა, მაგრამ, ალბათ ძალიან შევეჩვიეთ მას და ზოგჯერ მონოტონურადაც ვთამაშობდით. აბა, ბატონ მიშას ეს როგორ გამორჩებოდა? მან ხშირად იცოდა ხოლმე თქმა: ზოგჯერ სპექტაკლი ტანსაცმელივით იცრიცება, მაგრამ რახან გენანება მისი „გადაგდება“, ამიტომ იგი უნდა „დაკემსო“ ან ახალი დეტალი შესძინო, რომ განახლებულად გამოიყურებოდესო...

საღამოს უნდა წარვდგეთ ფრანგი მაყურებლის წინაშე. სპექტაკლამდე რამდენიმე საათით ადრე ბატონმა მიშამ ყველა თავისთან გვიხმო. მან დაიწყო „დონ ჟუანზე“ ლაპარაკი და მთავარი გმირიდან დაწყებული, სხვა პერსონაჟებით დამთავრებული, ყველას და თითოეულ დეტალს შეეხო, არ გამორჩენია პატარა ნიუანსიც კი. მონუსხულები ვუსმენდით ამ ფენომენალურ კაცს და როცა მორჩა ლაპარაკს, ბუნებრივად აღტაცებულებმა ტაშიც შემოვკარით. იმ საღამოს ისეთი გატაცებით ვითამაშეთ, როგორც პრემიერის დროს.

**— სცენაზე შესანიშნავად მღერით და ცეკვავთ, ალბათ კარგი მუსიკალური განათლება გაქვთ მიღებული...**

— თვითნასწავლი მუსიკოსი გახლავართ... ვერა და ვერ მოვიგე მუსიკის მასწავლებლის გული, რადგან კლავიშებზე ვერ შევძელი ხელის ლამაზად დაჭერა, ამიტომაც მუსიკისადმი გატაცებაც გულში ჩავიკალი და მასწავლებლისთვის კიდევ დიდხანს რომ არ მეშალა ნერვები, დიდსულოვნად შეველიე მუსიკას. ფორტეპიანოს მერე ვიოლინოს სწავლა მოვინდომე, მაგრამ ოჯახში შემომიტიეს: ახლა ამის წრიპინი გვასმენინეო. მოგვიანებით, ჩემი სურვილი მაინც დავიკმაყოფილე. ამ ათი წლის წინ ვიოლინოს მასწავლებელი დავიქირავე და მოყვარულის დონეზე ვისწავლე კიდეც დაკვრა. ბოლოდროინდელ სპექტაკლში, „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი“, აკორდეონზე მომიწია დაკვრა და ესეც ვისწავლე.

**— მსახიობებს არ გიყვართ კურიოზების გახსენება, არადა მკითხველს სწორედ ფარდის და კულისებს მიღმა ეპიზოდები უფრო აინტერესებს.**

— ბოლო ორი წელია, ძალიან გამიტაცა ჭადრაკმა. როცა გავიგე, ნანა ალექსანდრია თავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სახალხო ტურნირს აწყობდა მოყვარული მოჭადრაკეებისთვის, სიხარულით ჩავერთე „ჭადრაკობანას“ თამაშში. ტურნირამდე რამდენიმე ხნით ადრე ჭადრაკის სასახლიდან „თვითმასწავლებელი“ (კრებული) გამოვიტანე და ძირფესვიანად „დავამუშავე“. ტურნირი მოსწავლეთა სასახლეში შედგა. ჩემი მეტოქე ლევან ბერძენიშვილი გახლდათ, მაგრამ ამ ორთაბრძოლაში სასტიკად დავმარცხდი. მეორე დღეს კი, ნანას იუბილეზე (ნანასავე თხოვნით) რუსთაველის თეატრის სცენაზე გამოვედი და ალექსანდრიას პარტიების განხილვაც გავბედე. განხილვის დროს დავაფიქსირე, რომ დამარცხებისას ნანას ძალზე პრიმიტიული შეცდომები ჰქონდა დაშვებული. ამ „აღმოჩენით“ ფრიად გაკვირვებული გახლდით. ნანამ ასე ამიხსნა: საჭადრაკო ტერმინით, როცა მოჭადრაკე ასეთ შეცდომას უშვებს, საქმე გვაქვს ტვინის ტოტალურ ბლოკადასთანო. სასწრაფოდ დავეთანხმე: არც მე ვარ ურიგო მოჭადრაკე და ბერძენიშვილთან რომ წავაგე, ალბათ მეც ტვინის ტოტალური ბლოკადა დამემართა-მეთქი. ეს ტურნირი დღემდე კარგ მოგონებად რჩება და მადლობა ნანას ამ დიდი სიამოვნებისთვის.

**— რას გვისურვებთ ერთგულ მაყურებელს?**

— მართლია, აუტანელია და მომაბეზრებელი ყოველდღიურობა, მაგრამ არამც და არამც თავი არ წაუღუნოთ ყოფითობას. თუ თქვენში გადაარჩენთ მომავლის იმედს, ეს იმას ნიშნავს, რომ გადაარჩენთ თქვენს სულიერ სამყაროს. ადამიანი ხომ სულიერების გარეშე არაფერია... დაბოლოს, მინდა გისურვოთ სიყვარული, რადგან თავად ღმერთია სიყვარული, ურომლისოდაც საზარელი იქნებოდა ამქვეყნად მოსვლა.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ზეთის სამკურნალო თვისებები



მცენარეული ზეთი არა მარტო შესანიშნავი კვების პროდუქტი, არამედ სამკურნალო საშუალებაა. ამიტომაც, ოქროსფერი ზეთით სავსე ბოთლი თქვენს საოჯახო აფთიაქში საპატიო ადგილზე უნდა იდგეს.

### წყლის იელის ზეთი

1 ს. კოვზ დაქუცმაცებულ წყლის იელს დაასხით 100 გ ზეითუნის ან მზესუმზირის ზეთი. დააყენეთ სამი კვირა ბნელ ადგილას. ყოველდღე შეანჯღრიეთ. შემდეგ გაწურეთ. სურდოს დროს ჩაიწვეთეთ 2-3 წვეთი, მეორე დღეს თითო წვეთი 3-4-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსი ერთკვირიანია.

### გულყვითელას ზეთი

1 კგ გულყვითელას ყვავილებს დაასხით 100 მლ ზეითუნის ზეთი და სამი კვირა დააყენეთ. საუკეთესო საშუალებაა ჭრილობებისა და დაჟეჟილობის დროს.

### მენთოლის ზეთი

2-4%-იან მენთოლის ზეთს იყენებენ სურდოს დროს, 2-3 წვეთი საკმარისია ჩასაწვეთებლად. ასევე დაიზილეთ ცხვირის ნესტოები. ეს ზეთი სამი წლის ასაკამდე ბავშვებისთვის აკრძალულია. თუ გაციების შედეგად თავი გტკივათ, შაკიკი გაწუხებთ, მენთოლის ზეთით დაიზილეთ შუბლი, საფეთქლები, ყურის ძირები. როცა აცივდება, ნესტოებზე მენთოლის ზეთი წაისვით, ეს შესანიშნავი პროფილაქტიკური საშუალებაა.

### ქაცვის ზეთი

ეს ზეთი შეგიძლიათ შეიძინოთ აფთიაქში ან თვითონ დაამზადოთ. ამისთვის გაწურეთ ქაცვი და წვენი ცივ ადგილას დადგით. დაყენებისთვის საჭირო ვადის გასვლის შემდეგ, როცა ზეთი წვენის ზედაპირზე ამოტივტივდება, მოხადეთ.

ქაცვის ზეთს იყენებენ გინეკოლოგიური დაავადებების, დამწვრობის, კუჭის წყლულის დროს. შინაგანი დაავადებების დროს იღებენ 1-1,5 ჩ.კ. 2-3-ჯერ დღეში. კუჭის წყლულის დროს —1 ჩ.კ. 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ეს ზეთი ეფექტურია ქრონიკული ტონზილიტის და ათეროსკლეროზის დროსაც.

### სოჭის ზეთი

ამ ზეთს წიწვებისგან იღებენ. ეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი არა მარტო შესანიშნავი სამკურნალო, არამედ კოსმეტიკური საშუალებაცაა.

სოჭის ზეთი კარგია ანგინის დროს — საკმარისია გლანდებზე რამდენიმე წვეთის დაწვეთება, შეიძლება ინჰალაციის გაკეთებაც, თუ ცხელ წყალში აურევთ. ეს პროცედურა დღეში 2-5-ჯერ გაიმეორეთ 4-6 სთ-ის ინტერვალით. თუ კბილი გტკივათ, ბამბის ტამპონი დაასველეთ სოჭის ზეთში და ღრძილზე 10-12 წთ დაიდეთ. თუ ტკივილი გაგიგრძელდათ, გაიმეორეთ 1,5-2 სთ-ის შემდეგ. სოჭის ზეთი კარგია ბავშვებისთვის დიათეზის დროს. 1 წილ სოჭის ზეთს დაუმატეთ 3 წილი ბავშვის კრემი ან ზეითუნის ზეთი C ვიტამინით. წაუსვით დიათეზიან ადგილებს.

### ნივრის ზეთი

ეს ზეთი შეგიძლიათ თვითონ გააკეთოთ. აიღეთ ნივრის საშუალო თავი, გაფცქვენით, დანაყეთ და ნივრის საწურში გაწურეთ. შემდეგ მასა ჩადეთ მინის ქილაში და დაასხით არარაფინირებული მზესუმზირის ზეთი. მოათავსეთ მაცივრის ქვედა თაროზე. მეორე დღეს 1 ლიმონის წვენს დაამატეთ 1 ჩ.კ. ნივრის ზეთი. ეს ნარევი მიიღეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე 3-ჯერ დღეში. სამკურნალო კურსი 1-დან 3 თვემდე გრძელდება. ეს საშუალება მოგიხსნით თავის ტვინის სისხლძარღვებისა და გულის სპაზმებს, კარგია სკლეროზის, ჰაერის უკმარისობის, ასევე სისხლძარღვთა გასაფართოებლად.

***კალეიდოსკოპი №1-2***

# როგორ შევებრძოლოთ ლორწოს დაგროვებას ორგანიზმში?



ცნობილი ნატუროპათი არნოლდ ერეტი თვლიდა, რომ ყველა დაავადებას, თვით მემკვიდრეობითსაც კი, ხელს უწყობს არასუფთა, „არაბუნებრივი" საკვები და ჭარბი კვების ყოველი გრამი.

უმთავრესი ბოროტება, რასაც ადამიანი საკვებიდან იღებს — ლორწოა, რომელიც ექსკრეტორული ორგანოებით ცუდად გამოიყოფა, აღწევს სისხლში და ათასგვარი პათოგენური მიკრობებისა თუ ვირუსებისთვის შესანიშნავ საკვებს წარმოადგენს. ამასთანავე, აძნელებს სისხლის ცირკულაციას, უჯრედების მემბრანების გამტარიანობას, წამლავს სისხლს, ხელს უშლის ნაწლავებიდან საკვები ნივთიერებების სისხლში გადასვლას. იგივე ემართება ენისა და კუჭის ლორწოვან გარსებს. ხოლო ლორწოვანი კაპილარების დაცობა უკლებლივ ყველა დაავადების მიზეზია.

თუ ადამიანი იკვებება მხოლოდ ლორწოს წარმომქმნელი საკვებით (ფაფები, რძე, ჩაშუშული ხორცი), გარანტირებული აქვს სურდოთი, ხველით, ასთმით, ფილტვების ანთებით, ტუბერკულოზით და სხვა სენით დაავადება.

ყოველგვარი საკვები, დაწყებული ბიფშტექსიდან — შვრიამდე ლორწოს წარმოშობს.

ადამიანი ეტანება ალკოჰოლს, თამბაქოს, ყავას, მაგარ ჩაის. ამ ალმგზნები საშუალებებით იბრუნებენ სიმხნევეს. ხორცით, მწნილებით, ცხიმიანი და შებოლილი პროდუქტებით ჭარბი კვება ალკოჰოლისადმი სწრაფვის ფარული მიზეზია. ლორწოვანი (მოხარშული) საკვები და ზედმეტი ჭამა ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

შიმშილობა, ხილისა და ბოსტნეულის დიეტა (ბუნებრივი კვება) — ერთადერთი სწორი და საჭირო სამკურნალო საშუალებაა. ყოველი ცხოველი ავადმყოფობისას ჭამისგან თავს იკავებს. ადამიანი კი, შიმშილს 1-2 დღე ძლივს უძლებს და ჰგონია, რომ ძალას დაკარგავს.

გამოჯანმრთელების სამი ძირითადი საშუალება არსებობს; ყველაზე საიმედო და ხანმოკლე გზა — შიმშილობაა. შიმშილობის დროს ადამიანი არ უნდა გადაიღალოს, არ გაიცივოს თავი, არ დაუშვას ფიზიკური თუ ემოციური დისკომფორტი.

შიმშილობის დაწყების წინ აუცილებელია ნაწლავების გაწმენდა ოყნით ან მცენარეული გამხსნელით. შეიძლება ღვიძლის გაწმენდით დაიწყოთ, მერე კი გამხსნელსა და ოყნაზე გადახვიდეთ. თუ არა და, გაზები და ლორწო დაგიგროვდებათ, რაც გართულებებს გამოიწვევს.

ორგანიზმისთვის 36 საათიანი შიმშილობაც კი სასარგებლოა.

უკეთესია, თუ ვახშამზე უარს იტყვით და ოყნას გაიკეთებთ. თუ 36 საათით შიმშილობთ, მეორე დილამდე არანაირი საკვები არ მიიღოთ, ხოლო შიმშილობის შემდეგ, პირველად ნურაფერს შეჭამთ, ხილის გარდა, ან დალიეთ ახალგამოწურული ხილის წვენები.

ხილის წვენი ნაწლავებში დაგროვილ ლორწოს ამუშავებს, ხილის უჯრედისი კი, ნაწლავების შიდა კედლებს ასუფთავებს. მეორე დღეს შეგიძლიათ მიირთვათ ბოსტნეულის წვენები — გახეხილი ბოსტნეული, მერე შეანაცვლეთ ხილი და ბოსტნეული, თხილი ან კაკალი.

უფრო სწრაფად გამოჯანმრთელდებით, თუ შიმშილს დიდხანს გააგრძელებთ — 3 დღეს მაინც. ამ ხნის განმავლობაში არაფერი ჭამოთ, მხოლოდ სვით დღეში 3 ლიტრამდე ლიმონის წვენგარეული თაფლიანი — 200-250 მლ წყალში გახსენით 1 ჩ.კ. თაფლი და ამდენივე ლიმონი (მის ნაცვლად შეგიძლიათ 2 ჩ.კ. ვაშლის ძმარი იხმაროთ). მეოთხე საღამოს ისევ ოყნა გაიკეთეთ.

ჯანმრთელ ადამიანებს შიმშილობის გაგრძელება მეტხანსაც შეუძლიათ. მიუხედავად გარეგნული უსიამოვნო ნიშნებისა, ჩვენი ჯანმრთელობა კაჟდება.

შიმშილობის წარმატება თვით ადამიანზეა დამოკიდებული, არანაირი შიში და ეჭვი არ უნდა დაუშვათ.

რა ქნან იმათ, ვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შიმშილი არ შეუძლიათ? ასეთებს განეკუთვნებიან მოზარდები, დიაბეტით, ფილტვებითა და გულით, ღვიძლით, ტუბერკულოზით დაავადებულნი.

სწორედ მათ არ უნდა დაუშვან ლორწოს წარმომშობი საკვების (ხორცი, რძე, ნამცხვარი) მიღება.

რძის მჟავე პროდუქტები — ხაჭო, მაწონი, იოგურტი — ნაკლებ ლორწოს წარმოშობს, ამიტომ დიეტისას, ხილთან ერთად, მათი მცირე რაოდენობით გამოყენებაც შეიძლება.

ვინც პურზე უარს ვერ ამბობს, გახუხული პური უნდა მიირთვას. კარგი იქნება თუ თეთრ პურს დაივიწყებთ. პური კარგად დაღეჭეთ — პირშივე, ნერწყვის გავლენით წარმოიქმნება გლუკოზა, რაც აუცილებელია საჭმლის მოსანელებლად.

ძალზე სასარგებლოა (1 ჩაის კოვზი) შვრიის ბურბუშელის, წიწიბურის ბურღულის, ორცხობილის წუწნა. იგი დაკარგულ ძალებს აღგიდგენთ. წუწნეთ კანფეტივით, სანამ არ დალბება.

თუ კარტოფილის გარეშე ვერ ძლებთ, ძალზე ცოტა მიიღეთ — ღუმელში შემწვარი 3-ჯერ მეტ უმ ბოსტნეულთან ერთად. კარტოფილი კანიანად ჭამეთ!

ლორწოს წარმომშობი საკვებიდან განსაკუთრებით თავი უნდა შეიკავონ ფილტვებით დაავადებულებმა (ბავშვებმაც). დიდად დაგეხმარებათ წყალი, ჰაერი, წვენები, ხილი.

წყალი — საკვებია, ჰაერიც — საკვებია. თუ ნიშის სისტემის ექვს ვარჯიშსაც შეასრულებთ, მალე გამოჯანმრთელდებით.

დასუსტებულმა ან მსუქანმა ადამიანებმა 12 საათამდე უნდა იშიმშილონ (შეიძლება მხოლოდ მჟავე ხილის ჭამა).

ადამიანისთვის ხორციან საკვებს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. კუნთების, ენერგიის, ძალის წარმოსაქმნელად სავსებით საკმარისია შაქრის შემცველი ხილის (ბანანი, კაკალი, თხილი, ყურძენი, ფინიკი) მიღება.

და **თუ ხორცზე მაინც ვერ ამბობთ უარს**, გახსოვდეთ: ხორცი ძალიან კარგად უნდა დაღეჭოთ. ნერწყვით გაჯერებული საკვები მავნეობას კარგავს, თან ორჯერ ნაკლებ საკვებს მიიღებთ, რაც ჭარბი წონის დაკლებაში დაგეხმარებათ.

როგორ შევიკავოთ თავი, როცა საჭმელი გემრიელია? ამაში მხოლოდ გონიერება, სისტემატური შიმშილობა (კვირაში 24 საათი მაინც) დაგეხმარებათ.

როცა შიმშილობისა და ხილის დიეტის წყალობით ადამიანი გამოჯანმრთელდება, ე.ი. ლორწოსა და სენისგან გათავისუფლდება, მომავალში ბევრი წვალება აღარ დასჭირდება, საკვების მიღებაც სულ სხვაგვარ იერს მიიღებს. დაიწყება გზა ჰარმონიისკენ და ადამიანი სულ სხვა საფეხურზე დადგება.

***პარი მატჩი №26/39***


ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9
ტელ: 96-95-69; 877-43-31-26

ყურადღება!

100%-იანი გარანტიით

ქალებს, რომელთაც გაწუხებთ ჭარბთმიანობა, ნებისმიერი სახით გამოხატული (ნაპარსი, პინცეტით ამონაღები, ეპილაციით გაღიზიანებული და ა.შ.) გეძლევათ შესაძლებლობა, განიკურნოთ, მხოლოდ ერთი პროცედურით თითოეულ თმაზე. მკურნალობა გრძელდება მანამ, სანამ არ შევეხებით თითოეულ თმას (რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთხელ). მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თმის სიხშირეზე. პროცედურის ჩატარების შემდეგ ყველანაირი პასუხისმგებლობით გრჩებათ უვნებელი კანი და მთელი ცხოვრება დაგღვეული ხართ ჭარბთმიანობისაგან. ანაზღაურება - 1 სთ. - 20$.

მის: რჩეულიშვილის ქ. (ზემო ვერა), კორპ. 6 სად. II სართ. 9
☎ 29-42-58; 877-44-01-22

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი"),
მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# იტირეთ, რათა ჯანმრთელი იყოთ



არსებობს გამოთქმა — „მწუხარებისაგან გაქვავდაო". ისეც ხდება, რომ მოულოდნელი უბედურება თითქოს ადამბლავებს ადამიანს და თრგუნავს. რაც ხშირად გამოიხატება გარემო მოვლენებისადმი სრული გულგრილობით, უგრძნობლობით, ფიზიკური უმოძრაობითაც კი.

როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ასეთ მდგომარეობას?

დიდ ქალაქებს ცრემლების არ სჯერათ და სწორადაც იქცევიან. მიუხედავად ამისა, ცრემლები სევდის, მწუხარების, წყენის მარტო უშუალო გამოხატულება კი არა, თავისებური ფსიქოლოგიური განმუხტვა, შინაგანი დაძაბულობისგან გათავისუფლებაცაა. საცრემლე ჯირკვლები გამოიმუშავებენ გამჭვირვალე ტუტოვან სითხეს, რომელსაც ორგანიზმში დაგროვილი დეპრესიის, უმადობის, უძილობის გამომწვევი მავნე ნივთიერებანი გარეთ გამოაქვს. გამოდის, რომ ცრემლები ბუნებრივი ტკივილგამაყუჩებელი და იმავდროულად საძილე საშუალებაცაა.

ცრემლები თავისთავად მომდისო, — ხშირად გვსმენია ზედმეტად მგრძნობიარე ადამიანისგან და აზრადაც არ მოგვდის, რომ მუშაობას იწყებს თვითდაცვის ინსტინქტი. განცდის უქონლობა, რაც ცრემლებით არ მთავრდება, ადამიანს შინაგანად შლის, პირქუშს ხდის და ადვილად ერევა სხვადასხვა სენი.

მაგრამ ზოგჯერ ისეთი უბედურება გვეწვევა, რომ ცრემლი გვიშრება. ცრემლების გარეშე კი შესაძლოა სერიოზული ავადმყოფობის მსხვერპლი შევიქნეთ ანდა სულაც მოვკვდეთ კიდეც. ამიტომაც იყო, რომ ძველად დაკრძალვაზე პროფესიონალ მოტირალებს იწვევდნენ. „ვისთან დაგვტოვე, შემოგევლე!" — კიოდნენ თავგამოდებით და ამით მწუხარებისგან გაქვავებულ ჭირისუფლებსაც ატირებდნენ.

ოღონდ ბავშვი ნუ იტირებს და რაც სურს, ის გააკეთოსო, გაიგონებთ ხშირად გულჩვილი მშობლებისგან. ამაოდ. ჯერ ერთი, გადამეტებული დათმობა და ბავშვის კაპრიზების წაქეზება, მას ეგოისტად აყალიბებს. მეორეც, ნორჩი ორგანიზმისთვის მეტად სასარგებლოა ცრემლები. გვარიანად ნამტირალევი ბავშვი ჯანსაღი ძილით იძინებს და მეორე დღეს ტყუილუბრალოდ არ აგიხირდებათ. ასე რომ, ნუ შეგრცხვებათ, იტირეთ, რამდენიც გსურთ.

***ორაკული №2***

# ციტრუსით მკურნალობა

ნემსის ყუნწი დაუსვით ავადმყოფს კანზე. თუ ნაზი წითელი ან ვარდისფერი ხაზის ნაცვლად (რაც კანის კაპილარების შეკუმშვის ნიშანია) ჩნდება თეთრი ხაზი, რომელიც თეთრივე რჩება, მერე კი ქრება, ეს უკვე კაპილარების ცუდ რეაქციაზე, ე.ი. სასიცოცხლო ძალების უუნარობაზე მეტყველებს. ასეთ ადამიანს ხანგრძლივი დასვენება ესაჭიროება.

ინფექციური დაავადებების (გრიპი და სხვ.) დროს ძვლის ქსოვილები კალციუმს კარგავს, ამ დროს ვამბობთ, ძვლებში მამტვრევსო. დაეხმარეთ ორგანიზმს.

ბავშვების დაუძლურების შემთხვევაში (მძიმე დაავადებების შემდეგ) 4 ლიმონის წვენს შეურიეთ 100 გ ალოეს წვენი, 500 გ გატარებული ნიგოზი, 300 გ თაფლი და მიეცით 1 ჩაის ან საჩაროზე კოვზი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

1 ჭიქა ფორთოხლის წვენი ან ვიტამინი C დაგიცავთ სუსტი რადიაციული დასხივებისას (როგორსაც იღებთ დაახლოებით რენტგენით დაშუქებისას).

იმუნური სისტემის გასამაგრებლად ასე მოიქეცით: აიღეთ 3 კგ ჭარხალი, 3 კგ სტაფილო, 2 კგ ბროწეული, 2 კგ ლიმონი. გაწურეთ ყველაფერი კანიანად. წვენი ქილაში ჩაასხით, დაუმატეთ 2 კგ თაფლი. ერთი თვის განმავლობაში დილა-საღამოს მიიღეთ თითო სირჩა. 2 კვირა შეისვენეთ და შემდეგ კიდევ 1 თვე მიიღეთ. ამგვარი ნარევი რეკომენდებულია განსაკუთრებით გაზაფხულზე.

ინსულტისას, ინფარქტისას, სვით წიწვოვანი ხეების წიწვის ნაყენი და მიირთვით ლიმონი (2 ცალი დღეში, თითო მიღებაზე — ნახევარი ლიმონი), გაფცქვნილ ლიმონს გამოაცალეთ კურკა, წვრილად დაჭერით, დაასხით წიწვის ნახარში და ერთბაშად დალიეთ. ლიმონის ნაჭრები ჭამამდე 1 საათით ადრე მიირთვით.

ინსულტის ან ინფარქტისგან თავის დასაცავად აუცილებელია ყოველ დილით 1 სუფრის კოვზი უმი შტოშის მიღება — იგი ამაგრებს სისხლძარღვებისა და კაპილარების კედლებს. მიირთვით თუნდაც 1 ცალი გრეიპფრუტი — მასში შედის კალიუმი, რომელიც დაგიცავთ ინსულტისა და ჰიპერტონიისგან. ერთ გრეიპფრუტში C ვიტამინის დღიურ ნორმაზე მეტი შედის.

სტრესი იწვევს სისხლში შაქრისა და ცხიმის შეღწევას, რაც ხდება გლუკოზისა და ქოლესტერინის აწევის, ასევე სკლეროზული წარმონაქმნების გაჩენის მიზეზი. ეს კი არღვევს სისხლის მიმოქცევას, სისხლძარღვები ელასტიურობას კარგავენ, ჩნდება ჰიპერტონიისა და გულის დაავადებისადმი მიდრეკილება, რომლის შედეგიცაა ინსულტი და ინფარქტი.

***ზნანიე — სილა №2***

# ვიალი მინდორს უბრუნდება




ლონდონის „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელი იტალიელი ჯან ლუკა ვიალი ორი წლის განმავლობაში წარმატებით ართმევდა თავს მოთამაშე მწვრთნელის მოვალეობას. თუმცა გასული წლის აპრილში ვიალიმ საბოლოოდ გადაწყვიტა თამაშისათვის თავის დანებება და განაცხადა, რომ კლუბისათვის მინდორზე სარგებლობის მოტანა აღარ შეეძლო. მას შემდეგ წელიწადიც არ გასულა, ვიალი კი კვლავ აპირებს მოედანზე გამოჩენას. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ დაადასტურა, რომ 35 წლის იტალიელმა კვლავ შეიყვანა საკუთარი თავი „ჩელსის“ განაცხადში და ახლა უფლება აქვს, სეზონის ბოლომდე კლუბის ნებისმიერ მატჩში მიიღოს მონაწილეობა, არა მხოლოდ პრემიერლიგაში, არამედ ჩემპიონთა ლიგაშიც კი. გასულ კვირას ვიალიმ თავი გამოსცადა და „ლესტერის“ რეზერვისტების წინააღმდეგ მატჩში მთელი 90 წუთი დაჰყო მინდორზე. შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა, ვიალის გოლი არ გაუტანია, მაგრამ წარმატებით ართმევდა თავს ცენტრფორვარდის მოვალეობებს.

ამასობაში „ჩელსიში“ გადასვლის სურვილი გამოთქვა იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, პაოლო მალდინიმ, რომელიც 15 წელიწადზე მეტია „მილანის“ ღირსებას იცავს. ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, მალდინი 32 წლის იქნება, ეს კი სავსებით მისაღები ასაკია, რათა ფეხბურთელმა სხვა ქვეყანასა და კლუბში მოსინჯოს ძალები. პაოლო მალდინი ლონდონში გადაბარგების შემთხვევაში, „ჩელსის“ იტალიური ლეგიონის მეშვიდე წევრი იქნება. შეგახსენებთ, რომ მალდინიმ პირველად 1985 წელს ითამაშა „მილანის“ შემადგენლობაში და მას შემდეგ სერია A-ში 419 მატჩი ჩაატარა, 103-ჯერ მოირგო იტალიის ეროვნული ნაკრების მაისური. ამ მაჩვენებლით მხოლოდ ლეგენდარულ დინო ძოფს ჩამოუვარდება და თუ ნაკრებში 10 შეხვედრასაც ჩაატარებს, ძოფის რეკორდსაც გააუმჯობესებს.

# ფორმულა-1-ის პილოტები ახალ ბოლიდებს ცდიან

12 მარტს ფორმულა-1-ის ახალი ჩემპიონატი იღებს სტარტს, მანამდე კი გუნდები ახალი ბოლიდების პრეზენტაციით არიან გართულნი. სახელგანთქმულმა ედი ჯორდანმა, რომელიც მისივე სახელობის გუნდის მფლობელია, საკმაოდ სენსაციური განცხადება გააკეთა და ჩემპიონატის მოგებით დაიქადნა. მისი აზრით, „ჯორდანის“ პილოტებს — ჰაინც ჰარალდ ფრენტცენს და იარნო ტრულის შესწევთ იმის ძალა, რომ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ თავად „მაკლარენსა“ და „ფერარის“, რომლებსაც სპეციალისტთა უმრავლესობა გამარჯვების №1 პრეტენდენტად თვლის. „ჩემი მიზანი და ოცნება მხოლოდ ჩემპიონობაა და იმედი მაქვს, რომ მიზანს მივაღწევთ“ — განაცხადა ედი ჯორდანმა ახალი ბოლიდის პრეზენტაციაზე.




„პროსტის“ ახალი ბოლიდის პრეზენტაცია

შედარებით მოკრძალებულია წარსულში ცნობილი ფრანგი პილოტის, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის ალენ პროსტის პროგნოზი. „პროსტ პეჟოს“ მფლობელმა „მაკლარენისა“ და „ფერარისთან“ წინააღმდეგობა ჯერჯერობით არარეალურად ჩათვალა და მესამე ადგილისათვის ბრძოლა დაისახა მიზნად. „ყველა გუნდი ჩემპიონობაზე ოცნებობს. მიუხედავად იმისა, რომ სპორტში შეუძლებელი არაფერია, წელს ძლიერ გაგვიჭირდება მიკა ჰაკინენისა და მიხაელ შუმახერის უკან ჩამოტოვება. მესამე ადგილის დაკავება სავსებით რეალურია, ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ წელს „იაგუარსაც“ ვაჯობებთ და მით უმეტეს „ჯორდანს“ — არად ჩააგდო პროსტმა ედი ჯორდანის მუქარა. რასაკვირველია, ალენ პროსტს ჟან ალეზის იმედი აქვს, რომელსაც წელს 23 წლის გერმანელი ნიკ ჰეიდფელდი გაუწევს პარტნიორობას. საინტერესოა, რომ „პროსტს“ წელს ახალი სპონსორი ჰყავს, რომელმაც გუნდის ბოლიდის გაუმჯობესებისათვის 20 მილიონი დოლარი დახარჯა.

ციურიხის ცენტრალურ სტადიონზე 7000 მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა „ზაუბერის“ ახალი მანქანის პრეზენტაცია, რომელიც ნამდვილ შოუდ იქცა. რაც შეეხება „მაკლარენსა“ და „ფერარის“, მათ უკვე წარუდგინეს პუბლიკას ახალი მანქანები და სეზონისათვის უშუალოდ ტრასებზე ემზადებიან. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა მაქს მოსლიმ განაცხადა, რომ ჩემპიონატში გამარჯვების უმთავრეს ფავორიტად მიხაელ შუმახერს მიიჩნევს, რომელიც უთუოდ იმსახურებს, მესამედ მოიპოვოს ჩემპიონის ტიტული, „შუმახერი მსოფლიოს უპირველესი პილოტია, თუმცა იმედი მაქვს, რომ გამარჯვებას მხოლოდ ბოლო ეტაპზე გაინაღდებს და შესანიშნავი სანახაობის მოწმე გავხდებით“ — მიაჩნია მოსლის. საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: ფორმულა-1-ით სერიოზულად დაინტერესდნენ ისეთი საავტომობილო გიგანტები, როგორებიც არიან „მერსედეს ბენცი“, „ბმვ“, „იაგუარი“, „ტოიოტა“, „ჰონდა“ და ა.შ. სავარაუდოა, რომ უძლიერესი გუნდების სპონსორობას უახლოეს წლებში სწორედ საავტომობილო გიგანტები აიღებენ თავის თავზე, თამბაქოს კომპანიების ნაცვლად.

# ბლატერი ხელოვნური გაზონის მომხრეა

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ მისი აზრით უკვე დადგა დრო, საფეხბურთო სტადიონებზე მინდვრის ბუნებრივი საფარი ხელოვნურმა შეცვალოს. „ეს საშუალებას მოგვცემს, თამაში ნაკლებად იყოს დამოკიდებული მეტეოროლოგიურ პირობებზე, თანამედროვე ტექნოლოგიით დამზადებული სინთეტიკური გაზონი ხარისხით არაფრით ჩამოუვარდება მინდვრის ბუნებრივ საფარს. ვფიქრობ, რომ მასზე თავად მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარებაც შესაძლებელია“ — მიაჩნია ბლატერს. შეგახსენებთ, რომ ბალახის სინთეტიკით შეცვლის ექსპერიმენტი ჯერ კიდევ 80-იან წლებში ჩაატარეს ინგლისში, თუმცა მაშინ ფეხბურთის სპეციალისტთა და თავად ფეხბურთელთა უმრავლესობა სიახლის წინააღმდეგ გამოვიდა. მას შემდეგ სინთეტიკური გაზონი ბევრად დაიხვეწა და ალბათ უახლოეს წლებში სტადიონებზე ბუნებრივ საფარს ხელოვნური შეცვლის.

# შესაძლოა, კანტონამ მწვრთნელობა დაიწყოს

ბრიტანული პრესის ცნობით, წარსულში ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი ერიკ კანტონა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ოფიციალურად აღიარეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ, შესაძლოა, ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბ „ფულჰემს“ ჩაუდგეს სათავეში. შეგახსენებთ, რომ „ფულჰემი“ ეგვიპტელი მილიარდერის მუჰამედ ალ ფაიედის საკუთრებაა, კლუბს კი ერთი წლის წინ ინგლისის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი კევინ კიგანი ავარჯიშებდა. კანტონას საბოლოო პასუხი ჯერჯერობით უცნობია. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, ფრანგი რამდენიმე კვირით მოედანზე დაბრუნებას და ავსტრალიურ „სიდნეი ოლიმპიკთან“ ხანმოკლე კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.

# რონალდო — გაეროს ელჩი

„ინტერის“ ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდო ე.წ. კეთილი ნების ელჩი გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ფეხბურთელი, რომელიც ამჟამად ტრავმირებულია და არ თამაშობს, სხვადასხვა სახის აქციებში მიიღებს მონაწილეობას, რომელთა მიზანი მოსახლეობის ულარიბესი ფენის დაცვა და თანადგომა იქნება. „თავად ხელმოკლე ოჯახში გავიზარდე და კარგად მესმის, რა სირთულეებს აწყდება ღარიბი ხალხი. ვიმედოვნებ, რომ ჩემი პოპულარობა ხელს შეუწყობს ჯერჯერობით ამ გადაუჭრელი პრობლემის მოგვარებას“ — განაცხადა რონალდომ. საინტერესოა, რომ ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა ბრაზილიელი პოლიტიკურ აქციაში მონაწილეობს. 1998 წელს იგი ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი გახლდათ პროგრამისა — „გაერო შიდსის წინააღმდეგ“, გასულ წელს კი საქველმოქმედო მოგზაურობა მოაწყო კოსოვოში.



რაც შეეხება რონალდოს ჯანმრთელობას, ფეხბურთელს რამდენიმე დღის წინ გაუკეთეს მარჯვენა მუხლის ოპერაცია, რომელმაც ექიმების აზრით, წარმატებით ჩაიარა. სავარაუდოა, რომ ბრაზილიელი მომავალი სეზონის დამდეგს ჩადგება ფორმაში.

# ცფპუიფ — ვფზფმუქპუიუთ ქუჭუჭუ

კოტ-დივუარის სამხედრო ხელისუფლებამ დააპატიმრა ეროვნული ნაკრების მთელი შემადგენლობა, რომელიც სამშობლოში განადან დაბრუნდა, სადაც აფრიკის ჩემპიონატში მონაწილეობდა. დაპატიმრების მიზეზი გახდა ის, რომ კოტ-დივუარელებმა ჯგუფური ტურნირის ბარიერი ვერ დაძლიეს და მეოთხედფინალის მიღმა აღმოჩნდნენ. მოთამაშეთა უმრავლესობა საფრანგეთისა და ბელგიის ჩემპიონატში გამოდის და ჯერჯერობით არავინ იცის, როდის დაუბრუნდება საკუთარ კლუბებს. ქვეყნის სამხედრო რეჟიმმა, რომელმაც დეკემბერში მომხდარი გადატრიალების შედეგად იგდო ხელთ ძალაუფლება, მოთამაშეთა ახლობლები და ოჯახის წევრები დაამშვიდა და განუმარტა, რომ ფეხბურთელთა დაპატიმრება მათივე უსაფრთხოების მიზნით მოხდა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამწარებული გულშემატკივრებისაგან მოთამაშეთა მიმართ ტერორისტული აქტების მოწყობა იყო მოსალოდნელი.

# გუს ჰიდინკი „ბეტისის“ მწვრთნელია



ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, გუს ჰიდინკი ესპანეთის პრიმერა დივიზიონის კლუბ „ბეტისის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და ამ პოსტზე არგენტინელი კარლოს გრიგოლი შეცვალა. შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ, ჰიდინკი მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობიდან გაათავისუფლეს არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო. მას შემდეგ ჰოლანდიელს რამდენიმე კლუბმა მიმართა წინადადებით, თუმცა მოლაპარაკებები ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. „ბეტისი“ ამჟამად ესპანეთის ჩემპიონატში მეთექვსმეტე ადგილზე იმყოფება. კლუბის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ავტორიტეტული მწვრთნელის თავკაცობით გუნდი სატურნირო ცხრილის ფსკერს თავს დააღწევს.

# სპორტი და ძალადობა

იემენში ჩატარდა შეჯიბრება, რომლის მონაწილეთა მიზანი ცოცხალი სამიზნის მიმართულებით ქვების ტყორცნა გახლდათ. სამიზნეს წარმოადგენდა დამნაშავე, რომელიც ხელისუფლებამ სასიკვდილოდ გაწირა და განაჩენის გამოტანა ამგვარი ხერხით გადაწყვიტა. დამნაშავე წელამდე ჩამარხეს მიწაში და გარკვეული დისტანციიდან დაუწყეს ქვების სროლა. რამდენიმე ასეული მამაკაცი, ქალი და ბავშვი შეიკრიბა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. სამიზნეს წარმოადგენდა კაცი, რომელმაც ჯერ გააუპატიურა და შემდეგ დანით აჩეხა საკუთარი შვილი. მონაწილეთა ყველაზე დიდ მიღწევად ითვლებოდა, თუ ქვა თავში მოხვდებოდა მსხვერპლს, არც მუცელში მორტყმა ყოფილა ურიგო შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ ქვები პანტა-პუნტით ცვიოდა დამნაშავის თავსა და ტანზე, მსხვერპლის განადგურებას მთელი ოთხი საათი დასჭირდა. იემენის გარდა მოძალადეთა მსგავსი მეთოდით დასჯა დაშვებულია ირანში, საუდის არაბეთსა და ავღანეთში. ექსპერტთა აზრით, სწორედ ავღანეთში ცხოვრობენ ამ „არაოლიმპიური“ სპორტის ყველაზე სახელგანთქმული ოსტატები. ისინი, თურმე რამდენიმე ათეული მეტრიდან არტყამენ მიზანში. არ გეგონოთ, ქვების სროლას საკუთარი წესები არ ჰქონდეს. პირველი სროლის უფლება მართლმსაჯულების წარმომადგენლებს აქვთ, შემდეგ მოდიან რიგითი მაყურებლები.

# სად ჩატარდება 2008 წლის ოლიმპიადა?

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურმა დაასახელა ის ქალაქები, რომლებსაც 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობა სურთ. პრეტენდენტთა შორის არიან: ბანგკოკი (ტაილანდი), პეკინი (ჩინეთი), ქაირო (ეგვიპტე), ჰავანა (კუბა), სტამბული (თურქეთი), კუალა ლუმპური (მალაიზია), ოსაკა (იაპონია), პარიზი (საფრანგეთი), სევილია (ესპანეთი), ტორონტო (კანადა). პრეტენდენტ ქალაქებს თავიანთი საორგანიზაციო შესაძლებლობების წარდგენა მანამ მოუწევთ, სანამ მათ ოფიციალურად ცნობენ კანდიდატებად. 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქს ოლიმპიური კომიტეტი 2001 წლის ივლისში დაასახელებს, მოსკოვში გასამართ სესიაზე.

# ჯორდანმა „ჯადოქრების“ მწვრთნელი გაათავისუფლა

მაიკლ ჯორდანმა, რომელიც ორიოდ კვირის წინ იქცა NBA-ს კლუბ „ვაშინგტონ უიზარდსის“ თანამფლობელად, ახალ პოსტზე პირველი სერიოზული გადაწყვეტილება მიიღო და გუნდის მთავარი მწვრთნელის მოვალეობისაგან გაათავისუფლა გერ ჰერდი. მიზეზად კი კლუბის მიერ ნაჩვენები არადამაკმაყოფილებელი შედეგები დაასახელა. ყოფილი მწვრთნელი „კლივლენდთან“ გამარჯვებამაც კი ვერ იხსნა. ჯორდანის აზრით, „ჯადოქრებს“ შესწევთ იმის უნარი, რომ უფრო სოლიდური თამაში აჩვენონ და თავი დააღწიონ ბოლო ადგილს. ჰერდის პოსტი დარელ უოკერმა დაიკავა, რომელიც 1992-93 წლებში „მფრინავ მაიკლთან“ ერთად გამოდიოდა „ჩიკაგო ბულზში“. „უოკერი საკმაოდ შეუპოვარი და მიზანმიმართული პიროვნებაა, მან იცის, ვისთან როგორ უნდა იმუშაოს“ — შეაქო ჯორდანმა ყოფილი თანაკლუბელი. მიუხედავად იმისა, რომ „ჯადოქრების“ მთავარ მწვრთნელად ოფიციალურად უოკერი მიიჩნევა, ვაშინგტონელი კალათბურთელები უკვე მიეჩვივნენ, რომ ვარჯიშებს თავად მაიკლ ჯორდანი ატარებს და სათამაშო სქემებსაც იგი განიხილავს. რა შედეგებს მიაღწევს ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელი ახალ ამპლუაში, ახლო მომავალი გვიჩვენებს. NBA-ს ექსპერტები კი აღნიშნავენ, რომ გუნდს უკვე დაეტყო გამოცოცხლება და მომავალ სეზონში, შესაძლოა, მაღალი ადგილისათვის იბრძოლოს.



ჯორდანი და უოკერი

# ინგლისში ლეგიონერთა ლიმიტს აწესებენ

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა, პრემიერლიგის კლუბებში შეზღუდოს იმ ლეგიონერების რაოდენობა, რომლებიც ბრიტანეთში ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებიდან არ ჩასულან. „კლუბებში მხოლოდ ის უცხოელები უნდა გამოდიოდნენ, ვისაც მყარად აქვს ადგილი გარანტირებული ძირითად შემადგენლობაში. მხოლოდ მათ შეუძლიათ სარგებლობის მოტანა ინგლისური გუნდებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხშირად ისე ხდება, რომ ბრიტანელ პერსპექტიულ მოთამაშეებს საზღვარგარეთ უწევთ წასვლა, ვინაიდან ინგლისში თავის გამოჩენის საშუალება არა აქვთ“ — ნათქვამია ასოციაციის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. შესაძლებელია, რომ ახალი კანონი სეზონის დასრულებისთანავე შევიდეს ძალაში და ინგლისურ კლუბებში მოასპარეზე „სათადარიგო“ ლეგიონრები სამშობლოში დაბრუნდნენ.

*გვერდი მოამზადა მათე კბილაძემ*

# საჭადრაკო კლუბი



**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლd4.

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს ორ სვლაში.

რ. ლინკოლნი



# ჩუსეთი უცხოპლანეტელთა პროგნოზების იმედზეა

უცხოპლანეტელთა კონტაქტიორის ჩანაწერებიდან:

*„კოსმოსური გონი დედამიწის მდგომარეობით შეშფოთებულია და სურს გაგვაფრთხილოს:*



*მოსკოვში ააფეთქებენ ორ საცხოვრებელ სახლს. დაიღუპებიან ადამიანები: ქალები, მოხუცები, ბავშვები. იყავით ფხიზლად. დაიწყება ახალი ომი ჩეჩნეთში... 2000 წლის დასაწყისში მოსალოდნელია სისხლიანი ტერაქტები ინდოეთის შტატ ქაშმირში...“*

როცა შორეულ ქაშმირში მართლაც დაიღვარა სისხლი, მერე კი თანდათან ახდა სხვა წინასწარმეტყველებებიც მოსკოვსა თუ ჩეჩნეთში, გაზეთ „კრუტოი მეგაპოლისის“ თანამშრომლებმა კონტაქტიორი, სახელად იულიანი მოძებნეს:

**— იულიან, როდის დამთავრდება სამხედრო ოპერაცია ჩეჩნეთში?**

— მარტში ან ოდნავ მოგვიანებით. გაიმარჯვებენ ფედერალური ძალები. მომავალ ბრძოლებში კიდევ 200 კაცი დაიღუპება. ბოევიკებს 15.000 კაცის დანაკლისი ექნებათ, აქედან 6.200 — ჩეჩენი ეროვნების ტერორისტი იქნება.

**— რა ბედი ელით ტერორისტთა მეთაურებს?**

— ხატაბი დაიღუპება, შესაძლოა, ბასაევიც. მასხადოვი ცოცხალი დარჩება.

**— ვინ მეთაურობს რეალურად ბოევიკებს?**

— ხატაბი. მასხადოვი თავისი სახელით ფორმალურად ახმოვანებს მის ბრძანებებს.

**— რამდენად მასშტაბური იქნება პარტიზანული ომი აქტიური საბრძოლო მოქმედებების დამთავრების შემდეგ?**

— უკანასკნელი ეპიზოდები ასეთი იქნება: ფედერალების Ми-ები და Су-ები კარგად იმუშავებენ და ტერორისტებს კონტრმოქმედების საშუალება წაერთმევათ...

**— რამდენ წელს იქნება პუტინი ხელისუფლების სათავეში?**

— პირველ ოთხ წელიწადს სრულად ჩაათავებს.

**— უნდა ველოდოთ თუ არა წლეულს ბუნებრივ კატაკლიზმებს?**

— რუსეთს ეს ნაწილობრივ შეეხება.

**— უკანასკნელ ხანს ხშირად ლაპარაკობენ სამყაროს დასასრულზე...**

— თქვენი ცივილიზაციის განადგურება მართლაც უნდოდათ გადამეტებული აგრესიისა და ნებისმიერი საშუალებით ხელისუფლებისაკენ სწრაფვის გამო.

**— ვის უნდოდა?**

— თქვენს კოსმოსურ „მშობლებს“, ვინც პლანეტა დედამიწა და ადამიანები შექმნა ღმერთის ხელმძღვანელობით. საკითხი „იცოცხლოს თუ არა მწვანე ცივილიზაციამ“ პლანეტათა დიდ საბჭოზე დაისვა. თქვენდა საბედნიეროდ, ცივილიზაციათა 2/3-მა ხმა არ მისცა დამღუპველ გადაწყვეტილებას. დედამიწას გამოსასწორებელი ვადა მისცეს — 1 მლნ წელი.

**— ზოგიერთი მეცნიერი ირწმუნება, დედამიწაზე ცხოვრებას რომელიღაც ასტეროიდი გაანადგურებსო...**

— სადარდებელი არაფერი გაქვთ. თქვენ „მშობლები“ გიცავენ, ასევე პლანეტის ელექტრომაგნიტური ველი.

**— რას გვისურვებდით?**

— მოთმინებასა და ვაჟკაცობას.

***კრუტოი მეგაპოლისი №4***

# 300 კმ დიამეტრის ამოუცნობი მფრინავი ობიექტი

1999 წლის 21 ნოემბერს, გრინვიჩის დროით 14.45 სთ-ზე, ამერიკის ოკეანისა და ატმოსფეროს კვლევის ნაციონალური სამმართველოს ხელოვნურმა თანამგზავრმა მოახერხა უნიკალური მფრინავი ობიექტის ფოტოზე აღბეჭდვა. უზარმაზარი სფეროს ფორმის ობიექტი 160 კმ სიმაღლეზე ეკიდა.

NASA-ს ექსპერტებმა ზედმიწევნით შეისწავლეს ობიექტის სურათი, რის შემდეგ შესაძლებელი გახდა 1999 წლის დეკემბერში ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება. ფოტოგრაფირების მომენტში სფერო აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონის თავზე იდგა. სპეციალისტების შეფასებით, სფეროს დიამეტრი 300 კმ-ს აღემატებოდა, კოლორადოსა და



ამო აფრიკის თავზე



სამკუთხა ამო

იორკის უნივერსიტეტების ასტრონომები დარწმუნებულნი არიან, რომ ობიექტი ხელოვნურია. 1995 წლის 8 ივნისს ანალოგიური სურათი გადაიღო თანამგზავრმა სამხრეთ ამერიკის თავზე.

როგორც უფოლოგები ვარაუდობენ, თანამგზავრის კამერებმა ერთი და იგივე ობიექტი გადაიღო; ზოგიერთი ექსპერტის აზრით, დედამიწის მახლობელ ორბიტასთან დგას უცხოპლანეტელთა კოსმოსური ხომალდი ან კოსმოსური სადგური-ბაზა, რომელსაც კოსმოსიდან მოსულები ჩვენი პლანეტის გამოსაკვლევად იყენებენ.

მხილველთა თქმით, ტრადიციული მფრინავი თეფშის გარდა, გამოჩნდა სხვადასხვა ფორმის ამო. ზოგიერთი მათგანი ქალაქის ტიპისაა, ზოგი — ბორბლებიან კოლოფს მოგვაგონებს ან



ქალაქის ტიპის ამო

სამკუთხაა; შენიშნეს სპირალისებური მფრინავი ობიექტიც.

### იდუმალი აპარატები ჩინეთის დედაქალაქის თავზე

„ფრანს-პრესის“ ცნობით, 1999 წლის 10 დეკემბერს, პეკინის თავზე ორმა ამოუცნობმა ობიექტმა გადაიქროლა, ორივე ობიექტს სიგარის ფორმა ჰქონდა და თეთრ-ყვითლად ანათებდა. ფრენის სიმაღლე 500 მ-ს აღწევდა, რაც თვითმხილველებს საშუალებას აძლევდა მკაფიოდ დაენახათ იდუმალი აპარატების გარეგნული დეტალები.

მათი აღწერით, კორპუსი ყვითელი იყო, წინა და უკანა მხარე კი გავარვარებულ ლავას ჰგავდა და კაშკაშა სითეთრეს ასხივებდა. მოხერხდა ორივე ობიექტის კინოფირზე აღბეჭდვა, რომელსაც ამჟამად იკვლევენ ჩინეთის



სიგარის ფორმის ამო

სამხედრო სპეციალისტები.

გამოქვეყნებული ინფორმაციით, ობიექტები არ წარმოადგენენ თვითმფრინავებს ან მეტეოროლოგიურ ფენომენს, — უფრო ვრცელ ინფორმაციას ჩინეთის ხელისუფალნი არც იძლევიან და ალბათ არც არასოდეს მისცემენ საზოგადოებრიობას.

***ნლო №4***

# მეექვსე გრძნობის საიდუმლო



ხალხმა დაკარგა მეექვსე გრძნობა — დაადგინეს დიდი ბრიტანეთის ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მკვლევარებმა. მათი აზრით, უძველეს დროში, ადამიანს ჰქონდა მეექვსე გრძნობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა საგანგებო ორგანო, მისი ნარჩენი თანამედროვე ადამიანის ცხვირის ღრუში აღმოჩნდა.

მეექვსე გრძნობის მეშვეობით უძველეს ადამიანს შეეძლო უშეცდომოდ გაერკვია სხვა ადამიანთა დაფარული ზრახვები, მათი სიმპათიები და ანტიპათიები. მკვლევართა აზრით, ეს გრძნობა ტელეპათიას მოგვაგონებდა, მაგრამ უფრო ზუსტი და საიმედო იყო. დროთა განმავლობაში, ევოლუციისა და გენეტიკური მუტაციის პროცესში, მეექვსე გრძნობამ ატროფირება განიცადა, მაგრამ, როგორც გენეტიკოსები იმედოვნებენ, მისი აღდგენა შეიძლება. მეცნიერები ეძებენ გენს, რომელიც ცხოველებში მეექვსე გრძნობის ამუშავების პასუხისმგებელი იქნება. წარმატების შემთხვევაში ამ გენის ადამიანის დნმ-ში იმპლანტირებას აპირებენ. როგორც სპეციალისტები ამბობენ, მათ უკვე დაუკავშირდნენ სპეცსამსახურების წარმომადგენლები, ისინი ძალზე დაინტერესებულნი არიან მეექვსე გრძნობის მქონე სუპერგენის შექმნით.

***ტაინაია ვლასტ №1***

# მერილინ მონროს საიდუმლო

მერილინ მონრო უცხოპლანეტელი ყოფილა, მიზეზი ამ ვერსიისა გახდა ჟურნალ „GLOB“-ში გამოქვეყნებული უნიკალური ფოტოები, გადაღებული ჯერ კიდევ მაშინ, როცა მერილინი ნორმა ჯინად იწოდებოდა. ამ ფოტოებზე გამოსახული გოგონა ოდნავ თუ წააგავს სექს-სიმბოლოდ აღიარებულ მერილინს, მან ხომ მიზნის მისაღწევად არა მარტო ვარსკვლავეთის ფსევდონიმი აირჩია, არამედ გარეგნობაც მთლიანად გადაისხვაფერა: გაიუფერულა თმა, გაიზარდა ბიუსტი, ქირურგების დახმარებით შეიცვალა სახის მოყვანილობა. ფოტოებზე ნათლად ჩანს, — ექიმებს კიდევ ერთი დელიკატური ოპერაცია გაუკეთებიათ — ახალგაზრდა ნორმას ფეხზე ექვსი თითი ჰქონია. სწორედ ეს ნაკლი, რომელიც ქირურგების წყალობით მოიცილა, გახდა ჭორების



საბაბი. და კიდევ, ცნობილი ფილმის — „გადამთიელის გაკვეთა“ ექვსთითა პერსონაჟი, რომელსაც მერილინი თამაშობდა, ხალხმა ჟურნალ „GLOB“-ში გამოქვეყნებულ ფოტოებს დაუკავშირა. 1947წ. აშშ-ის ტერიტორიაზე ჩამოვარდა კოსმოსური ხომალდი, ამერიკის სპეცსამსახურებს ხელში უცხოპლანეტელის გვამი ჩაუვარდათ, რომელსაც ფეხზე ექვსი თითი ჰქონდა (თუმცა ასეთები დედამიწაზეც არსებობენ). ექვსთითა მერილინის ფოტოები 1946 წელსაა გადაღებული, ამო-ს კატასტროფა კი ერთი წლით გვიან მოხდა. ეს არგუმენტები საკმარისი არ არის მათთვის, ვისაც უნდა მერილინის უცხოპლანეტელობა ირწმუნოს. ამავდროულად, მერილინის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი დღესაც ბურუსითაა მოცული. ასე რომ, კოსმოსური კი არა, მიწიერი ამოცანაც ამოუხსნელია.

***ტრუდი №14***

# მარაზმი - სიწმინდის ნიშნად ალიარეს

ექიმები დიდი ხანია, ცდილობენ, გამოიცნონ ალცჰაიმერის დაავადების მიზეზი. ეს სენი ყველას არ ემართება — ზოგი ადამიანი 100 წლამდე ინარჩუნებს საღ გონებას. ინდოეთის რეინკარნაციის ინსტიტუტის სამედიცინო განყოფილების დირექტორი, ექიმი სანჯაი კუმარი მიიჩნევს, რომ არ ღირს ამ დაავადებაზე ბევრი ფიქრი და ნერვიულობა, ვინაიდან სულერთია, ადამიანი მაინც ვერაფერს შეცვლის. კუმარის მტკიცებით, მარაზმი არის რეინკარნაციის ნაადრევად დაწყება. როცა ადამიანი გადადის სხვა არსში, წარსული ცხოვრების ხსოვნა მთლიანად იშლება მისი მეხსიერებიდან. ეს ყოველივე, როგორც წესი, ხდება მიწიერი სიკვდილის შემდეგ. მარაზმატიკებად შეიძლება ჩაითვალონ ისინი, ვისი დაბრუნებაც ასტრალურ ძალებს ჩვენს სამყაროში სურთ.

***უიქლ უორლდ ნიუზი***

# რას გვეტყვით, ვარსკვლავებო!

## 7-13 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი




### ვერძი

მოაგვარებთ საქმეებს, უქმე დღეებს ახლობლებთან გაატარებთ. იყავით მზად მოულოდნელი შეხვედრებისთვის.




### კურო

დიდი შრომა გელით. დაიღლებით, მაგრამ გაგეხარდებათ კიდეც — თქვენი ავტორიტეტი ამაღლდება და სასიამოვნო ნივთებსაც შეიძენთ.




### მარჩბივი

ამ დღეებში ლიდერი ხართ და მეტად მოწესრიგებულიც. შეიძლება ბინა გამოიცვალოთ. მოსალოდნელია მოგზაურობაც.




### კირჩხიბი

უსიამოვნებებს შემოქმედებითი წარმატებები ცვლის. ნუ გაექცევით ცვლილებებს. იგი გაგიუმჯობესებთ ცხოვრებას.




### ლომი

ნურანაირ წინადადებაზე ნუ იტყვით უარს — წარმატება გელით. პარასკევს თავი აარიდეთ სამსახურში უსიამოვნებებს.




### ქალწული

სამსახურში მხოლოდ საქმე აკეთეთ და დაეხმარეთ კოლეგებს. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.




### სასწორი

თვითკრიტიკა განადგურებამდე მიგიყვანთ. გაარკვიეთ, რა გსურთ. კვირას გუნება გამოგიკეთდებათ და ხელიდან ყველაფერი გამოგივათ.




### ღრიანკალი

თავი შეიკავეთ ახლობელთა დახმარებისგან. წარმატებას მხოლოდ სიმტკიცე და პასუხისმგებლობის გრძნობა მოგიტანთ.




### მშვილდოსანი

ენერგია მოგიზღვავდებათ. დილიდან საღამომდე მუხლჩაუხრელი შრომაც კი არ დაგღლით. მოერიდეთ მოგზაურობას. ატარეთ დრო.




### თხის რქა

სიმშვიდეს დაძაბულობა მოჰყვება. ემოცია მოგეძალებათ. მეტი მოთმინება გმართებთ. არ დაგავიწყდეთ ენაზე კბილის დაჭერა.




### მერწყული

მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. საყვარელ ადამიანს მიეფერეთ, არ დაგავიწყდეთ ახლობლების მონახულება. ცვლილებები გაგახარებთ.




### თევზები

ხელფასითა და კარიერით უკმაყოფილო ხართ. არ აჩქარდეთ. დაფიქრდით. სულ მალე სიყვარული და თავდავიწყება გელით. საქმეებიც გამოგისწორდებათ.

**გისურვებთ წარმატებებს!**


## ფირმა «გარანტი»

**აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების**



**ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.**

ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.

სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.

მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78

სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები

☎ 34-05-52; 63-05-26; 77-43-85-69

## ვმკურნალობთ

### ქრონიკულ პროსტატიტს

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.**

## ლითონის საამქრო

ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი; დაგიმონტაჟებთ აივანს.

## ხის საამქრო

კარ-ფანჯარა, ავეჯი, ანტიკვარული გრეხილი კიბე, ლავგანდარი (კარნიზი)

მის: მუხიანი, მე-4ა მ/რ მე-4 კორპ.

☎ 63-67-52; 63-53-05; 877-41-87-75

## იტალიაში შადრევნები გაიყინა



უჩვეულო ცივი ამინდები დაიჭირა იტალიაში. სინოპტიკოსები ტემპერატურის ასეთ დაცემას არ ვარაუდობდნენ, ამიტომ რომსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში ხელისუფლებამ შადრევნები არ გამორთო. ყინულმა წყლის მილები დახეთქა. სიცივემ და ქარებმა მოიტანეს ე.წ. ესპანური ყინულის კენჭები. იტალიის ზოგიერთ ქალაქში ნახეს, როგორ ცვიოდა ციდან ყინულის მოზრდილი ნატეხები. სწავლულები ამ მოვლენას, ჯერჯერობით, ვერ ხსნიან. დაზარალებული მოქალაქეები ექიმებს აკითხავენ. იტალიის ქ. ანკონაში ერთ მამაკაცს თავზე 1 კგ-იანი ყინულის ლოდი დაეცა.

*ნოვიე იზვესტია №13*

## გენიოსს გონებასუსტი შეეძინა

თითქმის ყველა ცნობილ ადამიანს აქვს თავისი საიდუმლო. არც ფარდობითობის თეორიის ავტორი ალბერტ აინშტაინი ყოფილა გამონაკლისი. როგორც ახლახან გაირკვა, მისმა პირველმა ცოლმა, სერბმა მილევა მარიჩმა, აინშტაინს ჯერ კიდევ ქორწინებამდე ქალიშვილი აჩუქა (1902წ), მაგრამ მამას პატარა ლიზერლი არასოდეს უნახავს, მხოლოდ ერთ წერილში ჰყავს ნახსენები. მეტი მის შესახებ არავის არაფერი სმენია.



ამერიკელი ჟურნალისტი ლიზერლის ბედით დაინტერესდა და დაადგინა, რომ ის 2 წლის ასაკში გარდაცვლილა ქუნთრუშით. ბავშვი გონებასუსტი დაბადებულა, ამიტომ მილევას გოგონა მშობლებისთვის დაუტოვებია სერბეთში, თავად კი თავის ფიზიკოსთან დაბრუნებულა ბერნში (შვეიცარია).

ერთი წლის შემდეგ მილევამ და ალბერტმა იქორწინეს და სარეგისტრაციო წიგნში ჩააწერინეს — ბატონი და ქალბატონი აინშტაინები, უშვილოები. თუმცა იმ დროს ლიზერლი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ასეთი უპატიოსნო საქციელი მხოლოდ ასე აიხსნება — უკანონო და გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი გენიოსის კარიერას ვერ გაალამაზებდა. მათმა ქორწინებამ 16 წელს გასტანა, მაგრამ ვაჟიშვილების — ჰანს ალბერტის და ედუარდის (რომელიც აგრეთვე გონებრივად განუვითარებელი იყო) გაჩენის შემდეგ აინშტაინის დამოკიდებულება ცოლის მიმართ საგრძნობლად შეიცვალა. „მე მას ისე ვეპყრობი, როგორც მოსამსახურეს, რომელსაც ვერ ვაგდებ. ვცდილობ, მასთან მარტო არ დავრჩე“.

1919 წელს ცოლ-ქმარი გაიყარა და როცა აინშტაინმა თავისი ფარდობითობის თეორიის წყალობით სახელი გაითქვა, მილევა უკვე აღარ იყო მისი ცოლი. ქალი 1948 წელს გარდაიცვალა და სიცოცხლის ბოლომდე ზრუნავდა ვაჟიშვილებზე, განსაკუთრებით კი ავადმყოფ ედუარდზე. ბიჭები მამას ძალიან იშვიათად ნახულობდნენ.

განქორწინების შემდეგ აინშტაინმა მალევე შეირთო ცოლად თავისი ახლო ნათესავი.

*პოსლედნიე ნოვოსტი №3*

## სამაგიეროს გადახდის ახალი ხერხი

სამხრეთ აფრიკაში ერთ-ერთი ფირმა კლიენტს ახალი სახის მომსახურებას სთავაზობს: დახვეწილად გადაუხადოს სამაგიერო ადამიანს, რომელმაც აწყენინა.

კომპანია, რომელსაც ეწოდება, „გეჯავრებოდეთ ისინი, ყვავილები და ხილი“, ამზადებს დამჭკნარი ყვავილების და დამპალი ხილის ამანათებს და ადრესატებს უგზავნის. როგორც ფირმის დამაარსებელი ჩარლი ამბობს, იგი ემსახურება შურისმაძიებელ ადამიანებს.

„ეჭვი და ზიზღი — ჩვენს დროში ფართოდ გავრცელებული გრძნობებია. სამაგიეროს გადახდის მიზნით ბევრი მზად არის, ფული გადაიხადოს,“ — ამბობს ჩარლი. ამ უცნაური მომსახურების ფირმის დირექტორი იმასაც ამბობს, რომ მათი კლიენტები ასეთ ამანათებს პირდაპირ ოფისებში გზავნიან, რათა მათთვის არასასურველი ადამიანი საჯაროდ დაამცირონ.

ფირმის კლიენტურის 80% მეტოქისადმი შურისძიების გრძნობით შეპყრობილი ქალები არიან, მაგრამ არიან კაცებიც, რომლებიც ზიზღის ნიშნად თავიანთ ყოფილ მეუღლეებსა თუ მოღალატე საყვარლებს აქოთებულ ამანათს უგზავნიან.

ფირმაში სულ ორი ადამიანი მუშაობს. ჩარლი და მისი დამხმარე, რომელსაც ეს ამანათები ადრესატებთან მიაქვს. მაისურზე კი ასეთი წარწერა აქვს: „არ ესროლოთ კურიერს!“

*შტერნ №3*

## კლასიკოსთა შთამაგონებელი



ესპანელები დონჟუანს თანამემამულედ მიიჩნევენ. იგი გასული საუკუნეების მწერლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პერსონაჟია. ასეთი მექალთანე ამდენი კლასიკოსის შთამაგონებელი არასოდეს გამხდარა. პირველად დონ ხუან ტენორიო 1630 წელს გამოჩნდა ესპანელი დრამატურგის ტირსო დე მოლინას კომედიაში. ნაწარმოების სათაური იყო „სევილიელი ჩხუბისთავი ანუ ქვის სტუმარი“. 35 წლის შემდეგ დონჟუანი მოლიერის კომედიის, ხოლო 12 წლის შემდეგ კორნელის ნაწარმოების პერსონაჟია. XVIII საუკუნეში დონჟუანი იტალიელი კარლო გოლდონისა და გერმანელი ჰოფმანის ნაწარმოებების გმირი გახდა, შემდეგ კი ბაირონის პოემაში გამოჩნდა. ბაირონმა საკუთარი სიუჟეტი შექმნა — მან დონჟუანი სხვადასხვა ქვეყანაში ამოგზაურა, ბოლოს რუსეთში ჩაიყვანა და დედოფალ ეკატერინე მეორის თბილ, ალერსიან მკლავებში აპოვნინა ბედნიერება. იგი პუშკინის ნაწარმოების პერსონაჟიც გახდა, ხოლო შემდეგ ალექსანდრე დიუმასი.

*ფავორიტი №1*

## ვეძებთ ზრდილობიან თუთიყუშს!

თუთიყუში, სახელად პერსი, ბრიტანეთის ერთ-ერთ საბავშვო თეატრში მსახურობდა, მაგრამ ბილწსიტყვაობისთვის დაითხოვეს. როგორც გამოირკვა, მას ტექსტი ავიწყდებოდა და გალეშილ მეწაღესავით იწყებდა გინებას.

სპექტაკლ „განძთა კუნძულის მეკობრეების“ რეპეტიციაზე ჩიტმა, რომელიც ერთ მსახიობს მხარზე ეჯდა, მოულოდნელად ისეთი „სართულებიანი“ გინება გადმოაფრქვია, ადამიანის ყურს იშვიათად რომ სმენია.

ყურებს ვერ დავუჯერე. რეპეტიცია ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ პერსიმ ანაზდად უწმაწური ლანძღვა წამოიწყო. „თავიდან ყველა გაშეშდა, მერე კი ახარხარდა,“ — ამბობს მსახიობი, რომელსაც თავშეუკავებელი თუთიყუში მხარზე ეჯდა.

ამ ინციდენტის შემდეგ თეატრმა თუთიყუშის ადგილი ვაკანტურად გამოაცხადა.

*თაიმი №21*

## ნებისმიერმა სტუდენტმა იცის, რომ...

სავსებით შესაძლებელია გამოცდაზე ჩაჭრა იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესანიშნავად იცით საგანი. ყველაფერი გამომცდელზეა დამოკიდებული, რაც ახლახან საკუთარი მაგალითით დაამტკიცა მსოფლიოში ცნობილმა ქირურგმა პაოლო მაჩიარინიმ. 41 წლის ექიმმა შესანიშნავად ჩაატარა 4.000 გულის ოპერაცია. გამოცდას სპეციალობაში სენიორ პაოლო ოდესღაც შესანიშნავად აბარებდა საფრანგეთში, მაგრამ რამდენიმე ხნის წინ ჰანოვერის ექიმთა პალატამ მოითხოვა, რომ იტალიელ ქირურგს თავისი კვალიფიკაცია დაემტკიცებინა გერმანული კომისიის წინაშე. უნდა აღინიშნოს, რომ მაჩიარინი გამოცდაზე ჩაიჭრა. სპეციალისტები განაცვიფრა ამ ფაქტმა, ვინაიდან ჯერ კიდევ 1995 წელს პროფესორმა შესანიშნავად გააკეთა მსოფლიოში პირველი ოპერაცია — გულის არეში საჰაერო მილის ტრანსპლანტაცია.

გამოცდაზე ჩაჭრის მიუხედავად, გერმანიის კლინიკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ იტალიელი ქირურგი მომავალშიც მათთან იმუშავებს.

რამდენიმე დღის წინ სენიორ პაოლო მაჩიარინიმ ბრწყინვალედ ჩაატარა ოპერაცია, რომლის გაკეთებაზეც სხვა ექიმებმა ცივი უარი განაცხადეს.

*ნოვიე რევიუ №2*

## სტალინის მანქანა

1949 წლის ღრუბლიან სექტემბრის დილას მოსკოვის მახლობელ პოლიგონზე ბერიას ელოდნენ. იქვე, თხრილთან შავად მოლაპლაპე ორი მანქანა — „ЗИС-110“ იდგა. გარეგნულად ვერაფრით გაარჩევდით ერთმანეთისაგან, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს ლითონის გარსის ქვეშ ჰქონდა ჯავშნიანი ფოლადის ძარა. მისი ორმაგი კარის სიგანე 40 მმ იყო, ტყვიაგაუმტარი მინისა — 10 მმ, ყოველი მინა იღებოდა კარში ჩამონტაჟებული ჰიდრავლიკური დომკრატით. ჰქონდა აგრეთვე ორმაგი ძირი, ორმაგი ჭერი და საგანგებოდ გამაგრებული უკანა კედელი. საერთო წონა ჯავშნიანი მანქანისა 10 ტონას შეადგენდა. იმ დღეს უნდა შეემოწმებინათ, გაუძლებდა თუ არა საბრძოლო ქვემეხისა და ყუმბარების დარტყმას. ჯავშნოსანი მონსტრი შეკვეთილი იყო პირადად სტალინის მიერ, შემოწმება და დამტკიცება კი ევალებოდა ბერიას, გენერალისიმუსის მთავარ მცველს. პოლიგონზე ბერიას ხვდებოდნენ ქარხნის დირექტორი, პარტკომი, მთავარი კონსტრუქტორი. ის იყო, პარტკომმა დაიწყო ლაპარაკი — ბელადის სახელობის ქარხანა ანთებულია სურვილით, წარმატებით შეასრულოს სტალინის საპატიო შეკვეთაო, რომ საიდანღაც მოირბინა ძაღლმა, დაიწყო კუდის ქიცინი და წკავწკავი. რაპორტი შეწყდა. თურმე ძაღლი ცოცხალ ობიექტად სჭირდებოდათ. იგი უნდა ჩაესვათ მანქანის სალონში. ბერიამ განაცხადა, მანქანამ უნდა ატაროს ადამიანები და არა ძაღლებიო და მასპინძლებს შესთავაზა, სალონში ჩამსხდარიყვნენ. მსროლელები მოემზადნენ. ბერია მცველებითურთ საფარში შეიმალა. გაისმა ქვემეხების გრიალი. როცა ბოლი გაიფანტა, ბერია მანქანებისკენ გაემართა. ჯავშნოსანი მონსტრი შეურყევლად იდგა, მხოლოდ უკანა თვალი დაშავებოდა. ჩვეულებრივი „ЗИС“-ის ცნობა კი შეუძლებელი იყო. მანქანიდან გამოძვრა გადარჩენილი სამეული, ფერდაკარგულნი ცდილობდნენ, სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაც გამოეხატათ. მალე 30 „ЗИС“-ი (ასეთი იყო ბერიას შეკვეთა) მზად იყო. ისინი გაიგზავნა ქვეყნის სხვადასხვა მხარეს — 2 ლენინგრადში, 20 — მოსკოვში და მოსკოვის მახლობელ აგარაკებზე, დანარჩენი — ყირიმში, ჩრდილო კავკასიაში, სოჭსა და სამხრეთ კავკასიაში. ეს მანქანები სტალინის გარდაცვალების შემდეგ ჩამოიტანეს და კრემლის საწყობში მოათავსეს. ამბობენ, შემდეგ ლიხაჩოვის ქარხანაში გადასადნობად გაგზავნესო.



*ფავორიტი №23*

## მონიკას ახალი სიყვარული



მონიკა ლევინსკიმ, როგორც იქნა, თავი დააღწია ღრმა დეპრესიას — ამაში მას სიყვარული დაეხმარა. ბედის ირონიით მისი გული დაიპყრო მწერალ-იუმორისტმა ჯეფ ბოგსმა. სწორედ ის ბოგსი გახლდათ მონიკასა და ბილ კლინტონზე ანეკდოტების ავტორი. ანეკდოტები საგანგებოდ სატელევიზიო ტოკშოუსათვის შეიქმნა და რომ იტყვიან, მთელი ამერიკა აახარხარა. ყველაზე ხმამაღლა თურმე თავად პრეზიდენტი კლინტონი იცინოდა. ნათქვამია, სიყვარული ბრმა არისო... როცა მონიკამ ჯეფი ჰოლივუდში გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე გაიცნო, სიყვარულისაგან თავგზა აებნა, ერთი ხელის მოსმით გაუარა იმ სიძულვილმა, ადრე რომ ანეკდოტების შემქმნელ ვიღაც მწერალ-იუმორისტისადმი გრძნობდა.

*ნიუზუიქი*

## ჩვენი უმცროსი მეგობრები

მაღალი არტერიული წნევის საწინააღმდეგო მედიკამენტების ეფექტიანობა გაცილებით იზრდება, თუ შინ გყავთ ძაღლი ან კატა. ამ ცხოველების დამსახურებაა, რომ სტრესით გამოწვეული არტერიული წნევის დაწევის დინამიკა დაახლოებით ორჯერ ჩქარდება.

ამის პარალელურად, მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ ოჯახში მცხოვრებ სულიერთაგან წნევის დაწევის სისწრაფეზე ყველაზე უარყოფითად მოქმედებს ვინ, თუ იცით? — ავადმყოფის ცოლი ან ქმარი.

*შპიგელი №3*

## ასოციაცია



**თარაზულად:** 4. ვარდი, ნემსი; 6. კედელი, ნაჭერი; 9. დეპო, თვითმფრინავი; 10. მწვადი, ნაკვერჩხალი; 14. კვერცხი, სფერო; 15. კვადრატი, პარალელოგრამი; 17. მეტრი, ტონა; 19. ხილი, მზე; 21. ბურთი, ჩიკორი; 23. წერილი, ყუთი; 24. იასამანი; მინდორი; 28. ჰიუსტონი, თინა; 30. დოლარი, ევროპა; 33. კოკა, დოქი; 34. სომბრერო, თურქეთი; 35. ბრალდებული, საბუთი; 36. სია, რესტორანი; 39. ლუვრი, იტალია; 40. ციხე, სვანეთი; 41. მოლდავეთი, კოპენჰაგენი.

**შვეულად:** 1. თოკი, გიტარა; 2. თეთნულდი, „ტრიუმფი“; 3. ბალავარი, სანთელი; 5. მინდორი, სახლი; 7. „ალიონი“, „კურიერი“; 8. მეტრი, სითბო; 11. თიხა, აგური; 12. ოჯახი, სოფელი; 13. გიორგობისთვე, ივლისი; 16. ალია, ლტოლვილი; 18. ბრძანება, შაჰი; 20. დრო, ისარი; 22. პუშკინი, გერმანია; 25. „სალამანდრა“, ჯარისკაცი; 26. კავკასიონი, ევრაზია; 27. რომანი, ოპერა; 29. მოვალეობა, დანიშნულება; 31. ლემეშევი, იტალია; 32. გურია, შტერი; 37. რენუარი, ესპანეთი; 38. მთა, ქვა.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ჭანჭური; 6. კონიაკი; 8. ავანტიურა; 11. ჭრაქი; 14. სუმო; 15. კოლიზეი; 16. ამპერი; 17. ავტორი; 20. ანალიზი; 22. კასრი; 23. ატამი; 26. კომუნიზმი; 27. ახალუხი; 28. ეგოისტი.

**შვეულად:** 1. სათბური; 2. კრივი; 3. კობრა; 4. აკლდამა; 7. სტიქია; 9. ოქტომბერი; 10. ასპირანტი; 12. კოტრანა; 13. სერვიზი; 18. ალვანი; 19. ზამბახი; 21. ამარეტო; 24. ცოცხი; 25. ომეგა.

# თავგადასავალი თამთასი

ერთ ცნობილ ქართველ მოღვაწეზე ჰყვებიან. შვილი შეეძინა და ცოტა ხნის შემდეგ მეგობარს გაუზიარა თავისი შეჭირვება: ორი თვეა ვფიქრობ, სახელად რა დავარქვა და ძლივს მოვიფიქრე, გიორგი უნდა დავარქვაო.

ახლა ისიც ვიკითხოთ, ორი თვე რაში სჭირდებოდა ამის მოფიქრებას, ორი წუთიც იქნებოდა საკმარისი, მაგრამ უნდა გავუგოთ. ეტყობა ეჭვმიუტანლად საუკეთესოს ეძებდა ზღვა სახელებში. აკი მიაგნო კიდეც!

სხვა საკუთრებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ საკუთარი სახელების სიმცირეს ნამდვილად ვერ დავიჩივლებთ. იქით ბიბლიური სახელებია, აქეთ — ბერძნული თუ აღმოსავლური; ძირძველი ქართული სახელებიც მოიძებნება, ხოლო XX საუკუნიდან უკვე ევროპული და რუსული სახელები შემოიჭრა ჩვენში და ქართველი კაცი უზარმაზარი არჩევანის წინაშეა, საგონებელში ვარდება — ერთიმეორეზედ უკეთეს სახელებში უჭირს დადგენა საუკეთესოსი.

ამასობაში მხატვრული ლიტერატურიდან მოულოდნელად ვრცელდება ხოლმე მანამდე უცნობი სახელი, შემორჩენილი ქვეყნის რომელიმე კუთხეში ანდა ჩარჩენილ შორეულ წარსულში.

ასე გავრცელდა ელვისებური სისწრაფით „ლამარა“ — გრიგოლ რობაქიძის პიესისა და რუსთაველის თეატრში სანდრო ახმეტელის მიერ დადგმული სპექტაკლის წყალობით.

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენამ“ კიდევ ორი სახელი აჩუქა ქართულ სახელთა სალაროს: ზვიადი და შორენა, ხოლო გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელამ“ — თამთა.

ეს უკანასკნელი, თავისი პოპულარობით, ლამარას და შორენას ვერ შეედრება, მაგრამ ისიც მტკიცედ დამკვიდრებულა. ოღონდ შვილს რომ არქმევენ „თამთას“, შესაძლოა, არც კი იციან, საიდან მოდის და რომელ ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება ეს სახელი, ფაფუკ თოვლს რომ მოგვაგონებს.



**წმ. გიორგის გამოსახულება ხლათის კანდელზე**

გრიგოლ აბაშიძის რომანში თამთა მხოლოდ ერთხელ გამოჩნდება ავანსცენაზე, ერთ სიტყვასაც არ წარმოთქვამს, მაგრამ მისი სახელი და სახება არაერთგზის გაიელვებს „ლაშარელას“ ფურცლებზე, როგორც შალვა ახალციხელისა და თურმან თორელის აუხდენელი ოცნების საგანი.

პირველი მათგანი, მოგეხსენებათ, ცნობილი ისტორიული ფიგურა არის, მეორე კი მწერლის მიერ მოგონილი პერსონაჟია. ორივე ეტრფის თამთას, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის დროინდელი დიდებულის, ათაბაგად ანუ უფლისწულის აღმზრდელად აღზევებული ივანე მხარგრძელის ასულს.

და აი, მამა და შვილი სტუმრად არიან შალვა ახალციხელის მამულში. თამთა დარბაზში რომ შემოვიდა, მყისვე ყველაფერი უჩვეულო შუქით განათდაო. ჭაბუკი თურმან თორელის სულის რომელიღაც კუნჭული შეირხა, გული საგულედან ამოუფრინდა და სამღერლად გამზადებული მგოსანი მიწას მოსწყდაო. თითქოს ფრთაშესხმული მიფრინავდა სადღაც, მაღლა და შორს, დამაბრმავებელი სინათლისა და მომხიბლავ ხმათა ზღაპრულ სამყაროში. აღტაცებისაგან მთვრალი და ფეხის ფრჩხილებამდის გაბრუებული, ღრუბელივით ამჩატებული იყო და თავადაც არ ესმოდა, რას ან როგორ მღეროდა.

ჭაბუკი მგოსანი გვიანღა შენიშნავს, რომ მისი ბიძაშვილი, სახელოვანი სარდალი შალვა ახალციხელი და თამთა გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებენ ერთმანეთს და გარშემო მყოფთ ვერც კი ამჩნევენ.

თურმან თორელი მიხვდება თავის უიღბლობას. მწარე ფიქრი შეიპყრობს: წრფელი სიყვარულისა და უხეირო ლექსების გარდა არაფერი მაბადიაო. სუსტი, უქონელი და უბირი ახოვან, მდიდარსა და გავლენიან შალვას როგორ გავუტოლდებიო.

მაგრამ ბედი არც შალვა ახალციხელს უღიმის.

თამთას ათხოვებენ და ჯავრისაგან გახელებული სარდალი, მიჯნურთა წესისამებრ, ველად გაიჭრება, გამოქვაბულებსა და ტყეს აფარებს თავს. მერე ლაშა-გიორგი და ვარამ გაგელი მოძებნიან, ძალით წამოიყვანენ სასახლეში, ნადირობითა და ლხინით მოუბრუნებენ გულს ცხოვრებაზე.

თურმან თორელი კი ლექსების შეთხზვით იქარვებს სევდას და ამ ლექსებს მთელი საქართველო მღეროდაო.

გრიგოლ აბაშიძემ მშვენიერ თამთაზე გამიჯნურებულ მგოსანს უშურველად დაუთმო თავისი შემოქმედების ნაყოფი — მძაფრი ვნებით დამუხტული სტრიქონები:

„მე იმ დღეებს ვერ ვივიწყებ, იმ გაფრენილ წამთა, როცა ცაში მიუწვდომლის სიახლოვე მწამდა. ახლა ვდგავარ შავ უფსკრულთან, პირდაღებულ ხრამთან, თამთა, სად ხარ, საოცნებო, გაფრენილო თამთა?!

გაზაფხული ვეღარა სძლევს სულში ჩამდგარ ზამთარს, მე უშენოდ დარშიც მყინავს, თამთა, თამთა, თამთა... შენს საძებრად ღრუბელივით ხევ-ხევ ვივლი, მთა-მთა, ცხრამთას იქით დაკარგულო, თამთა, თამთა, თამთა...“

საოცნებო თამთა, არარსებული თურმან თორელისგან განსხვავებით რეალურად არსებობდა და როგორც ისტორია გვამცნობს, იგი ხლათში გაუთხოვებიათ.

ვანის ტბის სიახლოვეს მდებარე ხლათი ცნობილი და აყვავებული ქალაქი იყო XIII საუკუნეში (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა). იქ მრავლად მოიპოვებოდა ბაზრები, სადაც უხვად მოჰქონდათ სხვადასხვა საქონელი მთელი ქვეყნიერებიდან.

ხლათს უდარებდნენ ხოლმე არაბული სამყაროს ზღაპრულ ქალაქებს — ბაღდადსა და დამასკოს.

სწორედ ხლათს ეცილებოდნენ ერთიმეორეს აიუბიანთა იმპერია და საქართველო, რომელიც ცდილობდა ირანიდან ლევანტისაკენ მიმავალ სავაჭრო გზებზე გასვლას და სომხებით დასახლებული მიწა-წყლის შემომტკიცებას.

1207 წელს აიუბიანები დაეპატრონნენ ხლათს. ქართველები განაგრძობდნენ თავდასხმებს ხლათის ოლქზე, აიღეს ქალაქი არჭეში.

ხლათის გამგებელმა, ეგვიპტის სულტნის ალ-ადილის ძემ ალ-ავჰადმა ვერ გაბედა ქართველების წინააღმდეგ გამოსვლა, თუმცა ხლათში დიდი ჯარი ჰყავდა. ქართველებისაც ეშინოდა და ხლათელებისაც — აჯანყდებიან და ქალაქს მტერს ჩააბარებენო.

1210 წლის შემოდგომაზე ქართული მხედრობა, ივანე მხარგრძელის სარდლობით, შეიჭრა ხლათის ოლქში და ალყა შემოარტყა თავად ხლათს, რომლის ციტადელში ალ-ავჰადი იყო გამაგრებული.

10 ოქტომბერს დილით ვარსკვლავთმრიცხველმა უწინასწარმეტყველა ივანე მხარგრძელს: საღამო ხანს ხლათში შეხვალ, ღამეს ხლათის ციხეში გაატარებ და ხლათის ტახტზეც დაჯდები, ოღონდ იმ სამოსლით არა, ახლა რომ გაცვიაო.

წინასწარმეტყველებამ გაათამამა ივანე, გახარებული ღვინოს მიეძალა, გვარიანად შეზარხოშდა და ოციოდე მხედრის თანხლებით ხლათისკენ გაეშურა. ქალაქის გალავანს რომ მიუახლოვდნენ, ქართველთა სარდლის ცხენმა მოულოდნელად წაიფორხილა, ფეხი ჩაუვარდა ხლათელთა მიერ საგანგებოდ გათხრილ და შენიღბულ ორმოში. ივანე მხარგრძელი ცხენიდან ჩამოვარდა.

ხლათელები ფხიზლად უთვალთვალებდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს. ივანეს მარცხს რომ მოჰკრეს თვალი, მყისვე გამოცვივდნენ გალავანს გარეთ. ქართველთა სარდლის მხლებელთაგან ზოგი დახოცეს და ზოგიც დაატყვევეს.

ივანე მხარგრძელი დამფრთხალა და დაუყვირია: არ მომკლათ, ივანე ვარო.

შეიპყრეს და ზარ-ზეიმით მიჰგვარეს ხლათის გამგებელს:

ალ-ავჰადმა დიდი პატივით მიიღო სახელგანთქმული სარდალი, საპატიო ხალათით შემოსა და ტახტზე დასვა.

ასე რომ, წინასწარმეტყველება გამართლდა, მაგრამ ვაი ასეთ გამართლებას!

არაბი ისტორიკოსის სიტყვით, ალაჰს რომ არ შეეწყალებინა მუსლიმები ქართველთა ლაშქრის სარდლის ივანეს დატყვევებით, ისინი უეჭველად დაიპყრობდნენ ხლათს.

ეგვიპტის სულტანმა ალ-ადილმა ივანე მხარგრძელის დატყვევება რომ შეიტყო, ბრძანა, კაიროში ჩამოიყვანეთო. მაგრამ საქართველოს ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი დაემუქრა ხლათელებს: ჩემი ძმა გამოუშვით, თორემ დაღუპვა არ აგცდებათ, თქვენი ქვეყნის მიწას საქართველოში წავაღებინებ და აქაურობას გავაუდაბურებო.

შეშინებულ ხლათელებს აღარ გაუგზავნიათ ივანე ეგვიპტეში.

საქართველოს სამეფო კარმა დატყვევებული სარდლის გამოსასყიდად გადაიხადა უზარმაზარი თანხა — 100 ათასი დინარი, აგრეთვე დააბრუნა 5 ათასი ტყვე და 21 ციხესიმაგრე ხლათის ოლქში.

ესოდენ ძვირი დაუჯდათ ქართველებს ივანე მხარგრძელის „უანგარიშო სიმამაცე“ — ინგლისელი მკვლევარის ზრდილობიანი გამოთქმაა, თორემ სრულიად სხვაგვარ შეფასებას იმსახურებს პატივმოყვარე და კადნიერი ათაბაგის იმდღევანდელი გასეირნება.

ქართველებმა პირობა დადეს, რომ ამიერიდან ზიანს აღარ მიაყენებდნენ ხლათის ქვეყანას და ალ-ავჰადის მოკავშირენი გახდებოდნენ მის მტრებთან ბრძოლაში.

დაიდო ოცდაათწლიანი ზავი. ამგვარი ხანგრძლივი დაზავება ქრისტიანებთან იშვიათი იყო მაჰმადიანურ სამყაროში.

სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის მიხედვით, აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს შორის „მშვიდობა და მეგობრობა“ დამყარდა.

სხვათა შორის, ეგვიპტის სულტანს ალადილს, კეთილმეზობლობის ნიშნად, 1213 წელს საქართველოს მეფისათვის ძღვნად სპილო გამოუგზავნია, რამაც მოსახლეობის გაოცება და აღტაცება გამოიწვიაო. რა თქმა უნდა, საქართველოს სამეფო კარი ვალში არ დარჩებოდა.

ივანე მხარგრძელმა ალ-ავჰადს ცოლად მისცა თავისი ასული თამთა, რომელიც ხლათში ქრისტიანობას ინარჩუნებდა.

ამასთან ერთად, ტარონის მხარეში არსებული ქრისტიანული მონასტრები გაათავისუფლეს გადასახადთაგან. ეგვიპტის სულტნის ყველა ქვეშევრდომს ებრძანა, რომ პატივით მოპყრობოდნენ იერუსალიმს სალოცავად მიმავალ ქართველებს. ისინი არ იხდიდნენ გადასახადს აიუბიანთა ქალაქებში და თვით იერუსალიმშიც, სადაც გაშლილი დროშებით შესვლის უფლება მიიღეს.

თავად ხლათის ციხეში აშენდა ეკლესია, სადაც რეკდა ზარი.

ზემოთქმული პრივილეგიები, ალბათ, ოცდაათწლიანი ზავის პირობებს წარმოადგენს, მაგრამ კირაკოს განძაკეცი ყოველივე ამას მიაწერს ხლათში თამთას გადედოფლებას. მისი მტკიცება, ნაწილობრივ მაინც, უნდა ასახავდეს სინამდვილეს, ვინაიდან ქრისტიანი დედოფალი ხლათში, რასაკვირველია, საზავო პირობების დაცვის საიმედო გარანტი იქნებოდა.

ალ-ავჰადს დიდხანს არ დასცალდა ბედნიერება. იმავე წლის დამლევს გარდაცვლილა გულის სნეულებისაგან.

ხლათს დაეუფლა მისი ძმა ალ-აშრაფი. მანვე შეირთო ცოლად თამთა. ეს ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ მაჰმადიანურ სამყაროში და არავის გაკვირვებია.

არაბული წყაროების თანახმად, ხლათის მოსახლეობას ალ-ავჰადისაგან მხოლოდ უბედურება და ხოცვა-ჟლეტა ახსოვდა. სამაგიეროდ, ალ-აშრაფმა თავისი ლმობიერი პოლიტიკით ადგილობრივ მკვიდრთა პატივისცემა და სიყვარული მოიხვეჭაო.

თამთა, ცხადია სასიკეთო გავლენას ახდენდა თავის მეუღლეზე. ლმობიერი პოლიტიკა ქრისტიანთა მიმართ სწორედ მისგან იქნებოდა ჩაგონებული.

ალ-ქურჯია (ქართველი) — ასე მოიხსენიებენ თამთას არაბული წყაროები.

აშკარად ჩანს, რომ თამთა ქართველად რჩებოდა ხლათშიც, მაჰმადიანურ გარემოცვაში.



**ბრინჯაოს კანდელი ხლათიდან. XIII ს.**

გამოჩენილმა სომეხმა მეცნიერმა იოსებ ორბელმა 1938 წელს გამოაქვეყნა სტატია „ქართული ბრინჯაოს კანდელი არაბული წარწერებით“. ეს ნივთი მას შეუძენია ჯერ კიდევ 1912 წელს ქალაქ ვანში.

კანდელი ყოფილა საკიდი, მაგრამ რკინის ძეწკვები არ შემონახულა. ჭურჭლის ზემო კიდეზე მოთავსებულია სამი ყური ძეწკვთა დასამაგრებლად. ერთ მათგანს რგოლის ნამსხვრევიც შემორჩენია.

კანდელის კიდე გარშემორტყმულია ფოთლებიანი ყლორტის სარტყლით, რაც ითვლება უძველეს დროთაგან ამორჩეულ ორნამენტად როგორც ქართულსა და სომხურ, ასევე „მუსლიმანურ“ ხელოვნებაში.

ჭურჭლის ფერდებზე მოთავსებულია ოთხი რელიეფური სწორკუთხა ჩარჩო. ყოველ მათგანში აღმართულია მხედრის ფიგურა თავზე შარავანდით. მხედარს მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენა კი ჩაუვლია მიწაზე აყუდებული ფარისთვის.

ი. ორბელის სიტყვით, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ შუბოსანი მხედარი არის წმიდა გიორგი, რასაც თვალნათლივ ამტკიცებს მხედრის თავის ორივე მხარეზე აღბეჭდილი ქართული ასომთავრული წარწერა, დაქარაგმებით — „წმ. გიორგი“.

აღნიშნულ სწორკუთხედებს შორის დგას ოთხი რელიეფური ფიგურა მთელი სიმაღლით. სამი მათგანი ქალისაა (ადვილად ამოიცნობა ღვთისმშობელი ხარების გამომსახველი ჯგუფიდან) და ერთიც — მამაკაცისა, რომელიც მთავარანგელოზი გაბრიელი უნდა იყოს.

სწორკუთხედებსა და ზემოხსენებულ ფიგურებს შორის მდებარე შუალედებში ორნამენტი გადაჭდობილია არაბულ წარწერასთან. იკითხება: „კეთილდღეობა. ბედნიერება. დიდება“.

ღვთისმშობელსა და წმ. გიორგის, რა თქმა უნდა, არაფერი ესაქმებათ მუსლიმანურ კულტთან. ეს გამოსახულებანი გამიზნულია ქრისტიანთათვის.

ი. ორბელი დარწმუნებით დაასკვნის, რომ ორნამენტისა და კანდელის ჩამოსხმის ტექნიკის მიხედვით ჭურჭელი მიეკუთვნება XIII საუკუნის პირველ წლებს, ხოლო მასალისა და შესრულებული სამუშაოს ხასიათით იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობის დაბალი ფენების სახმარ ნივთად. ამას აგრეთვე ადასტურებს ქრისტიანული და მუსლიმანური დეტალების შეთავსება, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია ქართული და სომხური საზოგადოების ზედა ფენებისათვის იმ ეპოქაში.

მაგრამ საიდან მოხვდა ეს კანდელი ქალაქ ვანში, სიძველეებით მოვაჭრის ხელში? როგორც ირკვევა, იგი უყიდიათ ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან მდებარე ქალაქ ხლათში გლეხისგან, რომელსაც შემთხვევით ამოუთხრია მიწიდან ბრინჯაოს კანდელი.

სომეხი მეცნიერი იხსენებს 1210 წელს ქართველთა მიერ ხლათის გარემოცვისა და ხლათში თამთას გადედოფლების ამბავს და შენიშნავს, თუ რაოდენ უპრიანია, რომ სწორედ ხლათში აღმოეჩინათ ამგვარი კანდელი, ღვთისმშობლისა და ძველ საქართველოში ყველაზე პოპულარული წმინდანის გამოსახულებით, ორნამენტზე ქართული და არაბული წარწერებით, კუთვნილება საზოგადოების ზედა ფენებისა, ჩამოსხმული XIII საუკუნის პირველ წლებში.

საფიქრებელია, რომ ხლათში აღმოჩენილი ბრინჯაოს კანდელი თამთას დაკვეთით უნდა იყოს დამზადებული.

გამოხდა ხანი. 1230 წლის აპრილში ჯალალედინი, ხანგრძლივი ალყის შემდეგ, დაეუფლა ხლათს და თამთაც ცოლად შეირთო.

მაგრამ მთელ ქვეყნიერებას გადამტერებული ხვარაზმშაჰი იმავე წლის ზაფხულში დაამარცხეს ალ-აშრაფისა და რუმის სულტნის გაერთიანებულმა ძალებმა.

ალ-აშრაფი ისევ დაეპატრონა ხლათს. ჯალალედინმა ტყვეობიდან გაათავისუფლა მისი ორი ძმა, მაგრამ ყველაზე ძვირფასი ნადავლი — თამთა არ დაუბრუნებია ყოფილი ქმრისათვის.

ივანე მხარგრძელის ასული მერე მონღოლებს ჩაუვარდა ხელთ და კარგა ხანს იმყოფებოდა შორეულ ყარაყორუმში, საიდანაც 1245 წელს რუსუდან მეფის ელჩმა დაიხსნა.

მონღოლებმა თამთას დაუმტკიცეს ხლათის გამგებლობა. ალ-აშრაფი ცოცხალი აღარ იყო და თამთამ შეუთვალა მის ძმას ალ-მუზაფარს: „მე ვიყავი შენი ძმის ცოლი, ყაენმა მიბოძა ხლათი და თუკი ჩემზე დაქორწინდები, ეს ქვეყანა შენი იქნება“.

ალ-მუზაფარს პასუხი არ გაუცია.

აღარ იყვნენ ამქვეყნად ალ-ავჰადი, ალ-აშრაფი, ჯალალედინი, აღარც შალვა ახალციხელი, ხოლო უბერებელი თამთა კვლავ გათხოვებას ფიქრობდა.

როგორც ჩანს, წლები ვერაფერს აკლებდა მის უჭკნობ მშვენებას.

***თამაზ ნატროშვილი***



# ქართველები კვიპროსში

**საქართველო-სლოვაკეთი 2:0 საქართველო-რუმინეთი 1:1 (პენ.2:4)**
**საქართველო-სომხეთი 2:1**

კვიპროსში დასრულდა საერთაშორისო ამხანაგური ტურნირი, სადაც დანარჩენ 7 მონაწილესთან ერთად საქართველოს ეროვნული ნაკრებიც გამოდიოდა. თავად ტურნირი დიდი წარმომადგენლობით ვერ დაიკვეხნიდა. კუნძულს ევროპის საფეხბურთო ელიტის ერთადერთი წარმომადგენელი — რუმინეთის ნაკრები ეწვია და ისიც თითქმის სათადარიგო შემადგენლობით. ჩვენი გუნდისთვის ეს ტურნირი ორმაგად მნიშვნელოვანი გახლდათ, ჯერ ერთი კვიპროსზე ჩვენებმა პირველი მატჩი გამართეს მწვრთნელთა ახალი დუეტის ხელმძღვანელობით, მეორეც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სრული კრახით დასრულების შემდეგ, ნაკრები ფაქტობრივად პირველად შეიკრიბა და ეს ტურნირი იქცა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისათვის მზადების პირველ ეტაპად. დავით ყიფიანმა და რევაზ ძოძუაშვილმა ყველა ლეგიონერი იხმეს, მაგრამ ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება არ მოხერხდა. საკლუბო პრობლემების გამო გუნდს ვერ შეუერთდნენ კალაძე, ქინქლაძე, კობიაშვილი, შოთა არველაძე, დემეტრაძე და იაშვილი. ასე რომ, მწვრთნელთა დუეტს სლოვაკებთან პირველ მატჩში ექსპერიმენტული შემადგენლობის გამოყვანა მოუხდა. რაც შეეხებათ სლოვაკებს, მათ საერთოდ ახალგაზრდული ნაკრები ჰყავდათ კუნძულზე ჩაყვანილი და მათთან გამარჯვება დიდი ვერაფერი სატრაბახო საქმე იყო, თუმცა ალბათ მთავარი ფსიქოლოგიური ფაქტორი გახლდათ. სლოვაკებთან მოგებამდე ეროვნულ გუნდს 1998 წლის ნოემბრის შემდეგ თამაში არ ჰქონდა მოგებული. გოლები ქეცბაიამ და ყაველაშვილმა გაიტანეს შესაბამისად 83-ე და 86-ე წუთებზე. მატჩის შემდეგ დავით ყიფიანმა გუნდის თამაშით უკმაყოფილება გამოთქვა, თუმცა აღნიშნა, რომ ამდენი ახალწვეულისაგან მეტს არც მოელოდა. შეინიშნებოდა პრობლემები დაცვაში. სლოვაკებმა 3-4 საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. პირველი გამარჯვებით ჩვენებმა ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს, სადაც ლატვიელთა დამმარცხებელი რუმინეთის ნაკრები ელოდათ. ისევე როგორც პირველ შეხვედრაში ანგარიში კვლავ თემურ ქეცბაიამ გახსნა პირველი ტაიმის მიწურულს. მეორე ტაიმის დასრულებამდე ათი წუთით ადრე ჰილდანმა ანგარიში გაათანაბრა. დამატებით დროში გოლი არ გასულა, თუმცა მსაჯმა ყვითელი ბარათები კი ბლომად აფრიალა. მთლიანად მატჩში კვიპროსელმა არბიტრმა 5 ქართველი და 4 რუმინელი გააფრთხილა. პენალტების სერია რუმინელებმა მოიგეს და ფინალში გავიდნენ. რევაზ ძოძუაშვილმა აღნიშნა, რომ წინა მატჩთან შედარებით გუნდმა უკეთ ითამაშა და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე დარჩენილი ნაკლის გამოსწორებაც შეიძლება, მთლიანობაში ტურნირში მონაწილეობით კი კმაყოფილი დარჩა. მესამე ადგილისათვის მატჩში კვირას ჩვენმა ნაკრებმა სასომხეთის ეროვნულ გუნდს სძლია 2:1.

ახალმა ნაკრებმა, პირველი გამოცდა ასე თუ ისე წარმატებით ჩააბარა. ყოველ შემთხვევაში მატჩი არ წაუგია. აქ შედეგსაც არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. აღსანიშნავია, ნაკრებში სრულიად ახალბედა ფეხბურთელებისა და ახალი გვარების გამოჩენა, მიუხედავად ამისა, აქედანვე ჩანს, რომ წელს, ისევე როგორც შარშან, ძირითადი აქცენტი ალბათ მოთამაშეთა იმ ბირთვზე გაკეთდება, რომლებიც ჯერ გუცაევისა და შემდეგ ბოსკამპის გუნდებში გამოდიოდნენ, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის პირველ გუნდში იოჰან ბოსკამპის მიერ მოკვეთილი ზაზა ჯანაშიას დაბრუნებაც. სამი ამხანაგური მატჩის მიხედვით ძნელია გუნდის შესაძლებლობების განსაზღვრა. ფაქტია, რომ ოპტიმალურ ფორმამდე ნაკრებს ბევრი აკლია და თუ სერიოზული წარმატების მიღწევა სურთ, ყიფიანსა და ძოძუაშვილს კიდევ ბევრი მუშაობა მართებთ.

# „ლაციო“ კვლავ ლიდერია

სააგენტო როიტერმა ევროპის ახალი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. პირველ ადგილზე კვლავ რომის „ლაციოა“. პირველ ოცეულში 6 წარმომადგენელი ჰყავს იტალიას, 3 გერმანიას. საინტერესოა, რომ ისეთ საფეხბურთო ქვეყნებს, როგორებიც ინგლისი და ესპანეთი არიან, პირველ ოცეულში მხოლოდ თითო კლუბი წარმოადგენს.

| | |
|---|---|
| 1. ლაციო (იტალია) — 100,47 ქულა | 11. ბარსელონა (ესპანეთი) — 81,88 |
| 2. ბაიერნი (გერმანია) — 91,52 | 12. ბაიერი (გერმანია) — 80,98 |
| 3. იუვენტუსი (იტალია) — 91,38 | 13. სპარტა (ჩეხეთი) — 80,92 |
| 4. მილანი (იტალია) — 88,34 | 14. სპარტაკი (რუსეთი) — 80,05 |
| 5. მანჩესტერი (ინგლისი) — 87,42 | 15. პორტუ (პორტუგალია) — 80,02 |
| 6. რეინჯერსი (შოტლანდია) — 86,52 | 16. ჰამბურგი (გერმანია) — 79,64 |
| 7. რომა (იტალია) — 86,02 | 17. ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — 78,28 |
| 8. ინტერი (იტალია) — 85,96 | 18. პარმა (იტალია) — 78,26 |
| 9. დინამო (უკრაინა) — 85,12 | 19. სელტიკი (შოტლანდია) — 76,14 |
| 10. მონაკო (საფრანგეთი) — 84,43 | 20. ანდერლეხტი (ბელგია) — 76,11 |

# როდმანმა „დალასთან“ კონტრაქტი გააფორმა



თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ მოედანს დაუბრუნდა კალათბურთის ნაციონალური ლიგისა და ამერიკული კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა დენის როდმანი, რომელმაც კლუბ „დალასთან“ მოაწერა ხელი კონტრაქტს და უკვე ვარჯიშსაც შეუდგა ახალ კლუბში. როდმანის დებიუტი მომავალ სამშაბათს შედგება, როცა „დალასი“ „სიეტლ სუპერსონიქსს“ უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის აპრილში „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ ხელმძღვანელობამ უდისციპლინობის გამო გუნდიდან გააგდო დენის როდმანი და მას შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა. ზაფხულში „ლეიკერსს“ „ჩიკაგო ბულზის“ ტრიუმფატორი მწვრთნელი ფილ ჯექსონი ჩაუდგა სათავეში და როდმანს იმედი მიეცა, რომ ძველი ნაცნობი, რომელთან ერთადაც სპორტული კარიერის საუკეთესო წლები გაატარა, მას გუნდში დააბრუნებდა, მაგრამ ეს არ მოხდა. ამის შემდეგ როდმანმა განაცხადა, რომ აღარასოდეს დაუბრუნდებოდა მოედანს, მაგრამ წელს ეს გადაწყვეტილება შეცვალა. კალათბურთელმა 3 თებერვალს გაიარა ახალ კლუბში სამედიცინო დათვალიერება და ოფიციალურად იქცა „დალასის“ წევრად. კლუბის პრეზიდენტმა კიუბანმა, რომელიც კარგად იცნობს უდისციპლინო და ექსტრავაგანტურ როდმანს, განაცხადა, რომ იგი სრულ თავისუფლებას მისცემს ახალშეძენილ კალათბურთელს, საერთოდ არ დაინტერესდება სად და ვისთან გაატარებს თავისუფალ დროს და დენისისგან მხოლოდ ერთს მოითხოვს — მოედანზე იყოს ისევ ის როდმანი, როგორიც გულშემატკივარს „ჩიკაგო ბულზში“ გამოსვლიდან ახსოვს. უფრო მეტიც — კიუბანმა უფლება მისცა როდმანს სხვებზე გვიან გამოცხადდეს ვარჯიშებზე და საერთოდ არ შეასრულოს ის ვარჯიშები, რომლებიც მას არ მოსწონს.

„დალასი“ NBA-ს ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი კლუბია. აქედან გამომდინარე როდმანთან ჩვეულებრივი რიგითი კონტრაქტი გაფორმდა, რომლის თანახმადაც ჩიკაგოს ყოფილი ვარსკვლავი თითო შეხვედრაში სულ რაღაც 12.000 დოლარს მიიღებს, რაც ლიგის სხვა ვარსკვლავების შემოსავლებთან შედარებით, სასაცილო თანხაა. ასე რომ, სეზონის ბოლომდე „დალასის“ ახალწვეული ნახევარ მილიონ დოლარსაც კი ვერ გამოიმუშავებს.

# მორიგი გამარჯვება

4 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში კრივის მსოფლიო ფედერაციის ინტერკონტინენტალის ჩემპიონის ქამარი შეინარჩუნა კობა გოგოლაძემ, რომელმაც ათრაუნდიან ბრძოლაში ქულებით აჯობა ამერიკელ დევიდ ტერნერს, რომელსაც აქამდე გამართული 30 ბრძოლიდან, 20 წაეგო და ის უფრო გასაკვირი იქნებოდა, თბილისიდან გამარჯვებული რომ დაბრუნებულიყო. გოგოლაძემ, რომელიც მთელი ბრძოლის მანძილზე უპირატესობას ფლობდა, მეოთხე რაუნდში მარცხენა ხელი დაიზიანა. მართალია საქმე ნოკაუტამდე არ მისულა, მაგრამ მსაჯების გადაწყვეტილება ერთსულოვანი იყო, შედეგად ინტერკონტინენტალის ქამარი თბილისში დარჩა.

# გაწვრთნის თუ არა სტოიჩკოვი „უნივერსიტატეას?“



ბულგარული ფეხბურთის ვარსკვლავის, ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელის ხრისტო სტოიჩკოვის პირადმა აგენტმა იოან ბეჩელიმ ოთხშაბათს გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც მისი კლიენტი, რომელიც უკანასკნელ ხანს ბულგარეთის ეროვნული ნაკრების აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა, რუმინეთის „უნივერსიტატეას“ უნდა ჩადგომოდა სათავეში, კონტრაქტი კი უახლოეს დღეებში უნდა გაფორმებულიყო. თუმცა მეორე დღეს თავად სტოიჩკოვმა უარყო ეს ინფორმაცია და განაცხადა, რომ მას ჯერჯერობით სრულიად აკმაყოფილებს ნაკრების დირექტორის პოსტი და მწვრთნელობა და ისიც რუმინეთში, აზრადაც არ მოსვლია. თავად რუმინული კლუბის მესვეურები კი ამტკიცებენ, სტოიჩკოვს ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციასთან გაფორმებული კონტრაქტი უშლის ხელს, ეს პრობლემაც მალე მოგვარდება და ხრისტო ჩვენებურ კლუბს გაწვრთნისო. ჯერჯერობით ყველაზე დამაჯერებელი თვითონ სტოიჩკოვის განცხადებაა, თუმცა მის არამდგრად ხასიათსა და რუმინელთა დაჟინებულ მტკიცებას თუ გავითვალისწინებთ, გამორიცხული არაფერი უნდა იყოს, მით უმეტეს უკვე საუბრობენ ექს-ფეხბურთელისა და ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციას შორის არცთუ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე. შეგახსენებთ, რომ 33 წლის სტოიჩკოვმა საფეხბურთო კარიერის დიდი ნაწილი ესპანურ „ბარსელონაში“ გაატარა და გუნდის ლიდერი იყო, ლომის წილი დაიდო ბულგარეთის ნაკრების მიერ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ნახევარფინალის საგზურის მოპოვებაში, თამაშს კი ზუსტად ერთი წლის წინ, 32 წლის ასაკში დაანება თავი.

# ფაშისტურ პროპაგანდას შესაძლოა იტალიის ჩემპიონატის შეწყვეტა მოჰყვეს

იტალიურ ფეხბურთში უდიდესი სკანდალი მწიფდება, საქმე შეიძლება იქამდეც კი მივიდეს, რომ დროებით შეწყდეს იტალიის სერია A-ს გათამაშება. ქვეყნის სტადიონებზე სულ უფრო და უფრო გახშირდა ფეშისტური ლოზუნგების გამოფენა და ნაცისტური აგიტაცია. „ლაციოსა“ და „ბარის“ შეხვედრის მსვლელობისას, რომაელთა ფანებმა სტადიონზე სერბი დიქტატორის არკანის ხსოვნას მიაგეს პატივი, რომელიც ცოტა ხნის წინ დახვრიტეს ბელგრადში. ყოველივე ამან ისე აღაშფოთა „ლაციოს“ ხორვატი ლეგიონერი ალან ბოქშიჩი, მინდორზე გასვლაზე საერთოდ უარი თქვა. ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა „ლაციოს“ ფანები სახალხოდ ქადაგებენ ნაცისტურ იდეოლოგიას, „სტადიო ოლიმპიკოზე“ არცთუ იშვიათად მოკრავთ თვალს რომაელი ფანების მიერ აღმართულ სვასტიკების გამოსახულებებს. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, ეს ყველაფერი ფეხბურთთან რა კავშირშიაო — სტადიონი ათიათასობით ადამიანის თავშეყრის ადგილია, იტალიის პირველობის მატჩებს კი მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ადევნებს თვალს, ასე რომ, საკუთარი იდეოლოგიის გასავრცელებლად საფეხბურთო არენაზე უკეთეს ადგილს ვერც ინატრებ. იტალიაში სასტიკად იკრძალება ყოველგვარი ფაშისტური პროპაგანდა, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ქვეყნის მთავრობა იძულებული გახდეს ჩემპიონატი შეწყვიტოს. საქმემ იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იძულებული გახდა, ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრს წვეოდა. მათი ერთობლივი გადაწყვეტილებით ამიერიდან სტადიონებზე სასტიკად აიკრძალება რასისტული პლაკატების გამოფენა, გამოიყოფა პოლიციის სპეციალური ჯგუფი, რომელიც მხოლოდ ამ საქმით იქნება დაკავებული. თუ არც ამან უშველა საქმეს, ფაშისტი გულშემატკივრების პატრონი გუნდი დაისჯება და წაგება ჩაეთვლება. იტალიის ჩემპიონატი ევროპაში ყველაზე პრესტიჟულად ითვლება, სადაც თითოეული ქულას ასიათასობით დოლარის ფასი აქვს, რას ნიშნავს გუნდისათვის ხელოვნურად დამარცხება და რა აჟიოტაჟი მოჰყვება ყოველივე ამას, ადვილი წარმოსადგენია. ფანები კი არ ცხრებიან და ახლა სვასტიკის გვერდით ბენიტო მუსოლინის პორტრეტებიც გამოფინეს, ამ მხრივ განსაკუთრებით „ლაციოს“ ქომაგები აქტიურობენ, „ლაციოს“ დიდი ქომაგი 60-70 წლის წინ თავად მუსოლინი ყოფილა.

# აზერბაიჯანს ფიფადან გარიცხვა ემუქრება

აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციას ფიფადან გარიცხვა ემუქრება. საქმე ის გახლავთ, რომ იანვარში ქვეყნის რამდენიმე წამყვანმა კლუბმა ბოიკოტი გამოუცხადა მოქმედ ფეხბურთის ფედერაციას და ალტერნატიული ფედერაციის ჩამოყალიბება გადაწყვიტა, რამაც დიდი შიდაარეულობა გამოიწვია. ფიფა უმალ დაინტერესდა ამ საქმით და ბაქოში წარმომადგენელი გააგზავნა. საქმის შესწავლის შემდეგ ამ საქმის კომენტარი თავად ზეპ ბლატერმა გააკეთა და ბრძანა: ვითარება მხოლოდ მათი მოსაგვარებელია, იმედია უახლოეს დღეებში ყველაფერი წესრიგში იქნება და უკიდურესი ზომების მიღება არ დაგვჭირდებაო. უკიდურეს ზომებში კი რაც იგულისხმება, ყველას მოეხსენება — იმ შემთხვევაში, თუ ფიფას მიერ ცნობილმა აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციამ უფლებამოსილებანი არ აღიდგინა, ქვეყნის ყველა კლუბი და ნაკრები მოიხსნება ყოველგვარი ოფიციალური ტურნირიდან.

# უგო სანჩესი რეალში დაბრუნდა

მექსიკის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ წარსულში სახელგანთქმული ფორვარდი უგო სანჩესი, რომელიც თითქმის ათი წლის განმავლობაში გამოდიოდა „სამეფო კლუბში“, მადრიდულ გუნდს დაუბრუნდა და ამიერიდან მწვრთნელის მოვალეობას შეასრულებს. XX საუკუნის ცენტრალური ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი „რეალის“ თავდამსხმელებთან იმუშავებს და გამოცდილებას გაუზიარებს. სანჩესი, რომელსაც ხუთჯერ აქვს მოპოვებული ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირის ტიტული, „რეალის“ საწვრთნელ ბაზას 1 თებერვალს ეწვია, 2-ში კი უკვე კონტრაქტი გააფორმა. „სამეფო კლუბის“ ამჟამინდელი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე თვლის, რომ სანჩესის გამოცდილება დიდად წაადგება მის ფორვარდებს და დამხმარე მწვრნელის დიდი იმედი აქვს.

# ანელკა ვარჯიშს შეუდგა



მოგეხსენებათ მადრიდის „რეალის“ ფრანგმა ლეგიონერმა ნიკოლა ანელკამ ბრაზილიაში გამართულ კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატზე საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო, მაშინ ექიმებმა განაცხადეს, რომ სავარაუდოდ ანელკა სეზონის ბოლომდე ველარ დაეხმარებოდა გუნდს. თუმცა მედიკოსთა ეს დასკვნა ნაადრევი გამოდგა, ანელკა უახლოეს დღეებში შეუდგება ვარჯიშს და 27 თებერვლისათვის სრულ მზადყოფნაში იქნება. ამ დღეს კი „სამეფო კლუბი“ „ბარსელონას“ მასპინძლობს. შეგახსენებთ, რომ ანელკამ კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატზე გატანილი 3 გოლით ტურნირის ბომბარდირის ტიტული მოიპოვა, იგი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია მადრიდული კლუბის ისტორიაში, „რეალმა“ მის სანაცვლოდ 37 მილიონი დოლარი გადაიხადა.

## №5 (174) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 622 რესპონდენტი ჰყავდა. 11 ბარათი არასწორად იყო შევსებული. აღსანიშნავია, რომ ამ 11 ბარათიდან მხოლოდ ორი გახლდათ მექანიკურად შეცდომით შევსებული. დანარჩენმა ცხრა მკითხველმა კი „მართლმადიდებელი ეკლესიის" გრაფის გარდა, ყველა გრაფა ერთი ან ნული ქულით შეაფასა. 204-მა ქალმა და 407-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ იმსახურებს ადამიანთა ყველაზე დიდ ნდობას დღეს საქართველოში?"**

მკითხველთა უმრავლესობის — 57-ის აზრით, დღეს ადამიანები ყველაზე მეტად ეკლესიას ენდობიან. **8,13** საშუალო ქულით „მართლმადიდებელი ეკლესია" პირველ ადგილზეა. მინიმალური — 1 ქულა მას მკითხველთა 1-მა დაუწერა.

შემდეგ ადგილზე „მასობრივი ინფორმაციის დამოუკიდებელი საშუალებებია". რესპონდენტთა 19 თვლის, რომ ადამიანთა ყველაზე დიდ ნდობას სწორედ დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებები იმსახურებენ; მინიმალური ქულით იგი ხუთმა მკითხველმა (0,82) შეაფასა. ეს ფაქტი ჩვენთვის და ჩვენი კოლეგებისათვის — მასობრივი ინფორმაციის სხვა დამოუკიდებელი საშუალებებისათვის მეტად სასიამოვნოა, მით უფრო დღეს, როცა ირგვლივ ნდობის დეფიციტია და, როცა ეკლესიის — ღვთის სახლის შემდეგ ადამიანთა ნდობის ობიექტად დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებები დასახელდა. პრეზიდენტი მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 6,58. არასამთავრობო ორგანიზაციების ნდობის ხარისხი არც ისე დაბალია, თუმცა აღსანიშნავია, რომ მისთვის მიკუთვნებულ მაქსიმალურ ქულებს (2,13) მინიმალური ქულები სჭარბობენ (5,40).

ჩვენი მკითხველების აზრით, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, მინისტრები და პოლიცია ნაკლებად იმსახურებენ ადამიანთა ნდობას. მათ შორის ყველაზე უფრო ნაკლებს კი — პოლიცია. მკითხველთა 55-მა შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით, მაქსიმალური კი სამმა რესპონდენტმა (0,49) დაუწერა. ასევე, ზუსტად სამმა მკითხველმა დაუწერა ცხრა ქულა „პარლამენტსაც". ყველაზე ნაკლები მაქსიმალური ქულები (0,33) „სასამართლომ", „ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა" და „მინისტრებმა" დაიმსახურეს.

აღსანიშნავია, რომ არც სქესობრივი და არც ასაკობრივი ჯგუფების პასუხებს შორის განსხვავება არ ყოფილა.




საპრიზოს ზუსტად დაემთხვა ხუთი ბარათი-რეიტინგი. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 10 წლის **თამარ კვალიაშვილი,** 19 წლის **დიანა კეკელაშვილი,** 23 წლის **დათო ჯანგულაშვილი,** 49 წლის **მურმან გიგანი** და 65 წლის **ლამარა ჭყონია** (ხუთივე თბილისიდან).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 8 თებერვალს, 17 საათზე.

## №6 (175) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა"** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის"** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში*.

**№6 (175) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 9 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 10 თებერვლის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

### თემა №6 (175) — ენერგოკრიზისი

**თქვენი აზრით, ვისი ან რისი ბრალია ენერგოკრიზისი საქართველოში** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს 8 — და ა.შ. 1-მდე.

**№6(175) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ეი-ი-ეს თელასის ხელმძღვანელობა | |
| 2 | პრეზიდენტი | |
| 3 | გადახდისუუნარო მოსახლეობა | |
| 4 | ენერგეტიკის მინისტრი — დავით მირცხულავა | |
| 5 | კორუმპირებული წვრილი მოხელეები (ინკასატორი და სხვა) | |
| 6 | ენერგეტიკის ექს-მინისტრები | |
| 7 | ავარიები ენერგოსისტემაში | |
| 8 | მაფიოზური დაჯგუფებები („ენერგობარონები") | |
| 9 | ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა | |

*მკითხველის რეიტინგი* *

**რომელია თქვენი საყვარელი ფერი?**

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი
______________________
ქალაქი (რაიონი)
________ ________
ასაკი ტელეფონი

**საყვარელი ფერი** მეტყველებს იმაზე, თუ როგორი ადამიანი ხართ. მომავალ ნომერში — სპეციალისტების აზრი თქვენი ხასიათის თავისებურებების შესახებ.

„კვირის პალიტრის" ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს.

### მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგს 535 მკითხველი გამოეხმაურა. კითხვა ასეთი იყო: **„თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსებიდან ვინ არის ყველაზე ღარიბი?"**

მკითხველთა 9 აცხადებს, რომ საქართველოში ღარიბი პოლიტიკოსები არ არსებობენ. 4-ს, როგორც ჩანს, ძალიან გაუჭირდა ღარიბი პოლიტიკოსის დასახელება. ერთმა მკითხველმა ასე უპასუხა ჩვენს შეკითხვას: „ხუმრობთ, დაგვცინით, არა?"

ყველაზე ღარიბ პოლიტიკოსთა პირველი ათეული ასე გამოიყურება:

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | ნოდარ ნათაძე | 25% |
| 1-2 | შალვა ნათელაშვილი | 25% |
| 3-4 | ქართლოს ღარიბაშვილი | 4% |
| 3-4 | ელენე თევდორაძე | 4% |
| 5-9 | ვახტანგ გოგუაძე | 2% |
| 5-9 | მიხეილ სააკაშვილი | 2% |
| 5-9 | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | 2% |
| 5-9 | ირაკლი წერეთელი | 2% |
| 5-9 | მიხეილ მაჭავარიანი | 2% |
| 10 | გურამ შარაძე | 1% |

P.S. ქართლოს ღარიბაშვილი, ალბათ, საკუთარი გვარის ჟღერადობასაც უნდა უმადლოდეს, ყველაზე ღარიბ პოლიტიკოსთა ათეულში რომ მოხვდა.

აღსანიშნავია, რომ „ღარიბთა პარტიის" თავმჯდომარეს მხოლოდ ერთი მკითხველი მიიჩნევს ყველაზე ღარიბ პოლიტიკოსად.

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

**რას დაარქმევდით?**

______________________
______________________
______________________
______________________
______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________

ქალაქი (რაიონი) ______________



ვალერი ჩხეიძე

**დ.მ.** — ვაიმე, შვილებო, მოგიკვდეთ იდიოტი მამა! რა მინდოდა დენებში!..
*(ნ. დუმბაძე „თეთრი ბაირაღები")*
***ნაჩო ძუკნური, წყნეთი***

**დ.მ.** — ლენინს თუ დავუჯერებთ, სოციალიზმია სოფლის მეურნეობას პლუს ელექტროფიკაცია, ე.ი. სოციალიზმს მინუს სოფლის მეურნეობა არის ელექტროფიკაცია?!
***მ.ზ. თბილისი***

**დ.მ.** — ვავა, ნენა, რომელ წყალში გადავვარდე, მაგრამ ეგრეც რომ ვქნა, რომელიმე ჰესის ტურბინაში გავიჩხირები და მაინც მე დამაბრალებენ უდენობას.
***ბადრი კობახიძე, რუსთავი***

„რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო", ანუ რა გრჯიდა, დათაო, ყულფში თავი რომ გაყა(ვ)ო.
***დ. უროტაძე, თბილისი***

**დ.მ.** — დაწერენ რაღაც აბდაუბდას და იმტვრიე პატიოსანმა კაცმა თავი. „თბილისს სჭირდება 450 მეგავატი". ჰმ! მეგაკომი ვიცი, მეგაკარდი გამიგია. ეს მეგავატი რაღა არის ნეტავი?
***ლაშა გეწაძე, თბილისი***

ეს რა ჭირი გვჭირს ტო!!!
*(კ/ფ „უძინართა მზე")*
***ერემია ბერიშვილი, თბილისი***

ესე ამბავი გასაკვირალი
სულით-ხორცამდე რომელმაც



დავით მირცხულავა

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას" 210 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

შემძრა,
არ ჩართულაო?! მეათე ბლოკი,
ჩვილი უკანვე საშოში შეძვრა.—
— ქვეყანაშია ფერები მუქი,
ბიძია დავით, მოგვეცი შუქი!
***თემურ ჯაბანიშვილი, თიანეთი***

**დ.მ.** — ავსებს კროსვორდს — თარაზულად: „ილიჩის ნათურის დანიშნულება" 4 ასო, 1-ლი ასო „შ", ნეტავ რა არის? „შარი?"
***ლეო, თბილისი***

დავით მირცხულავა პრეპარატ „ტილერის" რეკლამის სასინჯ გადაღებებზე.
— როგორ ფიქრობთ, რატომ იფხანს ეს ბიჭი თავს?

— იქნებ გენიალურმა იდეებმა შეაწუხა...
***ნანა მეფარიშვილი, თბილისი***

**დ.მ.** — (თავისთვის) გაიხსენე, ბიჭო, რა მოგივიდა, გაიხსენე რა, გაიხსენე!
**მდივანი გოგონა** — ბატონო დათო, თქვენი, „ბორჯომი" ნაბახუსევზე.
**დ.მ.** — ხო, დათო, დათო!
***ჯონი ქუთაისელი***

**დ.მ.** — აი, თავზე ხელის მოკიდება მაშინ ნახე, როცა იაპონურ მოდელს შემოიღებენ — დენის წამითაც გამორთვისას, ზემოთ მაგნიტური ძალით დამაგრებული უზარმაზარი ჭრაქი პირდაპირ თავზე დაეცემა მინისტრს.
დევიზი: უწყვეტი დენი, უმტკივნეულო თავი.
***ზაზა ყოლბაია, წყნეთი***

შენც კაი ვინმე ხარ „აბესალომ", რომ მიძვრებოდი, სად მიძვრებოდი?!
*(მხ/ფ „ქვევრი")*
***ნინო სურმავა, თბილისი***

კითხულობს: ყურადღება!!! უშუქობის გამო...
— პარლამენტში და სახელმწიფო აპარატში ძილქუშის ვირუსია შემოჭრილი... რაო! რა ძილქუშის ვირუსი, რის ძილქუშის ვირუსი, რეებს არახუნებენ... შუქი რა შუაშია... ხხხ... ხხხ... ხხხ... ფშუუუუ...
***ქოჩორა, თბილისი***

— Что с тобой, Давид?
— Птичку, жалко!
ქართულად:
— შუქი როდის გვექნება, დავით?
— (ქვითინით) ხალხი მეცოდება!
***თენგო თალაკვაძე, ნაგომარი***



## ვან დამი ჯუჯის როლში

ეკრანზე ჟან-კლოდ ვან დამი სუპერმენს ჰგავს — სინამდვილეში მისი სიმაღლე ძლივს აღწევს 170 სმ-ს. ცოტა ხნის წინ მსახიობს მონაწილეობა შესთავაზეს ტელეშოუში, რომლის წამყვანიც იქნება 2 მეტრიანი გოლიათი კრეიგ კილბორნი.

ჩვეულებისამებრ სტუმარი შედის სტუდიაში, წამყვანი დგება, რომ მიესალმოს მას. ჟან-კლოდმა მოითხოვა, უღალატონ ტრადიციას და კრეიგმა სავარძელში მჯდომმა გაუწოდოს ხელი. მაგრამ წამყვანი ცივ უარზეა — არ სურს, იქ დამსწრე საზოგადოებამ და ტელემაყურებელმა ის უზრდელად მიიჩნიონ.

ასე რომ, ვარსკვლავს ჯუჯის როლში მოუწევს გამოსვლა 2 მეტრიანი წამყვანის გვერდით.

* * *



აბეზარი თაყვანისმცემლებით და ბომონდის თავბრუდამხვევი ცხოვრების ნირით შეწუხებული ადრიანო ჩელენტანო დასახლდა ულამაზეს ლეკოს პროვინციაში. შეისყიდა რამდენიმე ჰექტარი მიწა და მშვენიერი ვილა აიშენა. სასახლეში უამრავი ოთახია, 5 აბაზანა, კინოდარბაზი, სამრეცხაო, საუნა და ხმის ჩამწერი სტუდია. ვარსკვლავმა პარკში საცურაო აუზი და ჩოგბურთის კორტები მოაწყო. მამულს შემოავლო 8 მეტრიანი ქვის გალავანი, რომლის თავზე ეკლიანი მავთულები გაჭიმა.

## ფოტო განწყობისთვის



— რაო, რაო? კორუფციის მინისტრიო?..

**ჯანმრთელობისთვის არახელსაყრელი გეომაგნიტური პერიოდი**

8/II $9.^{00}$–$11.^{00}$სთ-მდე;
10/II $10.^{00}$–$12.^{00}$სთ-მდე;
12/II $19.^{00}$–$21.^{00}$სთ-მდე;


## წამალი „სალხინო" — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115.-პოლიციის ეზოში. ფირმა „სალხინო"


„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება:* თბილისში *— ხუთშაბათობით 13 საათიდან. მათი განთავსების ადგილებია მეტროების — „მარჯანიშვილი"; „ვაგზლის მოედანი"; „თავისუფლების მოედანი"; „რუსთაველი"; „ღრმაღელე"; „ნაძალადევი"; „ახმეტელი"; „ავლაბარი", „300 არაგველი", „ვარკეთილი"; „სამედიცინო ინსტიტუტი", „პოლიტექნიკური", „ისანი"; „სამგორი"; „გოცირიძე"; — მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; გამსახურდიას და ვაჟა-ფშაველას პროსპექტების გადაკვეთაზე, საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ქავთარაძის ქუჩაზე — იზოტოპების ინსტიტუტთან და ბოლო გაჩერებაზე, ორთაჭალაში — გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); დიდუბის ავტოსადგურთან; დიღმის მასივში პოლიკლინიკის წინ, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 — სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ — ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბის მეტროს წინ, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში — მეგობრობის გამზ. მილიციასთან; უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; ვაკეში — კავსაძის ქუჩაზე; ბაგებში — გაჩერებასთან. წყნეთის ქუჩა; კეკელიძის ქუჩა.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** რუსთავი, მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, თერჯოლა, სამტრედია, აბაშა, ლანჩხუთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, საგარეჯო, სიღნაღი, ახმეტა, წნორი, ლაგოდეხი, ყვარელი, გურჯაანი, თელავი — ***არსებული „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

**(6) *უფასო განცხადების ქვითარი***

განცხადების ტექსტი ______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

**სიტყვა და საქმე**

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№6 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 10 თებერვლის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.



**თარაზულად:** 3. მდგომარეობა, როცა ადამიანს არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს ან უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას ავადმყოფური მდგომარეობის გამო; 5. მექის მხარეს მოქცეული სალოცავი ნიში მეჩეთში; 7. ქალაქი საქართველოში; 10. სერიალი; 12. ვარდის „წინაპარი"; 13. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 14. ბაღი ქალაქში; 15. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 16. ქრისტიანული წმინდანი (მისი სახელობის დღესასწაული იმართება დეკემბერში); 17. ჰორიზონტალურად გაჭიმული ბადე, რომელზედაც ხტომას ასრულებენ ტანმოვარჯიშეები, აკრობატები; 19. ავსტრიელი ნევროპათოლოგი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 23. თივის, ძნის... ასაღები იარაღი; 28. ოლქი უზბეკეთში, სადაც სახლობდნენ 1944 წელს თავიანთი სამკვიდრებლიდან დეპორტირებული ე.წ. თურქი-მესხები; 29. კარის ან ფანჯრის დასაკეტი რკინა; 30. ტყის ბალახოვანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა; 31. გადასახადი, რომელსაც უხდის ომში დამარცხებული ქვეყანა გამარჯვებულს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად; 34. შემოსეული, დამპყრობელი ჯარი (გადატანითი მნიშვნელობის სიტყვა); 35. პერსონაჟი ფილმისა „სიყვარული ყველას უნდა". 36. მღრღნელი ცხოველი ციყვების ოჯახისა; 37. ჭურჭელი, 38. მკვდარი ცხოველის ხრწნადი სხეული; 40. საქონელბრუნვის სფერო; 42. ტაფაზე მომწვარი მრგვალი ლავაში; 43. ყოველი არაებრაელი ჭეშმარიტი ებრაელის გაგებით.

**შვეულად:** 1. V-VI საუკ. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ამჟამინდელ თურქეთში; 2. ქალაქის ან ოლქის მმართველი ძველ რუსეთში; 4. მოტყუება, შეცდენა; 6. პერსონაჟი ი. სემიონოვის რომანისა „გაზაფხულის 17 გაელვება". 8. სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემების შენაერთი; 9. მოკლელულიანი თოფი; 11. ნაკითხი, საფუძვლიანად განათლებული; 18. კიდულ ლიანდაგზე მოძრავი ტვირთამწევი მანქანა; 20. თენგიზ არჩვაძის უცხოელი პარტნიორი ერთ-ერთ ქართულ ფილმში; 21. ტერმინი, რომლითაც ახასიათებენ უკანასკნელ რეპეტიციას კოსტიუმებითა და დეკორაციებით სპექტაკლის, კონცერტის გამართვის წინ; 22. სავაზნე ჩანთა; 24. რელიგია, რომლისთვისაც დამახასიათებელია თაყვანისცემა მრავალი ღმერთისადმი; 25. უხამსი, ულაზათო ოხუნჯი; 26. მთის მასივები კარპატებში, პოლონეთში, ჩეხეთსა და სლოვაკეთში; 27. რუხი ფერის ფისისებური მასა; 32. ავტორი დეტექტივებისა „ენდჰაუზის" საიდუმლოება" და „მივიწყებული მკვლელობა", 33. პერსონაჟი ტელესერიალისა „დინასტია"; 39. ერთ-ერთი ქართული ასოს სახელწოდება; 41. უდიდესი მდინარე იტალიაში.

## წინა კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 2. მედუზა; 6. ჟუდეცი; 10. წრფე; 11. გოფრირება; 12. ბოსი; 13. ალმა; 14. წუღა; 17. შლიცი; 18. ტაიგა; 19. ჭლექი; 21. პარკი; 25. რაბინი; 26. გრანდი; 28. ტრუბადური; 30. ბურგუნდია; 34. მანდარინი; 36. ბიკფორდი; 37. ხოშტარია.

**შვეულად:** 1. „ლუკოილი"; 2. მეგრულა; 3. დიტრიხი; 4. ზამბარა; 5. მარჯანიშვილი; 7. რესტავრატორი; 8. ფერმერი; 9. აბრუნდი; 15. მხილება; 16. ბოტკინი; 20. ქანი; 22. აირი; 23. ხრაშუნა; 24. სიმინდი; 27. ტრიბუნალი; 28. ტომსიკა; 29. კათედრა; 31. იდო; 32. „დრო"; 33. ზოო; 35. უტა.

*გ. გასიტაშვილი*

## უკუაფორიზმი

სხარტულად გამოთქმულ ცოცხალ სიბრძნეს ხომ აფორიზმი ეწოდება. ყველაფერს თავისი საპირისპირო მხარეც ხომ გააჩნია... ანუ თუ არსებობს აფორიზმი, იარსებებს უკუაფორიზმიც. გთავაზობთ ურთიერთობის ახალ სახეობას — გაწვდით პირველი უკუაფორიზმის ნიმუშს —

— შთამომავალნო!
მომავალი აღცილემლად იქნება ნათელი!
... აი, ახლავე გადაეცით თქვენს შთამომავლებს!

ველით თქვენგან „უკუაფორიზმების" სხვა ნიმუშებს... „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით.

### რას ნიშნავს წარმატება...

**5 წლის ასაკში** — თუ გაიღვიძებ და არ ხარ ჩასველებული;

**17 წლის ასაკში** — თუ მოახერხებ ქალთან „ყოფნას";

**25 წლის ასაკში** — თუ იღბლიანად იქორწინებ...

**35 წლის ასაკში** — ოჯახში თუ მყარი მდგომარეობა გაქვს;

**45 წლის ასაკში** — თუ შეგრჩა ოჯახიც და კარიერაც;

**55 წლის ასაკში** — კიდევ ერთხელ თუ იქორწინებ კარგად;

**65 წლის ასაკში** — თუ მოახერხებ ქალთან „ყოფნას";

**85 წლის ასაკში** — გაიღვიძებ და არ იქნები ჩასველებული;



...მოდის ერთი მეთევზე და სიმძიმისაგან წელში მოხრილი ძლივს მოათრევს ლოქოს. შემოხვდა მეორე, გაუვსია ვედრო ღორჯოებით...

— რა, სულ ეგ ერთი ითევზავე?!

* * *



რეკავს ტელეფონი. ყურმილს იღებს კაცი... ისმის ქალის გამაყრუებელი წიწინი... კაცი პასუხობს:

— ნუ მიყვირით... ეს სულ სხვა ბინაა და სულ სხვა ქმარი...


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შეიძლება არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის შეხედულებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის ხასიათზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი [illegible]

[illegible]